

*ხელისუფლება და საზოგადოება*



samecniero Jurnalı

,,xelisufleba da sazogadoeba

(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)"

Scientific magazine


**"AUTHORITY AND SOCIETY**

(History, Theory, Practice)"

Научный журнал

**"ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**

(История, Теория, Практика)"



**№ 2 (6) 2008**




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის უცხო ენებისა  
და კომუნიკაციის დეპარტამენტის  
სამეცნიერო ჟურნალი

**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
HUMANITARIAN-SOCIAL FACULTY**

*Scientific magazine of Department of  
Foreign Languages and Communication*  
**ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ  
УНИВЕРСИТЕТ**

Гуманитарный-социальный факультет  
**Научный журнал департамента Иностранных языков  
и коммуникаций**

**EISSN 1512-4029**

**UDC 378(479.22)(051.2)****ს. 402**

## სარედაქციო კოლეგია:

### შოთა დოლონაძე

- მთავარი რედაქტორი

### გიორგი ბადათურია

- მთავარი რედაქტორის მოადგილი

### ოთარ ბადათურია

- პასუხისმგებელი მდივანი

ნანა აგალიანი, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ევგენი  
ბარათაშვილი, ვახტანგ გურული, თეიმურაზ თოდუა, როინ  
მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან  
ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე



ურნალი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პრესისა და  
მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი.

გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა  
პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულების.

მისამართი:

**საქართველო, თბილისი 0171 კოსტავას ქ.77, VI კორპუსი VIII**

**სართული ტელ. 36.45.14**

**77 Kostava st., 0160 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14**

**Mail: [DLPA@gtu.ge](mailto:DLPA@gtu.ge)**

გარეკანის გაფორმება: დავით ბადათურია

ურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია მისამართზე:

<http://www.gtu.ge/katedrebi/kat124/>

## **სარჩევი**

### **თმორია**

#### **ოთარ ქონირაძე**

კატეგორია „სივრცე“-ს პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების შედარებითი ანალიზი -----	5
<b>სალომე ქვესელაგა</b>	
პოლიტიკა როგორც სოციალური მოვლენა -----	13
<b>გიორგი კიგნაძე</b>	
საჯარო სამსახურის სამართლებრივი რეგულირება რაციონალური ბიუროკრატიის ქვეყნებში -----	20
<b>ზურაბ ოდიშარია</b>	
სამხედრო უსაფრთხოების საკითხისათვის -----	29
<b>ნინო სურმანიძე</b>	
საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოებრივი მართვა (საქართველოს საგარეო პოლიტიკა) -----	37
<b>ნინო ჩიქობაგა</b>	
ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები -----	48

### **ისტორია**

#### **თამარ ანთაძე, მერაბ ქალანდაძე**

რობერტის ქართულ ისტორიოგრაფიაში-----	55
<b>ლაშა სულაქველიძე</b>	
საქართველო ევროპავშირის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში -----	77
<b>ნათია გოცაძე</b>	
საერთაშორისო ტერორიზმი -----	88
<b>ლაშა ცეიტიშვილი</b>	
ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო -----	103
<b>ლევან მაჩაიძე</b>	
ევროპის საბჭოს როლი და ფუნქცია -----	112

### **საზოგადოება**

#### **გიორგი ბალათურია**

საზოგადოება და ბიბლიის თარგმნა (წმიდა წერილის თანამედროვე ქართულით თარგმნის პრობლემების შესახებ)-----	119
<b>მარინა ლომიძე</b>	
„მომავალი – ჩვენი ცხოვრების მისამართი“ (პერბერტ მარშალ მაკლუენის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ზოგიერთი შტრიხი)---	126
<b>მაკა ამბროლიძე</b>	

გლობალური ტექნოლოგიები და კულტურული განვითარება-----	138
ნინო ირგმაძე	
პოლიტიკური რეკლამა ტელევიზიაში -----	145

**ლინგვისტიკა**

<b>ეთერ კაციტაძე</b>	
ცხოველთა სურათები მთოლოგიაში და თანამედროვე ცხოველთა მეტაფორა -----	152
<b>რუსულან თაბუკაშვილი.</b>	
სოციოლინგვისტიკის დისციპლინათაშორისი მიმართებები-----	166
<b>ნინო გოგუა</b>	
ფერთა ენობრივი აღნიშვნები -----	175
<b>ბელა გომურაშვილი.</b>	
დარგობრივი ენები და მათი დეფინიციის მცდელობა -----	180
<b>შორენა შენგელია</b>	
დარგობრივი და პროფესიული ენები – მსგავსება და განსხვავება -----	185

**ეპონომიკა**

<b>გიორგი ცაავა, თამარ ბერიძე, ლიკა ბერიძე</b>	
საწარმოს საქმიანობის კომპლექსური ანალიზი -----	189
<b>გიორგი ბალათურია, თეიმურაზ გორშეკოვი, ნონა ჭიჭიკოშვილი</b>	
მოკლევადიანი პროგნოზირება სახელმწიფო მართვის ამოცანებში (საქართველოს რეინიგზის სატვირთო	
გადაზიდვების მაგალითზე) -----	196
<b>მირიან გვიშიანი, ნოდარ ბალავაძე, მანანა მოიწრაფიშვილი</b>	
საქართველოს რეინიგზის საუდელტეხილო უბნის გამზიდ და გატარუნარიანობის გაზრდის ღონისძიებები-----	206
<b>სერგო ლომინაძე</b>	
PR-ის როლი კომერციულ ორგანიზაციებში და ფირმებში -----	213

ოთარ ქოჩორაძე

პატეგორია „სივრცე”-ს პოლიტიკური და ეკონომიკური  
ასპექტების შედარებითი ანალიზი

თანამედროვე გაგებით სივრცე ეს არის მატერიალური პროცესებისა და ობიექტების არსებობის ფორმა, რომელიც ახასიათებს მათ სტრუქტურულობას და განვითარებას.

სივრცე ეს არის ობიექტების ურთიერთობებისა და კოორდინაციის ურთიერთობები, როლებიც არსებობენ დროის რადაც მომენტში. სივრცე ახასიათებს სხეულების მდებარეობას ერთმანეთთან მიმართებაში, ასახავს ერთდროულად არსებული ობიექტების განლაგების რიგს, მათ განვითარებას, მათ შორის მანძილს, კუთხეებს სხვადასხვა მიმართულებებს შორის.

სივრცეს არ გააჩნია დამოუკიდებელი ყოფიერება, და როგორც ასეთი იგი არ შეიძლება მოცემული იყოს შეგრძნებაში, – შეგრძნებაში მოცემულია ობიექტები (რომლებსაც გააჩნიათ მოქმედების ატრიბუტი) რომლებსაც აქვთ სივრცულ-დროითი თვისებები. ამიტომ სივრცის ობიექტურობა არ ნიშნავს მის მატერიალურობას პირდაპირი გაგებით. სივრცე – ეს არის მატერიალური საგნებისა და ობიექტების ერთდაგვარი ურთიერთობები. მაგრამ არსებობს არა სივრცე თავისთავად, არამედ მატერიის მოძრაობა. სივრცის დაკავება (ადგილის, ადგილმდებარეობის ქონა) სხეულის ან ნაწილაკისათვის ნიშნავს უნარს იქნიოს მოცულობა, რელიეფი (ფორმა) და კოორდინატები სხვა სხეულებთან ან ნაწილაკებთან მიმართებაში. სივრცე არის ურთიერთობა (“წესრიგი”), რომელიც გამოიყენება მხოლოდ სხვა სხეულებთან, სხეულთა “რიგთან” მიმართებაში.

სივრცეს გააჩნია შემდეგი თვისებები: აბსოლუტურობა, ფარდობითობა, განვითარება, ტევადობა, უსასრულობა, ერთგვაროვნება.

ტრადიციული გეოპოლიტიკური გაგებით სივრცე შეიცავს თავის თავში როგორც საკუთარ ფიზიკურ სივრცეს (ტერიტორიას), ასევე მის გეოგრაფიულ ველს (გეოგრაფიული ურთიერთკავშირები). თუკი ფიზიკური სივრცისათვის დამახასიათებლია წევეტილობა, მაშინ

გეოგრაფიული ველისათვის დამახასიათებლია უწყვეტლობა. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ტერიტორია არის არა მარტო სახელმწიფო ტერიტორია, ანუ როგორც საზოგადოებრივი, იურიდიული კატეგორია, ის არის აგრეთვე ბუნებრივი გეოგრაფიული გარემო, რომეშიც არსებობს მოცემული ადამიანური საზოგადოება. ამგვარად, გოპოლიტიკაში ტერმინი “სივრცეს” გააჩნია განსაკუთრებული აზოვბრივი დატვირთვა. სივრცე არ არის ტერიტორიის სინონიმი. სივრცე უფრო უართო კატეგორიაა, ვიდრე ტერიტორიის კატეგორია. თავის მხრივ ტერიტორია არის არა მარტო განსაკუთრებული სახის სივრცე. მისთვის დამახაისათებელია არა მარტო სპეციფიკური სივრცეული კატეგორიები, არამედ სხვა უამრავი მახასიათებლები, მათ შორის:

- ზომები, ანუ საერთო მოცულობა;
- ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ განფენილობა;
- კომპაქტურობა, ანუ ერთიან მთლიანში კონცენტრირება;
- გეოგრაფიული მდებარეობა მსოფლიო რუკაზე, მათ შორის მდინარეებისა და ზღვაზე გასასვლელების არსებობა;
- დასახლებულობა (მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, მისი განაწილება ტერიტორიის ცალკეულ მონაკვეთებზე);
- კლიმატური პირობები, ეკვატორთან ან დედამიწის ერთ-ერთ პოლუსთან, ზღვებთან ან სხვა დიდ წყალსაცავებთან სიახლოვე, კონტინენტის სიღრმეში ან კიდეზე მდებარეობა;
- ლანდშაფტის თავისებურებები;
- წილისუფლის ხასიათი და მათი დამუშავების დონე;
- საზღვრების ხასიათი (იურიდიულად გაფორმებული ან ფაქტიურად არსებული, ბუნებრივი ან ნებისმიერი, საგულდაგულოდ გამაგრებული ან დაუკველი);
- მეზობელი ტერიტორიების ხასიათი (სახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო, მშევრული ან აგრესიული პოლიტიკური რეჟიმებით);
- არსებობის დრო.

გეოპოლიტიკაში სივრცის კატეგორიას გააჩნია თავისი სპეციფიკური თვისებები და განსხვავებული მნიშვნელობა ტერიტორიის კატეგორიასთან მიმართებაში. სივრცის კატეგორია უფრო ფართოა, იგი შეიცავს როგორც სახელმწიფოს ტერიტორიას, ასევე მის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიასაც. ამის გარდა, სივრცე შეიცავს აგრეთვე სახელმწიფოების, როგორც საერთაშორისო პოლიტიკისა და სამართლის სუბიექტების საგარეო კავშირებს.

მოცემული პრობლემის სიღრმისეული შესწავლა გულისხმობს სივრცის ეკონომიკური და პოლიტიკური ლოგიკის რთული, წინააღმდეგობრივი ურთიერთობების გაცნობიერებას.

ეკონომიკა და პოლიტიკა წარმოადგენებს ადამიანის ყოფიერების შემადგენელ ნაწილებს. ეკონომიკა შეისწავლის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფასეულობების შექმნასთან, განაწილებასა და მოხმარებასთან; ეკონომიკის კუთხით, შეიცავს თავის თავში წარმოების ადგილს (მიწა, შახტები, ფაბრიკები...), საქონლის გაცვლის გზებს (მიმოსვლის ყოველგარი საშუალებები), ბაზრებს და სხვა. თავის მხრივ, პოლიტიკის ინტერესები კონცენტრირებულია ადამიანებს შორის ურთიერთობების ორგანიზაციაზე კოლექტიური სტრუქტურების ფარგლებში (ანტიკური ქალაქიდან მოყოლებული ერ-სახელმწიფომდე).

პოლიტიკური სივრცე რადიკალურად განსხვავდება ეკონომიკურისაგან, ვინაიდან პირველს არ შეუძლია არსებობა მუდმივობისა და ბარიერების გარეშე, მაშინ როდესაც მეორე იმყოფება მუდმივ მოძრაობაში იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება საქონლისა და მომსახურების მოთხოვნილება და მიწოდება.

ჯერ კიდევ პრეისტორიულ პერიოდში მმართველების ძალუფლება და სიძლიერე გაიგივებული იყო გარკვეულ ტერიტორიაზე კონტროლთან. მაგალითად, ეგვიპტის ფარაონები ბატონობდნენ ნილოსის ველზე. რით შეიძლება ავსნათ გარკვეულ ტერიტორიაზე დამკიდრების სწრაფვა, რომელიც დღემდე რჩება პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად? ჯერ კიდევ პრეისტორიულ პერიოდში სოფლის მეურნეობა, ანუ მიწის რაციონალური ექსპლუატაცია, საშუალებას იძლეოდა შექმნილიყო ჭარბი პროდუქტები, რომლის საფუძველზეც იქმნებოდნენ პოლიტიკური სტრუქტურები.

იმავდროულად საქონლის, ოქროს, ფულის, მომსახურებისა და ინფორმაციის ნაკადები მიღმივად გადაადგილდებიან სივრცეში, ემორჩილებიან დინამიკას, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფოს და მასზე მაღლა გდას. მაშინ როდესაც სახელმწიფო ტყვევა საკუთარი ტერიტორიის, საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის გზები მუდმივად გადაადგილდებიან პოლიტიკური და სტრატეგიული კონიუქტურიდან, და რათქმა უნდა გაჭრების გათვლებიდან გამომდინარე. მართალია პოლიტიკა ბატონობს ეკონომიკაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მუდმივ ცდილობს თავი დააღწიოს მისი ბატონობისაგან.

რესურსებისა და მიმოსვლის საშუალებებზე კონტროლისათვის გაჩაღებული კონფლიქტებისა და ბრძოლის ისტორიის ანალიზი

გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური ბრძოლა მჭიდრო კავშირში იმყოფება რესურსების ფლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლასთან.

— ალექსანდრე მაკედონელიდან მოყოლებული XVI საუკუნის დიდი გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე “აბრეშუმის გზა” წარმოადგენდა სასიცოცხლო მნიშვნელობის არტერიას ევროპასა და შორიულ აღმოსავლეთს შორის, რომელზეც უწყებ ნაკადად მიედინებოდა ძვირფასი და იშვიათი საქონელი: აბრეშუმი, სანელებლები და სხვა. III-VII საუკუნეებში ბიზანტია და სასანიდური ირანი გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს “მსოფლიო კონომიკური ბატონობისათვის”, ანუ იმ გზებზე კონტროლისათვის, რომლებითაც ევროპაში ეზიდებოდნენ საქონელს, პირველ რიგში აბრეშუმს, ჩინეთიდან, ინდოეთიდან და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან. XIII საუკუნეში ჩინების ყაენის მიერ დაარსებული იმპერია მდიდრდებოდა აბრეშუმის გზაზე კონტროლის მეშვეობიდ, სადაც მონღოლები უზრუნველყოფდნენ ქარაგნების უსაფრთხოებას.

XVI საუკუნის დასაწყისიდან ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების ჩართვამ საერთაშორისო საგაჭრო კავშირების სისტემაში ნამდვილად მსოფლიო მასშტაბი შესძინა შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპას შორის სახმელეთო და საზღვაო (ინდოეთის ოკეანის გავლით) გზებზე კონტროლის უფლებისათვის მიმდინარე მუდმივ კონფლიქტებს. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ატლანტიკის ოკეანე გახდა დიდი სახელმწიფოების პაქტობის საგანი. ატლანტიკის ოკეანეზე კონტროლის უფლებისათვის ერთმანეთს ეომებოდნენ ესპანეთი და პორტუგალია (XVI საუკუნე), შემდეგ ესპანეთი, პოლანდია, საფრანგეთი და ინგლისი (XVII საუკუნე), მოგვიანებით საფრანგეთი და ინგლისი (XVIII საუკუნე)...(2)

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხდება იმ კონცეფციების ჩამოყალიბება, რომლებიც დაფუძნებული არიან საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენების გამომწვევი მიზზების სიღრმისეულ გამოვლენაზე. ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ომების პრობლემები. ერთ-ერთ პირველ მცდელობას მოვქებათ მისი ახსნა და გამოემუშავებინათ მისი აღმოფხვრის საშუალებები წარმოადგენდა იმპერიალიზმის სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.

ინგლისელი ეკონომისტი ჯონ გრისონი (1858-1940 წწ.) იყო იმპერიალიზმის, როგორც მოვლენის, ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანი. იგი “იმპერიალიზმში” გულისხმობდა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო ექსპანსიის პოლიტიკას, ბრძოლას კოლონიური სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად და ინდუსტრიის “კაპიტენების” სანუკვარი ოცნებების გამოხატულებას. “იმპერიალიზმი ეს არის იმათი, ვინც აკონტროლებს ინდუსტრიას,

სწრაფვა გააფართოონ თავიანთი ჭარბი სიმდიდრის დაბანდება საგარეო ბაზრებისა და საგარეო ინვესტიციების გზით, იმ საქონლისა და კაპიტალისათვის, რომლებსაც ისინი ვერ ყიდიან ან ვერ იყენებენ სახლში”.(1) გობსონი აღნიშნავს, რომ მისი თანადროული მრეწველობის განვითარების დონის პირობებში დაგროვების დონე და წარმოების შესაძლებლობები წინ უსწრებენ მოხმარების დონეს საზოგადოებაში. და იგი წარმოადგენს იმპერიალიზმის პოლიტიკის მომხრეთათვის ათვლის წერტილს. მათვის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს კაპიტალის ინვესტირების აუცილებლობა: ქვეყნის შიგნით ისინი ვერ ნახელობენ მათი მომგებიანი დაბანდების შესაძლებლობას და იმულებული არიან მიმართონ კოლონიების პოლიტიკურ ანგქსიას, როგორც ჭარბი კაპიტალის გამოყენებისათვის საჭირო სივრცის შექმნის საშუალებას. ერთი სიტყვით “იმპერიალისტებისთვის” ასეთი პოლიტიკა გადრდაუკალია. (1)

მოხოპოლისტური კაპიტალიზმის თანადროული საინტერესო ანალიზი მოცემული აქვს ვ. ლენინს ნაშრომში “იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია” (1916 წ.). მის თანახმად ეკონომიკური განვითარება არასოდეს არ არის ერთნაირი, მიუხედავად იმისა თუ რაზე ვსაუბრობთ: საწარმოებზე, ეკონომიკის დარგებზე თუ სახელმწიფოებზე, განვითარების არათაბარი ხასიათი კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში ქმნის მუდმივად მზარდ წინააღმდეგობებს. კონცენტრაციის პროცესი, სინდიკატებისა და კარტელების წარმოქმნა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან, იწვევს წარმოების სტაგნაციას და საზოგადოებაში პარაზიტული ფენის ზრდას, ამით აისხება მუდმივი ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, კოლონიებისათვის, გავლენის სფეროებისათვის. მაგრამ სიმდიდრის დაგროვებასა და კონტროლის სფეროს გაფართოებას მივყავართ ახალი კონფლიქტების აღმოცენებამდე კაპიტალისტურ მოხოპოლიებს შორის, რომლებიც აწყდებიან ჭარბწარმოების კრიზისს და მიისწრაფიან ხელში ჩაიგდონ დამატებითი ბაზრები. ერთადერთ გამოსავალს ამ სიტუაციიდან წარმოადგენს ომი, რომელიც მარქსიზმ-დენინიზმის თანახმად წარმოადგენს კაპიტალიზმის ბუნების ძირითად მახასიათებელს. (4)

ესლა ვნახოთ რამდენად შეესაბამებიან ერთმანეთს გეოპოლიტიკური ლოგიკა, ეკონომიკური ლოგიკა, ლენინის მიერ შემოთავაზებულ სქემასა და მსოფლიო ომების “ლოგიკას”. ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ კანონზომიერებას.

I მსოფლიო ომის დაწყებამ, თითქოს და დაამტკიცა ლენინის დასკვნების სისწორე. უკიდურესობამდე გამწვავდა ეკონომიკური დაპირისპირება. დიდი ბრიტანეთი, რომლის ეკონომიკური

უპირატესობა უდავო იყო XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე, შეეჯახა გერმანული ეკონომიკის მძღავრ მეტოქეობას. გერმანელების გამოწვევა აბსოლუტურად აუზანელი იყო, იმიტომ რომ საქმე ეხებოდა მეზობელ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაც დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა საბრძოლო მოქმედებების ძირითად არენას ეკონომიკური. უფრო მეტიც, აფრიკული კოლონიების გამო მომხდარი შეჯახებების (1876-1912 წწ.) შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მსოფლიო უკვე გადანაწილებულია, მათ, ვისაც სურვილი გაუქნდათ დაეკავებინა ადგილი მზის ქვეშ, დააგვიანდათ. ჩნდება ლოგიკური კითხვა: იყო თუ არა ნამდვილად I მსოფლიო ომი, ომი გასაღების ბაზრებისათვის? ამის გასარკვევად მოვიყვანოთ რამოდენიმე სტატისტიკური მონაცემი:

- 1914 წლისათვის არსებობდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ეკონომიკულ სახელმწიფოებს შორის. დიდი ბრიტანეთი იყო გერმანული საქონლის უმსხვილესი ექსპორტიორი, თავის მხრივ, ინგლისური ეკონომიკის გასაღების პაზრებში, გერმანიას ეკავა მეორე ადგილი. “სამარადისო მტრები”, საფრანგეთი და გერმანია, აძლიერებდნენ, ისედაც ინგლისიურ, ეკონომიკურ კავშირებს, რაც, თავის მხრივ, არ გამორიცხავდა დაძაბულობის ცალკეულ მომენტებს ორმხრივ ურთიერთობებში, რომლებიც გამოწვეული იყო ნაციონალისტების ქმდებებით (კერძოდ, 1911-1913 წლების საბაჟო ომი). გარადა ამისა დაისახა დრმა განხეთქილების ტენდენცია საქმიან წრებებში. “ერთის მხრივ, მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო, ისინი ატარებდენ საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობდა საერთაშორისო კავშირების განმტკიცებასა და კოლონიალური პაქტების გამწვავებას. მეორეს მხრივ, ისინი საერთაშორისო ვაჭრობაში ნახულობდნენ სარგებელს და სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებული მისი შემდგომი განვითარებით” (3). როგორ შეიძლება ომისაკენ ისწრაფოდნენ ისინი, ვინც დარწმუნებულია იმაში, რომ ომი გარდაუვალად გამოიწვევს საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის დანგრევას და მათი პირადი კეთილდღეობის განადგურებას?

- 1914 წლის ზაფხულში ეკონომიკური საკითხები ნაკლებად აინტერესებდათ პოლიტიკოსებს. მოვლენათა ელგისებური განვითარება ნოქავდა მათ მთელ დროსა და ენერგიას. ამასთან ერთად, მცირე იყო იმათი რიცხვი, ვისაც მიაჩნდა, რომ ომი იქნება სანგრძლივი და რომ იგი შესძლებს დაარღვიოს სამეურნეო კავშირები და დაამსხვრიოს ჩამოყალიბებული ეკონომიკური წონასწორობა. ომი კი გრძელდებოდა 5 წლით!

II მსოფლიო ომის დაწყებას, კომუნისტური ორიენტაციის მეცნიერები, უკავშირებდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობების ახალ გამოვლინებას. მათი აზრით, XX საუკუნის 30-ანი წლების

ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, გამწვავდა ურთიერთობები, დეპრესიის ტყვეობაში მყოფ ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყნებსა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) და ნაციისტურ გერმანიას შორის.

მაგრამ ისმის კითხვა: ტრაგიზმით აღსავს 30-იან წლებში, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ იძრძვის საკუთარი თავის გადასარჩენად რა რაციონალურზე, მაგალითად ეკონომიკურ ინტერესებზე შეიძლებოდა დაპარაკება?

1939 წლის აგვისტოდან 1941 წლის ივნისამდე დაუძინებელი მტრები – ჰიტლერული გერმანია და სტალინის სსრკ – იყვნენ მოკავშირებები (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი). 1941-1945 წლებში ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნები დიდი ბრიტანეთი და აშშ – არიან სსრკ-ს მოკავშირებები, იმ სსრკ-ს რომლის ისტორიულ მისია მდგომარეობდა ლიბერალური კაპიტალიზმის განადგურებაში! იმ დროის ეკონომიკური და პოლიტიკური ლოგიკა განუყოფელია ერთმანეთისაგან: როდესაც მიმდინარეობს დასაბამისეული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ეკონომიკა მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია პოლიტიკის ხელში. (2)

ჩატრებული შედარებითი ანალიზიდან თვალნათლივ ჩანს, რომ:

- გეოპოლიტიკაში სივრცის კატეგორიას გააჩნია თავისი სპეციფიკური ოვისებები და განსხვავებული მნიშვნელობა ტერიტორიის კატეგორიასთან მიმართებაში. სივრცის კატეგორია უფრო ფართოა, იგი შეიცავს როგორც სახელმწიფოს ტერიტორიას, ასევე მის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიასაც. ამის გარდა, სივრცე შეიცავს აგრეთვე სახელმწიფოების, როგორც საერთაშორისო პოლიტიკისა და სამართლის სუბიექტების საგარეო კავშირებს;

- ტერიტორია მხოლოდ ნაწილია დედამიწის და წარმოადგენს სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელ ბუნებრივ გარემოს, სახელმწიფოში ორგანიზებული საზოგადოების არსებობის მატერიალურ საფუძველს;

- საერთაშორისო პოლიტიკის სივრცეულ ფაქტორში მოიაზრება პოლიტიკური, ეკონომიკური და პულტურულ-ისტორიული ასპექტების ერთობლიობა;

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. John Atkinson Hobson. Imperialism (1902).  
(<http://www.marxists.org/archive/hobson/1902/imperialism/index.htm>)
2. Моро-Дефарж Ф. Введение в геополитику. М.: Конкорд. 1996.
3. James Joll, The Origins of the First World War, 1984
4. ვ. ლენინი. “იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიი”. 1916 წ.

**Summary****Otar Kochoradze****The comparative analysis of economic and political aspects of a category of "space"**

In geopolitics the category of space has the specific features and meaning

The category of space is much wider, than category of territory. She includes not only territory of the state, but also external communications of the states as subjects of the international politics and right.

In the spatial factor of the international politics we mean unity of political, economic and cultural - historical aspects.

**Резюме****Отар Кочорадзе****Сравнительный анализ экономических и политических аспектов категории «пространства»**

В геополитике категория пространства имеет свои специфические особенности и значение.


Категория пространства гораздо шире, чем категория территории. Она включает в себя не только территорию государства, но и внешние связи государств как субъектов международной политики и права.

В пространственном факторе международной политики мы подразумеваем единство политических, экономических и культурно-исторических аспектов.

## ხელისუფლება და საზოგადოება

სალომე პეტრიშვილი

პოლიტიკა როგორც სოციალური მოვლენა



პოლიტიკის რაობის გარკვევა ერთ-ერთი როგორც ანალიტიკური პრობლემაა. ცნება პოლიტიკა უსაზღვროდ ფართოა და “მოღვაწეობის ყველა ნაირსახეობას მოიცავს” (მაქს ვებერი). ხშირად პოლიტიკურის ცნებით მოიაზრებენ ნებისმიერ მიზანდასახულ საქმიანობასა და ქმედებას, იქნება ეს სახელმწიფოს მეთაურის პარტიისა და ფირმის მოქმედება. პოლიტიკურის ქვეშ ზოგჯერ მოიაზრებენ “შესაძლებლობის ხელოვნებას”, ზოგჯერ ამბობენ, რომ ეს “ბინაური საქმეა”. მოკლედ პოლიტიკის გარშემო შეხედულებათა უამარავი რაოდენობა გამოწვეულია პოლიტიკური ფენომენის სირთულითა და გამოვლენათა სიმრავლით. ადამიანთა აზროვნების ისტორიაში მრავალი მოგვაწე ცდილობდა დაედგინა პოლიტიკური ცნება. ადსანიშნავია ანალიტიკური დროის დიდი მოღვაწეების-პლატონისა და არისტოტელეს მოსაზრებანი ამ საკითხებე. პლატონი ხაზგასმით აღნიშნავადა, რომ პოლიტიკა ეს არის ადამიანის მიერ მართვის სფერო, რომლის საფუძველი ერთდროულად არის როგორც სამეფო ცოდნა, ისე ხელოვნება, რომ პოლიტიკა თავისი ბუნებით რაციონალური და ინტუიციური ელემენტების ერთობლიობაა.

პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც შეჯიბრი, რომელიც ექვემდებარება წესებს; ამ წესების თანახმად, მოქმედი გმირები იბრძვიან არენაზე ალაფის მისაღებად-პოლიტიკური ანთროპოლოგიის მიღება. იგი არის ხელისუფლების შემსწავლელი ფორმალური მეცნიერება. მისი დახასიათება შეიძლება ძირითადად ორი კრიტერიუმით: ის ეხება ადამიანთა ერთობას და ის არის დაფუძნებული ლეგიტიმურობაზე, რაც წარმოადგენს აუცილებლობას, მაგრამ არა ფიზიკური იძულების თვალსაზრისით.

პოლიტიკა არის სტრატეგიული ძალისხმევათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, არის მოღვაწეობის განსაკუთრებული სფერო და წესრიგის განსაკუთრებული სახე.

პოლიტიკა ისეთი წესრიგია, რომლის დანიშნულებაა დაამყაროს და უზრუნველყოს სამართლიანი მშვიდობა პოლიტიკის შიგნით და საჭიროების შემთხვევაში იომოს სხვა პოლიტიკისთან. პოლიტიკა პოლიტიკის შიგნით განაპირობებს სამართლიანობას და სწორი გადაწყვეტილებათა მიღებას.

პოლიტიკა, როგორც წესრიგის ნაირსახეობა სათავეს იდებს ადამიანური კონფლიქტების პრობლემებიდან, მისი მიზანია სამართლიანობაზე დაფუძნებული მშვიდობა; უფრო ფართო გაგებით, პოლიტიკა წარმოადგენს იმ ჩარჩოებს, რომელთა შიგნითაც მოღვაწეობს ადამიანი.

პოლიტიკურის ცნებაში უმთავრესია ადამიანთა სახელმწიფოდ გაერთიანება, ცალკეული, სხვადასხვა ბუნებისა და მიღრეკილებების მქონე ინდივიდებისაგან ერთიანი და პარმონიულად მოქმედი საზოგადოების შექმნა. ამიტომაც იგი პოლიტიკურისა და ფეიქრის საქმიანობას ერთმანეთს ადარებს: როგორც ფეიქარი სხვადასხვა ფერის, სიდიდისა თუ სიმტკიცის ძაფებისაგან ქსოვს ერთნაირ ხალიჩას, ისე პოლიტიკოსიც სხვადასხვა ნატურის ადამიანებისგან ქნის ერთიან ქსოვილს საზოგადოება—სახელმწიფო. არისტოტელებს აზრით კი პოლიტიკა არის ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმა, რამდენადაც მისი მეშვეობით ადამიანურ ურთიერთობებში ყალიბდება სამართლიანობა და მიიღწვა საერთო სიკეთე. სამართლიანობა დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, “რადგან ყოველი მეცნიერებისა და სხლოვნების მიზანი არის სიკეთე, მაშინ მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელოვანი სფეროს მიზანი იგივე იქნება. ასეთი სფერო კი არის პოლიტიკა. პოლიტიკაში კი სიკეთე, სამართლიანობა სასარგებლოა საზოგადოებისთვის. (არისტოტელებე “პოლიტიკა”)” ამგარად პოლიტიკა არისტოტელებს აზრით არის საერთო სიკეთის მოსაპოვებლად წარმოებული საქმიანობა, მისი უმაღლესი ფასეულობაა საზოგადო სიკეთე, რომელიც თავის თავში მოიცავს თავისუფლებას, სამართლიანობას, მშვიდობას. მიზანი კი არის საზოგადო სიკეთისადმი მიმართული.

პოლიტიკა და პოლიტიკური ურთიერთობები წარმოუდგენელია ძალაუფლების ფენომენის გარეშე. პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება ძალაუფლებრივი ურთიერთობები. ნ. მაკიაველი თავის შრომებში ყურადღებას ამავილებს ძალაუფლების ბრძოლისა და გამოყენების სელოვნებაზე, ტექნიკაზე, ხერხებსა და საშუალებებზე. ეს იტალიელი მოაზროვნე პოლიტიკას ახასიათებს როგორც

“საშუალებათა ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა მოხვიდე ხელისუფლებაში, განიმტკიცო ძალაუფლება და სასარგებლოდ გამოიყენო იგი.... მაშასადამე, პოლიტიკა არის მიმართება გარემოებებით მოცებულ ძალაუფლებასთან, რომელიც დამოკიდებულია მბრძანებლის ან ხალხის ძლიერებასა და აგრეთვე მიმდინარე სიტუაციებზე”.

ცნობილი გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი პოლიტიკას შემდეგნაირად განმარტავს ”იგი სხვა არაფერია, თუ არა მისწრავება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკნ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკნ; სულ ერთია იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.” პოლიტიკის ასეთი გაგება არსობრივ შესატყვისობაშია ჩვეულებრივ სიტყვათა ხმარებასთან. როცა რომელიმე საკითხზე ამბობენ “პოლიტიკური” საკითხიაო, მინისტრსა თუ მოხელეზე “პოლიტიკური” მოხელეაო, გადაწყვეტილებაზე “პოლიტიკურადაა განპირობებულიო” იგულისხმება, რომ “პოლიტიკური” საკითხის გადაჭრას, გადაწყვეტილების მიღებას თუ დასახელებული მოხელის მოღვაწეობის სფეროს დადგენას იგივე ინტერესები განსაზღვრავს, რომელიც “ძალაუფლებაში მონაწილეობას, მის გადანაწილებასა თუ შენარჩუნებას წარმართვას. ის ვინც პოლიტიკაშია, ძალაუფლებისკნ მიისწრავის, სულერთია როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება სხვა, იდიალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად მხოლოდ ძალაუფლების გულისოფის, რათა დატყებეს პრესტიჟულობის იმ გრძნობით რასაც ადამიანს იგი ანიჭებს”.

ვებერი პოლიტიკის ფარგლებს მხოლოდ სახელმწიფოთი საზღვრავს. მას მიაჩნია რომ პოლიტიკის მთავარი საშუალებაა ძალადობა. ძალადაობაზე ლეგიტიმური თუ აღიარებული უფლება კი მხოლოდ სახელმწიფოს აქვს.

ვებერის მიხედვით მარტო ისეთი სოციალური წარმონაქმნი რომ ყოფილიყო, სადაც ძალადობა არ არის, აქ უკადებული იქნებოდა სახელმწიფოს ცნება და საქმე გვექნებოდა ანარქიასთან. ძალადობა სახელმწიფოს სპეციფიკური ღონისძიებაა. ვებერის მიხედვით პოლიტიკაში უნდა გვესმოდეს, პოლიტიკური კაშირის, ანუ სახელმწიფოს მართვა და ამ მართვაზე ზეგავლენა. პოლიტიკა დაკავშირებულია ძალაუფლებასთან, გარკვეულ ტერიტორიაზე მის გავრცელებასა და იძულების სპეციალური ორგანოების არსებობასთან.

ფრანგი მეცნიერი ჟან ბეშლერი შემდეგ ნაირად განსაზღვრავს პოლიტიკას—ეს არის სინამდვილის განსაკუთრებული სფერო ან წესრიგის განსაკუთრებული სახესხვაობა, ეკონომიკის, რელიგიის, დემოგრაფიისა და სხვათა გვერდით. პოლიტიკურის გამოვლენა განპირობებულია იმ პრობლემით, რომელსაც ადამიანს უქენებს მისი ბუნება და ყოფიერება.

პოლიტიკას, როგორც წესრიგის სახესხვაობას ფესვები გადამული აქვს ადამიანთ კონფლიკტურობის პრობლემაში. მისი მიზანია სამართლიანობაზე დაფუძნებული მშეიდობა.

პოლიტიკა არსებობობს ადამიანთა გაერთიანებით, რადგანაც ისეთი საზოგადოებრივი სივრცის გარეშე, რომელშიაც შესაძლებელია მშვიდობა, ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეუძლებელია. პოლიტიკური მდგომარეობა უპირისპირდება ბუნებრივ მდგომარეობას—ეს ნიშნავს “ომს ყველასი ყველას წინააღმდეგ”.

ბეშლერს პოლიტიკის სხვაგვარი განსაზღვრებაც აქვს—პოლიტიკა ეს არის ძლისხმევათ ერთობლიობა გამოყენებული ფართ აზრით გაგმული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

ჟან ბეშლერის მიხედვით “პოლიტიკა წარმოადგენს გაერთიანებას, რომლის შიგნითაც მოქმედებს მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ სწრაფვის ტენდენცია, თუმცა შენარჩუნებულია გარემოების წარმოქმნის შესაძლებლობა”

საბოლოოდ ჟან ბეშლერი ასეთ განსაზღვრებას გვაძლევს— ”პოლიტიკა ესაა ისეთი წესრიგი, რომლის დანიშნულებაა სახელმწიფოს შიგნით სამართლიანი მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა სახელმწიფოსთვის მის წარმოება.”

ინგლისელი პოლიტიკოსი დ. ჰელდი პოლიტიკას განიხილავს როგორც ადამიანურ შესაძლებლობათა ორგანიზაციისათვის ბრძოლას. ჰელდი პოლიტიკის საგნად ბატონობასა და ძალაუფლებას მიიჩნევს. მასთან პოლიტიკა საზღვრავს მთელ საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებას. პოლიტიკა უფრო ფართო სფეროა ვიდრე სახელმწიფო.

პოლიტიკა, როგორც თეორიული დისციპლინა მოწოდებულია ნათლად განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტებს შორის არსებული როული კაგშირები და მიმართებები—სახელმწიფოს აგებულება, ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურები.

საბოლოოდ დ. ჰელდი ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს — ”პოლიტიკა არის სოციალურ ჯგუფთა ინსტიტუტთა და

საზოგადოებათა საყოველთაო ურთიერთკავშირის ფენომენი, რომელიც მჭიდროდაა ასოცირებული ადამიანური საქმიანობის უველა სოციალურ და კერძო სფეროებთან. შესაბამისად პოლიტიკა დაინტერესებულია ძალაუფლებით და სწავლობს იმ ძალებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გადანაწილებაზე და გამოიყენება ხელისუფლების მიერ.

გერმანელი იურისტი და სოციოლოგი კარლ შმიტი ცნება პოლიტიკის ორიგინალურ განმარტებას იძლევა. იგი ხაზს უსვამს პოლიტიკის კონფლიქტურ ბუნებას. მასთან სახელმწიფო არის ტერიტორიულ საზღვრებში ორგანიზებული ხალხის პოლიტიკური სტატუსი. შმიტის აზრით “სპეციური კური პოლიტიკური განსაზღვრება, რომელზეც შეიძლება დავიყვანოთ პოლიტიკური მოქმედება და მოტივები, არის მეგობრისა და მტრის განსაზღვრება. მეგობრისა და მტრის განსხვავების საზრისი ისაა, რომ აღინიშნოს შეერთებისა და დაშლის, ასოციაციისა და დისოციაციის ინტენსივობის უმაღლესი ხარისხი. ეს განსხვავება არსებობს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც იმისგან დამოუკიდებლად, გამოიყენება თუ არა ერთდროულად მორალური, ესოებიკური, ეკონომიკური თუ სხვა განსხვავებანი. არ არის აუცილებელი, რომ პოლიტიკური მტერი მორალურად ბოროტი იყოს, ან ასთეტიკურად მახინჯი და ექონომიკური თვალსაზრისით კონკურენტი აღმოჩნდეს, შეიძლება მასთან საქმის დაწერა სარფიანიც კი იყოს. პოლიტიკურის ყოფიერებითი საგნობრიობა და დამოუკიდებლობა ვლინდება ისეთი დაპირისპირების დროს, როგორიცაა “მეგობარი ან მტერი”.

ხალხი ჯგუფდება “მეგობარი-მტერი” დაპირისპირებულობის მიხედვით. ეს დაპირისპირება ნამდვილია და როგორც რეალური შესაძლებლობა ეძლევა ყოველ პოლიტიკურად არსებულ ხალხს.

“მეგობარი-მტერის” ცნება განუყოფელია ომის მცნებისაგან. ომი გამომდინარეობს მტრობისაგან იგი არის სხვისი ყოფიერების კონკრეტული და რეალური უარყოფა.

პოლიტიკა გულისხმობს ომს, შეიძლება მტრობის მინაური თუ საგარეო მტრის წინააღმდეგ. პოლიტიკა ასევე გულისხმობს მებრძოლ ადამიანთა შორის სიკვდილისათვის ბრძოლას. მას არ სჭირდება პროგრამებით, ნორმებითა და იდეალებით გამართლება, მას მხოლოდ ყოფიერებითი საზრის აქვს, რომელიც ეხება ნამდვილი მტრის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლის რეალურ სიტუაციას.

ომი არ არის იურიდიული და საზოგადოებრივ-მეცნიერული ცნება. იგი არ ემორჩილება ემპირიულ შემოწმებას. იგი

დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს—ფაქტობრივი ძალაუფლებისა და ძალის რეალიზაციას.

წესრიგის დამრღვევი არის მტერი. მტერის განსაზღვრება კი სუვერენული აქტია, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება.

შმიტი “პოლიტიკურის” მცნებას საგარეო პოლიტიკის მიმართებაში აყალიბებს. შინა სახელმწიფო ეროვნული დაპირისპირება მხოლოდ ვიწრო გაგებით შეიძლება დახასიათდეს როგორც პოლიტიკური, საშინაო პოლიტიკა მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ როგორც სამოქალაქო ოში. ასეთია შმიტის შეხედულებები პოლიტიკაზე. მასთან მთავარი მაინც ის არის, რომ პოლიტიკა, როგორც ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის უმთავრესი სფერო, მოწოდებულია ქვეწის შიგნით ერთიანობის, სტაბილურობის, წესრიგისა და კეთილდღეობის დასამკეთრებლად და ამავე დროს პოლიტიკას უურადღება თოთქმის არ ექცევა.

ამ მხრივ საინტერესო შეხედულებები აქვს ამერიკელ თეორეტიკოს ტოლკოტ პარსონს. მასთან პოლიტიკა სწორედ მთელი საზოგადოებისათვის საერთო მიზნებზე წარმართულს საქმიანობად მიაჩნია. პარსონი რაიმე მოვლენას განიხილავს, როგორც პოლიტიკური იმ ზომით, რა ზომითაც იგი დაკავშირებულია რომელიმე კოლექტივის მიერ მისი მიზნების მიღწევისათვის რესურსთა, ორგანიზებასთან და მობილიზაციასთან. პოლიტიკა ესაა საერთო მიზნის მიღწვა ეფექტური და კოლექტიური საქმიანობის გზით.

პოლიტიკა საზოგადოებაში ერთ-ერთი დამოუკიდებელი სისტემა და რთული სოციალური ორგანიზმია და იგი სხვა სისტემებისაგან, როგორებიცაა ეკონომიკა, კულტურა და სხვა—გამოჯნულია და იმავდროულად უწყვეტ ურთიერთობაშია მათთან.

პარსონთან პოლიტიკა კოლექტიური ბუნებისაა და ცნობიერი და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. იგი მოიცავს პოლიტიკის მიზანთა განსაზღვრას, გადაწყვეტილებათ მიღებას, მიზნების რეალიზაციისათვის მასების ორგანიზებასა და რესურსთა მობილიზაციას, პოლიტიკური საქმიანობის რეგულირებას და მის განხორციელებაზე კონტროლს, ახალი მიზნების განსაზღვრას. პოლიტიკის ასეთი გაგებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა არ არის. პოლიტიკური ასპექტები არსებობენ კომპანიების, უნივერსიტეტებისა და ეკლესიების საქმიანობაშიც.

სოციოლოგ ა. პანარინთან პოლიტიკა რისკის გარეშე წარმოუდგენელია. ”არსად ისე ხარისხით არ ბობოქრობს

ვნებები, არ ეჯახება ხასიათები, არ ვლინდება რისკზე წასვლა, როგორც პოლიტიკაში“.

საბოლოო შეიძლება დავასკვნათ ჩამოთვლილ მკვლევარებზე დაყრდნობით, რომ პოლიტიკა ეს არის ინდივიდოთთა და სოციალური ჯგუფების არა გარანტირებადი საქმიანობა, რომლითაც ისინი გამოთქვამებ თვითონ კოლექტიურ ინტერესებსა და მიზნებსა, იმუშავებენ მთელი საზოგადოებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ძალაუფლებრივი მექანიზმების მეშვეობით ახორციელებენ და ატარებენ რეალურ ცხოვრებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. მაკიაველი. მთავარი. თბილისი 1984წ.
2. მ.ვებერი. ქარიზმატული ბატონობა. თბილისი. 1995წ.
3. ჟან ბერლერი. დემოკრატია 1998 წ.
4. დ. ხენდი. Интересы , знание и действие. Новосибирск: 1995
5. Шмитт К. Понятие политического.//Вопросы социологии. №1. 1992
6. Парсонс Т. О понятии «Политическая власть». М.: 1997
7. Панарин А. Философия политики. М.: 1996

### Summary

#### **Salome Kveselava**

#### **Policy as a social event**

In the article policy is considered to be the definition of the meaning of social events.

Policy is the unit of activities of a single person and the unit of social groups and parties as well. The aims of the members and social groups should be defined in the party.

The goals and ways of the party development should be clearly seen and determined.

### Резюме

#### **Саломе Квеселава**

#### **Политика как социальное явление**

В статье рассматривается вопрос политики как феномена социального назначения.

Политика – деятельность отдельных личностей, а также социальных групп и партий, у которых должны быть совершенно ясные интересы и цели, и пути их решения.

## გიორგი კიკნაძე

**საჯარო სამსახურის სამართლებრივი რეგულირება  
რაციონალური ბიუროკრატიის ქვეყნებში**

მაქს ვებერის ბიუროკრატიული მმართველობის ანალიზი დიდ როლს თამაშობს ბიუროკრატიის შესახებ თანამედროვე კონცეფციების შემცვევებაში. მისი სოციოლოგიური მიღებობის მეთოდიკა ხელს უწყობს ახალი მიღებობების ფორმირებას რომელიც ხელს შეუწყობს რაციონალური მოდელის ქვეყნებს ჩამოყალიბონ თავისი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად იქნება თანამედროვე მოთხოვნებისადმი შეთავსებადი. რაციონალური ტიპის ბიუროკრატიისატენის დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობა მოიცავს ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების ფორმირების ტრადიციებს, რომელიც ცვლილებებისადმი ფარდობით დამოკიდებულებაშია. ამ ტიპის ფანომენის განხილვისას გამოიყენება ეწ. შედარების მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებას გააჩნია თავისი მახასიათებლები, ესენია:

ა) შედარებული უნდა იქნას მსგავსი განვითარების ქვეყნები

ბ) მოცემული ქვეყნები უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი გეოგრაფიული არეალიდან

გ) ტრადიციების ფორმირების ციკლებს მნიშვნელობა არ ენიჭებათ თუ ისინი ძალიან დიდად არ განსხვავდებიან

დ) ხდება ყველა ნიშნის შეფარდება, თუნდაც ის უმნიშვნელო ჩანდეს

ე) მხედველობაში მიიღება დემოკრატიის განვითარების კურსი და პეირობიზაცია

ვ) მოცემულ შემთხვევაში ბიუროკრატია განიხილება როგორც სახელმწიფო ძალაუფლების მქონე სოციალური ჯგუფი, მთელი თავისი მახასიათებლებით

ზ) გამოიყენება ბიუროკრატიის მოკლე ისტორიული ექსკურსი

თ) უნდა აღიწეროს სახელმწიფოს სტრუქტურების საქმიანობისა და თანახმობის ანუ შეთანხმების მოდელი

ი) სამომავლო კონცეპციები ამ ტიპის ბიურაკატიის განვითარებისათვის

კ) სამართლებრივი მოდელების დახვეწია და პერსონალის სამუშაო პირობებისათვის შეთანხმება

ლ) პოლიტიკური ლიდერობის პრობლემის დადგენა და ერთიან საკითხად ფორმირება

მ) პოლიტიკური და ადმინისტრაციული თანამდებობების დაყოფა და მათ შორის პასუხისმგებლობის გადანაწილება

ნ) ძალაუფლების კონტროლის მექანიზმების შედარება.

მოცემული ჩამონათვალი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რაციონალური ბიუროკრატიის ძიითადი მახასიათებლების შესახებ და გვიადვილებს მის შესწავლას. ოუმცა აღნიშნული მახასიათებლების განხილვა შორს წაგიყვანს და ამისათვის არც სამეცნიერო სტატია იქნება საქმარისი, ამიტომ აჯობებს გამოვიყენოთ მსგავსი ტიპის მეთოდიკა, რომელის სამართლებრივი რეგულირების მეთოდიკითაა ცნობილი. სახელმწიფო ბიუროკრატიის გებერის თეორიააზე დამყარებული კალეგის თვალსაჩინო მაგალითია ინგლისელი სოციოლოგის ჯ. პეიჯის შრომა, რომელშიც გაანალიზებულია დასავლეურო დემოკრატიის ოთხი სახელმწიფოს – საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა ამერიკის სეერტებული შტატების სახელმწიფო სამსახურები.

ჯ. პეიჯი არკვევს თუ რამდენად შეესაბამება მაქს ვებერის მიერ აღწერილი რაციონალური ბიუროკრატიის სოციოლოგიური არქეტიპი ამ ოთხ ქვეყნაში არსებულს. მის ნაშრომში ძირითადი ურადღება დაეთმო შემდეგ ცნებებს:

ა) პარლამენტის და ლობისტური ჯგუფების როლს ძალაუფლების კონტროლის მექანიზმებში

ბ) სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის მოქმედების მექანიზმები

დ) დემოკრატიის პრინციპების დაცვა ბიუროკრატიულ სისტემაში და მის გარეთ

ე) პოლიტიკური კონტროლის მექანიზმების ფორმირებას

ვ) ეკონომიკის განვითარების სტრატეგიები

ზ) ბიუროკრატიული სამსახურის განვითარების

ტენდენციები

ო) მმართველობის ფინანსური ტიპების ჩამოყალიბება

ი) აღმასრულებელ-დარწმუნებითი მეთოდიკის გამოყენება ბიუროკრატიის მიერ

კ) საზოგადოებაზე ორიენტირის გადატანის ხარისხი

როგორც ვხედავთ ჯ. პეიჯი საგმაოდ ღრმად შეეხო აღნიშნული საკითხების განხილვას და მისი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ საუკეთესოდ.

ამასთან, თანამედროვე მკვლევარების აზრით (ბ. ბრუდერი, ფ. რიგსი, დ. ბიტემი), მხოლოდ საპარლამენტო მექანიზმები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, არ შეიძლება იყოს ბიუროკრატიის კონტროლის საკმარისი პირობა. ე.წ. "შესამე ქვეყნებში" (ძირითადად ლათინურ ამერიკაში) სახელმწიფო ბიუროკრატიის სისტემის საინტერესო ანალიზი მოცემული აქვს ფ. რიგს თავის შრომაში "საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის შედარებითი შეფასება". როგორც ავტორი ამტკიცებს: ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში "ბიუროკრატიის ძალაუფლება იმდენად ყოვლისმომცველია, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკები (განსაკუთრებით სამხედრო ჩინოვნიკები) პოლიტიკური არენის მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებიან. ეს ჩინოვნიკები თავიანთი პრივილეგიების დაცვისას ამჟღავნებენ განსაკუთრებულ სიჯიტებს, რის გამოც მთავრობისა და პარლამენტის ნებისმიერი ცდა, ოდნავ მაინც შეიზღუდოს ბიუროკრატიის ინტერესები, მძაფრ წინააღმდეგობას აწყდება. ამიტომ დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები იძულებული არიან ბიუროკრატიასთანურთიერობისას ეფექტურ კომპრომისები, რათა თავიდან აიცილონ მასობრივი საბორგი, ზოგჯერ თვით სახელმწიფოს გადატრიალების საფრთხეც." განვითარებადი ქვეყნების ბიუროკრატიის ანალიზის დროს უფრო მკაცრ დასხენას გვთავაზობს დ. ბიტემიც, რომელიც ეჭვის ქვეშ აექცებს ასეთ ქვეყნებში რაციონალური ბიუროკრატიის (კებერისეული გაგებით) არსებობას. ავტორი აღნიშნავს: "სხვადასხვა მიზეზის გამო დიქტატორული რეჟიმები და განვითარებადი ქვეყნები სამოქალაქო სამსახურის მეტად სუსტად განვითარებული ეთოსითა და საზოგადოებრტივი კონტროლის განუვითარებელი პროცედურებით გამოირჩევიან. ასეთ ქვეყნებში მმართველობით სტრუქტურებს ხშირადაც სდებენ ბრალს ბიუროკრატიულ განუვითხობაში. საერთოდ, საეჭვოა, შეესაბამება თუ არა ვებერისეული რაციონალური ბიუროკრატიის კრიტერიუმებს ამ ქვეყნის "ბიუროკრატია", რადგან მათი მმართველობითი სტრუქტურებისთვის რაციონალური ბიუროკრატიის კრიტერიუმებიდან გადახრა არა შემთხვევითი, არამედ კანონზომიერი მოვლენაა".

რაციონალური ბიუროკრატია ყველაზე აღრე წარმოიშვა და განვითარდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. ეს პროცესი ყველაზე

ადრე დაიწყო კონტინეტურ ევროპაში, უპირველესად კი, საფრანგეთსა და გერმანიაში, უფრო მოგვიანებით – ინგლისშა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ინდუსტრიული კაპიტალიზმის ეპოქის მოთხოვნებმა დასავლეთის სახელმწიფოებში, ხოლო შემდეგ სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებშიც წარმოიშვა საჯარო სამსახურის, როგორც პროფესიონალი ჩინონგიქების ინსტიტუტის შექმნისა და სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა.

საჯარო სამსახურის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების უნიკალურ გზას, პოლიტიკური წყობისა და სამართლებრივი სისტემის სხვადასხვაგვარ ფორმას ასახავს. მიუხედავად ამ ფორმების მრავალგვარობისა, შესაძლებელია გამოიყოს ის საერთო ტენდენციები, რაც ყველა იმ ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, სადაც რაციონალური ბიუროკრატია ისტორიულად უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდა, ან ყალიბდება. კერძოდ:

1. რაციონალური ბიუროკრატიის ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საჯარო სამსახურის მეტ-ნაკლებად მკაცრი რეგლამენტაცია კონსტიტუციური ნორმებით ადა ეროვნული კანონმდებლობით. ეს არც არის გასაკვირი, რაღაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაციონალური ბიუროკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი კრიტერიუმი სწორედ კანონისმიერი, სამართლებრივი რეგლამენტაციის არსებობა.

1787 წლის ამერიკის შეერთებულ შტატების კონსტიტუციაში სახელმწიფო სამსახურის მიმართებით საუბარია ზოგადად პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე – "დაიკავოს ყველა გაკანსია, რომელიც შეიქმნება სენატის სესიებს შორის პერიოდში". გერმანიის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის აგების ზოგადი პრინციპები, 1997 წლის პოლონეთის კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურის უმთავრეს მიზნებსაც.

სახელმწიფო სამსახურის შესახევ კანონმდებლობის განახლების საერთო ტენდენციასთან ერთად ნიშანდობლივია ზოგიერთი ფუძემდებლური სამართლებრივი ნორმისა თუ აქტის განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა. მაგალითად, სამოქალაქო სამსახურის შესახებ 1883 წლის აშშ-ის კანონის ბევრი ნორმა დღესაც მოქმედია და ინკორპორირებულია აშშ-ის კანონთა კრებულის მე-5 ტიტულში. ანალოგიურია 1908 წელს მიღებული სამოქალაქო სამსახურის შესახებ კანადის კანონის

ბედიც. კერძოდ ამ კანონში 1967 წელს შეტანილი ცვლილებები არ შექმნა სახელმწიფო აპარატის ფორმირების უცვლელ პრინციპებს.

ზოგიერთ ქვეყანაში საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები აღმინისტრაციული რეფორმების ლოზუნებით განხორციელდა. ასეთია, მაგალითად, 70-იან წლებში ინგლისში განხორციელებული რეფორმა. 1978 წლის 13 ოქტომბრის აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი სახელმწიფო სამსახურის რეფორმის შესახებ. კანონი მიზნად ისახავს სახელმწიფო აპარატის დაკომპლექტების გაუმჯობესებას და სათავეს უდებს სერიოზულ ანალიზურ სამუშაოს, რომელმაც ამ სფეროში კანონმდებლობის ოპტიმალური მოდელის შემუშავება უნდა უზრუნველყოს. 80—იანი წლების დასაწყისში საფრანგეთის მთავრობამ მიიღო სახელმწიფო სამსახურის რეფორმირების გადაწყვეტილება, რისი შედეგიც გახდა შემდგომში უამრავი კანონისა და დეკრეტის მიღება.

განვითარებული სახელმწიფოების უმრავლესობისთვის დამახასიათებელია სააჯარო სამსახურის შესახებ საკანონმდებლო აქტების დიდი რაოდენობა. რიგ კვეყნებში საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის ფორმირების საფუძვლად კომპლექსური კანონები გვევლინება. მაგალითად, საფრანგეთში ბაზისად ითვლება ორი საკანონმდებლო აქტი – 1983 წლის 13 ივნისის კანონი "მოხელეთა უფლება-მოვალეობათა შესახებ" და 1984 წლის 11 იანვრის კანონი " სახელმწიფო საჯარო სამსახურის სტატუსის შესახებ". დიდი ბრიტანეთისათვის, სხვა ქვეყნებიდან განსხვავებით, დამახასიათებელია სახელმწიფო სამსახურის ძირითადად არა კანონებით, არამედ მთავრობის ინიციატივით მიღებული სამართლებრივი აქტებით რეგულირება. ფედერაციულ სახელმწიფოებში აღსანიშნავია საჯარო სამსახურის კანონმდებლობაში ორი ბლოკის – ფედერაციისა და ფედერაციების სუბიექტების საკანონმდებლო აქტების არსებობა, თუმცა ერთგვაროვანი დამოკიდებულება არც უნიტარული სახელმწიფოებისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, იტალიაში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის ზოგადი საფუძვლები განისაზღვრება 1983 წლის 29 მარტის ჩარჩო კანონით, ამასთანავე იტალიის კონსტიტუციის 117-ე მუხლის თანახმად, ოლქების წარმომადგენლობით ორგანოებს აქვთ ისეთი საკანონმდებლო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების უფლება, რომლითაც რეგულირდება ოლქისადმი დაქვემდებარებულ ცალქეულ უწყებათა და აღმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონით და განვითარების სრულყოფა რაციონალური ბიურო კრატიის ქვეყნებში მიმართ ულია მმართველობითი სტრუქტურების რაციონალური მიმართ ულია მმართველობითი სტრუქტურების ქვეყნებში.

უპირველეს ყოვლისა, ამ სფეროში კანონმდებლობის სრულყოფის დამახასიათებელი ტენდენციაა საჯარო თანამდებობის დაკავების პროცედურის გამარტივება და ფორმალური დამოკიდებულების უარყოფა – ისეთი რაციონალური პრაქტიკის დამკიდრება, სადაც კანდიდატისათვის წაყენებულ მოთხოვნებში ძირითადი მისი პროფესიული კვალიფიკაცია სდება. რაციონალური ბიუროკრატიის პირობებში სწორედ პროფესიონალურია საჯარო სამსახურში შესვლისა და მაღალი თანამდებობის დაკავების უმთავრესი პირობა.

საკარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის მეორე ძირითადი ტენდენცია უკავშირდება ბიუროკრატიის საქმიანობის კონტროლს.

აღსანიშნავია, აგრეთვე კანონმდებლობის სრულყოფა საჯარო მომსახურეთა კანონიერი ინტერესების (სხვადასხვა რანგის მოელეთა თანასწორობა კანონის წინაშე, სამსახურებრივი კარიერა, სოციალური გარანტიები) დაცვის ეფექტიანი მექანიზმების დახვეწის მიმართულებით.

საჯარო სამსახურის სტრუქტურული გარდაქმნა ზოგიერთ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი) მიზნად ისახავს ძირითადად რაციონალური გამარტივების მეშვეობით ისტორიულად ჩამოყალიბებული რთული, მრავალდონიანი და არაუნიფიცირებული სისტემის პრობლემათა დამდევას, ხოლო ზოგ ქვეყანაში (აშშ) – საჯარო მოსამსახურეთა კლასიფიკაციის მოწესრიგებას და სხვა.

ბევრ ქვეყანაში საჯარო მოსამსახურეთა უფრო მკაფიო კლასიფიკაციით წესრიგდება კარიერის სისტემა. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობაში შემოიღო "სამსახურეობრივი კარიერის" ცნება, რომელიც სრულად მოიცავს თანამდებობათა იერარქიას ერთი პროფესიული მიმართულების ფარგლებში. ამის შედეგად, საჯარო სამსახურის იერარქიაში მაღალი თანამდებობის დაკავება თანაბრად ხელმისაწვდომია ეველა მოხელეთათვის, რომელიც სამსახურეობრივი კარიერის გავლისას დააქმაყოფილებს პროფესიული კვალიფიკაციის ზრდის კრიტერიულებს.

2. რაციონალური ბიუროკრატიის ქვეყნების კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი სამსახურის მიღებისა და სამსახურის

გავდის მკაფიო სამართლებრივი  
რეგლამენტის.

განონძლებლობათა ეს ბლოკი მოიცავს ორგვარი სახეობის ნორმებს, კერძოდ:

ა) ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნებს საჯარო თანამდებობის დასაქავებლად;

ბ) ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ თანამდებობის დაკავების პროცედურას.

რაციონალური ბიუროკრატიის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია საჯარო სამსახურის ორი ძირითადი მოდელი. ეს მოდელებია:

ა) საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც მოქმედებს გერმანიაში, ავსტრიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. კარიერული მოდელის დამახასიათებელი ნიშნებია:

➤ საჯარო სამსახურში კონკურსის საფუძველზე მიღება მხოლოდ საწყის, ყველაზე დაბალი რანგის თანამდებობაზე;

➤ სამსახურებრივი კარიერის, ანუ ერთი პროფესიული მიმართულების საჯარო თანამდებობათა კანონმდებლობით მოწესრიგებული იერარქიის თანმიმდევრული, ეტაპობრივი გავლა;

➤ სამსახურებრივი დაწინაურების მკაფიოდ რეგლამენტირებული წესი და პროცედურები;

➤ პროფესიონალიზმის მაღალი დონე;

➤ თანამდებობაზე (გარდა პოლიტიკური თანამდებობისა) მუდმივი დანიშვნა;

➤ მოსამსახურეთა მიზანმიმართული სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების პროცესში და სამუშაო ადგილზე;

➤ კონსერვატიზმი და მკაცრი ბიუროკრატიული იერარქია;

ბ) საჯარო სამსახურის პოზიციური მოდელი, რომელიც მოქმედებს დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადასა და სხვა ქვეყნებში. პოზიციური მოდელის დამახასიათებელი ნიშნებია:

➤ სამსახურში მიღებისას და დაწინაურებისას ნებისმიერ თანამდებობაზე (გარდა პოლიტიკური თანამდებობისა) საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის წესით შერჩევა;

- სამსახურში მიღების კონტრაქტული ფორმა (კერძო საქტორის ანალოგიურად);
- საჯარო სამსახურში არსებული მომსახურების მაღალი დონე;
- მნიშვნელოვანი მობილურობა, ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების უნარი;
- მომსახურეთა კარიერის გარკვეული არასტაბილურობა;
- დიდი ყურადღების დათმობა ადამიანური რესურსების მართვის შესწავლისათვის.

ამ ორი ძირითადი მოდელის აშკარა განსხვავების მიუხედავად მათოვის დამახასიათებელია საერთო ნიშნებიც, ქვემოთ:

- საჯარო მოსამსახურეთა დაყოფა პოლიტიკური თანამდებობის პირებად და პროფესიონალური (კარიერულ) მოხელეებად. პოლიტიკური თანამდებობის პირის შერჩევასა და პოლიტიკური კარიერის გაფლას განაპირობებს დემოკრატიულად ორგანიზებული პოლიტიკური პროცედურა, მაშინ, როცა პროფესიონალი მოხელის კარიერა დაცულია პოლიტიკური პროცესების უშუალო ზეგავლენისაგან, რაც საკადრო, რაციონალური ბიუროკრატიისა და, მაშასადამე, ქვეყნის მართვა-გამგებლობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა;
- საჯარო სამსახურში მიღებისას პროფესიონალ მოსამსახურეთა კონკურსის საფუძველზე შერჩევა, რაც რაციონალური ბიუროკრატიის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველის – სპეციალურად განსწავლული, პროფესიული მმართველობითი აპარატის ფორმირების აუცილებელი პირობაა.

როგორც ვხედავთ არსებული სისტემების განხილვისას უმთავრესია სამართლებრივი მიღვომა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და მათი რაციონალური გადაწყვეტა. საჯარო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფოს ორგანიზაციული კომპეტენციის გამოხატულებას და სწორედ ამიტომაც საჭიროა აღნიშნული საკითხისადმი სახელმწიფოებრივი ინტერესით მიღვომა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზარდიაშვილი დ., სვანიშვილი ა., ჩიტალაძე ი. საჯარო სამსახური. 2004წ.
2. Lawson R., Berkeley L. Civil Service and the Legal Problems. 1998
3. Robertson N. State Legality. 2002
4. Legal Materials, Oxford University. 2004

**Summary****Georgi Kiknadze****Civil service legal regulation in the countries of rational bureaucracy**


The article describes legal regulations of civil services in the countries of rational bureaucracy. The theme is associated with the field of state regulation, closely linked to the state sovereignty and its proper functioning. It also deals with some ways of the legal regulation in the USA as well as with an example of France and two legal acts in which core principles of the civil service are maintained. The main acting plans and strategies of civil service define the legal regulations of state power bodies.

**Резюме****Георгий Кикнадзе****Правовое регулирование в странах рациональной бюрократии**

Настоящая статья является описанием правового регулирования в странах рациональной бюрократии. Тема касается сферы государственного регулирования, которое тесно связано с государственным суверенитетом и его нормальным функционированием. Тема также касается США и путей их правовых регулирований, говорится о Франции и двух легальных актах, в которых изложены основные принципы государственной службы. Государственные методы осуществления стратегии этой службы касаются правовых регламентаций государственных органов.

## ზურაბ ოდიშარია

### სამხედრო უსართხოების საკითხებისათვის



მსოფლიოში მიმდინარე კარდინალურმა ცვლილებებმა გეოპოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სულიერ და ზენებრივ სფეროებში, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები კიდევ უფრო გაამძაფრა. საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლამ, „ცივი ომის” დამთავრებამ, ეკონომიკური პრობლემების წინ წამოწევამ და სამხედრო ძალის გამოყენების მეორე პლანზე გადასვლამ მსოფლიო სტაბილურობას ვერ მიუახლოვა. იგი ვერ გახდა უფრო უსაფრთხო. სამხედრო პოტენციალი დღესაც მსოფლიო პოლიტიკის ქმედით ფაქტორად განიხილება. პოტენციურ სამხედრო საფრთხეება და რეალურ სამხედრო მუქარებს საქართველოსთვის სხვადასხვაგვარი ფორმები აქვს.

სიტუაცია დამიმებულია სოციალურ-ეკონომიკური სირთულეებით, რაც ართულებს სამხედრო უსაფრთხოების გამოწვევებზე სათანადო რეაქციების თეორიულ დამუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას. ქვეყანამ ვერ შესძლო თავიდან აეცილებინა სამოქალაქო ომი, სამხედრო კონფლიქტები, სეპარატიზმი.

ჩრდილოატლანტიკური ბლოკის აღმოსავლეთით გაფართოვებამ და მასში საქართველოს გაწევრიანების სწრაფვამ გამოიწვია რუსეთის გააფორმება, რისი მოწმენიც კიდევ ერთხელ გავხდით ნატოს ბუქარესტის სამიტის წინა დღეებში.

სამხედრო უსაფრთხოების სფეროში შექმნილი სიტუაციების განსაკუთრებულობები, მის განვითარებაში ზოგიერთი გაურკეველობები, აიმულებს მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, სამხედროებს ყურადღება გაამახვილონ ეროვნული ინტერესების პრობლემის სამხედრო საშუალებებით დაცვაზე. აღნიშნული პრობლემა ერთ-ერთი პრიორიტეტულია სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში. რა გზით წყდება

იგი? როგორია სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მქანიზმი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებსა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაში?

იმისათვის, რომ პასუხი გავცეო აღნიშნულ კითხვებს, აუცილებელია განვიხილოთ სამხედრო უსაფრთხოების არსი და მის უზრუნველყოფაში პოლიტიკური და საბუთორივ სამხედრო თანაფარდობა.

სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს უნიშვნელოვანები მიმართულებაა. სამხედრო უსაფრთხოების მთავარი მიზნებია – სამხედრო საფრთხეების აღკვეთა, ლოკალიზაცია და ნეიტრალიზაცია. საქართველო თავის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას განიხილავს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელების, საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის, რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების კონტექსტში.

ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების წარმატებული კავშირის, მისი შეიარაღებული გზით დაცვის ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტის პირობას წარმოადგენს არსებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების ანალიზი, სამხედრო საფრთხეებისა და ეროვნული ინტერესებისადმი მუქარების წყაროების გამოვლენა. როგორც სამხედრო საფრთხე, ისე სამხედრო მუქარა წარმოადგენენ ერთგვარ რეალურად არსებულ ან მომავალში პროგნოზირებად სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, სახელმწიფოთა კოალიციებს, ცალკეულ ქვეყნებს და მათ შიგნით სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობების მახასიათებლებს.

სამხედრო საფრთხე – ეს არის სხვა ქვეყნის ან ქვეყნების, ანდა შიდადესტრუქციული ძალების უნარი აწარმოოს საომარი მოქმედება, ანუ მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების რომელიმე სუბიექტის მიერ პოლიტიკური და სხვა მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების პოტენციური შესაძლებლობების არსებობით. საფრთხე შეიძლება გადაიზარდოს სამხედრო მუქარაში ანუ ვითარებაში, როდესაც სამხედრო ძალის გამოყენების ალბათობა ძალიან იზრდება. სამხედრო მუქარა იმაში მდგომარეობს, რომ ის მიუთითებს არა პოტენციურ შესაძლებლობაზე, არამედ ერთ-ერთი მხარის მიერ გამოკვეთილ განზრახვაზე გამოიყენოს სამხედრო ძალა. სამხედრო მუქარა წარმოადგენს

დაძაბულობის გაცილებით მაღალ ხარისხს, რომელიც ხასიათდება მხარეთა დია დაპირისპირებით, მათი გამძრახვით არსებული ურთიერთდაპირისპირება გადაწყვიტონ სამხედრო ძალის გამოყენებით.

არ არის აუცილებელი სამხედრო საფრთხე დაკავშირებული იყოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ სამხედრო სამხადისის დაწყებასთან. მისი სათავეები, როგორც წესი ზედაპირულად უხილავია. ეს შესაძლებელია იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა მოვლენები და პროცესები, ესენია:

- ადამიანების, სოციალური ჯგუფების, სახელმწიფოების ან სახელმწიფოების კოაღლიციების პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის წერტილები;

- ატომური თუ ჩვეულებრივი შეიარაღების წარმოება და დაგროვება;

- მრავალროცხოვანი არმიების ყოლა და გაშლა;

- სამხედრო საშუალებისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობის თუ წინასწარ განსაზღვრული გამოყენების შედეგად ეკოლოგიური კატასტროფების მუქარა.

სამხედრო საფრთხე გულისხმობს წარმოქმნილი წინააღმდეგობების გადაჭრის მიზნით სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას, რითაც იგი განსხვავდება სახელმწიფოდან მომდინარე სხვა საფრთხეებისაგან. მისი მთავარი ნიშანია წარმოქმნილი წინააღმდეგობების სამხედრო ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტა.

ქვეყნისთვის სამხედრო საფრთხის დამახასიათებილი ნიშნებად შეიძლება ჩაითვალის:

- მძაფრი წინააღმდეგობების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებითაა შესაძლებელი;

- ერთ-ერთი მხარის მიერ თავის სასარგებლოთ დაპირისპირებათა გადაწყვეტისათვის საკმარისი სამხედრო ძალის ყოლა ან სახელმწიფოს უნარი შექმნას ასეთი ძალები პერსპექტივაში;

- ქვეყნის ლიდერებისა და მთავრობისათვის პოლიტიკური ნებისა და გამბედაობის ქონა წავიდეს ძალის გამოყენებაზე, უნარი გამოიყენონ შეიარაღებული ძალები კონფლიკტის გადასაწყვეტად;

- სხვა სახელმწიფოთა, მათ კოაღლიციებსა თუ სამხედრო პოლიტიკურ ურთიერთობათა სხვა სუბიექტებს შორის სანდო მოკავშირების არსებობა;

• სამხედრო ოქციების განხორციელებისათვის ხელსაყრელი გოპოლიტიკური პირობები და რეალური, ან პროგნოზირებადი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და ა.შ.

სამხედრო უსაფრთხოება (ისევე როგორც სახელმწიფო უსაფრთხოება) არის სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების, საზოგადოების, პიროვნების დაცულობის ხარისხი. იგი სამი პარამეტრით განისაზღვრება:

- I. სამხედრო უსაფრთხოების უსიტყველესი (სახელმწიფო);
- II. სამხედრო უსაფრთხოების ობიექტი (სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, კონსტიტუციური წყობა, სულიერი და მატერიალური წყაროები, ინდივიდი);
- III. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტები:
  - შეიარაღებული ძალები;
  - დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანოები;
  - ქვეყანაში არსებული სხვა სამხედრო ძალები;
  - სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები;
  - საგარეო პოლიტიკური სტრუქტურები;

დაპირისპირებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში საქართველოს გაწევრიანებისაკენ სწრაფგა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისა და მისი მოკავშირების ძალისხმევას ამ ქვენის კონსტიტუციური წყობილებისათვის და საერთაშორისო პოზიციებისათვის ზიანის მიერნების მიმართულებით და ამ გზაზე მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა განახორციელონ მტრული საქმიანობა ქვენის სამხედრო ძალებისა და საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური კავშირების წინააღმდეგ. ისინი სეპარატისტული რეჟიმების სპეცსამსახურების დახმარებით გულდასმით სწავლობენ საქართველოს სამხედრო და სამხედრო-სამეცნიერო პოტენციალს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი აღილი ეთმობა ინფორმაციული უზრუნველყოფის ისეთ ორგანიზაციულ მიმართულებას, როგორიცაა სამხედრო დაზვერვა. ამ უკანასკნელის სადაზვერვო შესწავლის ობიექტია სამხედრო დაზვერვის ობიექტები, კერძოდ:

- საერთო ობიექტები – ქვენის სამხედრო პოტენციალი, საგარეო სამხედრო-პოლიტიკური ურთირთობები და სამხედრო-სტრატეგიული პოზიცია, უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის სამხედრო-სტრატეგიული გეგმები;
- სპეციალური ობიექტები – ქვენის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა, საბრძოლო-სამობილიზაციო გეგმები, შეიარაღება, საბრძოლო

ტექნიკა და მისი განვითარების პერსპექტივები, სამსედრო შესყიდვები, სამსედრო გადაზიდვები, სამსედრო მშენებლობის გეგმები, სამსედრო მეცნიერება, სამსედრო ხელოვნება, შეიარაღებული ძალების ცალკეული დანაყოფების და ობიექტების დისლოკაციის ადვილები, სამსედრო სფეროში სხვა ქვეყნებთან, სამსედრო ბლოკებთან თანამშრომლობის დონე, პერსპექტივები, ინტეგრაციის პროგრამები;

- სადაზვერვო შეღწევის ობიექტები – თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამმართველოები, გენერალური (გაერთიანებული) შტაბი, სამსედრო ძალების ჯარების სახეობათა, დაჯგუფებათა, შენაერთთა, ნაწილების შტაბები, სამსედრო ნაწილები, საწარმოები, რომლებიც სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობას ეწვიან შეიარაღებისა და სამსედრო ტექნიკის დარგში, საგამოცდო პოლიგონები.

ახორციელებენ რა სამსედრო დაზვერვას, სამსედრო სამინისტროებისა და უწყების საგარეო დაზვერვის ორგანოები, თანამშენებლები, სამსედროს გარდა, დაინტერესებული არიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საგანმანათლებო, იდეოლოგიური სფეროებით.

აღნიშნული ორგანოების ხელმძღვანელობას ახორციელებენ სამსედრო მინისტრები, გენერალური და გაერთიანებული შტაბების უფროსების, ან დაზვერვის ხაზით მათი სპეციალური მოადგილების (თანაშემწევების) მეშვეობით.

სამსედრო უწყებათა საგარეო დაზვერვის სისტემა შედგება სამი ჯგუფისაგან:

- პირველ ჯგუფს განეკუთნებიან სამსედრო სამინისტროთა ან შეიარაღებული ძალების შტაბების სადაზვერვო სამმართველოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ შესაბამის სადაზვერვო ორგანოებს, შეიარაღებული ძალებისა და ჯარების სახეობათა შტაბებში. მათ ასევე გააჩნიათ ფართო პერიფერიული აპარატი, რომელშიც შედიან, როგორც თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ დისლოცირებული სამსედრო ოლქების. სამსედრო შენაერთებისა და ნაწილების სადაზვერვო ქვედანაყოფები. მათი უპირველესი ამოცანაა მძლავრი აგენტურული ქსელის შექმნა, ისეთი უმნიშვნელოვანების ინფორმაციული ამოცანების გადასაწყვეტილი, როგორებიცაა ომისათვის მზადების ოპერატორი და სამსედრო გადაწყვეტილებების, პრეზიდენტის, მთავრობის, წარმყანი პარტიის, თავდაცვისა და უშიშროების ორგანოების გეგმებისა და ლონისძიებების, საომარი მოქმედებების დაწყების

შემთხვევაში სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და მოსახლეობის მორალური მზადყოფნის, კრიზისულ სიტუაციებში პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მოქმედებების გეგმის შესახებ ინფორმაციების შეგროვება.

სამხედრო-სადაზვერვო აპარატის ხელმძღვანელ სამმართველოთა სტრუქტურებში ასახვას პოულობენ მათზე დაკისრებული რთული და მრავალმხრივი ფუნქციები, როგორიცაა: შეიარაღებული ძალების, ჯარების სახეობათა შტაბების სადაზვერვო სამმართველოების (განყოფილებების) საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა; საგარეო დაზვერვის სამხედრო ორგანოების სისტემის მიერ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის ცენტრალიზებული აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი;

სამხედრო დაზვერვის სამი მირითადი სახეობის (სახმელეთო, საპარო და საზღვაო ჯარების) საქმიანობის კოორდინაცია; სამხედრო დაზვერვისა და თავისი ქვეყნის არასამხედრო დაზვერვის სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია და ა.შ.

- მეორე ჯგუფს განეკუთნებიან სპეციალიზებული სამსახურები, რომლებიც სადაზვერვო ინფორმაციებს მოიპოვებენ ტექნიკური საშუალებების სპეციალური სისტემების დახმარებით. ამ ორგანოების ამოცანებია: რადიოგადაჭრა, შიფრებისა და კოდების გაშივვრა, სამხედრო, სამრეწველო და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების გამოვლენა, სამხედრო ძალების კავშირის საშუალებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.

- მესამე ჯგუფს წარმოადგენს შეიარაღებული ძალების სადაზვერვო-დივერსიული (საბორტაჟური) ფორმირებები, არალეგალური საბრძოლო ჯგუფები ან სპეციალური დანიშნულებების ჯარები, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია სამხედრო კონფლიკტების, კრიზისული სიტუაციების, საერთაშორისო ვთარების მკვეთრი გართულების დროს. მათი ამოცანებია: სადაზვერვო ინფორმაციების მოგროვება და მოწინააღმდეგას ზურგში საბორტაჟურ-ტერორისტული საქმიანობა (პირველ რიგში სამხედრო შტაბებში და საწყობებში შედწევა და კავშირგაბმულობის, განგაშის სისტემების, საწვავისა და საცხებ-საპორტი მასალების განადგურება, სატრანსპორტო საშუალებების, ასაფრენი ზოლების და ა.შ. მწყობრიდან გამოყვნა); აღგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით მეამბოხური მოძრაობის ორგანიზება; სადამსჯელო აქციების

ჩატარება და სხვა. აღნიშნულის განსახორციელებისას მოწინააღმდეგ უცდება ისარგებლოს სახელმწიფოს მოწყვლადობით – მოსახლეობის მრავალეროვნული სტრუქტურით და ძირგამომთხრელ საქმიანობაში ჩააბას როგორც მიგრანტები, ასევე ეროვნული უმცირესობები, საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით მცხოვრები ქართველები, მათ შორის კრიმინალური წარსულის მქონე მოქალაქეები, ხელისუფლებაში მყოფი პირების ნათესავები და მეგობრები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საომარი მოქმედებების, ან მათი მზადების დროს, თავიანთი შეიარაღებული ძალების სტრატეგიული და ტექნიკური ამოცანების უზრუნველყოფის, მოწინააღმდეგებული მოჩვენებითი უპირატესობის შექმნისა და მისი მორალურ-პოლიტიკური პოტენციალის შერყევის, საბრძოლო მოქმედებებისას წარმატების მიღწევის მიზნით საკუსამსახურების მიერ ფართოდ გამოიყენება სამხედრო დეზინფორმაცია.

სამხედრო უსაფრთხოების პრობლემების წინა პლანზე წამოწევა განპირობებულია იმით, რომ დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, რაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. როდესაც საუბარია პრობლემის საომარი გზით გადაჭრაზე გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები. კერძოდ, გააჩნია თუ არა ქვეყანას საამისოდ რესურსები, ნათლად აქვს თუ არა ჩამოყალიბებული სამხედრო ძალის გამოყენების პოლიტიკური მიზანი, არსებობს თუ არა ძალის გამოყენებისადმი საერთო ეროვნული მხარდაჭერა და ა.შ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მართალია საქართველოს წინააღმდეგ და სამხედრო აგრესის შესაძლებლობა მცირეა, მაგრამ საზღვრის შეიარაღებული გზით დარღვევისა და ქვეყნის სიღრმეში შემოჭრის ალბათობა კვლავაც არსებობს.

ზემოაღნიშნულისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით სახელმწიფომ უნდა განაგრძოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარება, რომ შეძლოს დამოუკიდებლად თავის დაცვა და ამავდროულად გადადგას თამამი ნაბიჯები კოლექტიურ თავდაცვაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ოქგიზ ენდელაძე. საგარეო დაზერვის სამსახურები. თბილისი, 2007
2. ოქგიზ ენდელაძე. მეზობელი ქვეყნების ძალოვანი სტუქტურები//”ხელისუფლება და საზოგადოება”, №4, თბილისი, 2007
3. ხოსტ ციხცაძე. ნატო და საქართველოს უსაფრთხოება. თბილისი, 2008
4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპცია. თბილისი, 2005

**Summary****Zurab Odisharia****For the issue of national military safety**

Issues of national safety are discussed in the article, as military potential remains a quite important factor.

Georgia has potential military dangers and different kinds of real threats.

In this work its clearly mentioned that providing military safety is one of the most important directions of national policy, and its main target is prevention of military localization and neutralization of national dangers.

Pointing to Georgian military safety by us is due to national theritory issues, which can be considered as main danger for national safety as well.

**Резюме****Зураб Одишария****К вопросу о военной безопасности**

В статье рассмотрены проблемы национальной безопасности Грузии. Военный потенциал и в наши дни остается одним из ведущих факторов в мировой политике. Для Грузии потенциальные военные опасности и реальные военные угрозы приобретают разные формы.

В статье подчеркивается, что обеспечение военной безопасности является важнейшим направлением государственной деятельности, и ее главная цель – пресечение военной опасности и ее нейтрализация.

Главное внимание уделяется проблемам военной безопасности Грузии. Это связано с проблемами территориальной целостности, что является главной угрозой для национальной безопасности страны.

# ხელისუფლება და საზოგადოება

## ნინო სურმანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოებრივი  
მართვა (საქართველოს საგარეო პოლიტიკა)

მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია ტრადიციულიდან თანამედროვე და ლიბერალურ საზოგადოებაზე. ამ მრავალმხრივი, ტრანსფორმაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ხელისუფლების პოლიტიკური ცვლილება ავტორიტარულიდან დემოკრატიულზე და კანონის უზენაესობა. მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოთა ნახევარზე მეტი სწორედ ამჟამად გადაიდის დემოკრატიის დაბადიდან საშუალო დონეზე და ყველა ამ ქვეყანაში იწყება კანონის უზენაესობის პრინციპის რეალური აღიარება. ამ ცვლილებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საქმაო დისკუსიები, დებატები გამართულა სამეცნიერო, ჟურნალისტურ და სახელისუფლო წრეებში, თუმცა ყველა ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა დემოკრატიის პრინციპებზე და სახელმწიფო დაწესებულებათა რეფორმის საჭიროებაზე, ხოლო იმ საზოგადოებაში უშიშროების სისტემის მართვის მოთხოვნებსა და კონსოლიდაციას, რომლებიც ესწრავიან დერმოკრატიისა და კანონის უზენაესობის უფრო მაღალ საფეხურს, ინსტიტუციურ მოწყობასა და კულტურას, რაც საჭიროა მის მსარდასაჭერად, ძალზე მცირე ყურადღება თუ ექცევდა.

მართვაში იგულისხმება როგორც ეფექტურობა ისე კონტროლი. მართვის მიზანია, განავითაროს ნაყოფიერებისა და ეფექტურობისთვის აუცილებელი გეგმები, წესები და ინსტრუქციები, შემდეგ კი უზრუნველყოს ორგანიზაციის, საწარმოსა თუ სელისუფლების ელემენტების მიერ დასახული მიზნების მიღწევა რაც შეიძლება სწრაფად, ნაკლები დანახარჯებით, უსაფრთხოდ და ა.შ. ამავე დროს, ხელმძღვანელს ევალება უზრუნველყოს ორგანიზაციის დანაყოფებზე კონტროლი. ასევე, ხელმძღვანელთა უშუალო მოვალეობაა, გადამოწმონ დანაყოფები ხომ არ მონაწილეობენ თავისუფალ მოქმედებებში ან ემსახურებიან სხვა ინტერესს, რაც იქნებოდა გადახრა ხელმძღვანელების მიერ დადგენილი წესებისა და პრინციპებიდან, მაშინაც კი, თუ ეს დამატებითი ფუნქციები არ აკნიხებს ამ წესებისა და პრინციპების ეფექტურობის ხარისხს.

ქართული საზოგადოებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და პრაქტიკაც 90-იან წლებამდე აქტუალური ეერ იქნებოდა. საქართველო არ იყო სუვერენული სახელმწიფო და აქტიური გამომდინარე ეს დარგი ვერ განვითარდებოდა... საერთაშორისო ურთიერთობები როგორც აკადემიური დისციპლინა, საონადოდ ვერც საბჭოთა კავშირში განვითარდა, ეხლა როცა საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, იგი თანხათანობით იკვლევს გზას საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები არსებობს და ვითარდება საერთაშორისო სისტემის, საერთაშორისო საზოგადოების ჩარჩოებში. ჩვენი საოგადოების ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემისამდი მკვეთრად გაიზარდა.

80-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობაში გაიზარდა ახალი მიღგომები და ხედვის ძიება, რაც რეალურია ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები მოითხოვს უფრო განახლებულ მიღგომას, რომელიც შესაბამისად მისაღები იქნება არსებული თანამედროვე პერიოდისათვის.

საქართველო მსოფლიოს ერთ ერთი უძველესი სახელმწიფოა. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მას ურთიერთობა პქონდა ისეთ კულტურებთან და სახელმწიფოებთან, როგორიცაა ასურეთი, ურარტე, საბერძნეთი, რომი, პართია, არაბთა სახალიფო, ბიზანტია, მონდოლეთი, ირანი, თურქეთი, რუსეთი და დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ისტორიულად იქმნებოდა კუთხეური დანაწევრებულობის პილიტიკური ინტეგრაციის პროცესში. შახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამყარებისთანავე საქართველომ გადაიტანა სამოქალაქო ომი. შაზოგადოებას არ აღმოჩნდა საკმარისი სულიერი და პილიტიკური ძალა, რათა თავიდან აეცილებინა ეს ომო, რომელიც პილიტიკურად გაღივებულ ეთნიკურ და კუთხეურ დაპირისპირებულობას დაეფუძნა.

სახელმწიფოებრიობა, როგორც ლირებულება, გულისხმობს პიროვნებისათვის საკუთარი ქვეყნის, ერთიან მთლიანობად აღქმას და ამ მთლიანობის დაცვის ვალდებულებას; იგი ასევე გულისხმობს მოსახლეობის ჯგუპის მიერ საკუთარი თავის მიკუთვნებას ქვეყნისადმი. სახელმწიფოებრიობის ლირებულების გათავისება ნიშნავს, რომ პიროვნება საკუთარ ბედს უკავშირებს ქვეყნის ბედს, ითავისებს ქვეყნის კულტურას, მის ისტორიას და მომავალს-ხდება ქვეყნის მოქალაქეებულებლივე ეს არის აუცილებელი პირობა ქვეყნის მოსახლეობის ერთიან ხალხად ჩამოსაყალიბებლად, რაც თავისთვავად ხელს შეუწყობს საკუთარი ადგილის მოპოვებას საერთაშორისო ასპარესსზე..

დღევანდელ ვითარებაში ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველყოფის გზა პირველ რიგში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქვეყნის ეკროატლანტიკურ და ეკროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტიების მოპოვებაა... ამ მიზნების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს დემოკრატიული პროცესების განვითარების ხელშეწყობა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკამ, განვითარების რთული გზა გაიარა. დღეს, ინტენსიური სახე აქვს ჩვენს ურთიერთობებს კავკასიაში, თუ ჩვენს დიდ რეგიონულ მეზობლებთან, დასავლეთთან თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. დღითი დღე უფრო აქტიური ხდება საქართველო გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. მიუხედავად ამისა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, თუ რამდენად ადგევატურადა ჩვენი ქვეყნის წინ მდგარი პრობლემები.

საგარეო პოლიტიკურ ამოცანებში ასახულია ის ძირეული მოსაზრებები, რომელსაც ჩვენი საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა თავის საქმიანობაში. ძველი წესრიგი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა და რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ბალანსს ეფუძნებოდა, აღარ ასახავს დღევანდელი მსოფლიოს რეალობებს. მაშინ, როდესაც ჯერ არაა ფორმირებული მსოფლიო უსაფრთხოების ახალი, მყარი მექანიზმები, მკვეთრად იზრდება ლოკალური კონფლიქტებისა და ომების აღბათობა, აღბათობა იმისა, რომ წვრილ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში მოხდებამრავალი ქვეყნის ჩათრევა, პროცესების სტიქიური, უკონტროლო განვითარება. ავდანეთი და იუგოსლავია ასეთი ტიპის კონფლიქტების მაფიოზის ნიმუშებია. საქართველოს მაგალითებისათვის შორს წასვლა არ სჭირდება. აფხაზეთის კონფლიქტიში მსგავს ვითარებასთან გვქონდა საქმე. აფხაზეთის კონფლიქტში მოხდა სხვადასხვა ძალების ჩართვა რუსეთიდან, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიიდან, თურქეთიდან. ჩვენი უშუალო მეზობლები, რომლებიც ცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნები, ვისგანაც საქართველო დღემდე გრძელს მნიშვნელოვან მსარდაჭერას, ამავე დროს ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაციის წყაროს წარმოადგენდნენ. შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც რთულია გაარჩიო მტკუანი და მართალი, მტერი და მოკვარე. ასეთ პირობებში საქართველოს პოზიცია საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც ძნელად გასაგები აღმოჩნდა.

იმ დროს საქართველო ახლოს იყო რუსეთთან კონფრონტაციის დაწყებასთან. მაგრამ ეს არსებული მოვლენებისადმი გამარტივებული მიღეობა იქნებოდა, რადგან რეალურად ჩვენთან

დაპირისპირებული იყო არა ერთი ძალა, არამედ ძალების კონკლექსი. მათი ურთიერთგამომრიცხავი ბუნება მაღება გამოამჟღავნა შედარებითმა მშვიდობამ, რომელიც საქართველომ თანამეგობრობაში შესვლით უზრუნველყო. დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ ის კონფლიქტი, რომელიც რუსეთსა და ჩეჩენეთს შორის მოხდა, (უფრო როგორ სახით) მოხდებოდა საქართველოში, - როცა სოხუმის დაცემის შემდე შეიარაღარებული ძალების უცნაური კონგლომერატი, თბილისისაკენ დაიძრა. მოვლენების ასეთი განვითარება საქართველს ამ ძალითა ბრძოლის ასპარეზად გადააცევდა. მათ ერთ ნაწილს მხარდაჭმერები ეყოდებოდა რუსეთში, ნაწილს ჩრდილოეთ კავკასიაში და ა. შ. ამის შემდეგ მოვლენები განვითარდებოდა მსოფლიოს სხვა წერტილებში კარგად ნაცონბი სცენარით დესტაბილიზაციას განიცდიდა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი ამიერკავკასია.

საქართველომ მშვიდობით შესძლო ის, რომ გუშინდელი მოკავშირების, რომელთაც ასაზრდოვებდათ არეული მდგომარეობა, ახლა ცუდად ესმით ერთმანეთის. დღეს აფხაზეთში ესტრეგიზმის შესანიშად აღარ მუშაობს ჩრდილოეთკავკასიური სოლიდარობის იდეა, შედეგად აფხაზური პოლიტიკური კავნი გამარტივდა. ოუ 1992-1994 წლებში საქართველოს არანაირი სივრცე არ გააჩნდა მანევრირებისათვის და მისი სვლები ცალსახად იყო ნაკარნახევი მიმდინარე მოვლენებით, დღეს მას არჩევანის საქმაო რესურსი გააჩნია, ეფექტური, მიზანმიმართული ხაზის გასატარებლად, როგორც აფხაზეთის პრობლემის, ისე მთლიანად ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ჩამოყალიბდა აფხაზეთის კონფლიქტისა და იმ კრიზისის ფონზე, რომელიც ქვეყანა დამოუკიდებლობის პირველი დღიდან აღმოჩნდა. აფხაზეთის, სხვა არსებული ოუ პოტენციური კავკასიური კონფლიქტები საფრთხეს უქმნის არა მარტო ცალკეულ კავკასიურ სახელმწიფოს, არამედ სტაბილურობას მთელს რეგიონში. ასეთი კონფლიქტების შედეგები ისეთი მცირე სახელმწიფოებისათვის, როგორიც საქართველოა, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. ამგვარად საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს არსებული რეგიონული კონფლიქტების შემდგომი სტაბილიზაციისა და სრული ლიკვიდაციისათვის საჭირო პირობების შექმნა, მყარი მექანიზმების ფორმირება იმისათვის, რომ მომავალში ასეთი კონფლიქტები აღარ წარმოიშვას და აღარ განვითარდეს. ამავე დაროს ჩვენ გავაგრძელებთ დაწყებულ ხაზს – ხაზს მშვიდობისაკენ, რადგან, როგორც ჩვენი გამოცდილება გვეუბნება, ექსტრემიზმს და ტერორიზმს ასაზრდოვებს კონფრონტაცია და

არეული მდგომარეობა, ხოლო მშვიდობა მის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური იარაღია.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიღებობებით ვეურდნობით რა არსებულ ტენდენციებს, რომლებიც რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული, შემდეგნაირად ვაჟალიბებთ ჩვენს ძირითად საგარეო პოლიტიკურ მიღების: ლოკალურ დონეზე - კავკასიური კონფლიქტები ერთმანეთთან მჯიდრო კავშირშია და ერთმანეთზე დიდ ზეგავლენას ახდენენ.

შესაბამისად ვერცხლით კავკასიური სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი საერთო კავკასიური კონტექსტიდან იზოლირებულად, და ამ აზრით კავკასია წარმოადგენს ერთიან რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსს. შიდაკავკასიური დიალოგის და თანამშრომლობის განვითარება კავკასიელებს შორის, ამცირებსკავკასიაში კონფლიქტების წარმოშობის და მათში არაკავკასიური ძალების ჩარევის შესაძლებლობას, სპობს კონფლიქტების ესკადაციის საფუძვლს. ამიტომ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში დაკავებასიურ დიალოგს საკუთარი ქვეყნის და მთლიანად რეიონის უსაფრთხოებისა და მშვიდობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად განიხილავს.

საქართველოს საგარეო პილიტიკა მიმართულია ნატოში გაწევრიანებისა და ევროკაფშირში ინტეგრაციისაკენ. ნატოში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიის წინსკლას, პოლიტიკურ და სამსედრო უსაფრთხოების მტკიცე გარანტიებს, რაც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს წარმოადგენს...

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია:

- საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან, მათთან კონსოლიდაცია კონფლიქტის მოსაგვარებლად.
- **NATO**-ში გაწევრიანება;
- ევროკაფშირში ინტეგრაცია;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ენერგეტიკული უსაფრთხოება;
- ორგანიზაციის მართვის სისტემის სრულყოფა;

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ყოველთვის კავკასიურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობისა და კავკასიელთა ინტერესების მაქსიმალური დაახლოებისაკენ იქნება მიმართული. იგი მხარს დაუჭერს ამ მიზნისაკენ მიმართულ ყოველგვარ ინიციატივას, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ისეთ წამოწყებებს, როგორიცაა საპარლამენტშორისო ანსამბლეა (საქართველო). კავკასიელთა შეხვედრების კისლავოდესკის ფორმატი და ჩეჩენური იდეა კავკასიაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის

შესახებ (რუსეთი) და ა.შ. დარწმუნებულები ვარ, რომ კავკასიაში უსაფრთხოებისა და მშენდობის მყარ გარანტიებს ქმნის ის უკონომიკური პერსპექტივები, რომელებიც კავკასიური სახელმწიფოების დამოუკიდებლობამ მოიტანა და რომელიც არა მხოლოდ ცალკეული კავკასიური სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების საშუალებას იძლევა, არამედ ქმნის უფრო ფართე პლატფორმას, ყველა კავკასიური სახელმწიფოს შორის, დიდ რეგიონული ქვეყნებს შორის თანამშრომლობისათვის, თანამშრომლობისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

რეგიონულ დონეზე (რუსეთი, თურქეთი და ირანი) კავკასიის ტრადიციული პოლიტიკური სურათი რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან ურთიერთქმედების ფონზეა ჩამოყალიბებული. თითოეული კავკასიური ქვეყანა სწორედ რომელიმე მათგანში ხედავდა თავის მოქაუშირეს და უსაფრთხოების გარანტიას. და დღეს სწორედ ამ სამი ქვეყანის ერთობლიობა ქმნის კავკასიაში მშენდობის და უსაფრთხოების გარანტიებს. დღეს კავკასიაში ამ ქვეყნებს შორის ბუნებრივი ბალანსის აღდგენა ხდება და ნებისმიერი მათგანის მცდელობა - შეასრულოს ლიდერის ფუნქცია რეგიონში, გამოიწვევს კავკასიის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობების ზრდას, კონფრონტაციის გაძლიერებას, მთლიანად რეგიონის დესტაბილიზაციას. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ კავკასია ამ ქვეყნებს უნდა გამოყეოს კედლებით, რადგან ეს აგრეთვე კონფრონტაციული პოლიტიკის თავისებური ფორმა იქნებოდა, რაც ასევე საფთხის შემცველია კავკასიისათვის. საქართველოს, კავკასიას, ჩვენ განვიხილავთ როგორც ხიდს რუსეთს, თურქეთს და ირანს შორის, რომლის დანიშნულებაა არა ის, რომ შეცვალოს მათ შორის არსებული პირდაპირი კავშირები, არამედ გაამდიდრის ისინი, გახადოს კიდევ უფრო ეფექტური და მრავალფეროვანი კავკასია ჩვენ წარმოგვიდგენია როგორც ამ ქვეყნების თანამშრომლობისა და ჯანსაღი ეკონომიკური შეჯიბრის ასპარეზი.

ჩვენ მივესალმებით ამ ქვეყნებთან თანამშრომლობის ნებისმიერი ინიციატივას, რომელიც არ იქნება მიმართული კავკასიურ ქვეყნებთან და დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობის საზიანოდ. ჩვენთვის ასევე მიუღებელი იქნება წინადაღებები, სადაც ერთ-ერთ დიდ რეგიონულ ქვეყნასთან ურთიერთობის განვითარება და კავშირებული იქნება სხვა დიდ რეგიონულ ქვეყანასთან ურთიერთობების შეზღუდვასთან, რადგან, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ქვეყნებთან სწორედ ბალანსირებული და არა ცალმხრივი კავშირების განვითარება ქმნის როგორც საქართველოსათვის, ისე მთელი რეგიონისათვის უსაფრთხოებისა და მშენდობის პირობებს. რეგიონში ამ ქვეყნებს შორის ბალანსიარის ჩვენთვის როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური

საკითხებისადმი მიღებისას ორიენტირი. ამ ქვეყნებთან ბალანსირებული, ორმხრივი ურთიერთობების გარდა ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაჩიტებთ ისეთ ორგანიზაციებში თანამშრომლობას, როგორიცაა დსთ, შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის და კასპიისპირა ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციები. გლობალურ დონეზე (დასავლეთი, არარეგიონული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები) დასავლეთის განვითარებულმა ქვეყნებმა: გერმანიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა და აშშ-ა მსაქართველოსათვის უმძიმეს ვთარებაში სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, მაშინ, როდესაც ისინი ვისგანაც ჩვენ ველოდით, რომ პირველები გააკეთებდნენ ამას, პასიურობდნენ, და ქონდათ დაუსრულებელი პოლემიკა - ერთიანი უნდა იყოს საქართველო თუ დანაწევრებული. ჩვენ მივისწრაფვით დასავლეთისაკენ და ეს არაა მხოლოდ მაღლიერების გამოვლენა ჩვენი დამოუკიდებლობის მსარდაჭერისათვის ან სამაგიერო უპრეცენდენტო პუმანიტარული თუ სხვა დახმარებისათვის. ჩვენთვის ესაა ცივილიზაციისა და დემოკრატიული დირებულებებისაკენ სწრაფვა.

გამომდინარე ძველი მსოფლიოს რეალობიდან, როდესაც საქართველო, კავკასია, მხოლოდ რესევთის ირანის ან თურქეთის კონტექსტში განიხილებოდა, საქართველოს სწრაფვა დასავლეთისაკენ გამოიხატებოდა ფორმულით, რომლის მიხედვითაც საქართველოს გზა დასავლეთისაკენ რესევთზე გადიოდა. დღეს მსოფლიო პოლიტიკის მიერ რომელიმე დიდი რეგიონული ქვეყნის “კავკასიური პოლიტიკის” მსარდაჭერა გამოიწვევდა ამ ქვეყნის სასარგებლოდ კავკასიაში ბალანსის დარღვევას, რასაც შიდაკავკასიური წინააღმდეგობების ზრდა და კანონფლიქტების ესკადაცია მოსდევს. მიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოს დასავლეთთან პირდაპირი კავშირების ალტერნატივა ვერ იქნება ჩვენი დასავლეთთან კავშირიები ნებისმიერი დიდი რეგიონული ქვეყნის გავლით ან საშუალებით. ამგვარად დასავლეთთან საქართველოს პირდაპირი კავშირების განმტკიცება არ შეიძლება იყოს რაიმე პირობებთან დაგავშირებული. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის ყველა ის ფორმა, რომელიც ჩვენი დასავლეთთან, დასავლეთის ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებისკენა მიმართული, საქართველოს, მთლიანად კავკასიის დასავლურ სამყაროში, დასავლურლირებულებათ სისტემაში ინტეგრირებას უწყობს ხელს.

ჩვენ დასავლეთს განვიხილავთ არა როგორც ძალას, რომელსაც თავისი შემთხვევაზღვრული ადგილი გააჩნია რეგიონული ძალების სისტემაში, არამედ როგორც მასტაბილიზირებელ ფაქტორს. ნატოს(სევე) ეუთოს ჩვენ ვუყურებთ არა როგორც სამხედრო

პოლიტიკურ აღიანსს, რომელიც მიმართულია რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის წინააღმდეგ, არამედ როგორც ორგანიზაციებს, რომლებიც მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად ჩამოყალიბდება. ჩვენ ვესწრაფვით მათან ურთიერთობას და ყოველთვის მივიღებთ მონაწილეობას ერთობლივ პროგრამებში, ისეთებში როგორიცაა “თანამშრომლობა მშევიდობისათვის” და ა. შ. იგივე ფორმულით ვუდგებით ურთიერთობების განვითარებისას სხვა არარეგიონულ ქვეყნებთან, რომლებიც როგორც წესი ნეიტრალურები არიან კაცასიაში ტრადიციული დაპირისპირებებისა და წინააღმდეგობების მიმართ. პირდაპირი კავშირების გაძლიერებას ისახავს მიზნად ჩვენი ურთიერთობები უკრაინასთან, ცენტრალური აზის ქვეყნების ჯგუფთან, ასევე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყნასთან. ამგვარად, - საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირები, რომლებიც მიმართულია რეგიონში მშევიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგი მოკლეფორმულების საშუალებით: ლოკალურ დონეზე - შიდაკავკასიური დიალოგის გაძლიერება და კავკასიელების ინტერესების დაახლოება; რეგიონულ დონეზე - რესეტთან, თურქეთთან და ირანთან კავშირებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა; გლობალურ დონეზე - პირდაპირი კავშირების განვითარება დასავლეთთან, სხვა არარეგიონულ ქვეყნებთან.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს რეფორმები, რომელთა მიზანია, დაამკიდროს - დემოკრატული მმართველობა, კანონის უზენაესობა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და მშევიდობინი გზით აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ერთი სიტყვით, გადააქციოს საქართველო ევროპული ტიპის სახელმწიფოდ, რომელსაც ექნება ძლიერი ინსტიტუტები და რომელიც სრულად იქნება ინტერნაციური ეკონომიკური ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. საქართველოს დიპლომატიური სამსახური-საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური მისიები და საკონსულო დაწესებულებები - ემსახურება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ჩამოყალიბებულ უუნდამენტურ ეროვნულ ინტერესებსა და ფასეულობებს, რომლებიც პრეზიდენტის ხედვის შესაბამისად, განსაზღვრავენ ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს - საქართველოს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტატუსის განმტკიცებას, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში კუთვნილი და ლირსეული აღილის დაკავებას და, მზარდი გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის ინტერესების გატარებას.

დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, ეროვნული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია დანარჩენი მსოფლიოსაგან იზოლაციის პირობებში. ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერა; საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ეფუძნება სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის პატივისცემას; სხვა სახელმწიფოების და ოეგიონების ეკონომიკური კეთილდღეობა პირდაპირ აისახება საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე; საქართველოში დემოკრატიის განმტკიცება კი გლობალურ არენაზე დამტკრატიული პროცესების განვითარების გზით მიიღწევა. ჩვენს მიერ განხორციელებული პოლიტიკა ამ პრინციპებს დაეფუძნება და ამ რწმენის ერთგული იქნება.

ამ ხედვის განხორციელებისთვის, 21-ე საუკუნის ქართული დიპლომატიის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ძალისხმევის გააქტიურებას საქართველოსა და მისი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად და, ამასთანავე, წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი, უსაფრთხო, დემოკრატიული და კონსტიტუციური კეთილდღეობის მქონე მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში.

დღეს საქართველოში უმთავრეს საკითხთან დაკავშირებით პრინციპულად არ ვლაპარაკობთ: პოლიტიკოსს რომ რაციონალური აზროვნება სჭირდება, ხალხს თითქმის აღარც სჯერა., ისინი გარემოს არ აკვირდებიან, არადა, გარემო მრავალფეროვანია. ის მუდმივად იცვლება და რაციონალიზმიც სწორედ ის არის, რომ ამ ცვლილებებს გონიერად მიადგვნო. გონიერი მიადგვნება აუცილებელია. ეს მინიმუმ უსაფრთხოებისთვის, ანუ სიცოცხლისთვის არის საჭირო. უსაფრთხოება უმთავრესია. მშვიდობა და განვითარება არის ის ძირითადი, რაზეც ყველა თანხმდება.

საქართველოში ბოლოხანს განვითარებული მოვლენები თვალისწინების განვითარების, რომ ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესები წინ მიდის და ხალხის სამოქალაქო აქტივობაც სულ უფრო იზრდება. შეცდომა იქნებოდა, გველაპარაკა დემოკრატიის სისუსტეზე ქვეყანაში, სადაც ერთ სადამოში ათიათასობით ადამიანი გარეთ გამოდის, რათა თავისი პოზიცია დააფიქსიროს. უკვე მეორედ უკანასკნელ ოთხ წელიწადში დიდი რაოდენობით ხალხი თაგს იყრის დედალაქის მთავარ მოედანზე და ქვეყანაში კონკრეტულ ცვლილებებს ითხოვს. არსებობს კონსენსუსი მშვიდობაზე და განვითარებაზე. ეს ადამიანთა პოზიტიურ სამოქალაქო აქტივობაზე და შესაბამის საზოგადოებაზე მეტყველებს.

ფაქტია ისიც, რომ ხალხის პროცესტი მოჰყვება ხოლმე უსამართლობასა და გაუმართლებელ შეზღუდვებს, რადგან ქვეყანა დასახლებულია გონიერი და პროგრესული ადამიანებით, რომლებიც

დემოკრატიის წინსვლას და განვითარებული საზოგადოების იდეის დამკიდრებას უწყობენ ხელს. “ვარდების რევოლუცია”, ბევრის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გამოდგა არა მიხეილ სააპაშვილის, არამედ – ხალხის რევოლუცია. ხალხი დღესაც ცვლილებებს ითხოვს. ვარდების რევოლუცია, ამ აზრით, ახალ აზრს იძენს. ის შეიძლება მოვიაზროთ როგორც ნამდვილი დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება. ამჯერად ლიბერალური დემოკრატიის დრო დგება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველო პრობლემებშია ჩაიძირული, გზა მაინც არსებობს და ეს გზა დამტუყაიდვებელი, სტერეოტიპებისგან დაცლილი და თავისუფალი აზროვნებაა. ჩვენ თუ თავისუფლება გვინდა, პირველ რიგში აზრით უნდა განვთავისუფლდეთ, უნდა განვთავისუფლდეთ სტერეოტიპებისგან, იდეილოგიებისგან და უპრინციპობისგან. უსაფრთხოება, რომელიც როველი და კომპლექსური ცნებაა, საბოლოო ჯამში ფიზიკურ უსაფრთხოებაზე დაიყვანება. უსაფრთხოების ქვაკუთხედია უსაფრთხოების დილექტის ცნება, რაც შემდეგში პოლიტიკა შიშხე დგას, მიზნად კი მდგომარეობს: ორი სუბიექტიდან ერთ-ერთის გაძლიერება მეორის შიშს შიშისგან განთავისუფლება აქვს. იწვევს. ანუ უსაფრთხოების დილექტი იმაში მდგომარეობს, რომ განვითარება ძნელია სხვისი ინტერესების შელახვის გარეშე, ამიტომ ყოველთვის ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდე. პოლიტიკა შიშხე დგას, მიზნად კი შიშისგან განთავისუფლება აქვს.

დღეს საქართველო ნატოსაკენ მიისწრაფის. ჩვენ დიდი ხანია ვიძახით, რომ საქართველო ეპროპული ლირებულებების მატარებელი ხალხითაა დასახლებული და ამიტომ ევროპისკენაც მივისწრაფით. ძნელად თუ ვინმე აღიარებს, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში მხოლოდ ლირებულებების გამო კი არ ხდება, არამედ უცრო უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე. ინსტიქტების გააზრება რომ ხდებოდეს, მაშინ საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული ლავირების მეტი შანსი ექნებოდა.

საქართველოს პოლიტიკას აკლია საჯაროობა და პროფესიონალიზმი, ანუ აკლია ხალხთან კონტაქტი, ისტორიის გააზრება და მომავლის ხედვა. მაგალითად, ქვეყანაში თითქმის არ მიდის მსჯელობა იმ სერიოზული ცვლილებების შესახებ, რაც უკანასკნელ წლებში გამოვცადეთ. ამ საკითხებზე ძალზედ ცოტა, ან არაფერი იწერება და ითქმება. რაც უხვადაა, ესაა ლოზუნგები, რომლებიც ყველა მხრიდან თავზე გვაყრია. აზროვნება ცოტაა. სწორედ ამიტომ ჩვენთან განვითარდა და კვლავაც ვითარდება ის პროცესები, რომლებიც ერთის მხრივ პირდაპირ შეეხო საქართველოს უსაფრთხოებას, მეორეს მხრივ კი განსაზღვრა ჩვენი დღეგანდელი დღე და ასევე განსაზღვრავს მომავალს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2006-2009 წლებისათვის. თბ., 2007
2. შოთა დორონაძე, ნანა ავალიანი. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები. თბილისი. 2000
3. სახელმწიფო პოლიტიკა. თბ., 2002.
4. ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. თსუ, 1996
6. შოთა დორონაძე. საქართველო-მსოფლიო თანამეგობრობის წევრი. თბილისი. 2000.

### Summary

Nino Surmanidze

The international attitudes of the state government

(Georgia's foreign policy)

Foreign policy is the main direction of Georgia. The formats of bilateral, multilateral and strategical cooperation are the main priorities of the realization of foreign policies. As the practices of international relations shows, the role of foreign policy is getting extensively important for Georgia.

Correct planning and implementation of the mechanisms of international relations is of the biggest importance for every country. On the world current stage of economic development more and more countries are enhancing the dimensions of their participation in the world's integration processes.

Historically, culturally, politically and geographically Georgia is the part of Europe. Georgia integrated in the democratic European Commonwealth will contribute to the consolidation of safety and stability in Europe.

### Резюме

Нино Сурманидзе

Государственное управление международными отношениями  
(Внешняя политика Грузии )

Внешняя политика - главное направление Грузии. Форматы двустороннего, многостороннего и стратегического сотрудничества - главные приоритеты реализации внешней политики. Как показывает практика международных отношений, роль внешней политики становится все более значимой для Грузии.

Правильное планирование и осуществление международных отношений имеет огромное значение для любой страны. На нынешнем этапе мирового экономического развития все большее стран стремятся расширить масштабы своего участия в процессах мировой интеграции.

Исторически, культурно, политически и географически Грузия является частью Европы. Грузия интегрированная в демократическое Европейское содружество, внесет свой вклад в консолидацию безопасности и стабильности в Европе.

### ნინო ჩიქობავა

#### ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები

“ცივი ომის” დამთავრების შემდეგ კაცობრიობა შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში “აღმოსავლეთის”—”დასავლეთის “ დაპირისპირების მოსპობამ სათავე დაუდო პერიოდს, რომელიც “ისტორიის დასასრულის” სახელით მოინათლა. ზედმეტად ოპტიმისტური ეს განწყობა გულისხმობდა, რომ კომუნიზმის კრახითა და საბჭოთა კაგშირის დაშლით მოისპო უკანასკნელი დაპირისპირება ისტორიაში და დადგა ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების საყოველთაო გავრცელების ეპოქა. რაცი ისტორია აქამდე მხოლოდ დაპირისპირებულთა ბრძოლა იყო, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისტორია დამთავრდა, რადგან დაპირისპირება ადარ არსებობს. შესაბამისად იწება ხალხთა დაახლოების, ეროვნული, ენობრივი, კულტურული და სოციალური განსხვავებების შემცირებისა და გაქრობის ეპოქა. ნაციონალიზმი წარსულს ბარდება და გზას გლობალიზაციის პროცესს უთმობს. (1)

XX საუკუნის 90-იანია წლებმა დაგვანახა რომ აღნიშნული მსჯელობა უტოპია აღმოჩნდა. ნაციონალიზმი არამც თუ ქრება და სუსტდება, არამედ ხშირ შემთხვევაში უფრო ინტენსიურად და აგრესიული სახით იჩენს ხოლმე თავს. თანაც, როგორც წესი 90-იანი წლების ნაციონალიზმი სეპარატისტული დამანგრეველი ნაციონალიზმია, რომელიც მიმართულია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ფორმით ვლინდება.

დღეს უკვე ბევრი მკვლევარი ფიქრობს რომ თანამედროვების მთავარი წინააღმდეგობა არა იდეოლოგიურ, გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ ეთნოპოლიტიკურ ხაიათს ატარებს და სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში გამოიხატება. ანუ ეს არის წინააღმდეგობა სახელმწიფო ნაციონალიზმია და უმცირესობების ნაციონალიზმს შორის.

იმის გამო რომ თანამედროვე ნაციონალიზმი კონფლიქტების წყაროა, ზოგი ავტორი უარყოფითად აფასებს თანამედროვე ნაციონალიზმსა და მკვეთრად განასხვავებს მას გამაერთიანებელი და ანტიკოლონიური ნაციონალიზმისაგან.

ნაციონალიზმი არის იდეოლოგია რომლის მიხედვითაც “ერი” ანუ “ნაცია” არის საზოგადოების ფუნდამენტური ნაწილი და ქვაპუთხედი. ამასთანავე ერის ინტერესი და ეროგულება ჯგუფისა და ინდივიდის ინტერესზე მაღლა უნდა იდგეს. თავდაპირველი ნაციონალისტური მოძრაობები ჩამოყალიბდა საფრანგეთში მონარქიის დასამხობად მოწყობილი რევოლუციის შემდეგ(5) მოგვიანებით XIX საუკუნეში ნაციონალისტურმა იდეებმა მოიცვა ევროპის მრავალი ქვეყანა.

ნაციონალიზმი ზოგჯერ წარმოადგენს ეროვნული გრძნობების სინონიმს, ზოგჯერ ეროვნულ მოძრაობას აღნიშნავს, ზოგჯერ კი იდეოლოგიის სახით წარმოგვიდგება. გარდა ამისა იგი სან პოლიტიკურ მოვლენად მოიაზრება, სან კი კულტურასთან ასოცირდება. აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელი იყოს ნაციონალიზმის “სინთეზური” გაგებაც, რომელიც ამ ცნებაში გულისხმობს ნაციონალიზმს როგორც იდეოლოგიას. არსებობს ნაციონალიზმის როგორც დადებითი ესვევ უარყოფითი შეფასება. ხშირად ნაციონალიზმის ცნება იხმარება როგორც “ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნლი ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა.”(4) ეს განმარტება ნაციონალიზმს წარმოგვიდგენს, როგორც უაღრესად დადებით და პროგრესულ მოვლენას. რადგან ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა მაღალ ხნიობრივი და ამაღლებული დირექტულება. ამ იდეისათვის მებრძოლი და თავგანწირული ხალხი, როგორც წესი, ეროვნულ გმირებად ცხადდებიან და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ. ნაციონალიზმის სულ სხვა განმარტებაა წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის ენციკლობელიებში: “რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც ეროვნული შედლის გადვივებისა და სხვა ერების დაჩაგვრის ხარჯზე პრივალეგირებულ მდგომარეობაში აყენებს გაბატონებულ ერს, მხარს უჭერს ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს აცხადებს რა მას მთელი ერის ინტერესებად.” (3) აღნიშნული განმარტებების მიხედვით ნაციონალიზმი უაღრესად უარყოფითი, რეაქციული ფენომენია, რომელიც უამრავი ბოროტებისა და უბედურების წყაროდ შეიძლება იქცეს. ამიტომ ნაციონალიზმის უოველგვარი გამოვლენა ჩანასახშივე უნდა განადგურდეს რომ მან, საზოგადოება არ მოწამდოს და გზას არ ააცდინოს. როგორც ვხედავთ, ნაციონალიზმის ცნების განმარტება დიამეტრალურად საპირისპირ შეიძლება იყოს იმის და მიხედვით, თუ რა კუთხით და როგორი მსოფლმხედველობით შევხედავთ ამ მოვლენას.(1 )

კჰეიესის მიხედვით ნაციონალიზმი დუალისტური ბუნებისაა. იგი ერთდროულად არის სიკეთეც და ბოროტებაც. ნაციონალიზმი, როცა პატრიოტიზმის სინონიმად გვევლინება მაშინ იგი კაცობრიობის უნიკალური სიკეთეა. პუმანური და ლიბერალური ნაციონალიზმი თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძველია. მაგარმ, როცა ნაციონალიზმი შეუწყინარებლობისა და მტრობის იღენტური ცნებაა, როცა იგი კონფლიქტისა და ომის საფუძველი ხდება, მაშინ ის კაცობრიობის უდიდესი ბოროტებაა.

**(C.Heyyes,1926)**

აქევ უნდა ადინიშნოს გ.ნოდიას შეხედულება ნაციონალიზმსა და დემოკრატიაზე. იგი მიიჩნევს რომ ნაციონალიზმი არის უფრო როგორი მოვლენის კომპონენტი, რომელიც მთელი თავისი შემადგენლობით წარმოგვიდგება, “ლიბერალურ დემქრატიად”. ამ საკითხების წამოწევით იგი გულისხმობს რომ ნაციონალიზმის იდეა წარმოდგენილია თეორიულადაც კი დემოკრატიის იდეას გარეშე. ეს ორი კომპონენტი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.(2)

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორებს სახელმწიფოები წარმოადგენენ და ერთმანეთთან ურთიერთობისას ვალდებული არიან დაიცვან სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა, თუ შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. ამიტომ სეპარატისტულ მოძრაობას აშეარა მხარდაჭერა სხვა სახელმწიფოების მხრიდან, როგორც წესი არ აქვს ხოლმე. მაგრამ ვერც ერთი სეპარატისტული მოძრაობა ვერ იარსებებს გარედან მხარდაჭერის გარეშე, რაც ჩვეულებრი ფარული ფორმებითა და მეოთხებით ხორციელდება.

იმის გამო რომ მსოფლიო სახელმწიფოები და პირველ რიგში დიდი ქვეყნები დაინტერესებულნი არიან შენარჩუნებული იუოს ძალთა წონასწორობა, რაც საერთაშორისო წესრიგის ქვაკეთხედად მოიაზრება, ხშირ შემთხვევაში თვალს სუჭავენ სამართლიანობაზე, კერძოდ, უგულებელყოფენ თვითგამორკვევის პრინციპებს. ძალთა ძალანსის შენარჩუნების მიზნით მოხდა პოლონეთის სუვერენული სახელმწიფოს გაყოფა რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის XVIII საუკუნის ბოლოს. ასევე ძალთა ძალანსის შენარჩუნების მაგალითი იყო ევროპული ქვეყნების მიერ აზია-აფრიკაში კოლონიების გადანაწილება. ამავე მიზანს ემსახურებოდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის თანხმობა საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ხალხების დამორჩილებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების სურვილით უნდა აიხსნას დასავლეთის პასიური პოზიცია 1956 წლის უნგრეთის მოვლენებზე და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის ამბებზე. დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია

ჩეჩნეთის მიერ თვითგამორკვევის აღიარების პრინციპის მოთხოვნას. (1)

რეგიონული უსაფრთხოებისა და წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე უფრადდებოდ რჩება დამოუკიდებლობის მოთხოვნები მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. არცერთი ქვეყანა ოფიციალურად არ აღიარებს 25 მილიონიანი ქურთი ხალხის უფლებას შექმნას თავის სახელმწიფო. არც ერთორეის სუვერენიტეტს სცნობდა ვინმე სანამ თვითონ ეთიოპიამ არ აღიარა თავისი პროვინციის დამოუკიდებლობა.

90-იანი წლების დასწყიში როცა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფართოდ გაიშალა ეროვნული მოძრაობა, დასავლეთი ყოველნაირად იყავებდა თავს მხარი დაეჭირა ამ მოძრაობისთვის, ჟიშობდა რა, რომ ეს გამოიწვევდა დესტაბილიზაციასა და ძალთა წონასწორობის დარღვევას. შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, საერთაშორისო საზოგადოება მიესალმა მექვიდრე სახელმწიფოებს და სცნო ისინი, მაგრამ იმ სურვილით რომ ეს პროცესი რაც შეიძლება მაღლ დამთავრებულიყო. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა კიდევ 1993 წელს “მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ახალი სახელმწიფოების შექმნას აღარ ვიხილავთ.” (4)

წესრიგის, უსაფრთხოებისა და ძალთა წონასწორობის დაცვის სურვილით უნდა აისხნას საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია იუგოსლავის კონფლიქტში 90-იანი წლების დასაწყისში. გაუგებარი იყო, რა დღნის თვითგამორკვევისათვის უნდა დაეჭირათ მხარი და რა ეტაპზე უნდა შეწყვეტილიყო ეს მხარდაჭერა. საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დგება დილემა: თუკი ერთ ეთნიკურ ჯგუფს ეძლევა სეცენტის უფლება, მაშინ დგება იგივე უფლების სამართლიანობის საკითხი სხვა ეროვნებებისათვის. ეს ეხება ბოსნიასა და ბორვაგიის სერბ მოსახლეობას, ჩრდილოეთ ირლანდიას, უკრაინაში მცხოვრებ რუსებს, ისრაელის არაბებს და ასე შემდეგ. ცხადია, სრული აბსურდი იქნება იმის მტკიცება რომ ნებისმიერ ხალხს, ვისაც ეროვნული იდენტურობა აქვს, სახელმწიფო უნდა გააჩნდეს, მსოფლიოში 4 ათასზე მეტი ენაა, მაგრამ ვერავინ იტყვის რომ 4000 სახელმწიფოს არსებობაა აუცილებელი. მაშინ საერთაშორისო სისტემა სრულ ქაოსად იქცეოდა, სადაც ძალთა წონასწორობაც და რაიმე წესრიგზე ლაპარაკიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. (1)

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოში პვლავ დგება საკითხი ნაციონალიზმის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების შესახებ.

ნაციონალიზმი ერთდღოულად არის დესტრუქციულიც და კონსტრუქციულიც. იგი არის საშიშროება ლიბერალური დემოკრატიისათვის და ამაგდროულად მისი ხელშემწყობიც. იყო

ნაციონალისტი პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ნიშნავს იყო ვინც გინდა, რადგანაც აქ ნაციონალისტი შეიძლება იყოს ლიბერალიც და ნაცისტიც. ისინი, ვინც გმობენ ნაციონალიზმს, გულისხმობენ ეთნიკურ შოვინიზმს, თორებ თვითონვე არიან საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ და სუვერენულ ერ-სახელმწიფოდ გარდაქმნისათვის მებრძოლები. ნაციონალიზმის ეს განსხვავაებული სახეები თვალნათლივ ჩანს დღევანდელი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი ნაციონალიზმის თავისებურებების შედარებისას. თანამედროვე ნაციონალიზმის “გეოგრაფია” საგრძნობლად განხვავდება განვითარებულ, ყოფილ კომუნისტურ და მესამე სამყაროს ქვეყნებში. (5)

ნაციონალიზმი, თავისი ეველაზე უფრო გავრცელებული მნიშვნელობით, რაც საკუთარი ერისა და ეროვნული სახელმწიფოს ერთგულებასა და მის დომინანტობაში გამოიხატება, ხშირად პატრიოტიზმის სინონიმად გამოიყენება. ეს ცნებები მართლაც ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, მაგრამ განსხვავება მაინც საქმიოდ მნიშვნელოვანია. სახელმობრ პატრიოტიზმი ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკურ ქმედებას, მაშინ, როცა ნაციონალიზმი აუცილებლად გულისხმობს პოლიტიკურ აქციებს და მოძრაობას. ასევე უნდა განვასხვავოთ, კერძო ანუ კონკრეტული ნაციონალიზმი და ნაციონალიზმი ზოგადად.

ნაციონალისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს პროგრამა საკუთარი ერისათვის. კონკრეტული ნაციონალიზმი “იდეოლოგიურად ცარიელი ბოთლია”, რომელსაც აქვს ძალა და ფორმა, მაგრამ არა კონკრეტული შინაარსი. ეს პირველ რიგში ეხება ჩაგრული ერის ნაციონალიზმს, რომელმაც შეიძლება გაერთიანოს სულ სხვადასხვა პოლიტიკური მრამსის ადამიანები. რაც შეეხება ზოგადად ნაციონალიზმს, მისი უნივერსალური პრინციპი, როგორც უკვე ითქვა არის ეროვნულის პრიმარი რელიგიურ, კლასობრივ თუ ზოგად საკაცობრიო ლირებულებებზე. ნაციონალიზმის ეგრეთწოდებული რომანტიკული ფორმა ემყარება ენობრივ, კულტურულ და ისტორიულ ერთობას, და ამდენად ეს დირებულებები ლოკალურია და არა უნივერსალური. ასეთი ნაციონალიზმის ეკონომიკური განზომილება კი ისაა, რომ ყველა რესურსი და სიმდიდრე მხოლოდ ერის საკუთრება უნდა იყოს.(4)

ნაციონალიზმმა, როგორც ევროპულმა იდეოლოგიამ, მკვეთრი ცვლილება განიცადა მესამე სამყაროში. ევროპული ნაციონალიზმის კლასიკური დებულება, რომ ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო რამდენადაც შესაძლებელია ერთეულოვანი უნდა იყოს, აბსოლიტურად

განუხორციელებელი აღმოჩნდა აფრიკასა და აზიის ქვეყნების უმრავლესობაში. ამან კი, თავის მხრივ, სახელმწიფოსა და ეთნიკური ნაციონალიზმის დაპირისპირების უკიდურესი გამწვავება გამოიწვია, ხოლო ერი-სახელმწიფოს ნაცვლად, ტიპიური კვაზი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა.

ფაქტია, რომ ნაციონალიზმმა როგორც გრძნობამ და როგორც პოლიტიკუმა იდეოლოგიამ უდიდესი როლი ჟეასრულა უახლესს ისტორიაში და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ნაციონალიზმი განუყოფელია ისეთი ცნებებისაგან, როგორიცაა ერი-სახელმწიფო და ხალხთა თვითგამორჩევა, რაც დაფანდებდი მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანების კატეგორიებია. მიუხედავად საერთაშორისო ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესისა, ნაციონალიზმის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზურაბ დავითაშვილი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი, 2003.
2. გია ნოდა. ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი, 1999
3. Политология: Энциклопедический словарь под общ. ред. Ю.В. Асерьянова. М.: 2001
4. Энтони Смит. Национализм и модернизм. М.: 2004
5. <http://ru.wikipedia.org>

### **Summary**

**Nino Chikobava**

**Nationalism and international relations**

Nationalism is the ideology and a policy based on the principle implying the thesis of the maximum value of the nation and its primacy in the process of state construction. This process is characterized by a variety of contradicting developments. Nationalism, as a political movement, is designed to protect interests of a national intergroup attitudes to the state power.

Nationalism preaches fidelity to one's own nation, political independence and work for one's own people, unification of national consciousness for practical protection of living conditions of the nation, its territory, economic resources and cultural wealth. It rests on the national feeling which is related to patriotism. This ideology has proved to be capable of mobilizing the population, irrespective of class distinctions, toward the common political ends in the process of transition to capitalist economy.


**Резюме****Нино Чикобава****Национализм и международные отношения**

Национализм – идеология и политика, базовым принципом которых является тезис о высшей ценности нации и её первичности в государствообразующем процессе. Отличается многообразием течений, некоторые из которых противоречат друг другу. Как политическое движение, национализм стремится к защите интересов национальной общности в отношениях с государственной властью.

В своей основе национализм проповедует верность и преданность своей нации, политическую независимость и работу на благо собственного народа, объединение национального самосознания для практической защиты условий жизни нации, её территории проживания, экономических ресурсов и духовных ценностей. Он опирается на национальное чувство, которое родственно патриотизму. Эта идеология оказалась способной обеспечить мобилизацию населения, невзирая на классовые различия, ради общих политических целей в период перехода к капиталистической экономике.

თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე

რობესპიერი ქართულ ისტორიოგრაფიაში



მაქსიმილიან რობესპიერმა (1758-1794) თავისი კვალი დატოვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერეს მოქლებული არ უნდა იყოს რობესპიერის მოღვაწეობისადმი ქართული პუბლიცისტიკის და ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვევსო არსებული ხარვეზი და საგანგებოდ განგვეხილა ეს პრობლემა.

მაქსიმილიან რობესპიერი რობესპიერი და წინააღმდეგობებით აღსავს ფიგურა. ამიტომ მისი მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასება ძალიან მნიშვნელი და ისტორიკოსთა შორის სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია ისტორიკოსები ცხარედ ამათობენ რობესპიერის მოღვაწეობის ირგვლივ, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ მოახერხეს და ეს დისტუსია, აღბათ, კიდევ დიდხანს გასტანს და არც არასოდეს დამთავრდება. XX საუკუნის პოლანდიიდან ისტორიკოსის პიტერ პეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა“. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება ის „კონცეფტუალური ანარქია“, რომელიც რობესპიერის და საფრანგეთის დიდი რევოლუციის სხვა ლიდერების მოღვაწეობის ირგვლივ სუკევს.

ისტორიოგრაფიული დილემა ასე გამოიყერება „საშინელი, საზიზღარი, ურჩხული“ თუ „წმინდანი“, „ანგელოზი“. რა თქმა უნდა, არც ერთი და არც მეორე. ჭეშმარიტება სადღაც შუაშია და მხოლოდ ისტორიკოსების ძალიან მცირე ჯგუფმა სცადა ორივე უკიდურესობის თავიდან აცილება.

ერთნი უსაზღვროდ განადიდებდნენ დანტონს, ხოლო რობესპიერს კი მიწასთან ასწორებდნენ, აუგად იხსნიებდნენ, ტალახში სვრიდნენ. მეორები კი პირიქით რობესპიერის უდიდესი თაყვანისმცემლი იყნენ და დანტონს არაფრად აგდებდნენ.<sup>1</sup>

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის ისტორიით დაინტერესებით პირველმა სერიოზულმა სიმატომებმა თავი იჩინეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც გაჩნდა ქართული პერიოდული პრესა, რომელსაც შემდგომში გვერდში ამოუდგა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. XIX საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოში ამ პრობლემით დაინტერესების წინაისტორიად შეიძლება მივიჩნიოთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ საქმაოდ კარგად იყო ინფორმირებული და ქართველ მკითხველს მეტად საინტერესო მასალას აწვდიდა, სადაც საფრანგეთის რევოლუცია უპირატესად პროგრესულ ლიბერალური ოვალთახედვით იყო დანახული.<sup>2</sup>

„საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწეები, კერძოთ იაკობინელთა ლიდერები სპეციალურად არ ყოფილან შეფასებული ქართულ პრესაში. მკაცრი ცენზურული მარწუხები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართულ პრესას ქბა-დიდება მიეძღნა რევოლუციის გმირებისათვის. მიუხედავად ამისა ზოგიერთების დგაწლი და დამსახურება მაინც აღინიშნა. რობერიერი, მარატი, გწ. „ცოფიანები“, ბაბეფი და მისი თანამებრძოლები ლანდების დარად გამოჩნდნენ ქართულ უურნალგაზეთებში. სხვების შესახებაც მხოლოდ გაკვრით თუ გამოითქვა მოსაზრება, ისიც შემდგომი პერიოდის. ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეების დამსახურების აღნიშვნის დროს.“<sup>3</sup>

ერთ-ერთ ასეთ ბეჭინიერ გამოხატვილისს წარმოადგენდა იაკობინთა პარტიის აღიარებული თავიაცი ჟორჟ ჟაპ დანტონი (1759-1794). ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, პირველ რიგში კი ნიკო ნიკოლაძე და დათა მიქელაძე, დანტონის მიმართ მეტად კეთილ განწყობილი ჩანს. ეს უკანასკნელი ა. ტიერის დანტონს ადარებს და დასმენს „ტიერი მედროვე კარიერისტი, ფლიდი და წვრილმანი საქმეებით გართული უპრინციპო ბურჟუას ტიპი იყო. დანტონი კი – ძლიერი შეუპოვარი, ლომგაცი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის მეგობარი, ნამდვილი დევი“.<sup>4</sup>

დ. მიქელაძემ საქმაოდ საინტერესო მეთოდი აირჩია. მან ერთმანეთს დაუპირისპირა ორი დიამეტრალურად საპირისპირო პიროვნება. უარყოფითი ტიპაჟი ტიერის სახით და გმირი დანტონის სახით. ცხადია, რომ მისი სიმპათიები სულ მთლიანად ამ უკანასკნელის მხარეზე.

ნ. ნიკოლაძე სულ სხვა გზას ირჩევს და ადარებს ლეონ გამბეტას და ჟორჟ ჟაპ დანტონს. ეს პარალელი კონტრასტებზე არაა აგებული. ის ორივე ამ მოღვაწეში დადგბით პიროვნებას ხედავს და ამიტომ ადარებს ერთმანეთს.

ნ. ნიკოლაძის აზრით მის თანადროულ, საფრანგეთში ორი დადგებითი პიროვნება იყო ლეონ გამბეტა და ანრი როშფორი. თუ ეს უკანასკნელი კალმით ხელში ებრძოდა მთავრობას გამბეტა სათავეში ედგა ახალი საომარი შენაერთების გაწვრთნასა და ფრონტზე გაგზავნას. განსაკუთრებით უსვამს ხაზს გამბეტას გმირულ მოქმედებას ლუარის აუზში, სადაც მან ექსტრემალურ ვითარებაში შეეძლო გაეწვრთნა და პრუსიელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო ორი დიდი საარმიო შენაერთი.<sup>5</sup> გამბეტას ეს შემართება ნ. ნიკოლაძეს ძალიან აგონებდა დანტონის რევოლუციურ ენთუზიაზმს 1792 წლის შემოდგომაზე. „იმისათვის, რომ დაამარცხო მტერი საჭიროა სიმამაცე, სიმამაცე და კიდევ სიმამაცე.“

რა თქმა უნდა, დანტონისადმი ასეთი კეთილგანწყობილება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უმთავრესად ორი ფაქტორით შეიძლება ყოფილიყო მოტივირებული ბუნებრივია მათ მოსწონდათ დანტონის მოღვაწეობის პატრიოტული მსარე. მისი აქტიურობა გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორეც, როგორც ჩანს, დანტონის პოლიტიკური პლატფორმა პარგად პასუხობდა მათ პოლიტიკურ იდეალს.<sup>6</sup> დანტონი იაკობინთა შორის თავისი ზომიერებით გამოირჩეოდა. მას უყვარდა თქმა „განა ჩვენს შორის კინკლაობას შეუძლია თუნდაც ერთი პრუსიელი მოკლას“. „ის რაც აფრთხოებს მრავალთ ჩვენი პრინციპების სიმაცრეა“ – დასძენდა დანტონი. მას სურდა ზავის დადება და ტერორის შეუსტება. ეს იყო რევოლუციის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნების ერთ-ერთი სასურველი ვარიანტი.

ქართულ სინამდვილეში დანტონისადმი სიმპათიები უვროცელ ისტორიოგრაფიაში არსებული დანტონის განდიდების ექოდ გაისმა. აი რას წერდა ლიბერალური ისტორიოგრაფიის პატრიარქი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ალფონს ოლარი. „დანტონის სახელი წმინდათ წმინდა. ესაა შესანიშნავი პოლიტიკოსი, უანგარო და ჰუმანიური პიროვნება. კეთილმოქმედი დიდი რესპუბლიკელი. რევოლუციის გმირებს შორის დანტონს ვერავინ შეედრება. მისმა სიკვდილმა სამი მეოთხედი საუცუნით დააგვიანა საფრანგეთში კეთილმოწყობილი რესპუბლიკის შექმნა“, მეორე ადგილას ოლარი დასძენს „დანტონის პოლიტიკა იყო სწორედ ის რასაც დღეს „ოპორტუნიზმი“ პქვია. დანტონი იყო მირაბოს გამგრძელებელი, ისე როგორც გამბეტა არის დანტონის გამგრძელებელი“.<sup>7</sup>

დანტონისადმი ნ. ნიკოლაძისა დად. მიქელაძის სიმპათიები, მრავლისმეტყველი უნდა იყოს და წარმოადგენს გასაღებს იაკობინთა სხვა ლიდერებისადმი – რობერპიერი, სენ-ჟიუსტი, მარატი, მათი დამოკიდებულების გამოსარკვებად. ნ. ნიკოლაძის და

დ. მიქელაძის დუმილი ვფიქრობ, შემთხვევითი არ ყოფილა და უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ რობესპიერის მოღვაწეობა აშკარად ცილდებოდა მათი პოლიტიკური იდეალების ჩარჩოებს. ასეთი მიღომა დამასახიათებელია ლიბერალური ინტელიგენციისათვის. მას აქვს მოქალაქეობის უფლება და გააჩნიათავისი დირსებები. თუმცა დანტონის უსაშეელოდ განდიდება, არ ღირს.

ქნელი წარმოსადგენია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პეტლიცისტიკას, რომელიც საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული საფრანგეთის პირველი რევოლუციის ისტორიაში, არ სცოდნოდა რობესპიერს, სენ-ჟიუსტისა და მარატის სახელები. მაშ რაში იყო საქმე? რა თქმა, უნდა მეფის ცენზურას სულაც არ გაუხარდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე რობესპიერის, სენ-ჟიუსტის და მარატის მსგავსი რევოლუციონერების წინა პლანზე წამოწევა, მაგრამ საკითხის ახსნისათვის მხოლოდ ცენზურის მკაცრი მარწუხები საკმარისი არ უნდა ჩანდეს და აღნიშნული საკითხის შესახებ ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. მეფის ცენზურას არც დანტონის ქება უხარებდა გულს, მაგრამ ქართველი პეტლიცისტები მაინც ახერხებდნენ საპუთარ აზრი გამოეთქათ რევოლუციის ამ მოღვაწეზე. ცენზურას ქართული პრესის ფურცლებზე არც ირლანდიელი ხალხისა და იტალიის ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლის პერიპეტიების გაშუქება გაახარებდა დიდად, მაგრამ ქართულ პერიოდულ პრესაში ეს საკითხები ფართოდ განიხილებოდა.

საინტერესო სურათი იკვეთება: თუ დანტონისადმი თავისი სიმპათია ქართულმა პეტლიცისტიკამ აშკარად გამოხატა, რობესპიერის, სენ-ჟიუსტის და მარატისადმი მკვეთრად გამოკვეთიოლი ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მათი სახელები ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე მეტად იშვიათად გაიკერებს. ქართული პეტლიცისტიკის პოზიცია საკმაოდ გამჭვირვალეა. ის თანაუგრძნობდა დანტონს და რობესპიერს, სენ-ჟიუსტის და მარატისადმი თავშეკავებულ დამოკიდებულებას იჩენდა. საკითხისადმი მთავარი მიღომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ჩვენი აზრით, რამდენიმე ფაქტორით შეიძლება იყოს მოტივირებული.

უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი XIX საუკუნის მეორე ნახევარის ქართული საზოგადოებრივი აზრის მსოფლმხედველობაში ძევს. საქმე ისაა, რომ მათ პოლიტიკურ იდეალებს გაცილებით უფრო მეტად პასუხობდა დანტონის პოლიტიკა, ვიდრე რობესპიერის და სენ-ჟიუსტის მსგავსი რევოლუციონერები. აქ აისახა სავსებით რეალური სიტუაცია. XIX

საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პუბლიცისტიკა პროგრესულ-ლიბერულ ღირებულებებზე არის ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პუბლიცისტიკა უმთავრესად ინტერესდებოდა მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკით. დანტონისაგან განსხვავებით, რობესპიონე, სენ-ჟიუსტს და მარატს XIX საუკუნის მიწურულს ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის პროტოტიპი არ ყავდა. უდავოდ, გასათვალისწინებულია ისიც, რომ ასეთი მიღომა დომინირებდა იმჯამინდედ ევროპულ ისტორიოგრაფიაში და მან თავისი გამოძახილი პორვა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკაში. ცხადია, არავინ არ უარყოფს ცენზურის მკაცრ მარწუხებს.<sup>8</sup>

ეს ვაკუუმი შეიძლება შეევსო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც თავისი წონიანი სიტყვა თქვა საქართველოში მსოფლიოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ არც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იაკობინთა ლიდერებზე დანტონზე, რობესპიონზე და მარატზე არაფერი არ გამოუქვეყნებია, ის მაინც თანამედროვე პოლიტიკაზე იყო ორიენტირებული.

1905 წლის რევოლუციამ ახალი მძლავრი სტიმული მისცა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიით დაინტერესებას. 1906 წელს გამოვიდა ფედერალისტური პარტიის წევრის ვ. ლორთქიფანიძის წიგნი „საფრანგეთის დიდი რევოლუცია (1789-1792)“<sup>9</sup>. იგი 1905 წელს ფედეტონების სახით იძებნებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში და მომდევნო წელს ის ავტორს ცალკე წიგნად გამოუცია. „ამ მოკლე ისტორიის შედგენის დროს უმთავრესად ვილპელმ ბლოსის და ოლარის ცნობილი წიგნებით ვსარგებლობდით.“<sup>10</sup> ეს მცირე კომენტარი მეტად მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად აქ ის იძლევა საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი თავისი მიღვომის გასაღებს და პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ამ პრობლემის შეფასებისას ის უმთავრესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული. ეტყობა, ა. ოლარის და ვ. ბლოსის წიგნებში მას მოქმედი არა მარტო მდიდარი მეცნიერულ ინფორმაციას, უხვი ფაქტობრივი მასალა, არამედ მათი გააზრება. სწორედ ამიტომ შეაჩერა თავისი არჩევანი ა. ოლარის და ვ. ბლოსის გამოკვლევებზე. ეს გარემოება აუცილებლედ უნდა გავითვალისწინოთ და დიდად დაგვეხმარება იმ თემების გამოსარკვევად, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ავტორი ვერ შეეხო. აქ უწინარესად, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქს იაკობინთა დიქტატურა და მათი ბელადების დახასიათება.

ვ. ლორთქიფანიძის წიგნი სრულდება 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებით. რევოლუციის ისტორია ბოლომდე მიუვანილი არ არის, რამ შეუძლია ხელი ავტორს დაწერა მეორე ნაწილი მნელი სათქმელია. შესაძლოა, ეს იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომი განვითარება აღარ შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს. მას გული გაუტყდა და ხელი ჩაიქნია. მეორე წიგნის გამოცემა საინტერესო იქნებოდა და ნათელს მოჰყენდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მთელი რიგი პრინციპები საკითხებისადმი ავტორის მიდგომას.

პირველი წიგნის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო თემაზე მსჯელობა მნელია. აქ ეს საკითხი ცენტრალური არაა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ვ. ლორთქიფანიძე რობესპიერისადმი მთლად კეთილგანწყობილი არ უნდა ჩანდეს, რაც მნიშვნელოვანწილად ორი ფაქტორით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული: უწინარესად, რა თქმა უნდა, ვა ულისხმობთ ა. ოლარის და ვ. ბლოსის გავლენას. მათი დამოკიდებულება რობესპიერისადმი, განსაკუთრებით ოლარის, უაღრესად მტრულია. „მე უარს ვამბობ საფრანგეთის რევოლუცია განვასახიერო ამ უძმერთო ცილისმწამებლისა და კაცისმექვლელის სახით“. ამაზე უფრო უარესი დახასიათება მნელია წარმოვიდგინოთ. ვ. ლორთქიფანიძე ფედერალისტური პარტიის წევრი იყო და სხვადასხვა სოციალურ ფენტს და ჯგუფებს შორის შეთანხმებული მოქმედების მომხრეა. ის ძალიან ახლოს დგას არჩილ ჯორჯაძის პროგრამასთან „საერთო მოქმედების ნიადაგის“ შესახებ.<sup>11</sup> მისთვის დანტონის პოლიტიკური პლატფორმა გაცილებით უფრო მისაღები იქნებოდა, ვიდრე რობესპიერის რადიკალიზმი. ეს არის ერთი მიღებობა. არსებობს სხვა მიღებობაც.

ნოე ჟორდანია XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. მან გამოაქვეყნა ბროშურა საფრანგეთის რევოლუციაზე. მას რევოლუციის ისტორიის თხრობა მიყავს მეფის სიკვდილით დასჯამდე 1793 წლის 21 იანვარს.<sup>12</sup>

ვეიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ნოე ჟორდანიას დამოკიდებულება იაკობინთა დიქტატურის და მათი ბელადების დანტონის, რობესპიერის, სენ-ჟიუსტის და მარატისადმი. ნოე ჟორდანიას ბროშურა სრულდება მეფის სიკვდილით დასჯით 1793 წლის 21 იანვრის და იაკობინთა დიქტატურას ბროშურის შემდგენელი, ცხადია, არ ეხება. ამიტომ სერიოზულად რამის მტკიცება მნელია და იძულებული ვართ პიონერების სფეროთი შემოვიფარგლოთ. ნოე ჟორდანიას პოლიტიკური კრედიტი გამომდინარე გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ ის რობესპიერის მიმართ კეთილგანწყობას იჩნება. ეს კი შეიძლება იმით აიხსნას,

რომ ნ. ქორდანიასათვის, ეტყობა, მისაღები იქნებოდა რობესპიერის პოლიტიკური რადიკალიზმი. ეს სულ სხვა უკიდურესობა იყო. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ერთს რობესპიერის მოდვაწეობის უარყოფით შეფასებამდე მივავართ, მეორე კი რობესპიერის გაიდიალებას იწვევს. ერთი არ ითვალისწინებს რობესპიერის მოდვაწეობის პოზიციებს, ხოლო მეორე თვალს ხუჭავს რობესპიერის შეცდომებზე. ჰეშმარიტება კი სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალებო ხაზის გამოძებნა ისტორიკოსთა მხოლოდ მცირე ნაწილში თუ შეძლო.

იმზადია ახალი ისტორია ისწავლებოდა რუსული სახელმძღვანელოების მიხედვით, სადაც საფრანგოს დიდი რევოლუცია განიხილებოდა შავრაზმულ - კლერიკალური პოზიციებიდან და მოცემულია საფრანგეთის რევოლუციის და მისი ბელადების, მათ შორის, ცხადია, რობესპიერის მოდვაწეობის მეტად უარყოფითი დახასიათება<sup>13</sup> რობესპიერის უშვერი ლანბდვა-გინება მეტისმეტად ემოციურ ხასიათს ატარებს და ტენდენციურია.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან ნიშან სევერად გვევლინება ორი გარემოება. სულმნათი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება 1918 წლის 26 იანვარს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს.

სავსებით კანონზომიერად მიგაჩნია, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული შესწავლის აკვანი, სწორედ, დამოუკიდებელ საქართველოში სახელმძღვანელო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაირწა. პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით უკეთ დამოუკიდებელ საქართველოში გადაიდგა 1918-1921 წლებში. საინტერესო ტრანსფორმაციას პქონდა ადგილი საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის შესწავლის დროს დამოუკიდებელ საქართველოში. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ აღნიშნლი თემა დამკავიდრდა ძირითად სასოლო სახელმძღვანელოებში, რომელიც პაერივით ესაჭიროებოდა ახლად შექმნილ სუვერენულ რესპუბლიკას. ქართული პერიოდული პრესის შემდეგ ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს სახელმძღვანელოები წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საფეხურს საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან შექმნა წანამძღვრები, შეამზადა ნიადაგი საფრანგეთის დიდი რევოლუციის პოპულარიზაციიდან მეცნიერულ შესწავლაზე გადასვლის საქმეში. ცხადია, ამას შემდეგ მოჟვებოდა ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები. სამწუხაროდ ეს კარგი ჩანაფიქრი, ძირითადად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო,

განუხორციელებელი დარჩა. ეს საშური საქმე, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში, სულ სხვა გზით წარიმართა.<sup>14</sup>

დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ ახალი ისტორიის ქართულ სახელმძღვანელოებში, ცხადია, დიდი ყურადღება ექცევდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის გადმოცემას, ამ საკითხის განხილვის დროს ავტორები, ბუნებრივია, ეხებოდნენ იაკობინთა, მათ შორის რობესპიერის მოდვაწეობას და ცდილობები შეძლებისდაგვარად შეაფასონ მათი საქმიანობა.

ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოების დირსებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ აქ არ გვხვდება რობესპიერის უშვერი დანდგვა-გინება, რაც, სხვათა შორის, ნიშანდობლივი იყო ზოგიერთი ისტორიკოსისათვის, თუმცა, მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ რობესპიერის მიმართ, სახელმძღვანელოების ავტორები მაინცადამაინც კეთილგანწყობილნი არ უნდა ჩანდნენ. ასეთი ერთსულოვნება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და პირველ ყოვლისა მათი ლიბერალური პოლიტიკური ორიენტაციით აისხნება. ქართული სახელმძღვანელოების პლიუსად მიგვაჩნია იაკობინთა დიქტატურის დროს არსებული თხლოკრატიის, ბრძოს ბატონობის, დაგმობა. იაკობინების და მათ შორის რობესპიერისადმი მათი ნეგატიური დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო გამოწვეული.

დავიწყოთ დ. უზნაძის და ი.გველესიანის სახელმძღვანელოთი, რომლის ავტორები რობესპიერზე საქმაოდ დაბალი აზრის არიან. აი რას წერდნენ ისინი „რობესპიერი გაბატონებული პარტიის უმთავრესი წარმომადგენელი, მშრალი სისტემური გონებისა და ვიწრო მსოფლმხედველობის კაცი იყო. მედიდური პედანტი, რომელიც თავისი გეგმების მიხედვით მთელი საფრანგეთის საქმეების მოწყობას ლამობდა და ყველას ვინც მის აზრს არ იზიარებდა გულწრფელად კაცობრიობის მტრად თვლიდა. რობესპიერთან ყველაზე უფრო ახლოს იდგა სენ-ჟიუსტი, რომლის მიზანს საფრანგეთში იმგვარი წესწყობილების შემოღება შეადგენდა, რომელსაც სპარტასა და რუსოს სახელმწიფოს შორის მთავარი ადგილი უნდა დაჭირა.“<sup>15</sup>

როგორც ხედავთ, დ. უზნაძის და ი.გველესიანის სახელმძღვანელოებში რობესპიერთან ერთად უარყოფითად ისსენიება სენ-ჟიუსტი. მას აუგად მოიხსენიებს ბევრი ფრანგი ისტორიკოსი. ფრანგი კრიტიკოსი სენტ-ბევრი მას უწოდებს „ვეფხეს, რომელსაც სისხლი სწყურია“, „საზიზდარ და თეატრალურ ახალგაზრდა კაცს“. ალფონს ლამარტინი სენ-ჟიუსტში ხედავდა „დრაკონის რესუბლიიკის განსახიერებას“, უიულ მიშლე სენ-ჟიუსტს უწოდებს „სიკვდილის ანგელოზს“, იპოლიტ ტენი კი „ცოცხალ ხმალს“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ

გამოთქველია სრულიად განსხვავებული აზრიც. სენ-ჟიუსტს ერთი ისტორიკოსი „კონვენცის ყველაზე უფრო ფილოსოფიურ დგებატა“ უწოდებს.

რობესპიერის და სენ-ჟიუსტის შეფასებისას სახელმძღვანელოს ავტორების ასეთი მქაცრი ტონი უმთავრესად იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ რობესპიერისა და სენ-ჟიუსტის მოღვაწეობა აშკარად არ თავსდებოდა მათი პოლიტიკური იდეალის ჩარჩოებში. რევოლუცია არ წარმოადენს ლიბერალური ელიტის მონოპოლიას. შესაძლოა, ის გასცდეს სასურველ საზღვრებს და მდგეთრად გამოკვეთილად რადიკალური ხსიათი მიიღოს. აღმოჩნდა რომ რეალური არშეესატყვისებოდა სანიმუშო იდეალს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება ონორე მირაბორსადმი.

მეტად ნიშანდობლივი უნდა იყოს, რომ სახელმძღვანელოში საგანგებოდ ჩერდებიან მირაბოს კოლორიტულ ფიგურაზე და მის მოღვაწეობას სპეციალურ პარაგრაფს უთმობენ, ცალკე გამოყოფენ.<sup>16</sup> აღსანიშნავია, რომ ასეთი დიდი ყურადღება სახელმძღვანელოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის არც ერთი პოლიტიკური მოღვაწის მიმართ არ გამოუწენიათ. ყველაფერი ეს მირაბოსადმი დიდ პატივისცემაზე, ღრმა პიეტების გრძნობაზე შეტყველებს. აյ აისახა სავსებით რეალური ვითარება. სწორედ, მირაბოს მოღვაწეობა ყველაზე კარგად პასუხობდა მათ პოლიტიკურ იდეალს. რევოლუციის წინაშე მირაბოს დიდ დამსახურებას რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს, მაგრამ მისი სახელის ასე გაფეტიშება, ცხადია, არ დირს და ზედმეტია.

რობესპიერის მოღვაწეობის შეფასებისას დ. უზნაძე და ი. გველესიანი პროგრესულ ლიბერალურ პოზიციებზე დგანან. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო განპირობებული მათი მსჯელობის ძლიერი და სუსტი მხარეები.

რობესპიერის მოღვაწეობას ეხება ისტორიკოსი სიმონ ავალიანი. აი რას წერდა იგი. „იაკობინებს შორის განსაკუთრებით გავლენიანი პირი იყო რობესპიერი. მან სიკვდილით დასაჯა უკიდურესი ტერორის მომხრები (ე. ი. ებერტისტები – თ.ა. მ.პ.). სიკვდილით დასაჯა დანტონი, რომელიც მოითხოვდა ტერორის მოსპობას. რობესპიერი. . . უკიდურეს ჯალათობამდე მივიდა და თანამოაზრე იაკობინელებს შორის გამოიწვია დიდ უსიამოვნება. იაკობინელებს გამოეყნენ მშვიდობის მომხრე წევრები და შეადგინეს შეთქმულება რობესპიერის წინააღმდეგ. მეორე წლის 9 თერმიდორს (ძველი კალენდრის აღრიცხვით 1794 წლის 27 ივნისს) რობესპიერი და მისი მომხრეები დაიჭირეს და მეორე დღეს სიკვდილით დასაჯეს“<sup>17</sup>

თეიმურაშ ჭუმბურიძის სახელმძღვანელოში „ახალი ისტორია“ კვითხულობთ, „დანტონი და დემორატიული პრესის შემქნელი დამტკიცები უკვე საჭიროდ სოვლიდნენ ტერორის შეწყვეტას. რობესპიერი კი, რომელსაც ძალიან დიდი გაცლენა პქონდა ყოვლად ძლიერ „საზოგადოების ხენის კომიტეტში“ ტერორის გაგრძელებას მოითხოვდა. დანტონი, დემტკიცები და სხვები რობესპიერმა სიკვდილით დასაჯა, ამის შემდეგ მან უკვე განუსაზღვრელი ბატონობის წერტილს მიაღწია. . . მისმა სისასტიკემ თვით ტერორის მომხრეებში გამოიწვია დიდი შიში და უმაყოფილება. მის (ე. ი. რობესპიერის – თ.ა. მ.ქ.) წინააღმდეგ მოხდა შეთქმულება. რობესპიერი დაიჭირეს და მის მომხრეებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.“<sup>18</sup>

შესაძლოა ეს მსჯელობა ცოტა პრიმიტიული, მიამიტური იყოს, მაგრამ მისასალმებელია, რომ სახელმძღვანელოების ავტორები საფრანგეთის დიდი რევოლუციის რთულ პერიპეტიულში გარკვევას ცდილობენ და ქართველ მკითხველს საინტერესო ინფორმაციას აწვდიან. ამგვარ მიღვომას მრავალი მომხრეები ჰყავს, მაგრამ არ წარმოადგენს „უკანასკნელ ჭეშმარიტებას. რობესპიერის მოღვაწეობის ასეთ ხედვას ძლიერი ემოციური მუხტი გააჩნია და მჭიდროდ უკავშირდება რევოლუციურ ტერორს. ისინი ქართველ საზოგადოებას რობესპიერს უპირატესად უხატავენ როგორც ტერორის ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელს. სინამდვილე გაცილებით უფრო რთულია.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ტერორის მთავარ შემოქმედად მაქსიმილიან რობესპიერის გამოცხადება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. რევოლუციური ტერორის ერთმნიშვნელოვნად დაგმობა უფრო მეტად ემოციურ ხასიათს ატარებს და კარგად გამოხატავდა ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის მრწამსს, იდეალებს. ტერორი საჭირო შეიქნა რევოლუციის გარკვეულ მონაკვეთზე რევოლუციის მონაპოვრის დაცვის მიზნით, ძველი რეჟიმის მომხრეების ხელყოფისაგან, მაგრამ 1794 წლის დასაწყისში ინტერვენტებზე და შიდა და კონტრრევოლუციაზე გამარჯვების შემდეგ თანდათან კარგავს უწინდელ აქტუალობას. 1794 წელს ტერორი რობესპიერისათვის იქცა ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად, პირადი მტრებისათვის ანგარიშეწორების იარაღად. რობესპიერის ხელში 1794 წელს ტერორი გადაგვარდა. რობესპიერის პოლიტიკა ჩიხში მოექცა. სენ-ჟიუსტის თქმით „რევოლუცია ერთ ადგილზე გაჩერდა, გაიყინა“. „მაგრმა გააკეთა საქმე, მავრი უნდა წავიდეს“.

რობესპიერის დაცვის, 9 თერმიდორის გადატრიალების მიზეზი, მხოლოდ ტერორი არ ყოფილა, როგორც ამას წინ წამოსწევენ დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ ახალი ისტორიის

სახელმძღვანელოებში.<sup>19</sup> ამგვარი მიღებომა აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ წარმოდგენას ერ გვიქმნის. საქმე ის ისაა, რომ იყო ამის სხვა უფრო სერიოზული მიზეზები, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწოდად არ მიგვაჩნია.

სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ ახალი ისტორიის ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში დიდი ყურადღება ექცევა ფრანგი ხალხის გმირულ ბრძოლას ინტერვენტების წინააღმდეგ და ქართულ საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებიდა თავისუფლებისათვის ბრძოლა. ქებით მოიხსენიებს საფრანგეთის არმიის წარმატებებს, „საფრანგეთის დაცვის მოწყობაში იაკობინელებმა განსაკუთრებული საქმიანობა გამოიჩინეს. უცხოელთა შემოსევის შიშმა ეროვნული აღფრთოვანება გამოიწვია. იაკობინებმა ისარგებლეს ხალხის სულის განწყობილებით. მისცეს იარაღი ყველას ვისაც ოდნავ ძალა შესწევდა. მოკლე ხანში შექმნეს ძლიერი ჯარი. გამსჭვალული სამშობლოსადმი სიყვარულით და აღფრთოვანებული დემოკრატიული სულისკვეთებით. საფრანგეთის ჯარები მოაწყო საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის წევრმა კარნომ.“<sup>20</sup>

„ოუ ასეთი სისახტიკო ეპროდნენ იაკობინელები შინაურ მოწინააღმდეგეთ, არა ნაკლებ გულმოდგინებით მოაწყვეს მათ საფრანგეთის თავდაცვა უცხოელთა შემოსევებისაგან. ამაში მათ მართლაც დიდი დაწლი მიუძღვით თვისი ქვეყნის წინაშე. ამ მხრივ მათ მართლაც შეძლეს ეროვნული აღფრთოვანების გამოწვევა. მოკლე ხანში შექმნეს ძლიერი ჯარი, რომელიც გამსჭვალული იყო დემოკრატიული სამშობლოს ღრმა სიყვარულით. 1793 წლის დასასრულს იაკობინელებმა მოსპეს აჯანყებები და ხალხში გაანელეს შიში უცხოთა შემოსევისა, მაგრამ ტერორი მანც არ შესუსტეს. ამჟამად ეს იარაღი მათ თავისი ბატონობის შეურყევლად დაცვისათვის ჭირდებოდათ, ვინც მათი მრევლის შემომავალი არ იყო მუდამ შიშს განიცდიდა და თავისუფლად ვერ გამოეთქვა თავისი აზრი.“<sup>21</sup>

„1793 წლის გასულს საფრანგეთის მდგომარეობა შეიცვალა. ახალგაზრდა ოფიცრების მეთაურობით კონვენტის ჯარებს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად. 1794 წელს საფრანგეთის ჯარები რაინზე, ბელგიაში და საფოიაში შეტყვაზე გადავიდნენ“<sup>22</sup> ცხადია, გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა გვეოქვა გენერლები და არა ოფიცრები.

სახელმძღვანელოში საგსებით სწორედ არის ხაზგასმული იაკობინთა დამსახურება საფრანგეთის გადარჩენის საქმეში, რაც მათი მსჯელობის პლიუსად მიგვაჩნია, მაგრამ ისინი კრინტს არ ძრავენ ამ საქმეში რობესაირის და განსაკუთრებით სენ-ჟიუსტის

როლზე. სწორედ ამაში მდგომარეობდა მათი მსჯელობის წინააღმდეგობრიობა.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთ აღნიშნულს შეიძლება ითქვას, რომ გასაბჭოებამდე ქართული პუბლიცისტიკა და ისტორიოგრაფია, განსაკუთრებით 1918-1920 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის ქართული სახელმძღვანელოები, რობერტ საკავებისას შეფასებისას საკმაოდ ახლოს მივიდნენ ისტორიულ რეალობასთან. იკვეთება საინტერესო სურათი. ისინი მირაბოს და დანტრინის მიმართ სიმპათიებით არიან განწყობილი, ხოლო რობერტ საკავებისას და სენ-ჟიუსტისადმი თავშეგავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და პირველ ყოვლისა, ვფიქრობთ, მათი პროგრესულ-ლიბერალური ორიენტაციით იყო განპირობებული. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა ძევლი რეუიმის რადიკალური მეთოდებით გარდაქმნა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რეგულუციური ტერორი. ასეთი მიდგომა, უკველად შეიცავს, რაცონალურ მარცვალს და ისტორიკოსებს შორის ძალიან ბევრი მომხრე ყავს. ეს არის რობერტის მოღვაწეობისადმი ერთი მიდგომა, რომელსაც გააჩნია თავისი პლიტები და მინუსები. საქმე ის არის, რომ რობერტის მოღვაწეობის ერთმნიშნელოვნად ნეგატიური შეფასება უპირატესად სუბიექტურია, ცალმხრივია და ემოციურ ხასიათს ატარებს. არ ითვალისწინებს პოზიტივს. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის, რომ იმ ექსტრემალურ სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა საფრანგეთში 1793 წლის მეორე ნახევარში, ინგლისების კონტრევოლუციის და ფედერალისტური ამბოხის სინთეზის შედეგად, იაკობინები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, მაგრამ მიუხდავად ამისა უნდა ითქვას, რომ იაკობინთა მოღვაწეობის შედეგი მეტად უმნიშვნელო იყო. იაკობინთა დიქტატურამ როგორც პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა სისტემამ კრახი განიცადა. „მავრმა გააკეთა საქმე, მავრი უნდა წავიდეს.“

საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს სუვერენული რესპუბლიკა. საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შედეგად, ბოლშევკიების ხელში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული შესწავლა სულ სხვა გზით წარიმართა. ამიერიდან აღნიშნული თემატიკის დამუშავებას ცალმხრივი ხასიათი მიეცა და დაექვემდებარა ერთი გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატურას. საკითხისადმი მრავალგარიანტული მიდგომა გამოირიცხა. განსხვავებული აზრი სასტიკად იდევნებოდა. თვით ისტორიკოსის

ფიზიკურ განადგურებამდე. საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ბოლშევიკებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური, ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, სტალინური ინტერპრეტაცია ძალად მოახვიესთავს ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელსაც მის წინააღმდეგ ხმის ამოღების არანაირი საშუალება არ გააჩნდა. რობესპიერის პორტრეტი ძალზე შელამაზებულ, ვარდისფერებში იქნა წარმოჩენილი. საბჭოთა ხელისუფლების პირველივე დღეებიდანვე რობესპიერი საბჭოთა ისტორიოგრაფიის საყვარელ გმირად იქცა. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შექმნა რობესპიერის ხატი, კულტი. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობა იყო. და მაიც მიუხედავად ამისა, ამ ვითარების ერთმნიშვნელოვნად შეფასება არ შეიძლება. წმინდა კონცეფტუალური ოვალსაზრისით რობესპიერის მოღვაწეობის შეფასების საკითხში რაიმე პროგრესზე საუბარი, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა იდეოლოგია, მიუღებელი იქნებოდა, საკითხის ემპირიულ, ფაქტოლოგიურ, მხარეზე ამას ვერ ვიტყვით. აქ წინ გადადგმული ნაბიჯი აშკარად თვალშისაცემი ჩანს და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, ვფიქრობთ მართებული არ უნდა იყოს. ეს აღნიშნული საკითხის აღექვატურ სურათს ვერ მოგვცემდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია აბსოლუტურად ამართდებდა რობესპიერის ყველა ნაბიჯს და ამის დასაბუთებას ცდილობდნენ „რევოლუციური აუცილებლობით“. მათ იმდენად შორს შეტოვეს, რომ თვით დანტონის სიკვდილით დასჯასაც კი უძებიდნენ გამართდებას. „განსასჯელთათვის ბრალდების წაყენება გარკვეულ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მნელი იყო, მაგრამ რესპუბლიკის უსაფრთხოება მოითხოვდა დანტონისტების დასჯას და ამან გადაწყვიტა მათი ბედი“<sup>23</sup> – წერდა აკად. ნ. ლუკიანი თავის წიგნში რობესპიერზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს პროფ. გრიგოლ ნათაძის სახელმძღვანელო „კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია“<sup>24</sup>. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის გადმოცემის დროს გრიგოლ ნათაძე, ბუნებრივია, ეხება რევოლუციის ლიდერების, მათ შორის მაქსიმილიან რობესპიერის მოღვაწეობას. ფაქტობრივად, ეს არის, ქართულ ისტორიოგრაფიაში რობესპიერის მეცნიერული მოღვაწეობის წარმოჩენის პირველი სერიოზული მცდელობა.

გრ. ნათაძე რობესპიერისადმი კეთილგანწყობილი ჩანს. იგი რობესპიერს და მარატს როგორც რევოლუციონერებს დანტონზე მაღლა აყენებს. შეიძლებოდა ამგვარ ხედვაში მარქსისტული მიღვომა დაგვენახა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა და

საკითხი გაცილებით უფრო რთულია. რობესპიერის მოღვაწეობისადმი გრ. ნათიძის დამოკიდებულება, პირველ ყოვლისა, მისი პოლიტიკური წარსელის ექიდ გაიყდერა, რომელსაც, რა თქმა უნდა, შეხების წერტილები გააჩნდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტულ კონცეფციასთან. მოხდა მისი ექირული შეხედულებების და მარქსიზმის პერიოდი. აქ აისახა საგებით რეალური ვითარება. გრ. ნათაძე ცდილობდა „ეპონომიური მატერიალიზმიდან“ მარქსიზმისაკენ ეფოლუციას. რობესპიერის მაღალ შეფასებას დამაჯერებლობა აკლია და საკამათოა.<sup>25</sup>

საფრანგეთის დიდი რევოლუციას ეხება ს. ძიმისტარაშვილის ნარკევი საფრანგეთის რევოლუციაზე, რომელიც სამეცნიერო-პოპულარულა ხასიათს ატარებს. ამ კულტურტრეგერულ მისიას უნდა ითქვა, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი და ქართველ მკითხველს ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა „მსოფლიო ისტორიოგრაფიის კლასიკურ თემაზე“, საფრანგეთის დიდი რევოლუციაზე. განსაკუთრებით დაეხმარებოდა ეს წიგნი სტუდენტებს და პედაგოგებს, რომელის მაშინაც და მნიშვნელოვან წილად დღესაც, განიცდიდნენ მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურის დეფიციტს.

ს. ძიმისტარაშვილის დამოკიდებულება იაკობინთა ტრიუმვირატის დაწერნის, რობესპიერის და მარატისადმი საგებით თავსდება 20-30-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და საგებით აკმაყოფილებდა იმპარინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს.<sup>26</sup> დღეს ამგარი მიღიომა, ცხადია, უკვე მოქვედებულია, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს და რეტრის სურნელი დაკრაგს.

რობესპიერის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში თავისი წონიანი სიტყვა თქვა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთმა კომპეტენტურმა მკვლევარმა პროფ. გივი კილურაძემ. პირველ ყოვლისა აღნიშვნის დირსია მისი ნაშრომი 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ. ამ გამოკვლევის მეცნიერული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტობრივად ე სარის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი სერიოზული ნაშრომი, რომელიც სპეციალურად, საგანგებოდ, რობესპიერის მოღვაწეობას მიეძღვნა. აღნიშნული პრობლემის გამოსარკვევად საგულისხმოა აგრეთვე „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან), სადაც რობესპიერის მოღვაწეობას ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი და „წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინურ ბლოკს შიგნით (დანტონისტები)“, სადაც რობესპიერის

მოღვაწეობა აღიქმება დანტონის საქმიანობასთან დაკავშირებით. ყველაფერი ეს შეიძლება ითქვას, რომ პატარა რობესპიერიანს ქმნის.<sup>27</sup>

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთული თემისადმი გაიღურადის მიღომა არის სოლიდური, შეცნიერული და ემყარება წყაროების და საკვლეო ლიტერატურის საფუძლიან ცოდნას და ღრმა გააზრებას. გ. კილურაძის ნაშრომებში თავმოყრილია უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა. ის ქართველ მკითხველს ცდილობს აღნიშნული საკითხის შესახებ მიაწოდოს საინტერესო ინფორმაცია და ჩაახედოს საფრანგეთის რევოლუციის პერიპეტიებში. სწორედ არის დასმული საფრანგეთის დიდი რევოლუციის მთელი რიგი პრინციპები საკითხები, ასე მაგალითად პერიოდიზაციის საკითხი. იგი ნაადრევად მიიჩნევს 1794 წლის 9 თერმიდოირს გადატრიალებით რევოლუციის დასრულებას, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და რევოლუციის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს განსაზღვრავს 1789-1799 წლებით. გვი კილურაძე დიდ ყურადღებას უთმობს საკითხის ისტორიოგრაფიას. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ამ შემთხვევაში ის ეზოპეს ენაზე ესაუბრებოდა მკითხველს და მიანიშნებდა თუ რა გზით შეიძლებოდა მიახლოვებოდა ჭეშმარიტებას. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს იყოს მისი მეცნიერ ხელმძღვანელის პროფ. ალ. ნამრაძის გავლენის გამოძახილი. პროფ. გ. კილურაძეს სავსებით ხელეწიფებოდა რობესპიერის მოღვაწეობის რთული პერიპეტიების მეცნიერული გააზრება, ინტერპეტაცია, მაგრამ აქ იგი შეზღუდული იყო და უნდა დამორჩილებოდა მარქსისტული იდეოლოგიის „დიქტატურა“. რობესპიერის მოღვაწეობის მეტისმეტად მაღალი შეფასება და დანტონის რევოლუციური საქმიანობისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აისხებოდა. სხვა არჩევანი მაშინ არ არსებოდა.

ინტერვენტებზე გამარჯვება და შიდაკონტრევოლუციის დამარცხების შემდეგრმა კარგად ვერ აუღო ალღო ახალ პოლიტიკურ ვითარების და კვლავ ძალაში დაბოვა ტერორი, რაც მის პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობაზე არ უნდა მიგვანიშნებდეს. 1794 წელს ტერორი რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებიდან რობესპიერის ხელში გახდა პირადი ანგარიშსწორების იარაღი და ძალაუფლების შენარჩუნების საშუალება. 1794 წელს იაკობინებმა პრაქტიკულად ვერ განახორციელეს ვერც ერთი სოციალ-ეკონომიკური ღონისძიება, რომელიც გვაფიქრებინებდა, რომ რევოლუციის აღმავალი გზით განვითარება არ გასრულებულა. ამას იაკობინებიც ქარგად

ხედავდნენ. სენ-ჟიუსტის თქმით „რევოლუცია ერთ ადგილზე გაწერდა, გაიყინა“. რობესპიერის მოღვაწეობისადმი ასეთი კრიტიკული მიღღომა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის მანძილზე არ იგრძნობოდა. ქართული ისტორიოგრაფია იძულებული იყო ხარგი მოეხადა გაბატონებული იდეოლოგიისათვის. ეს იყო „ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

რობესპიერის მოღვაწეობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი პროფ. გიგი კილურაძის სადოქტორო დისერტაციაში „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს“. აქ დამაჯერებლადა ნაჩვენები რობესპიერის და განსაკუთრებით სენ-ჟიუსტის როლი საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზების საქმეში<sup>28</sup>, რასაც კონსერვატიულად განწყობილი ისტორიკოსები გულმოდგინედ უგულვებელყოფდნენ, როგორც წინათ ისე ახლა.

1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების განხილვის დროს რობესპიერის საქმაინობას ეხება პროფ. კოტე ანთაძე თავის წიგნში „ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟ აზიული რევოლუციის ისტორიიდან“<sup>29</sup>.

1793 წლის კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ ეირონდისტებსა და იაკობინებს შორის ამტკიცა მწვავე პოლემიკას ეხება პროფ. ნ მამუკელაშვილის საკანცილიდაცო დისერტაცია. ბუნებრივია, აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ დაპირისპირების დროს რობესპიერის პოზიციას. ავტორის თვალსაზრისით, უირონდასა და იაკობინებს შორის ასეთი უშედავათო დაპირისპირება, „მათ შორის სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში არსებული შეუთანხმებლობით იყო გამოწვეული“<sup>30</sup>.

მაქსიმილიან რობესპიერის მოღვაწეობას ეხება ისტორიკოს გიორგი ბეჭედიშვილის სტატია „რობესპიერი (მოქალაქე და რევოლუციონერი)“<sup>31</sup>. ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და ქართველ მკითხველს მოუთხოობს რობესპიერის როლზე საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს.

აუცილებელია რობესპიერის მოღვაწეობის გაწონასწორებული შეფასება, უკიდურესობების გარეშე. ამისათვის კი საჭიროა გამოყოფილი პერიოდი, როდესაც რობესპიერის პოლიტიკა შეესატყისებოდა რევოლუციის პროცესის განვითარებას. 1793 წლის ზაფხული და შემოდგომა და როდესაც მისი მოქმედება ადარ პასუხისმგებლა რევოლუციის ინტერესებს, განსაკუთრებით 1794 წლის ზამთარში და გაზაფხულზე. იაკობინებმა არა იმდენად სუბიექტურად, რამდენადაც ობიექტურად, ტოტალური ომის პირობებში, ვერ მოახერხეს გამოენახათ ის საშუალებო ხაზი, მოექმენათ კერძო და საერთო ინტერესების ის ჰარმონია, რომელსაც ეყრდნობოდა სამოქალაქო საზოგადოება. იაკობინთა

რესუბლიკაში არ აღმოჩნდა ლეგალური ადგილი კერძო ინტერესების და მათი გამოვლინებებისათვის. დაპროგრამებული აღმოჩნდა არა რევოლუციური მთავრობის კონკრეტული დონისძიებები არამედ მთლიანად იაკობინთა დიქტატურა. ასეთი იყო იაკობინიზმის რეალობა და ილუზიება.

1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი დაიშალა. წერტილი დაესვა ერთი მარქსისტული იდეოლოგიის დიქტატის. საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ქართულ ისტორიოგრაფიას საშუალება მიეცა საკუთარი არქევანი გაეკათებინა. უაქტობრივად შეიქმნა წანამდგრები საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნებისათვის. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში მომხდარი მკვეთრ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფერისცვალებას წინ უსწრებდა, შეიძლება ითქვას, რომ თოთქმის დაემთხვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავი. რევოლუციის იუბილე კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტული კონცეფციის გადასინჯვა, რევიზია. საქართველოში რობესპიერის როლის გააზრება ახალ ფაზაში შევიდა. ეს პერიოდი დღესაც გრძელდება.

მაქსიმილიან რობესპიერის მოღვაწეობის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად, ახალი ისტორიის ქართული სასკოლო სახელმძღვანელო, უნდა მივიჩნიოთ. პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ ახალ სახელმძღვანელოში ჯეროვანი ყურადღება ექცევა რევოლუციის ყველა ეტაპს, კონსტიტუციურ მონარქიას, უირნდისტულ კონვენტს, იაკობინებს. რაც საბჭოთა სახელმძღვანელოების შემდეგ სერიოზილ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. საბჭოთა ბელადების, ვ. ლენინის და განსაკუთრებით ი. სტალინის ძალისხმევით საბჭოთა სახელმძღვანელოებში დამკიდრდა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციისადმი იაკობინცენტრისტული მიდგომა, რაც იმით გამოიხატება, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ იაკობინთა დიქტატურას, ხოლო რევოლუციის სხვა მონაკვეთების მიმართ გაუმართდებელ გულგრილობას იჩენდნენ. ი. სტალინმა ეს სქემა ძალით, ბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით, თავს მოახვია საბჭოთა ისტორიოგრაფიას, რომელსაც ამის წინააღმდეგ ხმის ამოღების არანაირი საშუალება არ ჰქონდა. ამის აღტერნატივა ფიზიკური განაღებურება იყო. ეს სქემა დამკიდრდა როგორც საშუალო სკოლის ისე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში და მეცნიერულ გამოკვლევებში.

ახალ ქართულ სახელმძღვანელოში მოსწავლეები ნახავენ იაკობინთა ლიდერების უორუ ჟაპ დანტონის, მაქსიმილიან რობესპიერის და უან პოლ მარატის მოკლე პიოგრაფიულ ცნობებს. მოცემულია მათი მოდგაწეობისადმი უფრო გაწონასწორებული მიდგომა. ხაზგასმულია ინტერესნებების და შიდა კონტრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხალხის მობილიზაციის საქმეში რობესპიერის დამსახურება. ახსნილია რობესპიერის დაცემის მიზეზები. „საგარეო საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ „ჭაობმა“ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა იაკობინები, რომელთა ტერორი და „მაქსიმუმი“ აფერხებდა თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას“<sup>32</sup>

იმ კარგ ტრადიციის, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა ახალი ისტორიის ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოში, გაგრძელებად გვევლინება საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურა.

რობესპიერის მოდგაწეობის შეფასების დროს არსებული უკიდურესობის თავიდან აცილებას უსვამს ხაზს მერაბ კალანდაძე თავის სტატიაში რობესპიერზე. ეს აზრი აქვს გატარებული მას თავის მონოგრაფიაში „დასავლეთ ევროპის შეუ საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში „საფრანგეთის ისტორია, ეულტურა, გეოგრაფია“ და სამეცნიერო შრომებში.<sup>33</sup>

პროფ. ვ. თვალიანის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიას და ბუნებრივია ფართოდაა განხილული რობესპიერის მოდგაწეობა.<sup>34</sup>

მაქსიმილიან რობესპიერის მოდგაწეობაზე ჩერდება თავის სახელმძღვანელოში „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“ ისტორიკოსი დავით ლომსაძე. ხაზგასმულია რობესპიერის პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი<sup>35</sup>.

აქცენტების გადატანა რობესპიერის პოლიტიკის უარყოფით მხარეებზე ცხადია, არ დირს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნას არასოდეს არ მოუტანია სიკეთე.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტული გაგება ბოლომდე დაძლეული მანიც არაა. მთავარია რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ყინული დაიძრა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა გასაკეთებელი, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ ბევრია. პირველ რიგში უნდა შეიქმნას სოლიდური სამეცნიერო პოპულარული ხასიათის ნაშრომი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და მის ლიდერებზე, მათ შორის, რა თქმა უნდა, რობესპიერზე. საერთოდ უნდა ითქვას,

რომ ახალი ისტორიის პოპულარიზაციის თვალსაზრისით გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

რა თქმა უნდა, რობესპიერი არ ყოფილა არც „საშინელი, საზიზდარი ურჩხული“ და არც „წმინდანი, ანგელოზი“. საჭირო რობესპიერის მოღვაწეობისადმი უფრო გაწონასწორებული დამოკიდებულება. ამ საშუალებო ხაზის გამოძებნა რობესპიერისადმი პოლიტიკური სიმპათიების ან ანტიპათიების გამო, ცხადია, არ იქნება ადვილი საქმე. აქედან გადახრები, უკიდურესობები. პოლემიკა რობესპიერის მოღვაწეობოს ირგვლივ არ აღბათ კიდევ დიდხანს გასტანს. რას იზამ „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა“.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ისტორიკოსები რობესპიერზე – კრებული მიძღვნილი ვ. ივანოვის და რ. ლასკარის სსოვნისადმი, თბ., 2007. მ. კალანდაძე, სენ-ჟიუსტის შეფასება ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში – პროფესიონალ-მასწავლებელთა საინსტიტუტთაშორისო სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1989.
2. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში - „საქართველოს კომუნისტი“ №7. 1989. ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული აზრისაა პროფ. ვ. დონაძე. ის ფიქრობს, რომ ქართველმა პუბლიცისტებმა მოგვცეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის „თანამიმდევრული რადიკალურ-დემოკრატიული შეფასება“. ვ. დონაძე, აფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978. გვ.42. ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, დაზუსტებას საწიროებს
3. ვ. დონაძე, დასახ., ნაშრ., გვ.43-44.
4. დ. მიქელაძე, საფრანგეთი, პარიჟიდან, „დროება“, 1871. №1. 6. ნიკოლაძე, საფრანგეთის შინაგანი მდგომარეობა, „დროება“, 1870, №40. 6. ნიკოლაძე, თხზულ. ტ.2. გვ. 431. ვ. დონაძე, დასახ., ნაშრ., გვ. 44-46.
5. 6. ნიკოლაძე, თხზ., ტ.2. გვ.431.
6. 8. კალანდაძე, დანწონი, რობესპიერი... ქართული საზოგადოება – ქურნ. „საზრისი“, 1990. №21-22.
7. A. Олар. Политическая история французской революции. М.: 1938. С. 516-517.
8. მ. კალანდაძე, დანწონი, რობესპიერი... – ქურნ. „საზრისი“, 1990. №21-22. გვ.54-55.
9. ვ. ლოროქიფანიძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია (1789-1792), თბ., 1906.
10. იქვე, გვ. 3.

11. ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1999. დ. შეეღიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, თბ., 1993.
12. ბ. უორდანია, საფრანგეთის ისტორიიდან, დიდი რევოლუცია, თბ., 1906.
13. ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1804-1917 წლებში, თბ., 1978.
14. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006 გვ. 174.
15. დ. უზნაძე, ო. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX სს.), თბ., 1919. გვ. 106.
16. იქვე, გვ. 93-94.
17. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორია (XVI–XVIII საუკუნეებში) თბ., 1920. გვ. 174.
18. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920. გვ. 156-157.
19. დ. უზნაძე, ო. გველესიანი, დასახ. ნაშრომი. გვ.107-109. ს. ავალიანი, დასახ. ნაშრომი. გვ. 156. აღ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ახალი საუკუნეები, თბ., 1920 გვ. 73-74.
20. ს. ავალიანი, დასახ. ნაშრომი. გვ.174-175.
21. აღ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი. გვ. 73.
22. თ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 156.
23. ჩ. ლუკინ. ჩინებულებები. მ. : 1919. С. 142.
24. გრ. ნათაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია. თემა 2. კაპიტალიზმის ისტორიიდან. თბ., 1931.
25. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შეა საუკუნეების და ახალი ისტორიის, შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999. გვ. 101-102.
26. ს. ძიმისტარაშვილი, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, თბ., 1931.
27. გ. კილურაძე, „ვანტოზის დეკრეტები“ (იაკობინთა დიქტატურის ისტორიიდან) – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69. 1958, გვ. 351-384. გ. კილურაძე, 9თერმიდორის გადატრიიალების შესახებ – უნივერსიტეტის შრომები, ტ. 107. 1964, გვ. 191-227. გ. კილურაძე, წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინთა ბლოკს შიგნით (დანტონისტები) - უნივერსიტეტის შრომები, ტ.87, თბ., 1960. გვ. 189-215.
28. გ. კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან. (ახალი არმიის ორგანიზაცია), თბ., 1963. გ. კილურაძე, საფრანგეთისარმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792 წლები), თბ., 1982.
29. კ. ანთაძე, ნარკევენი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978.

30. Н. Мамукашвили. Борьба за демократизацию политического строя Франции в первой половине 1793 года – Автореф. дис. кандидата истор. наук, Тб., 1986. б. მამუკაშვილი, ესტ. ანტუან კონდორსე და საფრანგეთის პირველი კონსტიტუცია, – პროფესორ ალექსანდრე ნამორაძის დაბადების 100 წლისთავი. (ერთიანი სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1990, გვ. 39.
31. გ ბეჭუაშვილი, რობერსპიერი (რევოლუციონერი და მოქალაქე), ღროშა, №7. 1988.
32. ბ. მამუკაშვილი, ახალი ისტორია, თბ., 2005. გვ. 93.
33. მ. კალანდაძე, რობერსპიერი, გაზეთი: თბილისი 28 ივლისი, 1989. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის „თეორი დაქები“, ჟურნ. „კლდეგარი“, №2. 1997. გვ. 145-149. მ. კალანდაძე, დასაგლეთ ევროპის შეა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში...გვ.101-102 თბ., 1999. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006. (აქ საუბარია იაკობინთა აგრარულ პოლიტიკაზე, რომელიც მნიშვნელოვანწილად რობერსპიერსაც შეეხება).
34. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, წიგნი 2. 1640-1815 წწ. თბ., 1999.
35. დ. ლომსაძე, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ნაწ., 1. თბ., 1998.

### Summary

#### **Tamar Antadze, Merab Kalandadze, Robespierre in Georgian Historiography**

This work delas with the study of Maximilien Robespierre's life and public work in Georgian Historiography.

The attitude towards Robespierre's personality in Georgian historiography and periodical press, having very interesting history, can be divided into several periods.

In the beginning of the 20<sup>th</sup> century Georgian society was based on liberal values. From this point of view the study of historical manuals published in independent Georgia in 1918-1920 are of great interest.

During the soviet period Georgian Historiography was obliged to share Marxist estimation of Robespierre's life. Georgian historians were forced to idealize public work of Maximilien Robespierre.

Modern Georgian historiography tries to neglect old Marxist attitudes towards the French revolutionist and holds the balanced position.

**Резюме**

**Тамар Антадзе, Мераб Каландадзе  
Робеспьер в Грузинской историографии**

В настоящем труде рассмотрена одна интересная тема: изучение жизни и деятельности Робеспьера в Грузии.

В оценке деятельности Робеспьера публицистика и историография Грузии претерпели сложную эволюцию и разделили материал на несколько этапов.

Первоначально грузинское общество преимущественно было ориентировано на прогрессивно-либеральные ценности. С этой точки зрения интересны изданные в 1918-1920 г.г. в независимой Грузии учебники по новой истории. Такой подход имеет свои минусы и плюсы.


Грузинской историографии советского периода насилием навязали марксистскую оценку деятельности Робеспьера, где его личность представляется, в основном, в розовых тонах, сильно преукрашиваются.

Идеализировать Робеспьера, естественно, не стоит, это лишнее.

Новейшая грузинская историография старается избавиться от марксистского подхода к деятельности Робеспьера и пытается занять более уровновешенную позицию.

## ლაშა სულაქველიძე

### საქართველო ევროპავშირის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში



„ქველად თავისუფალი აზროვნება არ იყო ნებადართული, დღეს მხოლოდ იმის აზროვნება შეიძლება, როგორც უნდათ, რომ იაზროვნო. ....თავისუფლების მეორე მხარე ის არის, რომ ყველას უფლება აქვს ილაპარაკოს და წეროს, ....მაგრამ „დემოკრატიის თავისუფლებას“ შეუძლია ყოველივე „ჭეშმარიტებას“ სიჩუმის საშინელი ცენზურით სიკვდილი მიუსაჯოს, თუ არ ისურვებს ამ „ჭეშმარიტების“ გავრცელებას. ოსვალდ შპენგლერი, გერმანული ფილოსოფიის, კულტურის ისტორიის თეორეტიკოსი, პუბლიცისტი (1864- 1936წწ.).

სამწუხაროდ, ქვეყნად უპაშ ხანგრძლივად მიმდინარე პოლიტიკებული დაპირისპირებისას პოლიტიკური სუბიექტები, თავიანთი პლატფორმის კონკრეტული საზღვრების დაცვის გარეშე, მხოლოდ საკუთარი სურვილების შესაბამისად წარმოადგენებს მომგებიან საარჩევნო დაპირებებს.

ცხადია, ყოველივე იწვევს მოსახლეობის არასწორ ინფორმირებას. ხოლო, რადგან დიდი ხანია მემარცხენე პოლიტიკურ პლატფორმაზე შავი პიარი მიმდინარეობს, ევროკავშირის პოლიტიკური სპექტრი მემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტებით კომპლექტდება. დაპირება კი, რომელიც არ შეესაბამება პარტიის საყველოთაოდ აღიარებულ პლატფორმას და ამოცანას, ბუნებრივია, არ სრულდება და არჩევნების შემდეგ საპის ბუშტივით უკალოდ ქრება.

ამიტომ აუცილებელია, განიმარტოს დღვევანდებ პოლიტიკურ რეალობაში არსებული პოლიტიკური პლატფორმათა ძირითადი მიზნები, ამოცანები და შესაძლებლობები. რადგან ისევ შპენგლერს თუ გავისევნებოთ „არჩევნები ანგარიშია და სახელმწიფო თანამდებობები გამარჯვებულების ნადავლი... არჩეულები თავიანთ თავს ამომრჩევლების საყვირად კი არ გრძნობენ, არამედ ყოველ დონეს მიმართავენ, ამომრჩევლები საკუთარი სურვილების მიხედვით ამუშაონ, სიძლიერისაკენ სწრაფვა თეორიაზე ძლიერია.

ბოლოს კი მესსიერებიდან ქრება დაპირება და აპარატი მუშაობს ავტომატურად". ასეთია ისტორიული მესსიერება და ანალიზი.

მე კი ვიმედოვნებ, რომ ჩვენმა ქვეყნაში შპენგლერისეული ჩამოთვლილი ეტაპების ნაწილი უკვე გაიარა. თუმცა პროგრესი, რომელიც შემდგომმა პერიოდებმა მოიტანა, გამოიხატება, ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში არსებულ ოპენენტ პლატფორმათა აუცილებელ არსებობასას და შემდგომ მათ კონსტრუქციულ ურთიერთობაში.

კერძოდ, მემარჯვენე პლატფორმის ჭეშმარიტად დადგებითი შედეგი კლინდება მხოლოდ მაშინ, როცა მისი მოქმედების არეალი შეჯერებულია მემარცხენე პლატფორმის აქტუალური მოხსოვნილებებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული პოლიტიკური ფორმაციის კანონმდებლობა განიცდის მემარცხენე იდეოლოგიის დეფიციტს და, მაშასადამე, უკოლუციის გზით არ იძლევა საშუალებას მასში არსებული სოციალური ფენათა თანამდებობისა და შემდგომი განვითარებისათვის, ქმნის ობიექტურ რეალობასა და გამართლებას რევოლუციის განხორციელებისათვის.

ამიტომ მინდა ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში სხვადასხვა პლატფორმის არსებობის აუცილებლობა განვიხილო. რადგან ქვეყნა მნიშვნელოვნად მოიგებდა მათი პარტნიორული ურთიერთობით.

ამ თვალსაზრისით, საჭიროა შევაფასოთ წარსული პოლიტიკური თეორიების მემკვიდრეობა.

ჯერ კიდევ, 1945 წელს მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ინგლისელი პოლიტოლოგის კარლ პოპერის შექმნილმა თეორიამ, „დია საზოგადოების" უპირატესობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პოპერისეული თითქმის აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე აღიარებული თეორია, 1996 წელს უკვის ქვეშ დააყენა ამერიკელმა მოაზროვნებ და პოლიტოლოგმა თავად ჯორჯ სოროსმა, თავის ესეებში „გაპიტალიზმის საფრთხე". მაშასადამე საზოგადოებრიობის განვითარების უნაკლო მოდელის შექმნის იდეა, ყოველთვის ექცევა განვითარების ჩიხში, როდესაც რომელიმე მემარცხენე თუ მემარჯვენე პოლიტიკური პლატფორმის გაიდეალების მცდელობა იწყება.. სამწუხაოოდ, ჩვენთან მემარცხენე პოლიტიკური პლატფორმა დღესაც მხოლოდ კომუნისტურ რეჟიმთან არის ორიენტირებული.

თავად, მემარცხენე პოლიტიკური პლატფორმის ფართო სპექტრის გამო, ცნობილია, სოციალიზმის სხვადასხვა ფორმა: კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი, რეაქციული სოციალიზმი, ბურჟუაზიული სოციალიზმი, გერმანული ანუ „ჭეშმარიტი"

სოციალიზმის ნაირსახეობა, დემოკრატიული სოციალიზმი, კომუნისტური სოციალიზმი, ქრისტიანული სოციალიზმი და სხვა. უნდა გავთხსენოთ აგრეთვე, რომ მსოფლიოში აღიარებული, ცნობილი ადამიანები; ანატოლ ფრანსი, ბერნად შოუ, რომენ როდანი, ჰემინგუეი, ჰაინრიხ შანი, ჩარლი ჩაპლინი, თეოდორ დრაიზერი, შტეფან ცვაიგი, პაბლო პიკასო და მრავალი სხვა დადგებით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ სოციალიზმის მიმართ.

საბჭოთა კავშირის დამარცხებამ, საერთაშორისო პოლიტიკის შემდგომ განვითარებაზე, მემარცხენე იდეოლოგიის გავლენა მნიშვნელოვნად შეაფერხა. არადა, არსებული პროგრესის მიღწევაში მათი როლიც არანაკლები და თანაბარი გახლდათ. რადგან მემარცხენე იდეოლოგიის მთავარი პრინციპი, შეესაბამება კაცობრიობის პროგრესული განვითრების ძირითად მიზანს, და გამოიხატება; ყველა სოციალურ ფენის თანარსებობისა და თანაცხოვრების აუცილებლობაში. ამიტომ მემარცხენე პლატფორმა ნებისმიერი ახალი პოლიტიკური ფორმაციის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების ძირითად წყაროსა და საშუალებას წარმოადგენს. თავის მხრივ, თანამედროვე მემარცხენე იდეოლოგიის ძირიებულებაა: თავისუფლება, სამართლიანობა, სოლიდარობა და ამ ფონზე პირველ პლანზე განიხილავს ჯერ\_სახელმწიფოსა და შემდგებ პიროვნების კერძო ეკონომიკურ ინტერესებს. თანამედროვე მემარცხენე პლატფორმის მთავარი ლოზუნებებია; კერძო საკუთრება ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია და საზოგადოებრვი რეგულირიბა ყველგან სადაც ეს აუცილებელია,” „მაქსიმალური ნაყოფიერება, მაქსიმალური მოგება, მაქსიმალურად სამართლიანი გადანაწილება.” ეს ლიტონი სიტყვები არ არის. რაც საბჭოური, არცოუსამართლებრივი სოციალიზმის დროსაც კი, გაცილებით მოწერილი გახლდათ. ცხადია, თანამედროვე მემარცხენე პლატფორმის სამართლებრივი ბაზა გაცილებით უკეთეს შედეგებს მოგცემს ხოლო გასული წლების არასოლიდურმა, ვითომ ეროვნულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენი სოციალური ფონის მკვეთრ გაუარესებას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა და ეთნო-კომენტირებს.

საინტერესოა მემარჯვენე იდეოლოგიის უმთავრესი თეზისის დებულებები; პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლებისა და უფლებების შესახებ.

II საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა, ინდივიდის კერძო ეკონომიკური მფლობელობის ანუ, პირადი ინტერესების გათვალისწინება.

მკვეთრად მემარჯვენე პლატფორმის, კონსერვატიზმის პოლიტიკურ იდეალს ასე ახასიათებენ; „იყო მემარჯვენე და

კონსერვატორი, ნიშნავს: „უპირატესობა მიანიჭო ცნობილის უცნობთან შედარებით, პრაქტიკით შემოწმებულს გამოუცდელთან შედარებით, ფაქტს მოგონილთან, ჩვეულებრივს სრულყოფილთან და ა.შ.” მ.უოკშიტი. ეი უგულველყოფებებ არსებულ პირობებში იმ სოციალურ ფენათა ინტერესებს, რომელთა ცხოვრების პირობები, თუნდაც მონურ ყოფას შეესაბამება და აუცილებლად საჭიროებს შემდგომ განვითრებას.

თავის მხრივ, მემარჯვენე და მემარცხენე პლატფორმების იდეოლოგიაში არსებული ბევრი პოზიტიური მახასიათებლების გამო, კომუნისტურ-კაპიტალისტური მასშტაბური დაპირისპირება კაციობრიობის პროგრესული განვითარების დაქარებით წარიმართა. რადგან საზოგადოებრიობა დინამიურად რეაქციული მემარჯვენე იდეოლოგიის შედეგის, ველური კაპიტალიზმისა და ასევე, რადიკალურად მემარცხენე პოლიტიკური პარტიის რეჟიმის, კომუნისტური მმართველობიდან გათავისუფლდა. რითაც, ჭეშმარიტად ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობითი ფორმის მოდელი ჩამოყალიბდა და ამ მოდელის არსებობისათვის, მახასიათებელი მემარცხენე და მემარჯვენე პლატფორმათა აუცილებლობა დადასტურდა.

ამავე დროს, მემარცხენე პლატფორმის მიმართ მემარჯვენე ძალების ძალისხმევით განხორციელებულმა შავმა პიარმა და თავად კომუნისტურმა არაცოუსამართლებრივმა პოლიტიკამ, საბჭოთა კავშირის დამარცხებამდეც, მემარჯვენე იდეოლოგიის მნიშვნელობის გაიდგალება და, შესაბმისად, ამ იდეოლოგიის სამართლებრივი განვითარების შეფერხება გამოიწვია. (რადგან გაიდგალება, შემდგომ განვითარებას გამორიცხავს).

შესაბამისად, თანამედროვე მმართველობაც, ძალიან ხშირად, არა მხოლოდ დაწერილი კანონებით და უფლებებით ხორციელდება, არამედ „დაუწერილი კანონებით”, მოპოვებული კომპრომატებითა და შესაბამისი ძალადობით. ხოლო, კანონის უზენაესობისა და მორალური პრინციპების დაცვის გარეშე, კერძო ინდივიდუალური განუსაზღვრელი შესაძლებლობების ფონზე არსებული, პიროვნული თავისუფლება ადამიანთა მოთხოვნილებებს უსახრულოდ ზრდის, თვით არქეტიპულ გამოვლინებამდე. ამიტომ, მის მიერ შესრულებული ქმედება, დიდი შესაძლებლობებითა და შიშველი ინსტინქტებით ძალიან დიდი საფრთხის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე წინ, კერძო ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინებამ, კაციობრიობას პროგრესული განვითარების შეფერხების საშიშროება შეუქმნა, თფშერული ზონებით, კაზა ნოსტრებით, ალ-

კაპონეებითა, სხვა მრავალი მათი მსგავსებით და ეკოლოგიური პრობლემებით.

მით უფრო, მემარცხენე პლატფორმის სამართლებრივი ბაზის გარეშე, ხელი ეშლება თავად მემარჯვენე პლატფორმის ორიენტირების დაცვასა და განვითარებას. (გავიხსენოთ, ამ ბოლო დროს, კერძო საკუთრების ხელშექმნებლობის დაღვევის საგულისხმო რაოდენობა, ან საზოგადოების უკავიყოფილება მცირე მეწარმეთა არასათანადო ხელშეწყობასთან დაკავშირებით).

ხოლო ცალსახა მემარჯვენე პლატფორმის გაიდეალებით ჩამოყალიბებული ნეოლიბერალიზმი (რომლის თვეორიტიკისად ითვლება მფრიდანი, კაპიტალი, კერძო ვიტეზით მისაღები იყოს ჩვენი ქვეყნისათვის. რადგან ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიის მიხედვით, ეკონომიკური მექანიზმების დაყრდნობა საზოგადოებრივ დარგინიზმები, უგრეთ წოდებულ ბუნებრივ (ე.ი. ძლიერ ბიოლოგიურ ინსტინქტებზე ორიენტირებულ) გადარჩევაზე, ჩვენი მცირერიცხოვან ქვეყნის სამართლებრივ განვითარებას მნიშვნელოვნად შეაფერხებს. მით უფრო, მაშინ, როცა ვერ ვფლობთ მემარჯვენე პლატფორმით მართვის მთავარ ბერკეტებს. მაგალითად, განვითარებული დასავლეთის ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, იმ ძლიერი ეკონომიკური სივრცეების შესაბამისად იმართებიან, რომელიც ჯერ სანგრძლივმა ველურმა კაპიტალიზმა, შემდეგ ლიბერალურ-დემოკრატიულმა მმართველობამ მოიგანა ეკონომიკური დოკლათითა და ჩრდილოვანი ეკონომიკით. მთელი მოპოვებული კაპიტალი კი, სახელმწიფოებრივი მართვის მოქნილი პოლიტიკით, ამ პლატფორმის მთავარი ბერკეტით, საიმედო საბანკო სისტემის საშუალებით, ძირითადად ამავე ქვეყნების შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას ხმარდება. ხოლო, ძლიერი ეკონომიკა, ცალსახა პოლიტიკის დროსაც კი, მემარცხენე ორიენტირების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ცხადია, საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობით გამოწვეული, საშუალო ფენის კანონმორჩილებასთან და მემარცხენე პლატფორმის შესაბამისი პროგრამების მქონე, არასამთავრებო ორგანიზაციებთან ერთად განაპირობებს ამ ქვეყნების პროგრესულ განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში კი, (შავი თუ თეთრი ბიზნესით) მოპოვებული კაპიტალი (ჩვენი პრეზიდენტის ადრე მოძიებული ინფორმაციითაც) ოფშერულ ზონებსა და სხვა ქვეყნების პრესტიულ ბანკებში გაედინება. შესაბამისად ჩვენი მდიდარ სუბიექტთა ეკონომიკური შესაძლებლობები, ხშირად საერთაშორისო მაღალი სტანდარტებისაა (ზოგჯერ აღემატება კიდეც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს). ამიტომ მათ, კერძო პირადი მოტივაციით, მაღალი თავისუფლად შეუძლიათ კონკურენცია

გაუწიონ და დააბრკოლონ კიდეც ჩვენი ქვეყნის ისედაც დასუსტებული ეკონომიკის განვითარება.

ამიტომ თავად დასავლეთის ქვეყნებშიც, ის თვალშისაცემი საოცნებო გრანდიოზული კეთილდღეობა, მუდმივად დგას მომენტალური გაკოტრებისა და განადგურების ბეჭვის ხიდზე. რადგან სახელმწიფოსა და დიდი ეკონომიკური მფლობელთა ინტერესები, ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. გავიხსენოთ, მაფიოზური მკვლელობები, ადამიანთა გატაცებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაშიც უკვე, საქმის მოწესრიგების და ანგარიშისწორების არაიშვიათი ფორმა გახდა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, მიუხედვად დასავლეთის ქვეყნების კერძო ეკონომიკური მფლობელობის მიმართ გამორჩეული ქომაგისა, ამ ქვეყნებში კერძო ეკონომიკურ მფლობელთა პროცენტული რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩვენს ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში. ვერ ვიტვით, რომ აღნიშვნული დადებითად ახასიათებდეს ამ ქვეყნებში, კაცობრიობის ევოლუციური განვითარების ძირითადი მიზნის, ყველა სოციალური ფენის თანაცხოვრებისა და თანაარსებობის შესაძლებლობის მაჩვენებელს.

ხოლო, ყოველი ხელისუფლების მმართველობის პროგრესული ხასიათი განისაზღვრება იმით, თავისი კანონმდებლობით რამდენად უკეთ უზრუნველყოფს იგი, წინა ხელისუფლებასთან შედარებით, ქვეყნად არსებული ყველა სოციალურ ფენათა შორის თანაარსებობისა და რეალიზების შესაძლებლობას, საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ეტაპიდან შემდგომი განვითარების გათვალისწინებით.

ცალსახა მემარჯვენე კანონმდებლობის გამო არის არსებული ბრალდებების დამტკიცება ასე ძნელი (ისე, როგორც თავის დროზე დასავლეთში, თავად ალ კაპონესაც ვერ წაუკენეს თავისი დანაშაულებრივი ქმედებების შესაბამისი ბრალდება) და ძალიან აღვილი სახელმწიფო მოხელეთათვის რამდენიმე ათასლარიანი ხელფასებისა და პენსიების დანიშვნა და საყოფაცხოვრებო გადასახადების ზრდის აუცილებლობის მტკიცება. ხოლო ასე როული სამარცხევინო პენსიებისა და ხელფასების საარსებო მინიმუმამდე გაზრდა, რაც ლარის კურსის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

აქ ლოგიკური იქნება დავაფიქსიროთ ასევე აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ა.გორის მოსაზრება, რომელიც თავის წიგნში „დედამიწა სასწორის თევზშე“ წერს; „კაპიტალიზმის მოდელი ამოიწურა, მის წიაღში ნაციონალური განვითარების გზაზე გონივრული არჩევანი არ არსებობს, ხოლო მისი გამეორება ცოგილიზაციას სრულ კრახამდე მიიყვანს,“ რადგან იგი ნერგავს

ფულის კულტის ფსიქოლოგიას, ქმნის ისეთ ძლიერ სოციალურ-ეკონომიკურ დაყოფას, რომ ამასინჯებს ადამიანური ყოფის არსეს და ამიტომ არ იძლევა საშუალებას ცივილი-ზაკის შემდგომი განვითარებისათვის.

ამავე მოსაზრებებს ავითარებს ეპროპული ინტელექტუალიზმის ერთ-ერთი ბურჯი ხოსე ორტება ი გასტიო, „ჩემი აზრით, ეკროპამ ახლო მომავალში დიახაც, შეიძლება ენთუზიაზმით მიიღოს სოციალისტური დოქტორინა, მაგრამ ეს მათი პროპაგანდის წყალობით არ მოხდება, არამედ მისი საპირისპირო ქმედებებით“ („მსათა ამბოხი“). სწორედ ამიტომ, მეცნიერების ვარაუდით, კაციობრიობა აუცილებლად გადავა ჰეშმარიტად საკაცობრიო ღირებულების ქმონე ახალ სისტემაზე სოცკაპიტალიზმზე. სადაც მოხდება კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ძირითადი მონაპოვრების შერწყმა. პირველ რიგში, კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკური პრინციპების. მაგალითად, სოცკაპიტალიზმში მისაღები იქნება, საკუთრების სხვადასხვა სახე, როგორც საზოგადოების ისე, კერძო, პირადი ინტერესების დასაქმაყოფილებლად. ხოლო იდეოლოგია მისაღები თანდათანობით გახდება ყველა სოციალური ფენისათვის.

შესაბამისად, ბევრი სახელმწიფო თავის ეკონომიკას სწორედ აღნიშნული პრინციპების შესაბამისად, ამ ორი იდეოლოგიური ძალის დაბალანსებული პოლიტიკით წარმართავს და, შესაბამისად დიდ წარმატებასაც აღწევს. მაგ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, შვედეთი, ინგლისი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ყოფილი დსთ-ის ზოგი სახელმწიფო, მათ შორის რუსეთი და ა. შ.. ცნობილი პოლიტოლოგები კი, უახლოეს მომავალში, ზესახელმწიფოს რანგში სწორედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ასახელებენ. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მიმდინარე არჩენებმა ბევრი პოლიტიკის გარეშე, შეასრულოს მისია და მიზანი, აუცილებელია არსებული პოლიტიკური საქმებრივის დაბალანსება მემარცხენე პარტიებით. მით უფრო; საქართველოს მემარცხენე პარტიების პოლიტიკური პლატფორმა ეყრდნობა არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ პრინციპებებს, არამედ შესაბამისობაშია ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ძირითად საფუძვლებთან. გავიხსენოთ, ილია ჭავჭავაძეს იმ ეკონომიკურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტერთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლა შეაძლებინა, შემდეგი გარემოება მიაჩნდა; „ჩვენს ეკონომიკურ წყობაში ორგავარი მიმდინარება არსებობდა: ერთი სამსოფლო-სახაზინო ინტერესით, მეორე საკომლო— კერძო ინტერესითო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში არსებული მამულები, მინდორი, ტყე, სამსოფლო საზოგადო

სმარებაში კოფილიყო (ანუ საერთო-სახალხო საკუთრებაში), მეორე საკომლო ისე, რომ ყოველივე გაენი განსაკუთრებულიყო ანუ განკერძოებულიყო. ჩვენი მეფეები და თავად ხალხი ურთხილდებოდა ამ „ურთიერთობას“. ხოლო მეფეთა საყრდენს ძირითადად მშრომელი ხალხი წარმოადგენდა. მსხვილი ფეოდალები კი, თანამედროვე წარჩინებულ პირთა მსგავსად, თავიანთ პოზიციებს ქვეყნის გარეთ იმყარებდნენ, ხშირად სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ. შემდეგ, კაონომიკური წესწყობილების ამ კარგ მხარეს ყური არ ათხოვეს და „ვეხი აიდა განკერძოებაში“. „საქართველოს მერიმინდელი დასუსტების ერთ-ერთ მიზეზად ილია ჭავჭავაძეს სწორედ ეს გარემოება მიაჩნია“. წერს თავის მიმოხილვაში ივანე ჯავახიშვილი აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძეს ჩვენი ეკაონომიკური კოფის საფუძვლად, სახელმწიფო საკუთრებისა და აერო მფობელობითი ფორმების აუცილებელი არსებობა და ამ ორი „მიმდინარეობის“ მოწესრიგებული ურთიერთობა მიაჩნია. ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს „მოწესრიგებულ ურთიერთობები“ აქტუალურია დღესაც. რადგან ქვეყნის სახიცოცხლო მნიშვნელობის პრიორიტეტული ობიექტების მთლიანი გასხვისება, „განკერძოება“თან ისე, რომ ამ ობიექტთა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფო მფლობელობაში არ დარჩეს, აუცილებლად გამოიწვევს კერძო სექტორის მიმართებაში, ქვეყნის ეკაონომიკური სივრცისათვის (რომლის საგარეო ვალი რამდენიმე მილიარდამდე გაიზარდა), არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. ცხადია, სახელმწიფოებრივი ინტერესებისა საწინააღმდეგოდ. რის გამოც, ამ ფაქტს, ასე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, არამხოლოდ მემარცხენე ძალები ამიტომ. ლოგიკურია, შეიქმნას სამართლებრივი კაონომიკური სივრცე-შესაბამისი მახასიათებლებით; ცნობილია, კანონი შესაბამისობაშია საზოგადოების ინტერესების მიმართ და განაპირობებს ქვეყნის განვითარებას იმ შემთხვევაში, როცა იგი ითვალისწინებს იმ პერიოდში არსებულ სოციალურ ფენათა ურთიერთ შეუზღუდავ შესაძლებლობებს, რომლის შესაბამისად შემოფარგლავს ადამიანურ მოთხოვნილებებს და შემდგომ იცავს მას.

სადაც ფარგლის ათვლის წერტილი ადამიანის რეალური საარსებო მინიმუმიდან იწყება, ხოლო ქვედა და ზედა ზღვარი, შესაბამისად, კერძო და საზოგადო (ანუ სახელმწიფო) შესაძლებლობებიდან გამომდინარე მოთხოვნილებებზე გადის. აი ის სამი ძირითადი პარამეტრი, რომელთა სიდიდე, ცხადია, განსხვავებულია ყველა ქვეყანაში და, ამავე დროს, დიალექტიკურ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. ამიტომ მათი შემდგომი ზრდა, მხოლოდ სამივე მახასიათებლის პარმონიული განვითარებითაა

შესაძლებელი. კონკრეტულად, ამ პარამეტრებს შორის დამოკიდებულების მახასიათებელი კოფიციენტის დადგენითა და დაკანონებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალურ ფენათა ინტერესები და შესაძლებლობები სახელმწიფო ინტერესების მიღმა აღმოჩნდება და აუცილებლად გამოიწვევს, როგორც პიროვნულ, ისე სახელმწიფოებრივ დასტრუქციულ, რდვევით პროცესებს და განაპირობებს, ლია ეკონომიკურ არასამართლებრივი ტერიტორიული სივრცის წარმოშობას, ფორმალური სახელმწიფოს სტატუსით. ამიტომ ყოველთვის დამოკიდებული იქნება „პარტიირო” სახელმწიფოების ინტერესებზე.

სხვა შემთხვევაში, თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი გლობალიზაციის ძირითადი მისია, კაცობრიობის გაერთიანება გლობალური ეკოლოგიური და სხვა საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგება ძირშივე იგნორირდება და მარცხდება კაპიტალისტური სამყაროსათვის ყველაზე დამახასიათებელი მთავარი პრინციპებით, როგორიცაა: ლიბერალიზაცია, დეცენტრალიზაციით და კერძო პირადი ეკონომიკური მოთხოვნილების ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დაყენება. ამიტომ გლობალიზაციის შედეგი და ნაყოფი, განსაკუთრებით მცირერიცხოვან და სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, წარმოჩნდება მისი უარყოფითი მახასიათებლებით: უმუშევრობით, ინფლაციით, სოციალური პრობლემებით, ტრანსნაციონალური ეკონომიკით და მცირე ერების დიდ ერებთან შერწყმით, საბოლოოდ კიგაქრობით. ამიტომ მემარცხენე პლატფორმის ძირითადი პრინციპის-ყველა სოციალური ფენის თანაცხოვრების, თანაარსებობისა და აუცილებლობისას ცენტრალური რეგულირების გარეშე, გლობალიზაცია თავის მისიას ვერ შეასრულებს და, შესაბამისად, ვერც დადებით შედეგს გამოიდებს. მით უფრო, ლოკალურად არსებული კერძო ეკონომიკური ინტერესი ბუნებრივია, ვერ გმორჩილება გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს, — ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის საჭირო კონვენციებს. ერთ-ერთ ბოლო ასეთ ხელშეკრულებას თავად ა.შ.ჭ-მაც ვერ მოაწერა ხელი. ამიტომ სხვადასხვა პროცესი მსოფლიოში არათანმიმდევრული ტემპებით მიმდინარეობს და ყველა ქვეყანა რეალურად საკუთარი პრობლემების სამყაროში ცხოვრობს.

სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნად არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური მონაცემებისა და საერთაშორისო პოლიტიკაში არსებულ ძალთა სწორი დაბალანსების მიზნით, ლოგიკურია, ანტიგლობალისტური მოძრაობის პრიორიტეტების გათვალისწინება. რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის

მიმდინარეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და თითქმის ყველა დიდი და პატარა სახელმწიფოების ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი არიან გაერთიანებული. ანტიგლობალისტურმა მოძრაობამ აიძულა გერმანიისა და საფრანგეთის მეთაურები (2000წ.) განეცხადებინათ, რომ ევროკავშირის ფარგლებში სუპერ-სახელმწიფოში შენარჩუნებული იქნება ეროვნული სახელმწიფოები.

საგმაოდ ძლიერია ანტიგლობალისტური მოძრაობა აშშ-ში, რომლის ლიდერია დოქტორი ლ. ლაროში. 1996-98 წლებში რამდენჯერმე გამოიცა რ. ა. აკენისონის ანტიგლობალისტური წიგნი „ევროპის სრული წრე კორპორაციული ელიტა და ახალი ფაშიზმი”, რომელიც ახალი მსოფლიოს წესრიგის არგუმენტალური მხილებაა. წიგნს უმაღლესი შეფასება მისცა მ. ტეტერმა, პროფესორმა ნ. სტოუნმა, ნ. ბარმა და სხვა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.

ამავე დროს, თავად პროგრესული მემარჯვენე ძალები და გლობალიზაციის მიმდევრები უკვე დიდი ხანია მივიღენ იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია მემარცხენე ორიენტირების დაცვა. რასაც ადასტურებს 2002წელს სექტემბერში იოჰანესბურგში, გაეროს და ევროკავშირის ეგიდით მოწყობილი მსოფლიო სამიტი ; “საზოგადოების მგრადი განვითრების შესახებ”. სადაც, მთელ რიგ თემებთან ერთად დასახელდა;

1 არა განცალკევებული შრომა და ინდივიდუალური კერძო კონომიკური ინტერესი არამედ, კაცობრიობის განვითარება, გლობალური ხედვის პრინციპების შესაბამისი თანამშრომლობით (ე.ი. იკვეთება გლობალური ცენტრალიზაციის აუცილებელობაც)

2 არსებული ხედლებულის გადანაწილება სამართლიანი და ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებების შესაბამისად.

3 სიდარიბის დაძლევა და ყველა სოციალური ფენის თანარსებობისა და თანაცხოვრების შესაძლებლობის მიღწევა.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინება პარლამენტის მომავალ არჩევნებში, ხელს შეუწყოფს ჩვენი, კერძო ეკონომიკურ მფლობელთა ინტერესებით დომინირებული სახელმწიფო განვითარებეს ეროვნული სახელმწიფოს სატატუსით, შეიქმნას სოციალურად და ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. P. Corbett. Law and Politics in Diplomacy, Princeton, 1959
2. P. Corbett. European and International Political Correlation, 1960
3. ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006
4. ხოსე ორტეგა ი გასეტი. მასათა ამბოხი, თბ., 2002

## Summary

Lasha Salukvadze

**Georgia in the frames of foreiong policy of European Union**

Existing article describes the role of Right and Left orientation parties in the procedure of European internal and external politics formation. This is the description of Georgia's political future by European dimension. Author tried to conclude political situation. The existing situation is described by the trends of real political philosophies. There is description of right, left and central orientation political parties role in the field of European political and social life. Georgian political reality is described by the trends of existing legal-philosophical problems. author tried to stipulate the ideas of existing political philosophers.

**Резюме**

Лаша Салуквадзе

**Грузия в формате внешней политики Евросоюза**

Настоящая статья представляет собой описание ролей левых и правых партий в процессе формирования политики Евросоюза. Также описано будущее Грузии в формате Евросоюза. Автор старается описать настоящую политическую ситуацию. Политическая ситуация воспроизведена путем настоящих политических философий современности. Также изображены роли правых, левых и центристских политических партий в политической и социальной жизни Европы. Настоящая ситуация Грузии описана путем теории правового-философских проблем. Автор пытался использовать идеи современных политических философов.

## ნათია გოცაძე

### საქრთაშორისო ტერორიზმი

ტერორიზმი, თავისი ყველა ფორმით და გამოვლინებით, მაშტაბებითა და ინტენსიურობით, არაადამიანობითა და სისახტიკით გლობალური მნიშვნელობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და საჭირობორიტო საკითხად იქცა.

თანამედროვე ტერორიზმი როგორი მოვლენაა, ტერაქტი კი აისტერგის მწვერვალია. მისი ორგანიზება როგორ მოსამართდებელ საქმიანობას საჭიროებს: ტერაქტის დაგეგმვას, საინფორმაციო უზრუნველყოფას, სხვადასხვა პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებას, ფინანსურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას, კადრების პროფესიონალურ, იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას, დაზერვას და კონტრდაზერვას, ტერაქტების პოლიტიკურ და ფინანსურ გამოყენებას.

ტერორიზმის თან ახლავს ადამიანთა დიდი მსხვერპლი, ის ბადებს სიძულევილსა და უნდობლობას. ბევრი ადამიანისათვის, პოლიტიკური ჯგუფისა თუ ორგანიზაციისთვის ტერორიზმი პოლიტიკური, რელიგიური და ეროვნული პრობლემის გადაწმვების საშუალებაა და ამდენად დანაშაულის იმ სახეობას განეკუთვნება, რომლის მსხვერპლი შეიძლება უდანაშაულო ადამიანები გახდნენ.

ტერორიზმი უძველეს დროში იღებს სათავეს. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ტერორისტული დაჯგუფება სიკარიების სექტა იყო, რომელიც პალესტინაში ახალი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში მოქმედებდა.

დაახლოებით ამ დროს ინდოეთში მოქმედებდა სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოებები.

მეთერმეტე საუკუნეში წინა აზიაში მოქმედებდა ასასინების სექტანტური ნეოისლამისტური ორგანიზაცია. ასასინებიდან მოდის სიტყვა “ასსასინ” ეკრობულ ენებში, რაც დაქირავებულ მკვლელს და ტერორისტს ნიშნავს.

დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად ვითარდებოდა ტერორის იარაღები და იგი სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა. ასევე იცვლებოდა ტერორის მაშტაბები და მიზნები. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისთვის კი ტერორიზმის ორი ძირითადი დოქტრინა ჩამოყალიბდა. ესენია: “ბომბის ფილოსოფია” და “საქმით პროპაგანდა”.

“ბომბის ფილოსოფია” ევროპაში მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩდა. მის ფუძემდებლად ითვლება გერმანელი რადიკალი კარლ პეინცენი. ის დარწმუნებული იყო, რომ “ააცობრიობის უმაღლესი ინტერესები” ყველა მსხვერპლზე მაღლა დგას, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქმე უდანაშაულო ხალხის მასობრივ განადგურებას ეხება. პეინცენი საჭიროდ თვლიდა ისეთი იარაღის გამოყენებას, რომელიც მაქსიმალურ ქაოსს შექმნიდა და მასობრივი განადგურების ახალი საშუალებების ძიებისკენ მოუწოდებდა.

“საქმიო პროპაგანდის” იდეა მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ანარქისტებმა წამოაყენეს. ამ დოქტრინის თანახმად მთავრობაზე ზეწლის მოსახლენად მასების გამოფხილება მხოლოდ ტერორისტულ აქტებს შეეძლო და არა სიტყვას.

მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ტერორისტები თავის მტრებად მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ ლიდერებს თვლიდნენ. მაგრამ ჩვენ დროს ტერორიზმა ახალი თვისება შეიძინა: ის მასობრივი და ბრძან გახდა. ტერორისტული აქტის საშინევი იქცა არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები ან პოლიტიკოსები, არამედ ყველა მოქალაქე.

თანამედროვე ტერორის მთავარი მიზანია მასმედიის მკვეთრი რეაქცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მიმოხილვის გარეშე ტერორისტული აქტი თავის სიმძაფრეს კარგავს, რადგან იკარგება კავშირი დაგეგმვასა და აუდიტორია შორის, რომელზე ზემოქმედების მიზნითაც განხორციელდა ტერორისტული აქტი.

ტერორისტული ავლენების ცენტრს მონაცემებით, უმეტეს შემთხვევაში ტერორისტები ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავენ. მაგალითთად, პალესტინური “პამასი”, ერთის მხრივ, პალესტინის ავტონომის ხელისუფლებას ებრძოდა, მოქმედი რეჟიმის შეცვლის მიზნით, მეორე მხრივ ისრაელის ოკუპაციის წინააგმდება გამოყოფა, ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. “აღ-ქაედა” სამ ძირითად მიზანს ისახავს: პირველ რიგში, ისლამის ხალიფატის შექმნას (თანამედროვე მუსლიმურ ქვეყნების მთავრობების ჩამოგდება): მეორე რიგში ისრაელის განადგურებას და “კაფირების” (არამუსლიმების) განდევნას ოკუპირებული ისლამური ტერიტორიებიდან (მაგალითთად, რუსეთისა ჩეჩენთიდან, ინდოეთისა ქაშმირიდან, აშშ-ის ერაყიდან ტერიტორიული პრობლემების გადაჭრა) და მესამე ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას.

ამერიკელი მეცნიერები ენდრიუ კიდი და ბარბარა უოლტერი მიიჩნევენ, რომ ყველა ტერორისტული ორგანიზაცია ყველგან და უმგელოვის იყენებდა და იყენებს ხუთ ძირითად მეორებს:

შურისძიება გამოიყენება მოწინააღმდეგისათვის ტერორისტების ძალის დემონსტრირებისათვის, რომ ისინი ისეთი ძლიერები არიან რომ მათ საჭარი ზარალს მიაუკნებენ. დაშინებით მშვიდობიანი მოსახლეობა უნდა მიახვდონ, რომ ტერორისტები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ხელისუფლება და ამით ისინი თავისკენ გადაიბირონ. პროვოკაციას იუკნებენ ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის, რათა ამ უკანასკნელმა გამოაქვდაგნოს სისახტიკე, რის შედეგადაც ტერორისტები მოსახლეობის სიმპატიას დაიმსახურებენ. ნერევა “გადამწვარი მიწის ზონის” შექმნისათვის გამოიყენება, რის შედეგადაც ამა თუ იმ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა შეუძლებელი გახდეს. “შანტაჟით ფულის გამოძალვა” გულისხმობს მოლაპარაკებების პერიოდში ხელისუფლება გახდეს იძულებული, რომ წავიდეს დათმობაზე ან დათახმდეს ტერორისტების მოთხოვნებს.

თანამედროვე ტერორიზმის კლასიფიცირება რამდენიმე ნიშნით შეიძლება. გამოყოფენ მასიურ ტერორს, რომლის მსხვერპლი ასობით და ათასობოთ შემთხვევითი მოქალაქე ხდება და ინდივიდუალურ ტერორს. განსაკუთრებული ნაირსახეობაა სახელმწიფო ტერორიზმი, როცა ტერორისტული აქტის შემგვეთი და დამგეგმავი ან უშუალო სახელმწიფოა, ან კერძო პირი, რომელიც ასე თუ ისე მოქმედებს სახელმწიფოს ინტერესებით და დაპარაზირებულია მმართველ ელიტასთან.

დასავლელი მეცნიერები გამოყოფენ ტერორიზმის რამდენიმე მიმდინარეობას:

იდეოლოგიური ტერორიზმი – როცა რომელიმე პოლიტიკური იდეოლიგია იდევნება ან პოლიტიკური ზეწოლის ქვეშა. ასეთი იდეოლოგია შეიძლება ერთ ქვეყანაში ითვლებოდეს მარგინალურად და იდევნებოდეს, ხოლო მეორეში შეიძლება საპარლამენტო ან სახელისუფლო იყოს. ტერორისტი რევოლუციონერები ამართლებენ თავის მოქმედებას ხალხზე ზრუნვის საბაბით. ამის მაგალითებია: ფრანგი ანარქისტები, რუსი ნარიდნიკები, ბოლშევიკები, ფაშისტები, იტალიელი ნეოფაშისტები, წითელი ბრიგადები, სანდინისტები ნიკარაგუაში, სენდერო ლუმინოსო პერუში და სხვა მემარცხენე და მემარჯვენე ორგანიზაციები ლათინურ ამერიკაში.

ეთნიკური ტერორიზმი – როცა სუბიექტია ეთნიკური თემი, რომელსაც უარი ეთქვა ეთნო-პოლიტიკურ თვითგამორკვაზე. ასეთ შემთხვევაში ეს ჯგუფი ერთადერთ ხსნას ტერორიზმში ხდავს. ამის მკაფიო მაგალითია ბასკები (ეტა), სიცილიელი სეპარატისტები, ირლანდიელები, ქურთები, პალესტინელები და ჩეჩნები და სხვ..

რელიგიური ტერორიზმის დროს სუბიექტად გამოდის რელიგიური უმცირესობა ან რომელიმე რელიგიის აქტიური ავანგარდი, რომელიც მტრულ დამოკიდებულებაში მოქმედი მარიონები ხელისუფლებასთან. რელიგიური ტერორიზმი განსაკუთრებით ახასიათებს არაორთოდოქსალურ რელიგიებს, სექტებს და ა.შ. აქ თავს იჩნებს ანთროპოლოგიური დუალიზმი, მაგალითად თავის შერაცხვა “რჩეულად”. “გადარჩენილად”, ყველა დანარჩენი კი “დაწყვეტილად” მითნევა. კლასიკური მაგალითია სიონისტური ტერორიზმი პალესტინაში და თანამედროვე ისლამური ტერორიზმი.

კრიმინალური ტერორიზმი, განსხვავებით უძრავო ბანდიტიზმისგან, უფრო გლობალურ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე უბრალოდ უფლის მიღება. უმეტესად ასეთი ტერორიზმს ნახევრადპოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები აქვს, მაგალითად თანხის მიღება განსაზღვრული ტერიტორიის დასატოვებლად, ან პატიმრების გათავისუფლება.

ინდივიდუალური ტერორიზმის სუბიექტი არა საზოგადოება, არამედ ცალკეული პირია. განასხვავებენ, ერთი მხრივ, მარტოხელა-რევოლუციონერს, მარტოხელა-ნაციონალისტს, მარტოხელა-რელიგიური ფანატიკოსს, მარტოხელა-დამნაშავეს და, მეორე მხრივ, მარტოხელა ტერორისტს ფსიქიკური გადახრებით ან ძალიან პირადული ინტერესებით, რომლებიც დაკავშირებული არაა იდეოლოგიურ ორიენტაციასთან.

ინფორმაციული ტერორიზმი ტერორისტული საქმიანობის ახალი სახეობაა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულ სახელმწიფოსა და მსოფლიოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო შექმნა სურთ, რომელსაც კატასტროფული შედეგები მოყვება საზოგადოებისა და სახელმწიფოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ სიცოცხლისუნარიანობისათვის.

ყველა ტერორისტულ აქტს აქვს ორი ასპექტი – რაციონალური და ირაციონალური. ტერორის რაციონალობა გამოიხატება იმაში, რომ უზომოდ ძალადობრივი მოქმედების შედეგად, როცა სისტემა დათმობაზე მიღის ტერორისტებთან, მიიღწევა კონკრეტული პოლიტიკური ან სოციალური მიზანი. მაგალითად: სხვა ტერორისტების განთავისუფლება, ზოგიერთი პოლიტიკური ან ეთნიკური თავისუფლების ცნობა, საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის რდგევა, კრიზისული ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა და ა.შ.

ტერორის მეორე ასპექტი – არარაციონალური – როცა ტერორისტულ აქტს ახორციელებს ტერორისტი-კამიკაძე.

ტერორიზმი ფართოდ გამოიყენება პოლიტიკურ ბრძოლაში უძველესი დროიდან, თუმცა საკმაოდ მძლავრ და ეფექტურ

პოლიტიკურ იარღად ის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გადაიქცა. ეს გამოწვეული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის დამთხვევით

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ტერორიზმის საზოგადოდ აღიარებული განმარტება, ის შეიძლება დახასიათდეს როგორც ძალადობრივი ქმედება, რომელიც მიმართულია საზოგადოების ნაწილის, მთლიანდ საზოგადოებისა თუ ხელისუფლების დასაშინებლად. შესაბამისად ტერორისტული ქმედება ისეა გათვლილი დროში და ისეთი სახით იგეგმება, რომ გამოიწვიოს მაქსიმალური შიში და აღშფოთება საზოგადოებაში. მისი მიზანი შეიძლება ისიცაა, რომ გამოიწვიოს ხელისუფლების შეუსაბამო, გაზეიადებული რეაქცია. შესაბამისად ტერორიზმის ძალა (განსაკუთრებით თანამედროვე საზოგადოებაში) ისაა, რომ ის ყურადღება, რომელსაც მას უთმობენ შეშენებული მოქალაქეები, ხოლო მათი დაწოლით მთავრობებიც, შეუსაბამოა იმ მუქარისა, რომელსაც ის წარმოადგენს არსებული პოლიტიკური და სოციალური წეს-წყობილებისადმი.

ძალზე ძნელია “ნამდვილი” ტერორიზმისა და მაგალითად უცხოური საოკუპაციო ძალისადმი დაგაიღური შეიარაღებული წინააღმდეგობის გარჩევა. ამ ორი სახის ქმედება ხშირად ერთმანეთის სინონიმებად გვევლინება, ზოგჯერ ასეთი ჩანაცვლება მიზანმიმართულია. ეტყობა უმჯობესი იქნებოდა გაგვესაზღვრა როგორც ტერორისტული მხელოდ ის ქმედება, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ არის მიმართული და გვერდზე გადავდოთ ჯარისა თუ პოლიციებს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს როგორც შეიარაღებული წინააღმდეგობა თუ აჯანყება. შესაბამისად 2004 წელს ბესლანში (რუსეთი) სკოლაში ჩეჩენი ბოეკიყების მიერ მტევლების აყვანა რასაკვირველია განისაზღვრება როგორც ტერორიზმი, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის შეიარაღებული თავდასხმა სამართალდამცავ ორგანოებზე ნალჩიკში 2005 ტერორიზმის კვალიფიკაციაში უპას აღარ ჯდება.

უართოდაა გავრცელებული წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ტერორიზმი არის ტრადიციული საშუალება, რომელსაც იყენებენ სუსტები, დამცირებულები და გარიყელები (ან ისინი, ვინც თავის თავს ასეთებად თვლიან) თავისი დამცირებისადმი საჯარო ყურადღების მიზნით. მათვის, ვინც ებრძვის თავისზე შეუდარებლად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, ტერორიზმი წარმოადგენს ძალადობის იარაღს, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე გაასწონასწოროს მხარეთა საშუალებები.

მეორე მხრივ, უქმაყოფოლებისა და მარგინალიზაციის განსაზღვრული პირობები შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ საზოგადოებაში, როგორი განვითარებული და სტაბილურიც არ უნდა იყოს ის. აქედან გამომდინარე, ტერორიზმი შეიძლება აღმოცენდეს ფაქტიურად ნებისმიერ ადგილას, განსაკუთრებით, თუ არსებობს რაიმე სახის იდეოლოგია (რელიგიური თუ საერთო) რომლის ინტერესებიც პრინციპულად შესაძლებელია ისე, რომ გააძართლოს ტერორიზმი.

როგორც 1960-70-იანი წლების დასავლეთ ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, განვითარებული დემოკრატიული საზოგადოების არსებობა, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად გამოხატოს მისი პროტესტი დემოკრატიული პროცედურის ჩარჩოებში, არ ხდის ასეთ საზოგადოებას შეუვალს ტერორიზმისათვის. ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდნენ მარგინალური პიროვნებები, ან მათი ჯგუფები, რომლებიც ლეგალური საპროცესტო პროცედურის ფარგლებში მაინც ვერ გახდებიან საკმარისად ცნობილები, რომ მთიაყრონ საზოგადოების იმდენი ყურადღება, რომელიც მათ ამბიციებს დააძმაყოფილებს. ამიტომ მათ შეუძლიათ მიმართონ ტერორიზმს საკუთარი იდეების პროპაგანდის მიზნით.

პირველი – თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებისა და მას მედიის გაჩენამ უაღრესად გააძლიერა ტერორიზმის გავლენა საზოგადოებაზე. ერთის მხრივ – ტერორისტული აქტების მიმდინარეობის თუ მათი შედეგების ოპერატიული და თვალნათლივ მიწოდების ხარჯზე, მეორე მხრივ – ტერორისტების იდეების (ხშირად უნებლივ) პროპაგანდით და ტერორისტებისადმი საზოგადოების ყურადღების მიყრობით, ე.ო. ტერორისტების მიზნების ფაქტიური რეალიზაციი.

მეორე – თანამედროვე საბრძოლო საშუალებები, რომლებსაც ტერორისტული აქტების განსახოვციელებლად იყენებენ, ძალიან ეფქტურია და საგმაოდ მძლავრი იმისათვის, რომ შეადარონ თანამედროვე ჯარის შეიარადებას. გარდა ამისა, თანამედროვე სამრეწველო თუ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს (განსაკუთრებით ქიმიურ ქარხნებს, ატომურ ელექტროსადგურებს და ა.შ.) “უბრალო” ავარიის შეწმოვებაშიც კი შეუძლიათ აურაცხელი ზიანი მიაყენონ ადამიანებსა და თუ ბუნებრივ გარემოს. შესაბამისად, ისინი განიხილება როგორც მიმზიდველი სამიზნები ტერორისტებისათვის, რაც, აგრეთვე, ფრიად აზვიადებს ტერორიზმის პოტენციულ საფრთხეს. როგორც 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილმა მოვლენებმა გვიჩვენა, თანამედროვე საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებიც შეიძლება იქნეს

გამოყენებული როგორც უაღრესად დამანგრეველი ტერორისტული აქტები.

სამაგალითოა ის შედეგი, რომელის გამოიდო 2004 წლის მარტში ესპანეთში, ოთხ რკინიგზის სადგურში ათი ბომბის აფეთქებამ. ამ ტერაქტის შედეგად, რომელზეც პასუხისმგებლობა იკისრა აღქაედას ტერორისტულმა დაჯგუფებამ, დაიღუპა 191 და დაშავდა არანალები 1400 ადამიანისა. ტერაქტის მიზეზად დასახელებული იყო ესპანეთის მიერ აშშ-ს ერაყის ოკუპაციის მხარდაჭერა და მისი საჯარისო კონტიგენტის მონაწილეობა საომარ მოქმედებებში ამ ქვეყნის ტეროტორიაზე. ამას მოჰყვა ესპანელების მასობრივი პროტესტები, აშშ მხარდამჭერი პრემიერ-მინისტრ ხოსე მარია ასნარის მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიციის დამარცხება საყოველთაო არჩევნებზე და 1300-კაციანი ესპანური საჯარისო კონტიგენტის ერაყიდან გაყვანა. გარდა ამისა, ესპანეთისა და აშშ ურთიერთობა “გაცივდა” იმ დონემდე, რომ აშშ პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა საკმაოდ დემონსტრაციულად ვერ გამოძებნა დრო მიედო სატელეფონო მილოცვები ესპანეთის ახალი პრემიერ-მინისტრ ხოსე ლუის როდრიგე საპატერნაბან მეორე საპრეზიდენტო ვადით არჩევასთან დაკავშირებით, თუმცა მისი მოუცლელობა არ გავრცელდა ყოფილ პრემიერზე. ამ შემთხვევაში ტერორისტებმა მიაღწიეს სტრატეგიულ მიზნებს, თუმცა ეს აბსოლუტური გამონაბეჭდისა და მათი აქტიურობის შედეგები საზოგადოდ ბევრად უფრო მოკრძალებულია.

ქესამე – ტერორიზმი იაფია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ტრადიციულ კონტრტერორისტულ დონის სძიებებთან შედარებით (საბრძოლო საშუალებები, ჯარის/პოლიციის მომზადება, სამხედრო და პოლიციური ოპერაციების წარმართვა და ა.შ.). ტერორისტების მიერ გამოყენებული ტექნილოგიები შედარებით მარტივია. ვთქვათ ასავეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად საჭირო მასალის შეძენა ნებისმიერ სასოფლო მაღაზიაში (სასუქები), საათის მექანიზმიან ბომბში გამოიყენება ძველი სარეცხის მანქანების ტაიმერები, დისტანციური მართვის შექანიზმებად – მობილური ტელეფონების ნაწილები. ყველაფერი ამის დამზადებისა თუ გამოყენების ინსტრუქციები ინტერნეტშია განთავსებული. ტერორისტული აქტების შემსრულებლები საჭიროებენ მინიმალურ მომზადებას, ან შესაძლოა არავითარი სპეციალური მომზადება საერთოდ არ გააჩნდეთ. უბრალოდ შეუდარებელია ის ადამიანური რესურსები, რომელიც ისარჯება ტერორისტული აქტების მომზადებასა და რეალიზაციაზე, ერთი მხრივ, და ტერორიზმთან ბრძოლაზე, მეორე მხრივ.

2004 წლის აგვისტო-სექტემბერში რუსეთში განხორციელდა ტერაქტების სერია, რომელთა შედეგად აფეთქებული იქნა ორი

სამგზავრო თვითმფრინავი, მოხდა ორი აფეთქება ქ.მოსკოვში და ბოლოს ჩრდილო ოსეთის ქაბესლანის სკოლაში მძევლების (ძირითადი ბაგვების) აყვანა. ამ უკანასკნელი ტერაქტის შედეგად დაიღუპა 338 ადამიანი, მათ შორის 171 ბავშვი, 600-ზე მეტი დაშვებული მიყვანილი იყო საავადმყოფოებში, უშუალოდ ტერაქტის შემდეგ. ცნობილი ჩეჩენი ტერორისტის სამილ ბასაევის გაცხადებით, რომელმაც თავის თავზე აიღო ამ ტერაქტების სერიის ორგანიზაცია – “თვითმფრინავების აფეთქება დამიჯდა ოთხი ათასი დოლარი, კაშირსკაიზე და მეტროსთან – შვიდი ათასი დოლარი, ხოლო ოპერაცია “ნორდ-ვესტი” (ბესლანი – ავტორი) – რვა ათასი ევრო.

დამატებითი შედარება (ეს უშუალოდ ტერორიზმს არ ეხება, მაგრამ ახლოს დგას მასთან) ცნობილი ინდოელი დამნაშავის ვიეროაპანის წინააღმდეგ თამილანდუს შტატის მთავრობა ათი წლის მანძლიზე ატარებდა სპეციალისტების, რომელშიც რეგულარული პოლიციური დანაყოფების გარდა მონაწილეობდა 500-კუციანი სპეცდანიშნულების რაზმი, რომელსაც მხოლოდ მასზე ნადირობა ევალებოდა და თავიდანვე ამისთვის იყო ჩამოყალბებული. მისი ლიკვიდაციის მომენტისათვის 2004 წლის ოქტომბერში ამ ოპერაციაზე პირდაპირმა დანასარჯებმა 10 მილიონ დოლარს მიღწია.

ტერორიზმი რყენის. თვით ასეთი მოძრაობის ლოგიკა, რომელიც დაფუძნებულია უდანაშაულო ადამიანების განადგურებასა და დაშინებაზე, ეწინააღმდეგება ნებისმიერ საზოგადოებაში მიღებული მორალის ყველაზე ელემენტარულ ნორმებს. ის ყოველთვის ნებატიური მორალური მუხტის მატარებელია. ტერორისტულ მოძრაობებს სათავეში დასაწყისში ხშირად უდგანან იღეალისტები, რომლებიც ან განიცდიან “დემორალიზაციას” (უბრალოდ კარგავენ ადამიანურ თვისებებს) ან/და ნადგურდებიან უფრო პრაგმატული კონტურენტების მიერ, რომლებიც საერთოდ არაფრად აგდებენ საზოგადოებრივ მორალს. საბოლოო ჯამში ნებისმიერი ტერორისტული მოძრაობა ხდება მარგინალურებისა და დამნაშავეების თავშესაფარი, რომელთაც მართავენ ამორალური პოლიტიკური მანიპულატორები. ამავე დროს, ასეთი მდგომარეობის შექმნაზე ხშირად არანაკლებ პასუხისმგებლები არიან ისინი, ვინც აიძულებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგებებს ბრძოლის ასეთ უკიდურეს მეთოდს მიმართონ. ნებისმიერი ტერორისტული ორგანიზაცია აგრეთვე იყენებს კრიმინალურ მეთოდებს, როგორც მოქმედებისათვის საჭირო ფინანსებისა და იარაღის მოსაპოვებლად ისე მხარდამჭერების მოსაზიდად (შანტაჟი). ამიტომ ზღვარი ნებისმიერ ტერორისტულ ორგანიზაციასა და კრიმინალურ სამყაროს შორის ადრე თუ გიან იშლება.

იმის გამო რომ ტერორიზმის მთავარი მიზანია გამოიწვიოს მაქსიმალური შიში და აღშფოთება საზოგადოებაში, ის ხშირად მისი სამიზნე ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ განიხილება, როგორც ნაკლებად აზრიანი, ირაციონალური. მოთხოვნები, რომელსაც ტერორისტები აყენებენ, ხშირად პრინციპულად შეუსრულებადია, მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლება მზად არის ისინი დააკმაყოფილოს. შესაბამისად კონფლიქტების მოგვარების ტრადიციული, რაციონალური გზები, რომელსაც მიმართავს თანამედროვე დასავლური საზოგადოება, ნაკლებად ჭრის ტერორიზმთან მიმართებაში.

ტერორიზმთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ იგი საზოგადოდ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი მოვლენა და შესაბამისად ხდება მასთან ბრძოლის ორგანიზაცია. სინამდვილეში ტერორიზმი წარმოადგენს ბევრად უფრო ფართო და რთული სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური პრობლემების ნაკრების გამოვლენას, შეიძლება ითქვას – წარმოადგენს ამ პრობლემების გადაჭრის ექსტრემალურ საშუალებას.

თუმცა ტერორისტები იშვიათად აღწევენ თავის გამოცხადებულ მიზნებს, მათი ცალკეული ქმედებების განუზრახველი შედეგებიც კი ზოგჯერ იშვევენ მნიშვნელოვან ცვლილებებს კაცობრიობის განვითარებაში. ასე მაგალითად, მოვლენათა ჯაჭვა, რომელიც მოჰყვა სერბი სტუდენტის გავრილა პრინციპის მიერ 1914 წლის ზაფხულში ქ. სარაევოში (ბოსნია) ავსტრია-უნგრეთის ერცეგრცოგის მკვლელობას, საბოლოო ჯამში, პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია.

ტერორისტები თვითონ ძალიან იშვიათად მოდიან ხელისუფლებაში, მაგრამ ხშირად ხელს უწყობენ ხელისუფლებაში ისეთი პიროვნებებისა თუ ორგანიზაციების მოსვლას, რომლებიც საბოლოო ჯამში მათზე მეტ ექსტრემისტებად გვევლინებიან. ასე მაგალითად, ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) სახელით იყო ცნობილი, გადამწყვები როლი შეასრულა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლაში, ყველა თანმხლები შედეგით, რომელიც კაცობრიობამ თავის თავზე განიცადა მე-20 საუკუნის შვიდ ათეულ წელზე მეტის განმავლობაში.

ზემოთ აღწერილ ორივე შემთხვევაში ტერორისტულ აქტიურობას მოჰყვა გლობალური ცვლილებები, რომლებიც თავისი მასშტაბებით აშკარად შეუსაბამო იყო კონკრეტული ქმედების უშუალო შედეგებისა. ეს უპირველეს ყოვლისა გვიჩვენებს ტერორიზმის საშიშროებას იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება

მთლიანად და უპირველეს ყოვლისა მართვის ორგანოები, ადექტურად არ აღიქვამენ ტერორიზმის საშიშროებას, არ გააჩნიათ მასთან ბრძოლის გვექტური მექანიზმები და რაც ყველაზე უარესია – ცდილობენ მოკლევადიანი პოლიტიკური მოგების მისაღწევად გამოიყენონ კინკრეტული ტერორისტული აქტების შედეგები (ავსტრია-უნგრეთი 1914 წელს).

თანამედროვე ტერორიზმი შესაძლებელია გაიყოს ორ ფრიად განსხვავებულ ნაწილად. პირველია ლოკალური ტერორიზმი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გამომდინარეობს სხვადასხვა სახის ეროვნულ-განმანთვაისუფლებელი მოძრაობებიდან და წარმოადგენს ამ მოძრაობების არალეგალურ (და ამორალურ) ნაწილს, თუმცა ეს მოძრაობები როგორც ასეთი ხშირად ლეგალიზებულია, რომელიც დღეს მოიხსენიება, როგორც საერთაშორისო (ზოგჯერ გლობალური) ტერორიზმი და საზოგადოდ გლობალური საფრთხის მატარებელად აღიქმება.

ადგილობრივი ტერორიზმი ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია პრაქტიკულად კველგან დედამიწაზე. ის საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ ევროპაში 1960-1970-იან წლებში, ძირითადად როგორც მარქსისტული ექსტრემიზმი (იტალიაში, გერმანიაში და საბერძნეთში) და დღესაც ლატენტურ ფაზაშია წარმოდგენილი ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში (ჩრდილო ირლანდია), სადაც ადგილობრივი ეროვნული უმცირესობების (შესაბამისად ბასკებისა და ირლანდიელების) ექსტრემისტი წარმომადგენლები ასეთი გზით იბრძვიან მათვების მისაღები თვითგამორკვევის მოდელის განსახორციელებლად.

საერთოდ ლოკალური ტერორიზმის (თუგინდ ძალიან აქტიური) ჩახშობა თუ არა, ნაწილობრივ განეიტრელება მაინც თანამედროვე მსოფლიოში ვერ ხერხდება ძირითადად იმიტომ, რომ იმათვებისაც ამ საკითხის მოგარება ეხება (ძირითადად შესაბამისი ქვეყნების მთავრობები) ან არ შეუძლიათ, ან არ აწყობთ ეფექტური დონისძიებების გატარება. ეს მაგალითად შეეხება ტერორიზმს ქაშმირში (ინდოეთი) ან შრი-ლანკაზე, აღუირში, თურქეთში, რუსეთში – ჩრდილო კავკასიაში.

იქ სადაც ხელისუფლებას უნდოდა და უნარი შესწევდა ტერორიზმთან ებრძოლა, მაგალითად ევროპაში, მან უპასუხა ტერორისტულ გამოწვევებს ძალისმიერი, პოლიციური მეთოდების, ანტიტერორისტული პორპაგანდის, მოლაპარაკებისა და მოსუიდვის კომბინაციით. შედეგად მარქსისტული ტერორი ევროპაში საერთოდ აღმოიფხვრა, ხოლო ბასკური და ჩრდილო ირლანდიური ტერორისტების ისეთ მდგრმარეობაში არიან ჩაეცენებულნი, როდესაც ისინი ფორმალურად მაინც უარს ამბობენ ბრძოლის ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე.

მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთი ასეთი კონფლიქტი ათწლეულებს მოითვლის, მათი უშეალო გავლენა იშეითად სცილდება იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებს, სადაც ისინი ვთარღდება. თუ ასეთები ზოგჯერ განიხილება, როგორც გლობალური ტერორის ნაწილი, ეს იმიტომ სდგბა, რომ ზოგიერთ მთავრობებს, მათი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, აწყობთ მათი ამ სახით წარმოდგენა. ეს მოსაზრება შესაძლებელია გავრცელდეს ისეთ გრძელვადიან და გახმაურებულ კონფლიქტზე, როგორიცაა პალესტინა-ისრაელის.

ეს კონფლიქტი თავის არსით ძალიან ტიპიურია და თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კონფლიქტთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ დროს ის ადგილი, რომელიც მას უკავია მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში, აშკარად არ შეესაბამება მის რეალურ სირთულესა და გამოვლინების ინტენსიურობას.

დაახლოებით სამი ათეული წლის მანძილზე მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი გავა შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც მხარს უჭერდნენ კონფლიქტის მოწინააღმდეგე მხარეებს – შესაბამისად ისრაელსა და პალესტინელ არაბებს ( როგორც დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს, ძირითადად ერთმანეთის ჯიბრით).

დღესაც სსრკ-ს წასვლის შემდეგ მსოფლიო ასპარეზიდან, ამ კონფლიქტს დაახლოებით ისეთივე ადგილი უკავია აშშ-სა და მთლიანად მუსლიმურ სამყაროს ურთიერთობებში. ეს კონფლიქტი, აგრეთვე წარმოადგენს საერთაშორისო ტერორისტული მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას და მისი არსებობისა და განვითარების საბაბს.

თანამედროვე ბინეს-ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, ხდება ამ კონფლიქტის რეიტინგის საკმაოდ ხელოვნური გაზრდა ლოკალურ/რეგიონალურიდან, კიდევ სუბგლობალურამდე, ხოლო მისი გამწვავების პერიოდებში გლობალურ დონემდეც.

შესაბამისად იზრდება მის მოგვარებაში მონაწილეობის მიღების მსურველ სუბიექტთა რიცხვიც, რომელთაგანაც ყოველი პირადი, ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ასეთი დაინტერესება ბუნებრივია მკვეთრად ამცირებს კონფლიქტის მოგვარების შანსებს. მაგალითისათვის ბევრ არაბ ხელისუფალს პრინციპში აწყობს ამ კონფლიქტის არსებობა, თუნდაც იმიტომ, რომ ის უქმნის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, გადაიტანოს საკუთარი “ქუჩის” ყურადღება მოუგვარებელი საშინაო პოლიტიკიდან.

ტერორიზმის გამოვლინება – სეპარატიზმი, როგორც მთლიანად დამნაშავეობა, საქართველოში, ვთარღდება მსოფლიოში არსებული

კანონზომიერებით, რომელთა რეალიზაციის აშკარა და სასტიკი მაგალითია სეპარატისტული ტერორიზმი, რომელიც აფხაზეთში და სამაჩაბლოში პპოვა თავისი გამოვლინება. ტერორიზმის ამ განსაკუთრებული მახასიათებლებს შეიძლება მივაკუთნოთ ტერორისტული ჯგუფების მრავალრიცხვნება და ჩატარებული ოპერაციების მატებურობა; ტერორისტების შეიარაღება რეგულარული არმიის დონეზე; ტერორისტულ საქმიანობასთან უცხოელი დაქირავებულების ჩართვა, საერთაშორისო ფინანსური დახმარების არსებობა; პოლიტიკური მიზნების შეასაუცხობრივი სიხისტე; ტერორიზმის სახეობების ხარისხობრივად ახალი ერთობა პოლიტიკური, კრიმინალური, ნაციონალისტური და რელიგიური.

სეპარატისტული აჯანყების უპირველესი პოტენციური წყაროა – მტრული სახელმწიფოები. საქართველოსთვის სეპარატისტული ტერორიზმის ფინანსური ფონდების წყაროთა კომბინაცია შეიძლება სხვადასხვა იყოს სეპარატისტული რეგიონების მიხედვით. მაგრამ სეპარატისმის მკვებავი – მტრული სახელმწიფო, საქართველოს ყველა სეპარატისტულ რეგიონში ერთია. ეს არის რუსეთი, თავისი იმპერიული ამბიციებით და გეოპოლიტიკური, მარად დაუქმაყოფილებელი მადიო, როგორც მატერიალური, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსების წყარო აგრესიული სეპარატისტული მოქმედებების განხორციელებისათვის. ამდენად აფხაზური და ოსური სეპარატისტული ტერორიზმი, არამარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მაშტაბის პრობლემაა. რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან მიმართებაში სახელმწოდო ტერორიზმის ორმაგ სტანდარტს ჩაუყარა საფუძველი: რუსეთი ერთი მხრივ მატერიალურ, მორალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს აგრესიული სეპარატიზმის და ტერორიზმის გამოვლინებებს საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე მოქმედ კვაზი-სახელმწიფოებრივ, სეპარატისტულ ლოზუნგებს ამოფარებულ, ტერორისტულ წარმონაქმნებს, ხოლო მეორეს მხრივ უავე მეათე წელიწადიდი გაეროს სამშვიდობო მისის ეგიდით, ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური კონფლიქტის “მოგვარებას ემსახურება”, “პანკისის ხეობის” სახელით საყველოაოდ ცნობილ ანკლავში ტერორისტებათ აცხადებს ჩეჩენ ლტოლების და მათთან ბრძოლის საბაბით უმისამართოდ ბომბავს საქართველოს ტერიტორიას.

აჯანყებული სეპარატისტების წარმატებლობა დამოკიდებულია მათ უნარზე ჩართონ სხვადასხვა ფინანსური წყაროები, ფონდები, რომელიც ხშირად დაკავშირებულია უკანონო მოქმედებებთან (მაგ. ნარკოტიკებით ვაჭრობა და აქედან ამოღებული ფულის გათეთრება). იხილავენ რა სეპარატისტული აჯანყების მიზანს, როგორც ფინანსურ მოგებას (რომელსაც

იღებენ ნავთობის სხვა ბუნებრივი სიმდიდრით და ნარკოტიკების პირველადი რესურსების კონტროლის საშუალებით). ამით, აჯანყებული სეპარატისტი სახელმწიფო ლიდერები არ განსხვავდებიან ბანდიტებისაგან და მექობრეებისაგან. ყველაზე დიდი თანხები ტერორიზმის დასაფინანსებლად შემოდის ნარკოტიკებით ვაჭრობიდან. დღევანდელ ბაზარზე არ არსებობს ისეთი საქონელი, უფრდაც არალეგალურ ვაჭრობაში, ფულის ასეთი მაღალი და სწარაფი მობრუნების საშუალება, რომ პქონდეს. დამაშავეობის სამყაროს, ტერორისტების და სეპარატისტების ინტერესები ზუსტად ნარკოტიკებით ვაჭრობაში იგეთვება, რომელიც საბოლოო ჯამში ჭუჭყიანი ფულის გათეორებით მთავრდება.

საქართველოს ხელისუფლებისაგან უკონტროლო ტერიტორიები აფხაზეთი, სამაჩაბლო, ახლო წარსულში პანკისის ხეობა ფაქტიურად არა მარტო ნარკობიზნების ჩრდილოვანი ეკონომიკის და ფულის გათეორების ოაზისი გახდა, არამედ საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაულებრივი ორგანიზაციების თავშესაფარი საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა იმისა, რომ ნარკობიზნები დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემოსავლების წყაროა, მის არსეს უკეთესად გავიგებთ, თუ მას განვიხილავთ, როგორც საბითუმო და საცალო დონეზე წარმოების და გავრცელების ინდუსტრიას. ამ ინდუსტრიიდან ფულადი სახსრები შედის ნარკოტიკებით მოვაჭრე ორგანიზაციაში საქართველოს შემთხვევაში აფხაზური და ოსური სეპარატიზმის შემოსავლების ერთ-ერთი წყაროდ არის გადაქცეული. მრავალმილიონიანი მოგების მომტანი ნარკობიზნების ინდუსტრიამ გარკვეულწილად განაპირობა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების და ასევე ფულის გათეორების საქმიანობის წარმოქმნა. რეალურად იკვეთება ნარკობიზნების და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს შორის კავშირის, კერძოდ, იარაღით ვაჭრობასთან, ჩინოვნიკების მოსყიდვასთან და ა.შ.

საქართველოში 1975-76 წლებში მოხდა აფეთქებათა მთელი სერია. ვლადიმერ ქვანიამ ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოოთა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის მოტივით, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობით, მოახდინა აფეთქებები სოხუმში, ქუთაისში, თბილისში, რომელსაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. აფეთქებათა სერია მოხდა 1998-2001 წლებში რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში.

1992 წ-ს ქ. თბილისში მანქანაში ჩამონტაჟული ასაფეთქებელი მოწყობილობით დაიღუპა დამხაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი ყურაშვილი.

1994 წელს ქ. თბილისში ხილიანის ქუჩაზე აფეთქდა ავტომანქანა „ზაპოროჟეცში“ ჩამონტაჟებული ნივთიერება, რომელსაც აღამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

1995 წლის აგვისტოში საქართველოს პარლამენტის ეზოში აფეთქდა ავტომანქანა „ნივაში“ ჩამონტაჟებული ნივთიერება, რომელიც მიმართული იყო საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ და ა.შ.

თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმს საკმაოდ ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა აქვს, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. ტერორისტული დაჯგუფების აქტიური საქმიანობის შედეგად ხდება მსოფლიო ბაზრებზე ნარკოტიკების მიწოდება, რასაც მიღლიარდობით დოლარი მოაქვს. იარაღით ვაჭრობის მეთეჯი ტერორისტებზე მოდის. ტერორისტები ასევე აკონტროლებენ რეკეტის, პროსტიტუციას, კონტრაბანდას, სათამაშო ბიზნეს და ა.შ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ყოველ წელს აქვთნებს ანგარიშს ტერორიზმის შესახებ, საერთაშორისო ტერორიზმის დამფინანსებლად ოვლის კუბას, ირანს, ლიბიას, ჩრდილოეთ კორეას, სუდანს და სირიას. „ტერორიზმის სპონსორი“ სახელმწიფოების სიაში მოხვედრა ნიშნავს მათვის იარაღით ვაჭრობის აკრძალვას, კონტროლის გამკაცრებას „ორმაგი დანიშნულების“ საქონლის მიწოდებაზე, ფინანსური და უკონომიკური დახმარების აღმოჩენის აკრძალვას, ასევე ზეწოლის სხვა მეთოდებს (მაგალითად აშშ-ს შეუძლია გამოიყენოს თავისი გავლენა და დაბლოკოს საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების მიერ ამ ქვეყნებისთვის კრედიტის მიცემა).

დიდი დაფინანსებისა და შესაძლებლობების გამო საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გლობალურ პრობლემად იქცა. ასეთი ტრანსფორმაცია კონკრეტული მიზეზებითაა განპირობებული. საერთაშორისო ტერორიზმი, სამწუხარო, სწრაფად ვრცელდება მთელ პლანეტაზე. ის ჩნდება როგორც საერთაშორისო კონფლიქტებისათვის ტრადიციულ რეგიონებში (მაგ: ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ აზია), ასევე აღრე თითქოსდა უსაფრთხო, განვითარებულ ქვეყნებში (კერძოდ აშშ და დასავლეთ ევროპა). საერთაშორისო ტერორიზმი სერიოზულ საშიშროებას უქმნის როგორც ცალკეულ ქვეყნების უსაფრთხოებას, ასევე მსოფლიო საზოგადოებას მთლიანდ. ყოველწლიურად მსოფლიოში საერთაშორისო ტერორიზმის ასობით აქტი ხორციელდება, ხოლო მათი მსხვერპლი ათასებს ითვლის. ტერორიზმთან საბოროლველად ერთი დიდი სახელმწიფოს, ან თუნდაც მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ჯგუფის ძალისხმევა არაა საკმარისი.

საერთაშორისო ტერორიზმის, როგორც გლობალური პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოებისა და ხალხების ერთობლივ ძალისხმევას ითხოვს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გლობური ტერორიზმის „საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა”.
2. კ.კიკაბიძე „ტერორიზმის და სეპარატიზმის დაფინანსება საქართველოში”.
3. ვ.მელიქიძე „მსოფლიო პოლიტიკური გლობალიზაცია”.
4. საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი „ტერორიზმის შესახებ”.
5. ჯ.ჯანაშია „21 საუბუნის გამოწვევა”

### **Summary**

**Natia Gotsadze**

#### **International terrorism**

As one can see from the essay, terrorism with all its forms, intensity, widest scale, its inhumanity and cruelty has become one of the sharpest issues all over the world. Terrorism causes death of people. It bears hatred and distrust.

Terrorism has become the only way of solving the problems for many people and for political groups or organizations in some countries. Terrorism is a kind of crime and its victims are civilians, innocent people. Terrorism, as one of the greatest threats of the twenty-first century, requires from international and democratic institutes to fight against it.

### **Резюме**

**Натиа Готсадзе**

#### **Международный терроризм**

Как видно из разработанной темы, терроризм, по всем своим формам и проявлениям, масштабами и интенсивностью, нечеловеческостью и жестокостью, стал одним из жгучих и злободневных вопросом глобального значения во всём мире.

Терроризм сопровождается большими человеческими жертвами, он рождает ненависть и недоверие. Для всех людей и некоторых политических групп и организаций многих стран терроризм стал средством решения политических, религиозных и национальных проблем, поскольку он принадлежит к такому виду преступления, жертвой которого стали невинные люди. Терроризм как одна из самых больших опасностей двадцать первого века потребовал обязательного включения международных и демократических институтов для введения эффективного военного действия.

**ლაშა ცქიტიშვილი  
ეგროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო**

ისტორიული თვალსაზრისით საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა აღიქმება, როგორც ხიდი, – დამაკავშირებელი სივრცე ორ სამყაროს – აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ადგილი, სადაც ეს ორი სამყარო, მათი ინტერესები, კულტურა, ტრადიციები, ფასეულობები ოდითგან ხვდებოდა, ეჯახებოდა და ებრძოდა ერთმანეთს.

საქართველო არის ამ ორი არსობრივად განსხვავებული სამყაროს თანამარსებობის, ურთიერთშეხამების, სინთეზის იშვიათი მაგალითი. მეორეს მხრივ, თვით ქართველები თავიანთ სამშობლოს განიხილავენ როგორც აღმოსავლეურ-ქრისტიანული სამყაროს უკანასკნელი სამხრეთ-აღმოსავლეურ ფორმოსტებს, ისლამურ სამყაროში შექრილ ქვეყანას, რომლის მისია ქრისტიანული კულტურის დაცვა იყო. ამის გამო საქართველოს კულტორი ყოველთვის მიმართული იყო ევროპისაკენ, მაგრამ უამთა ვითარება მასთან მჭიდრო ურთიერთობის საშუალებას არ იძლეოდა (დიდი ხნის განმავლობაში ქვეყანა მუსულმანური სამყაროს რკალში იყო მოქცეული, ხოლო უახლოეს წარსულში საბჭოთა კავშირის რეანის ფარდა მყაცრად იყო აღმართული ჩვენსა და დასავლეთს შორის). დღეს, ისე როგორც არასდროს, საქართველოს გაუწნდა შანსი, შეაღოს ევროპის ოჯახის კარგები და მრავალსაუკუნოვანი სურვილი და ლტოლვა დაიკმაყოფილოთ.

თანამედროვე ევროპა აღარ არის ზოგადად მოაზრებული სივრცე. იგი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი თვალსაზრისით მჭიდროდ შეკავშირებული და ერთიანი სამყარო.

ევროპის თანამეგობრობას საფუძველი ჩაეყარა 1952 წელს. იგი ეჭვის ქვეყნის გაერთიანებით დაიწყო და 1995 წელს უკვე თხუთმეტ წევრს მოითვლიდა. დღევანდებული ევროკავშირი 27 დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან შედგება და მოიცავს სივრცეს არქტიკული სარტყელიდან პორტუგალიამდე, ირლანდიდან კუნძულ კრეტამდე. ის 490 მილიონზე მეტ ევროპელს აერთიანებს. მრავალფეროვნების მიუხედავად, ევროკავშირი საერთო ფასეულობებს ეფუძნება. ქმნიან რა პარტნიორულ გაერთიანებას, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მიზნად ისახავენ, ხელი შეუწიონ მშვიდობისა და დემოკრატიის განვითარებას, მოქალაქეთა კეთილდღეობასა და დოკუმენტის სამართლიანად განაწილებას.

ევროკავშირი პერიოდულად დამატებებითი წევრებით ივსება. მაგალითად, 2004 წელს მის შემადგენლობაში მაღარაცხა და კვიპროსთან ერთად შევიდა აღმოსავლეთ ევროპის 8 ახალი სახელმწიფო. ევროპაში მდებარე არაერთი ქვეყანა, რომელიც ჯერ არ გამხდარა ევროკავშირის წევრი, ესწრაფვის მოიპოვოს ეს უფლება. ამჟამად ევროკავშირში შესვლას ორი ოფიციალური კანდიდატი, -თურქეთი და ხორვატია, ასევე რამდენიმე პოტენციური კანდიდატი ქვეყანა, მათ შორის ალბანეთი, ბოსნია, ჰერცოგოვინა, მონტენეგრო და სერბეთი ელოდება.

ევროკავშირში გაწევრიანება საქმარე რთული და ხანგრძლივი პროცესია. კავშირში გასაერთოანებლად საჭიროა წევრობის მსურველი ქვეყანა აქმაყოფილებდეს ევროსაბჭოს მიერ დანიის დედაქალაქ კაռპენიაგენში ჯერ კიდევ 1993 წელს განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელთა შორის გამოიყოფა გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო კრიტერიუმები.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის წევრები მხოლოდ ეპროპული სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ (მაგალითად, მაროკოს უარი ეთქვა კავშირში მიღებაზე იმ მოტივით, რომ იგი ევროპული ქვეყანა არ არის).

ევროპის თანამეგობრობაში შესასვლელად კანდიდატი სახელმწიფო უნდა ააქმაყოფილებდეს ინრითად მოთხოვნებს:

1. დემოკრატიის, კანონის უზნენაესობის, ადამიანთა უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის სტაბილური ინსტიტუტების არსებობა;

2. ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკის არსებობა და უნარი, კონკურენციის პირობებში იარსებოს ევროკავშირის საზღვრებში.

3. უნარი, იტვირთოს ევროკავშირის წევრობის პასუხისმგებლობა და კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფულად საერთო მიზნების სრული მხარდაჭერა.

საქართველო გეოგრაფიულად ევროპაში მდებარეობს. იგი ცივილიზაციურადაც ევროპის ნაწილია და ქვეყნის პოლიტიკური გექტორიც ევროპაზეა მიმართული. საქართველო თამაშობს საგარეო და საკომუნიკაციო ხიდის როლს კავკასიას, ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის. შესაბამისად, ის მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა, რომლის გავლით ხდება ნავთობისა და გაზის ტრანსპორტტება, მიღსადენების საშუალებით, კასპიის ზღვიდან დასავლეთისაკენ.

მას შემდეგ, რაც XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ჩვენმა ქვეყანამ საკუთარი სახელმწიფოებრიობა ხელახლა აღიდგინა და ოდნავ მოგვიანებით პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთზე აიღო, მან თფიციალურად გამოხატა ეგროპულ სტრუქტურებში

ინტეგრაციის სურვილი. აღსანიშნავია, რომ ამ გზაზე საქართველომ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. იგი უკვე არის ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი, თანამშრომლობს ევროპარლამენტთან, ევროკომისიასთან, ევროსასამართლოსთან, ეუთოსთან და სხვ.

1994 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიწყო მოლაპარაკება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თაობაზე. მოლაპარაკებები 1995 წლის დეკემბერში დასრულდა და მომდვენო წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამ პრეზიდენტსა და ევროკავშირის ხელმძღვანელობას შორის გამართული შეხვედრის დროს, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლიდან. შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ხსენებული დოკუმენტის შესაბამისად, ევროკავშირმა და საქართველომ იკისრეს ურთიერთვალდებულებები, რომელიც მრავალ სფეროში თანამშრომლობას მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მზადაა გააგრძელოს დახმარება ჩვენი ქვეყნისათვის, ადნიშნული შეთანხმებით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დონორი-რეციპიენტის დამოკიდებულებიდან ახალ განზომილებაში, თანასწორუფლებიანი პარტნიორების დამოკიდებულებაში გარდაისახა.

ევროკავშირთან და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავების, მათთან პოლიტიკური, სამართლებრივი, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობის, სახელმწიფო სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის ეფექტური კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნთ შეიქმნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

დემოკრატიის, საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ერთგულება არის ის ქვაკუთხედი, რომელზეც დაფუძნებულია ურთიერთობები ევროკავშირისა და საქართველოს შორის. “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება” უზრუნველყოფს ფართომასშტაბიან თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა პოლიტიკური დიალოგი, ვაჭრობა, ინვესტიციები, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული თანამშრომლობა. ეს დიალოგი ემყარება ორივე მხარის მიერ გაზიარებულ ამოცანას, ხელი შეუწყონ მშვიდობასა და უსაფრთხოებას მსოფლიოში და აგრეთვე კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების” საფუძველზე,

რომელიც აგრეთვე აუქმებს საგაჭრო ქვოტებს და უზრუნველყოფს ინტელექტუალური, საწარმოო და კომერციული სააგეტორო უფლებების დაცვას, მხარეები შეთანხმდნენ ერთმანეთის მიმართ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გამოყენებაზე და საქართველო სარგებლობს ევროკავშირის განზოგადებული პრეფერენციების სისტემით.

“პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების” ფარგლებში შეიქმნა სხვადასხვა ერთობლივი ინსტიტუტები (თანამშრომლობის საბჭო, თანამშრომლობის კომიტეტი, ვაჭრობის, ეკონომიკისა და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ქვეპრომიტეტი, აგრეთვე საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი), რომლებიც შეუფერხებლად მუშაობდნენ და უზრუნველყველ პოლიტიკური დიალოგი.

2001–2002 წლებში ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებზე უარყოფითი ზეგავლენა იქნია უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა რიგმა ინციდენტმა. 2001 წლის დაკავშირებულ მოკლეს საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის თანამშრომელი გიუნტერ ბოიქელი. 2002 წლის ივნისში გაიტაცეს და ხუთი თვე ტყვეობაში პყვდათ პიტერ შოუ, TACIS-ის კონტრაქტორი. საქართველოს მთავრობამ ვერ მოახერხა ამ სერიოზული დანაშაულების ჩაძლენი პირების გამოვლენა და დასჯა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგრმარეობის გამაფრებამ ევროკომისია აიტულა გადაეხედა საკუთარი პოლიტიკისათვის საქართველოს მიმართ. 2003 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავებულ ევროპის სამეზობლო სტრატეგიულ ღოვემენტში, რომელიც არეგულირებს ევროკავშირის ურთიერთობებს მის სამხრელ და აღმოსავლელ მეზობელ ქვეყნებთან, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები და მათ შორის საქართველო, მხოლოდ შენიშვნაში იყო მოხსენიებული, რაც, ფაქტობრივად, ევროპის მეზობელი ჯგუფის ქვეყანათა სიიდან გამორიცხვას უტოლდებოდა.

საქართველოში განხორციელებული ვარდების რევოლუციამ დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ელიტას განუმტკიცა რწმენა, რომ ქვეყანა უფრო მტკიცედ დაადგა დემოკრატიისა და დასავლეური ფასტულობების დანერგვის გზას. 2003 წლის ბოლოს ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიაში თავისი სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა.

2004 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა “საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია” პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით. კომისიის ამოცანებს შორის არის “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების”

განხორციელების და “ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში” მონაწილეობის ხელშეწყობა. სხვადასხვა სექტორებზე პასუხისმგებელი სამინისტროებში ფუნქციონირებს ევროკავშირის განყოფილებები. დარგობრივ სამინისტროებს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სამიქმედო გეგმების შემუშავება დაევალა და ამ პროცესის შემდგომი განვითარებისათვის სამინისტროთაშორისი საექსპერტო ჯგუფები ჩამოყალიბდა. საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან ევროკავშირსა და საქართველოს შორის “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების” მნიშვნელოვან ასპექტად რჩება და ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკუთხებელი.

ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის შესაბამისი ინსტიტუციური მოღელი, რომლის ერთ-ერთ ძირითად რგოლს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია წარმოადგენს. კომისიამ დამტკიცა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების 2004-2006 წლების ერთიანი სამოქმედო გეგმა. განხილულ იქნა საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისის (EU JUST THEMIS) საქმიანობა; ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების შემუშავების მიმდინარეობა; საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები; ევროკავშირსა და საქართველოს შორის ავიაციის სფეროში თანამშრომლობისა და საქართველოს ევროკავშირის ერთიან საავიაციო სივრცეში ინტეგრაციისა და სხვ. საკითხები. ამასთან, შემუშავდა ერთიანი პოზიცია და საქართველოს პრიორიტეტების შესაბამისად ჩასწორებულ იქნა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი. განხორციელდა მოსამაზადებელი სამუშაოები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის თაობაზე კონსულტაციების პირველი რაუნდისათვის. ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა 16 უწყებათაშორისი სექტორული სამუშაო ქვეჯგუფი, რომელშიც სახელმწიფო მოხელეებთან ერთად ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ - ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) ექსპერტები შედიან. ინტეგრაციის პროცესის თანამიმდევრულად წარმართვისა და ეფექტური კოორდინაციის მიზნით, რეგულარულად იმართება

ევროინტეგრაციის კომისიის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების შეხედრები.

საქართველო გაფართოებული ევროპის ახალ სამეზობლო პოლიტიკას განიხილავს, როგორც ევროპაში ინტეგრაციის ხელშემწყობ მქანიზმს, ისევე როგორც ევროპულ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თამაშრომლობის საშუალებას და ამასთან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიის აღნიშნულ ინიციატივაში ჩართვას.

ევროკავშირი დაინტერესებულია, ჰყავდეს ისეთი მეზობლები, რომლებიც იზიარებენ მის პრინციპებს, ევროპულ ნორმებს, დირექტულებებს, და აქედან გამომდინარე, არ შეუქმნიან საფრთხეეს მშვიდობიან თანაცხოვრებას. სწორედ ამ მოტივაციას ეფუძნება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც სამხრეთ კავკასიის გარდა, ევროკავშირის აღმოსავლეთ და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებს მოიცავს.

“ახალი სამეზობლო – ფართო ევროპა” ითვალისწინებს ევროკავშირის მეზობლებისათვის “საერთო ბაზარში” თანდათანობითი განვერიანების პერსპექტივას და ევროკავშირის ოთხი ფუნდამენტური თავისუფლების (მუშახელი, კაპიტალი, მომსახურება და საქონელი) შემოსვდას. “ამ გაფართოებამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა ჩვენს მეზობლებთან აღმოსავლეთ ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში. დღეს ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ მოხდეს ამ პარტნიორ ქვეყნებთან არსებული კავშირების გამყარება, თანამშრომლობისა და დახმარების უამრავი ახალი ფორმა. ჩვენ გვინდა მივცეთ მათ ევროკავშირში ინტეგრირების საშუალება, რათა მათაც მოახერხონ განვითარება და აყვავება. პერსპექტიული დემოკრატიის, ეკონომიკური ზრდისა და შესაფერისი მშართველობის მქონე ქვეყნების წრე ევროკავშირის გარშემო, შედის მთლიანად ევროპის ინტერესებში” – განაცხადა სტრატეგიის მიღების შემდეგ, გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კომისარმა, გაუნტერ ფერხოიგენმა.

მეზობელ ქვეყნებთან პარტნიორობის გაღრმავების მიზნით ENP - ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს საქმაოდ ამბიციურ ამოცანებს. ამ პარტნიორობის საფუძველი საერთო დირექტულებებისადმი ერთგულება, საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნების გაზიარება და პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები გახდება. ევროკავშირი პარტნიორ სახელმწიფოებს სთავაზობს მასთან უფრო ღრმა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანამშრომლობას და

პასუხისმგებლობის გაზიარებას კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მოგვარების საკითხებში.

ევროკავშირი მეზობელ სახელმწიფოებს შიდაევროპულ ბაზარში მონაწილეობისა და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობასაც უქმნის. ევროკომისის მიმართვაში აღნიშნულია: „ეველა მეზობელ ქვეყანას უნდა მიეცეს საშუალება თავისი სიტყვა თქვას ევროკავშირის შიდა ბაზარზე, მოახდინოს შემდგომი ინტეგრაცია და ლიბერალიზაცია მუშახელის, კაპიტალის, მომსახურებისა და საქონელის თავისუფალი მიმოსვლის დაშვებით“. „საერთო დირექტულებების არსებობის და პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმების წარმატებით გატარების შემთხვევაში, მათ შორის ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანით, ევროკავშირის მეზობელებს საშუალება ექნებათ დაუახლოვნდნენ ევროკავშირს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში ჩართვით,“ ნათქვამია იქვე. სსენებული პროცესის განვითარების ტემპი და ინტენსიურობა დამოკიდებული იქნება თითოეული პარტნიორი ქვეყნის სურვილზე, უნარსა და შესაძლებლობაზე, გაიზიაროს ეს მოთხოვნები და უზრუნველყოს მათი შესრულება.

ევროკავშირთან დაახლოება საქართველოსათვის იქნება არა მარტო ქართული პროდუქციის გასაღების ბაზრის გაფართოების გარანტი, არამედ ევროპულ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მიმოსვლის გამარტივების ხელშეწყობი გარემოებაც. ევროკავშირი არ გამორიცხავს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეთათვის საზღვრების გადაკვეთის გამარტივებული ფორმების დაწესებისა და უფიზო რეების შემოღების შესაძლებლობას. დღეს მსგავსი ცვლილებები შორეულ პერსპექტივად მოხსნს, მაგრამ თურქთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, საქართველოს ევროგაერთიანებასთან საზღვაოს გარდა სახმელეთო საზღვარიც გაუჩნდება, რაც დღის წესრიგში დააყენებს საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის კარის გაღებას და უფრო გამარტივებული მიმოსვლის საშუალებათა ამოქმედებას. ყოველივე ამასთან ერთად, ევროკავშირთან დაახლოება საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც ძალზე მომგებიანი იქნება.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხრიდან ინდივიდუალური, სპეციფიკური მიდგომის ჩამოყალიბება, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს განავითაროს მჭიდრო რეგიონალური ურთიერთობა საქართველოს მოსაზღვრე გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნებთანაც. საქართველოსათვის ფასეულია აგრეთვე ევროკავშირის შემადგენლობაში შავი ზღვისპირა ქვეყანათა გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობს

რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და უზრუნველყოფს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობას.

ევროკავშირი მსარს უჭერს თავისუფალი ბაზრისა და ლია მრავალპარტიული დემოკრატიის ფორმირებას ჩვენს ქვეყნაში. კონფლიქტური ზონების რეაბილიტირების საშუალებით, ევროკავშირი ეხმარება საქართველოს მოაგვაროს შიდა პროცესები, რომლებიც დამტკიცირებლობის დღიდან მოყოლებული საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ევროგაერთიანებასთან წარმატებული ურთიერთობა, თუნდაც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, დააჩქარებს საქართველოს ჩამოყალიბებას თანამედროვე განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნად, ხელს შეუწყობს მის სრულფასოვან ჩაბმას 21-ე საუკუნის მსოფლიო პროცესებში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ს. კაპანაძე, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმები, წიგნში – ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები, თბ., 2007.
2. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 17 დეკემბრის №597 ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №133 დადგენილება.
3. "Wider Europe – Neighborhood", p. 10 ,12.
4. ევროკომისიის პრეზიდენტის რომანო ბროდის გამოსვლა ევროპული საზოგადოების კვლევის ასოციაციის (European Community Studies Association) მექანიზმის მსოფლიო კონფერენციაზე, ბრიუსელი, 5-6 დეკემბერი, 2002“
5. დიკ ლეონარდი. ვროკავშირის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობები.

### **Summary**

**Lasha Tsikitishvili**

**European Neighborhood Policy and Georgia**

The article deals with the problem of Georgia's participation in the Euro-integration process, and Georgia's relation with the European Union. The article deals with "The Agreement on Partnership and Cooperation" - the document adopted by the European Union, and gives analysis of the essence of the European neighborhood policy and the criteria of the integration with the European Union. The measures taken by the government of Georgia to fulfill the tasks set by these criteria are presented. The article makes emphasis on the importance of cooperation with the European Union for Georgia within the frame of the European neighborhood policy.

**Резюме**

**Лаша Цхитишили**

**Европейская политика соседства и Грузия**

Статья касается проблемы участия Грузии в процессе евроинтеграции. В ней освещаются вопросы взаимосвязей Грузии с Евросоюзом, рассматривается „Соглашение о партнерстве и сотрудничестве,” анализируются сущность политики соседства, выраженной в документе еврообъединения, и критерии членства в Евросоюзе. Уделяется внимание мероприятиям правительства Грузии, направленным на выполнение задач, предусмотренных этими критериями. Подчеркивается значение сотрудничества с Евросоюзом в рамках политики соседства для Грузии.

**ლეგან მაჩაიძე  
ევროპის საბჭოს როლი და ფუნქცია**

ევროპაში არსებულ მრავალრიცხოვან საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციებს შორის ევროპის საბჭო წარმოადგენს განსაზღვრულ პოლიტიკურ ინსტიტუტს, რომელიც ევროპულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვანი და ყოვლისმომცემული საკითხების განხილვით არის დაკავებული. წლების მანძილზე აღნიშნული ორგანიზაციის ძირითადი მიზნები კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა და მან ახალი ფუნქციები იტვირთა.

დღეს ევროსაბჭოს ძირითადი ამოცანებია: თითოეულ წევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვის უზრუნველყოფა; პოლიტიკისა და სამართლის სფეროებში რეფორმების გაზარებით ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის გაძლიერება; ისეთი აქტუალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების განხილვა, როგორებიცაა: ეთნიკურ უმცირესობათა დისკრიმინაცია, ადამიანის კლონირება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტერორიზმი, კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული; ევროპის ერთიანი კულტურული იდენტურობის განსაზღვრა და განათლების მხარდაჭერით საერთოევროპული თვითშეგნების ჩამოყალიბება.

ევროპის საბჭო უზრუნველყოფს უკეთაზე უფრო ეცემბურ და ფაქტიურად შეუცვლელ ფორუმს პოლიტიკური დიალოგისათვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და დანარჩენ ევროპულ ქვეყნებს შორის, რომლებიც სავარაუდოდ უახლოეს მომავალში ვერ მოახერხებენ ევროპავშირში გაწევრიანებას. ევროპის საბჭო არის ერთადერთი ევროპული და ამავე დროს კონტინენტური ორგანიზაცია, რომელშიც ყველა ევროპული სახელმწიფო თანაბარ პირობებში თანამშრომლობს.

ევროპის საბჭო ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს თავის რიგებში რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოს გაწევრიანებას. ევროპის ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ორგანიზაციის წევრია.

დღეს ევროპის საბჭო 44 ქვეყნით არის წარმოდგენილი. აღმოსავლეთით გაფართოების დამთავრების შემდეგ ევროპის საბჭო ერთადერთი ევროპული, პოლიტიკური ორგანიზაცია იქნება,

რომელშიც კონტინენტის ყველა ქვეყანა 50 წელიწადზე მეტია სხვადასხვა სფეროში თანაბრძოლობს. ევროპის საბჭომ ცხადეო თუ რა დიდი განვითარების პერსპექტივები გააჩნია სახლმწიფოთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ევროპის საბჭომ დიდი გამოცდილება შეიძინა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის განვითარებული კრიზისული სიტუაციების დარეგულირებისა და მათი მშვიდობიანად გადაწყვეტის პროცესში.

1989 წლის შემდგომ დაწყებული ერთიანი, განუყოფელი ევროპის მშენებლობის პროცესი ახალ ისტორიულ პასუხისმგებლობას ცხადყოფს. ევროპის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალი პოლიტიკური ინიციატივების განვითარებას.

დემოკრატიული პრინციპების განმტკიცება წარმოადგენს ევროპის საბჭოს უმთავრეს სამართლებრივ და ინსტიტუციონურ ამოცანას. ადსანიშნავია ახალი ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული საფრთხე, ტექნიკურ წინსვლასთან დაკავშირებული ეთიკური პრობლემები, დანაშაულის ახალი ფორმები, კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მათი დაცვის საკითხები და სოციალური გაუცხოების წინააღმდეგ მიმართული დონისძიებები. თითოეული ეს პრობლემა განხილული უნდა იქნას ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების თანასწორუფლებიანობის გათვალისწინებით.

1993 წელს ვენაში გამართული კონფერენციის დროს 32 ქვეყანამ ევროპის საბჭოს ევროპაში „დემოკრატიული უსაფრთხოების“ მეურვის როლი დააკისრა, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს უნდა ემყარებოდეს და ამავე დროს ევროპაში სხვა ორგანიზებულ სამსედრო უსაფრთხოების ინსტიტუტებს უნდა ავსებდეს. 1997 წელს სტრასბურგში გამართული შეხვედრის დროს განისაზღვრა მოქმედებათა გეგმა ევროპის საბჭოს მიერ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების, სოციალური თანამშრომლობის, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დემოკრატიული ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის საკითხებზე მიმართული სამუშაოს გასაძლიერებლად.

1999 წლიდან კონცეფცია „ევროსაბჭო და დიდი ევროპა საზღვრებს გარეშე“ ორგანიზაციის პოლიტიკური მსოფლმხედველობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპის საბჭოს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ტრიბუნალთან ერთად, ასევე კონვენცია წამებისა და

არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ, ევროპის სოციალური ქარტია და ევროპის კომისია რასიზმისა და არატოლერანტულობის წინააღმდეგ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.

აუცილებელია ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ტრიბუნალის მუშაობისა და მისი დაფინანსების ხელახლი ფორმულირება. არსებული გარემოებები აღნიშნული რეფორმის აუცილებლობას ცხადყოფს.

ევროპის საბჭოს მზარდი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში არ უნდა შეზღუდოს მხოლოდ ევროპის საერთაშორისო სასამართლოში რეფორმის გატარებით.

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სისტემა ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად მოიცავს საერთო ნორმებისა და მაკონტროლებელი მექანიზმების ფართო ქსელს, რომლის ეფექტურობაც გაუმჯობესებული სამუშაო მეთოდების გამოყენებისა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გაფართოების ხარჯზე კიდევ უფრო იხვეწება.

ასევე შესაძლებელია ევროპის საბჭოს საგანგებო წარმომადგენლის როლის გაზრდა ეროვნული პროგრამების მხარდაჭერის მიმართულებით. ამასთანავე აუცილებელია აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოთაშორისო ძალისხმევის მუდმივი კონტროლი და ახალი პრიორიტეტების განსაზღვრა. ამას, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების ძიება, სიკვდილის დასჯის გაუქმება. ევროპის საბჭოს მომდევნო მიზანს წარმოადგენს სამართლის სფეროში თანამშრომლობის პროგრამების მხარდაჭერა და განვითარება. აღნიშნულმა დონისძიებებმა უნდა განამტკიცონ სამართლებრივი სახელმწიფო და ხელი შეუწყონ წევრ ქვეყნებში იუსტიციის რეფორმის განხორციელებას.

ევროპის საბჭოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების იმ ნორმებისა და ძირითადი კანონების დაცვა და განვითარება, რომლებშიც უზრუნველყოფილია ადამიანის დირსებისა და ადამიანის უფლებების დაცვა. ამასთანავე საქმარისი არ იქნება მხოლოდ კონვენციების შემუშავება, მიღება და წევრი ქვეყნების მიერ მათი ხელმოწერა.

ნორმების ჩამოყალიბების პროცესში ევროპის საბჭო მუდმივ შესაბამისობაში უნდა იმყოფებოდეს ახალ გამოძახილებთან, რათა შესაძლებელი გახდეს წევრი ქვეყნების კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შევსება.

სახელმწიფოთაშორისო და საპარლამენტო სფეროში თანამშრომლობის ორმოცდაათწლიანი გამოცდილების შედეგად ევროპის საბჭო შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებით ახერხებს სხვადასხვა სამართლებრივი და სოციალური პრობლემების დარეგულირებას.

სხვა ევროპულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა ევროპის საბჭოს უმთავრეს ამოცანებს მიეკუთვნება. განსაკუთრებული როლი ენიჭება, როგორც შემაქრთვებული ხიდის ფუნქციას, ასევე საერთო ინტერესებსა და გამოცდილების გაცვლას.

ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს საერთო მიზნები გააჩნიათ მშვიდობიანი, სტაბილური და ძლიერი ევროპის მშენებლობასთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ მათ რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობა უნდა განვითარონ.

ევროპის საბჭოს განსაკუთრებული გამოცდილება გააჩნია დემოკრატიული უსაფრთხოების, არჩევნებზე დაკავირვების, უმცირესობათა დაცვისა და კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტის საკითხებზე.

სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენება ევროპის საბჭოს შემდეგ უპირატესობებს ანიჭებს: ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილია; ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით პოლიტიკური დატვირთვის მქონე სასამართლო განახენების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, სტრასტურგის საერთაშორისო სასამართლოს მორალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელობა დღითიდლე იზრდება. აღნიშნული განახენები საერთაშორისო სამართლის მიხედვით სავალდებულოა ბრალდებული ქვეყნებისათვის; იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირს არ შეუძლია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ახალი კანონების შემუშავება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპის საბჭოს როლს ახალი ნორმების ჩამოყალიბების პროცესში; ევროპის საბჭოს საგანგებო კომისარი ყოველწლიურად წარადგენს მოხსენებას ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ; ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის შემავსებლი პროტოკოლების, ევროპის სოციალური ქარტიის, ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ ორი ახალი კონვენციის შემუშავებით ევროპის საბჭომ გარკვეულწილად მოახერხა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს უფრო გაფართოება, რაც ევროკავშირის დონეზე შეუძლებელია.

ევროპის საბჭოს ყოველთვის წამყვანი ადგილი ეჭირა ევროპაში სამართლის საკითხების შემუშავებაში. აღნიშნული მიმართულებით

მის საქმიანობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წევრი ქვეყნები. სამართლის ისეთი სფეროებისათვის, როგორებიცაა საკონსტიტუციო სამართალი, აღმინისტრაციული სამართალი, კომუნალური და ოჯგიონული აგენტობის სამართლის საკითხები, ეპროგავშირი ჯერაც ვერ ახერხებს ახალი კანონებისა და ნორმების შემუშავებას.

ეპროგავშირში და ეპროპის საბჭოში გაწევრიანებისათვის აუცილებელი პირობების მსგავსების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეპროპის საბჭოს ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, როგორგბიცაა 200 კონვენცია და წევრი ქვეყნებისათვის 1000–მდე რჩევა. ისინი სავალდებულოა ცენტრალური და აღმოსავლეთ ეპროპის იმ ახალი ქვეყნებისათვის, რომელებსაც უახლოეს მომავალში ეპროგავშირში გაწევრიანების სურვილი გააჩნიათ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეპროგავშირი წარმოადგენს ეპროპის საბჭოს კონვენციების მონაწილე მხარეს, რაც ეპროპის საბჭოს სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობის საუკეთესო შესაძლებლობას ანიჭებს.

ეპროპის საბჭოს სამართლის მნიშვნელოვან გამოძახილს წარმოადგენს შეძლებისდაგვარად მოკლე დროში არსებული სამართლებრივი ნორმების ეპროგავშირისათვის მისადაგება და მათი ამოქმედება. უკვე რამდენიმე ათწლეულია არსებობს მოსაზრებები, რომ აუცილებელია ეპროპის საბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტების დახვეწია და მათი გამკაცრება.

დღეს უფრო ხშირად საუბრობენ ეპროგავშირის მომავალ კონსტიტუციაზე. 60-70-იან წლებში არსებობდა შეხედულება, რომ ეპროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტიტუტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეპროპის კონსტიტუციის (ეპროგავშირი) შემუშავების პროცესში, მაგალითად ეპროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, როგორც ეპროგავშირის ძირითადი კანონის საფუძველი. შესაძლებელია, ასევე ეპროპის საერთაშორისო სასამართლოს გადაკეთება ეპროგავშირის საკონსტიტუციო სასამართლოდ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ეპროპის საერთაშორისო სასამართლო არ წარმოადგენს ეპროპის საბჭოს შემადგენელ ნაწილს, არამედ მხოლოდ ეპროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის არსებობას ეფუძნება.

ეპროპის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ხელი შეუწყოს ეპროგავშირთან აქტიური პოლიტიკური და იურიდიული თანამშრომლობის განვითარებას და ერთიანი მყარი ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. იგივე ეხება ეუთო-სთან (ეპროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) თხამშრომლობას და გაერო-ს სხვადასხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან ახლო ურთიერთობების დამყარებას.

ევროპის კავშირს ახლა, ისევე როგორც ადრე, ვარკევული უპირატესობები გააჩნია სხვა ორგანიზაციებთან შედარებით.

მომავალში ევროპის საბჭომ, როგორც პოლიტიკურმა ორგანიზაციამ უნდა განავითაროს პროექტები, რომლებიც საზოგადოების მოღრივის გაამართდებს, მრავალ წელიწადზე იქნება გათვლილი და სხვადასხვა სფეროებს მოიცავს.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის განცხადებით მომავალში ევროპის საბჭოს საქმიანობა ძირითადად ოთხ მნიშვნელოვან საკითხზე იქნება კონცენტრირებული: ადამიანის უფლებათა დაცვა (საერთაშორისო სასამართლოს რეფორმა და ასევე ახალი პრიორიტეტების განსაზღვრა); დემოკრატია (ევროპაში დემოკრატიის ერთიანი და ყოვლისმომცველი დემოკრატიული ქარტიის შემუშავება და მისი მიღება); კულტურული მრავალფეროვნება (საგანმანათლებლო სფეროს რეფორმა, წევრი სახელმწიფოების ეთნიკური მრავალფეროვნების გათავლისწინებით ერთიანი კულტურის მხარდაჭერა და განვითარება, რაც თავისთვად კონფლიქტების პრევენციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს) და ბოლოს სოციალური საკითხები (ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის უფლება, ბრძოლა გაუცხოების წინააღმდეგ, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა და ა.შ.).

აღნიშვნული მიმართულებით ევროპის საბჭოს მუშაობას მუდმივ თვალყურს უნდა ადევნებდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალური დაწესებულებები, რათა საინფორმაციო პოლიტიკის დახმარებით მოხერხდეს მიღწეული შედეგების საზოგადოებისათვის მიწოდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპის საბჭო: ზოგადი მიმოხილვა. თბ., 2006
2. ლოდონაძე, შ. ევროპის საბჭო და საქართველო. თბ., 2000
3. კორკელია, კ. ევროპული საბჭო ინტეგრაციისაკენ. თბ., 2007

**Summary****Levan Machaidze****Role and functions of Council of Europe**

European Union represents political institution dealing with various issues of the European Society.

The main task of European union represents protection and development of true democratic norms providing protection of person's respect and human rights.

European Union and Euro Council have common purposes concerning construction of stable, strong and peaceful Europe.

In the future European Union should be constructed according to the four issues: Protection of Human Rights, Democracy, Cultural Diversity and Social Security.

**Резюме****Леван Мачайдзе****Роль и функции Евросоюза**

Европейский союз представляет собой политический институт, который занят разнообразными и общесодержательными вопросами в европейском обществе.

Главная задача Европейского союза представляет собой защиту и развитие истинных демократических норм и законов, которыми должен быть обеспечен человек, то есть его честь и защита его прав. Цель Евросоюза - построить стабильную, сильную и мирную Европу.

В будущем Евросоюз должен сконцентрироваться на следующих четырех вопросах: защита прав человека, демократия, культурное многообразие, социальные вопросы.

## გიორგი ბადათურია

**საზოგადოება და ბიბლიის თარგმნა**  
 (წმიდა წერილის თანამედროვე ქართულით თარგმნის  
 პრობლემების შესახებ)

### შესაგალი

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ძლიერ დიდია მოთხოვნა რელიგიურ ლიტერატურაზე. 70 წლიანი სულიერი წყურვილის შემდეგ საზოგადოების უფართოესი ფენები, შეიძლება ითქვას, სულმოუთქმელად დაწავნენ სახარებისა და ძვლი ადთქმის წიგნებს, სხვა რელიგიურ ლიტერატურას. საზოგადოების ამგვარი, მასობრივი შემობრუნება რელიგიისკენ მხოლოდ სიხარულის გრძნობას იწვევს, ვინაიდან, საქართველოსა და სხვა, ჩვენისთანა მცირე ქვეყნისა და ერის გადარჩენა დღვევანდელ, გლობალიზაციის საფრთხეებით სავსე ეპოქაში, მსოლოდ მტკიცე რწმენითაა შესაძლებელი. რწმენის განმტკიცებაში კი სულიერ ლიტერატურას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

საზოგადოების მოთხოვნის კვალობაზე საქართველოში მრავლად გამოიცემა სხვადასხვა რელიგიური ლიტერატურა, მათ შორის, პირველ რიგში - ბიბლია. და სწორედ აქ წარმოიქმნება მოულოდნელი საფრთხე. ბიბლიის არასწორმა თარგმანმა შესაძლოა სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მოგვცეს, არა რწმენის გაძლიერება და სულიერი ამაღლება, არამედ, პირიქით – ნიჰილიზმი და სულიერი გაუცხოება. განვიხილოთ ბიბლიის არასწორი თარგმნის მაგალითები.

### როგორ შეიქმნა ადამიანი?

აი, მაგალითად, როგორ არის გადმოცემული ბიბლიის ზოგიერთ თანამედროვე ქართულ გამოცემაში დმერთის მიერ ადამიანის შექმნა: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტკრისაგან და შთაბერა მის ნებებულს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამიანი ცოცხალ არსებად” (დაბადება, 2,7).

ამ ტექსტიდან ასე სჩანს, რომ რაკი „იქცა ადამიანი ცოცხალ არსებად”, მაშასადამე მანამდე, ე.ო. უფალი დმერთის მიერ „მის ნებებულში სიცოცხლის სუნთქვის” შთაბერვამდე ის უსულო, მკვდარი სხეული იყო. ამგვარადვე განმარტებული ადამიანის შექმნა იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიურ ისტორიაში” [1]: „კველა სხვა ქმნილებანი ღმერთმა გააჩინა სიტყვით ანუ ბრძანებით. ადამიანის შექმნა კი სხვაფრივ ინება: ჯერ სოჭა: „შევქმნათ

ადამიანი ხატად და სახედ ჩვენდა!”; მერე აიღო მიწა, გააკეთა კაცის სხეული და ჩაბერა მას უკდაგი სული. ასე დაიბადა ქვეყანაზე პირველი კაცი, რომელსაც დაერქვა სახლად ადამი”. თუმცა ამ შემთხვევაში მაინც არის ერთი არსებითი განსხვავება. იაკობ გოგებშვილი წერს, რომ დმერთმა კაცის სხეულს ჩაბერა „უკდაგი სული” და შემდეგ „ასე დაიბადა ქვეყანაზე პირველი კაცი”. რაც შეეხება ზემოაღნიშულ გამოცემებს, იქ სულ სხვა რამება ნათქვამი. წავიკითხოთ კიდევ ერთხელ „შთაბერა მის ნებრევებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამიანი ცოცხალ არსებად”. როგორც ვხედავთ უადაგი სულის შთაბერგაზე არაფერია ნათქვამი.

ამგვარ წარმოდგენას, რომ ჯერ შეიქმნა ადამიანის სხეული ერთგვარი ქანდაკების სახით და შემდეგ დმერთმა იგი გააცოცხლა, ხელს უწყობს აგრეთვე სხვადასხვა, განსაკუთრებით არამართლმადიდებლურ ქვეყნებში გადაღებული ფილმები, იქ გამოცემული, „პოპულარულად” დაწერილი დასურათებული წიგნები და სხვ.

ადამიანის შექმნის ამგვარი ინტერპრეტაცია პრინციპულად მცდარია. იგი ყალბ წარმოდგენას ქმნის ადამიანის დაბადების შესახებ და მიმართულია, შეიძლება უნებლიერაც, ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი საწყისის და, საზოგადოდ, ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, ასეთი წარმოდგენა ჰეშმარიტი, მართლმადიდებლური რწმენის გაყალბების ერთ-ერთი „ხერხი”, სხვა მრავალთა შორის, ასე, რომ მომრავლდა ამ უკანასკნელ ქამს [2]. შევცდოთ უფრო ღრმად გავერპევთ საქმის არსები.

მივმართოთ ბიბლიის აღრინდებულ ქართულ ტექსტებს. დაბადების აღნიშული მუხლი ასეა გადმოცემული ბიბლიის ე.წ. მცხეთურ ხელნაწერში: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიღებელმა ქვეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად” [3]. ზუსტად ასეთივე შინაარსისაა ბიბლიის თანამდეროვე რუსული თარგმანები. შესაბამისი მუხლი რუსეთის საპატიოარქოს მიერ გამოცემულ ბიბლიაში [4] ასე იკითხება: «И создал Господь Бог человека из праха земного, и вдунул в лице его дыхание жизни, и стал человек душою живою» (Бытие, 2.7). სიტყვა-სიტყვით ეს მუხლი ასე ითარგმნება „და შექმნა უფალმა ღმერთმა ადამიანი მტუერისაგან მიწისა, და შთაბერა მის სახეს სუნთქვა სიცოცხლისა, და გახდა ადამიანი სულად ცხოველად”. აქ არაფერია ნათქვამი ადამის ცოცხალ არსებად გადაქცევაზე - ნათქვამია, რომ ადამიანი გახდა „სულად ცხოველად” და არა „ცოცხალ არსებად”. ამ ცნებებს შორის კი უსასრულოდ დიდი განსხვავება.

როდესაც ვამბობთ რომ „იქცა ადამიანი ცოცხალ არსებად”, მაშინ, ფაქტობრივად, ნატურალისტურად აღვწერთ თინისგან

გამოძერწილი „უსულო სხეულის „გაცოცხლების” პროცესს, რაც ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ერთგვარ ინსტრუქციასაც კი გვაგონებს. რაც შეეხება „სულად ცხოველად” გადაცვევას, აქ საქმე გვაქს ადამიანის მიერ სრულიად განსხვავებული მდგომარეობის მიღწევასთან, მის ღმერთის მსგავსებამდე მიახლოებას.

აი, როგორ განმარტავს ღირსი მამა სერაფიმ საროველი ბიბლიის ამ ცნობას: „ადამი მკვდარი კი არ შეიქმნა, არამედ მოქმედ, ცოცხალ არსებად, ისევე როგორც ღმერთის მიერ სულიურქმნილი, დედამიწაზე მცხოვრები სხვა არსებები. მაგრამ აი რაშია ძალა, უფალ ღმერთს, რომ შემდეგ მისთვის სიცოცხლის სუნთქვა არ შთავს და მარტინისა, რომელიც მამისაგან გამოვალს და ძისა გამო მოეფინება სამყაროს, მაშინ ადამი, რაც არ უნდა აღმატებული ყოფილიყო უკელა სხვა ქმნილებებზე, როგორც გვირგვინი ღმერთის მიწიერ ქმნილებათა, მაინც დარჩებოდა გარეშე სულისა წმიდისა, ამყანი მისი ღირსებისა ღმერთის მსგავსებამდე, და იქნებოდა მსგავსი უკელა სხვა ღვთიური ქმნილებისა, რომელთაც მართალია აქვთ სეკულიკ, სამშეინელიკ, სულიც უკელას თავისი გვარისდა მიხდვით, მაგრამ არიან უქონელნი სულისა წმიდისა.

და აი სწორედ ამიტომ, მისთვის ბომებული ღვთიური მადლის ყოვლადაღმატებული საჩუქრის წყალობით შეეძლო ადამს დაენახა და გაეგო სამოთხეში მაგალი უფლისა, და შეეცნო ყოველივე მისი წმიდა საიდუმლო საუბრისა და საუბარი წმინდა ანგელოზებისა, და ენა დედამიწაზე არსებული ყოველი მხეცისა და ფრინველისა, და ქვემდრომისა და ყველაფერი ის, რაც დღეს ჩვენთვის, დაცემულთა და ცოდვილთათვის, დაფარულია, მისთვის კი ნათელი იყო” [5].

ამგვარად სრულიად ნათელია, რომ სიცოცხლის სუნთქვის შთაბერვით ადამიანზე გადმოვიდა მადლი სული წმიდისა და ამდენად გახდა ადამიანი არა „ცოცხალ არსებად”, ის უკვე ცოცხალი არსება იყო, არამედ სული წმიდის მატარებლად და ამგვარად „ხატად და სახედ ღმერთისა”. ამრიგად, როგორც ვხედავთ, დაბადების 2,7 მეტელი ზოგიერთი თანამედროვე ქართული თარგმანით, სამწუხაროდ, მცდარად არის ამეტყველებული.

### ვის ხატად შეიქმნა ადამიანი?

გარდა ამისა, ბიბლიის ზოგიერთ ქართულ გამოცემაში ნათქვამია, რომ „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მაგაცაცად და დედაცაცად ქმნა ისინი” (დაბადება 1,27). „მცხეოურ ხელნაწერში” კი ეს მეტელი ასეა გადმოცემული „და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმერთისა შექმნა იგი,

მამაკაცად და დედაკაცად ქმნა ივინი”. იგივე მუხლი რესულ გამოცემაშიც ქველი ქართული ტექსტის ანალოგიურია: «И сотворил Бог человека по образу Своему, по образу Божию сотворил его; мужчину и женщину сотворил их.» (Бытие, 1,27).

როგორც ვხედავთ თანამედროვე ქართულ გამოცემაში „ღვთის ხატად” ადამიანის შექმნა არ არის ნახსენები, (გამოტოვებულია „ხატად ღმრთისა შექმნა იბი”), რაც მეტად უხეში შეცდომაა. ბასილი დიდი სწორედ ამის შესახებ მოძღვრავდა იუდეველებს, როცა განუმარტავდა მათ წმიდა სამების არსს: „ამგვარად ღმერთი მიძართავს თავისსავე ცხოველ ხატს, რომელმაც გვამცხო: მა და მამა ერთი პარი (იოანე 10,30) და რომელმან მიხილა მა, იხილა მამა ჩემი (იოანე 14,9). ხწორედ მას ეუბნება: “ჰქმნეთ კაცი ხატისაეგრ ჩვენისა”. სადაც ერთი ხატია, იქ სად შეიძლება იყოს არამხევებება? და შექმნა ღმრთიმან კაცი (დაბ. 1,27), არა თქვა შექმნებო, რითაც პირთა სიმრავლეს მოერიდა; პირველით იუდეველნი დამოძღვრა, ხოლო უკანასკნელით წარმართობა გამორიცხა. იგი (მოსე) უშიშრად დაუგრუნდა ერთარსებას, რათა მამასთან ერთად ძეგ მოიაზრო და პოლიტიკიზმის საფრთხესაც თავი დაადწიო. ხატად ღმრთისა შექმნა იბი (დაბ. 1,27). როცა თქვა: “ხატად ღვთისად” და არა “ხატად თვისადო”. ისევ შემთიყვანა შემწე პირი” (ხაზი ჩემია გ.ბ.) [6]

### ვიდრემდე?

წმიდა წერილის ზოგირთი თანამედროვე ქართული თარგმანის კიდევ ერთი სავალალო შეცდომა უკავშირდება ღვთისმშობლის სიწმიდეს.

იოსების მიერ მარიამის მიღებისა და იესოს შობის შესახებ მათეს სახარების 1,25 მუხლი ასევა გადმოცემული „და არ უცვნია იგი (მარიამი), ვიდრე არა შვა ძე თვისი პირშეო, და უწოდა სახლი მისი იესო” (ახალი აღთქმა, მათე 1,25). ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის 1991 წელს სტოკოლმში გამოცემული „ახალი აღთქმა და ფსალმუნები” კი უფრო „ზუსტად” გვაუწევს: „არ გაჲკარებია მას, ვიდრე არა შვა თავისი ძე და დაარქვა მას იესო”. გაუთვიოცნობიერებული მკითხველი ამ ტექსტებიდან გააკეთებს სრულიად ბუნებრივ დასკვნას, რომ იოსებისა და მარიამის ცოლ-ქმრული ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა იესოს შობის შემდეგ, რასაც სიტყვა „ვიდრეს” თანამედროვე მნიშვნელობა განაპირობებს. სიტყვა „ვიდრეს” ამგვარად განმარტავს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი: „ვიდრე – კავშირი, აღნიშნავს ზღვარს დროში, სანაშ”. მრავალ მათგანს მიაჩნია კიდევ, რომ იესოს მქები (იოსების ძენი) მარიამისა და იოსების საერთო შეილები იყვნენ.

როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანებმა იციან იოსები მამობრივი სიყვარულით ზრდიდა იქსოს და ზრუნავდა მარიამზე, ხოლო ჩვეულებრივი ცოლ-ქმრული ცხოვრება მასსა და მარიამს შორის არ ყოფილა, რაც ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისადმი აღვლენილ ლოცვაშიც ჩანს: „ყოვლად დიდებულო და მარადის ქალწულო დედაო ქრისტეს ღვთისაო, მიართვ ლოცვა ჩვენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა აცხოვნოს სულნი ჩვენი”.

აი, სწორედ მარადის ქალწულის მარიამის ხატი იბდალება სახარების თანამედროვე ქართული თარგმანის აუწონავი სიტყვით აღნიშნულ მუხლში.

ნათელია, რომ საქმე გვაქვს უხეშ შეცდომასთან. ადრინიდელ სახარებაში ეს მუხლი ასე იკითხება: „და არა იცოდა იგი, ვიდრე შე ძეი და უწოდა სახელი მისი იგეუ” [7]. სიტყვა „ვიდრე მდეს” მგელი ქართული მნიშვნელობა განსხვავდება ამჟამინდელი ტერმინისგან „ვიდრე” და მას დროის არა სასრული მონაცემის, არამედ უსასრულო, საუკუნო მნიშვნელობა პქონდა.

აი, როგორ განმარტავს სიტყვა „ვიდრე მდეს” წმიდა იოანე ოქროპირი მათეს სახარების აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით: „... ვიდრე მდე და ვიდრე მდის – მუნ ქამადიდე, სადა-იგი იყოს სიტყვაი მეტყუელებისაი, მოახწავებს, ხოლო წადმართ მისა არას გამოაჩინებს, არცა აღსასრულსა რას მის საქმისასა დაამტკიცებს, უკეთუ ხხუაი არარაი შესძინოს” [8]. წმ. იოანე ოქროპირს მრავლად მოჰყავს სხვა მაგალითებიც სიტყვა „ვიდრე მდის” განმარტების მიზნით „... ვიდრე მდე, ანუ ვიდრე მდის – სადადის სიტყვაი იგი იყოს, მოახწავებს, ხოლო აღსასრულსა მის საქმისაი და ამის შემდგომად არღარა ყოფასა არა გამოაჩინებს” [9].

სახარების თანამედროვე ენაზე მთარგმენტებს სიტყვა „ვიდრე მდე”, რომ ეხმაროთ არც ეს უშველიდა საქმეს, რადგანაც ზემოაღნიშნული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „ვიდრე მდეს” ისევე განმარტავს, როგორც სიტყვა „ვიდრეს”.

მაშ რა ვქნათ? – იკითხავს მკითხველი.

რუსმა მთარგმენტებმა თითქოს იპოვეს გამოხავალი. რუსეთის საპატრიარქოს მიერ გამოცემულ ბიბლიაში ზემოაღნიშნული მუხლი ასეა გადმოცემული [4]:

... и не знал ее. [Как] наконец Она родила сына своего первенца, и он нарек Ему имя Иисус” (Евангелие от Матфея, 1, 21.).

როგორც ვხედავთ აქ არის მინიშნება იმ დროზე, „ვიდრე” ანუ სანამ „არ უცხია” იოსების მარიამი.

### დასკვნა

უხსოვარ დროს მეფე მინოსმა სთხოვა ევკლიდეს გეომეტრია ესწავლებინა მისთვის, ოღონდ იოლად. რაზედაც ევკლიდემ ასე უპასუხა „გეომეტრიაში არ არსებობს მეფური გზა”. ასეთივე

მდგომარეობა შეინიშნება დღესაც. მაგანს სურს „იოლად“ წაიკითხოს ბიბლია, როგორც ერთგვარი ლიტერატურული ნაწარმოები, იგავების კრებული. აღნიშნული გამოცემის მთარგმნელები მათ ამაში ხელს უწყობენ, ალბათ უნდღიერ. მაგრამ თუ გეომეტრიაში არ არსებობს ოლიო გზა, მით უფრო არ არსებობს იგი წმიდა წერილში.

ქელი და ახალი აღთქმის, სხვა წმიდა წიგნების კითხვის დროს მათთან მიახლოება ვერ მოხერხდება მათი გამარტივებისა და გაუძრალოების, ვთქვათ პირდაპირ, დამდაბლების გზით. არამედ მეოთხელი უნდა ამაღლდეს იმ დონეზე, რომ შესძლოს ჩასწვდეს წმიდა წერილს. ამაღლების ეს გზა პარგალაა ცნობილი, იგი მართლმადიდებელი ეპლეხის წიაღში ყოფნითაა შესაძლებელი, რომ გავიაროთ.

სამწუხაროდ ბიბლიის ზოგიერთ თანამედროვე ქართულ თარგმანში მრავლად არის სხვა შეცდომებიც. აღნიშნული და სხვა ხარვეზების თავიდან ასაცილებლად სასურველია მივმართოთ ქველ ქართულ გამოცემებს, მათ შორის „მცხეთურ ხელნაწერებს“. ამასთანავე შეგნიშვნაზო, რომ წმიდა წერილის საქრალურ ტექსტებს სწორედ ძეველი ქართული გადმოსცემს სრულყოფილად. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, თანამედროვე ქართული თარგმანით ვერ იქნა მიღწეული ბიბლიაში გაცხადებული იგავმიუწვდომელი ქეშმარიტება. უფრო მეტიც, გაუძრალოებული, ყოველდღიური ენა უკარგავს მას დათიურ იდუმალებას.

მკითხველს კი ვურჩევთ – მწვალებლობაში ჩავარდნის, თუნდაც უნდღიერაც, თავიდან ასაცილებლად, იკითხონ წმიდა წერილის ძეველი ქართული თარგმანები.

### ლიტერატურა და კომენტარები:

1. იაკობ გოგებაშვილი, „ბიბლიური ისტორია“, გამომცემლობა „მერანი“, 1992 წ.
2. ასეთი თვალსაზრი ადამიანის შექმნის შესახებ აბორტის „პოპულარიზაციის“ ერთ-ერთი საჭიისიც არის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, თვით სათხო ადამიანებიც კი, თავისი ცოდვილი უცოდინრობისა და სიბრმავის გამო, რაკი ჩანასახს არ თვლიან ცოცხალ და, მითუმეტეს, გონიერ არსებად, იოლად უშვებენ აბორტის შესაძლებლობას. ფაქტობრივად კი ისინი ხომ „ჩვეულებრივი“ მკვლელები ან, „უპეტეს შემთხვევაში“, მკვლელობის თანამონაწილენი ხდებიან.
3. „მცხეთური ხელნაწერი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981 წ.

4. Библия. Гамომცემლობა „რუსეთის ბიბლიური საზოგადოება”, მოსკოვი, 1995 წ. თარგმანი სიხმდალური ტექსტიდან
5. Преподобный Серафим Соровский «О цели христианской жизни». Настольная книга священнослужителя, том 3, Москва, 1979, стр. 798–799.
6. ბასილი დიდი, პომილიები ექვსი დღისათვის, პომილია IX.
7. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1945 წ.
8. წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანები მათეს სახარებისათვის, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I, თბილისი, 1996, გვ. 92. დასტამბულია ათონის ივერთა მონასტრის № 13 ხელნაწერის ტექსტის მიხედვით.
9. იქვე, გვ. 93.

### Summary

**Giorgi Bagaturia**  
**Society and translation of the Bible**

The article deals with the problem of fallacies emerging while translating the Bible into modern Georgian. These mistakes distort an essence of the Bible. In order to prevent possible distortions, reading sacred books in ancient Georgian language is more preferable.

### Резюме

**Георгий Багатурия**  
**Общество и перевод Библии**

Рассмотрены некоторые грубые ошибки, возникающие при переводе Библии на современный грузинский язык. Эти ошибки искажают суть Библии. Во избежание возможных искажений предпочтительнее чтение Святых книг на древнем грузинском языке.

### მარინა ლომიძე

„მომავალი – ჩვენი ცხოვრების მისამართი“  
 (პერპერტ მარშალ მაკლუენის შემოქმედებითი  
 მემკვიდრეობის ზოგიერთი შტრიხი)

საინფორმაციო საქმიანობა კაცობრიობის ცხოვრების უმნიშვნელოვანების განუყოფელი ნაწილი გახდა მისი განვითარების ადრეული ეტაპებიდან. თანამედროვე პირობებში ინფორმაციაზე მოთხოვნილებამ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია, რამაც მისი შეკრებისა და გადაცემის სათანადო ფორმების სრულყოფის პროცესები დაახქარა. ე.წ.კომუნიკაციური აფეთქება, გლობალური მსოფლიოს „შეკუმშვა“ მასშტაბური საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შესაძლებლობას ქმნის. მასობრივი კომუნიკაციის სტრუქტურა და კულტურა თანამედროვე დასავლური დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდა, რაც თავის მხრივ სახელმწიფო მართვის წინაპირობა და ერთ-ერთი შთამბეჭდავი ინსტრუმენტია.

მაინც რა არის კომუნიკაციის უმნიშვნელოვანების ეფექტი, რაც იწვევს ადამიანთა აღქმისა და აზროვნების შეცვლას; რა არის ის მთავარი, რითაც კომუნიკაციის საშუალებები ადამიანთა ცხოვრების წესს განსაზღვრავს. ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი ნაკლებად მოიძენება. მართალია, დღეს ცოტაა ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ კომუნიკაცია მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას ნიშნავს, მაგრამ სპეციალისტთა შორის არც ერთიანი აზრი არსებობს კომუნიკაციის თეორიისა და კვლევის ობიექტის შესახებ.

პროფესორ რობერტ თ. კრეიგის აზრით, „კომუნიკაციის“ ცნების მრავალი გაგების არსებობას განაპირობებს ამ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა პროფილის სპეციალიტთა მიღები – კომუნიკატივისტიკა განიხილონ მხოლოდ საკუთარი პროფესიული თვალთახედვით და სხვა სფეროს წარმომადგენელთა კვლევის შედეგებით ნაკლებად დაინტერესდნენ.

მეცნიერი გამოყოფს კომუნიკაციის თეორიისადმი 7 დისკიპლინარულ მიღვომას:

- რიტორიკული (rhetorical), რომელიც კომუნიკაციას განიხილავს დისკურსიის პრაქტიკულ ხელოვნებად;
- სემიოტიკური (semiotic) კომუნიკაციას იკვლევს როგორც ნიშნების სისტემას;

- ფენომენოლოგიური (phenomenological), რომელიც ადამიანთა შორის ურთიერთობის ორგანიზაციის მეთოდებსა და დიალოგს სწავლობს;
- კიბერნეტიკული (cybernetic), რომლისთვისაც კომუნიკაცია ინფორმაციის გადამუშავებისა და გადაცემის პროცესია;
- სოციოფსიქოლოგიური (sociopsychological)კომუნიკაცია, როგორც ადამიანის, საზოგადოების ჯგუფების ქმედებაზე ზემოქმედების საშუალება; საზოგადოება მთლიანად ფსიქოლოგიის ცოდნას ეფუძნება;
- სოციოპულტურული (sociocultural), რომლის თანახმად კომუნიკაცია განიხილავს საზოგადოებრივი წესრიგის ჩამოყალიბებას, ადამიანთა ურთიერთქმედებას სოციუმში;
- კრიტიკული (critical) მიღღობა – კვლევის საგანი დისკურსის ასახვა.

მარშალ მაკლუენის მემკვიდრეობა ზემოხამოთვლიდი კომუნიკაციის ყველა თეორიისათვის ფასეულია.

ჰერბერტ მარშალ მაკლუენი (1911-1980) კანადელი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი, ინგლისური ლიტერატურის პროფესორი, ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორ ჰაროლდ ინისთან ერთად მსოფლიოში ცნობილი „ტექნოლოგიური დეტერმინიზმის“ თეორიის ფუძემდებლად ითვლება. მწერალმა თომას ვულფმა იგი ყველაზე გამოჩენილ მოახროვნედ დაასახელა და ნიუტონის, დარვინის, ფროიდის, აინშტაინისა და პავლოვის გვერდით მოიხსენია. კანადის პრემიერ-მინისტრის პიერ ტრუდოს აზრით, მ. მაკლუენი გენიოსის ინტეიციის გამორჩეულ უნარს ფლობდა. იგი სხვადასხვა დროს ჯიმი კარტერის, პიერ ტრუდოს, ვატიკანის სოციალური კომუნიკაციის პრობლემათა კომისიის მრჩევლად მუშაობდა.

მაკლუენი ცნობილი უმთავრესად ორი გამონათქემის გამო გახდა: „The medium is the message“ – „საშუალება (შუამაგალი) ინფორმაციულია (წარმოადგენს ინფორმაციას, შეტყობინებას) და „Global village“ – „გლობალური სოფელი.“ პირველი გულისხმობს კომუნიკაციაზე ტექნოლოგიების გასათვალისწინებელ გავლენას, ხოლო მეორე – მსოფლიო კულტურული კონკრეტურისადმი მზარდ ტენდენციას. ორივე თეზის მეარადაა დამკვიდრებული თანამედროვე დასავლეთის მეტალიტებსა და კულტურაში.

მ.მაკლუენის ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „Understanding media:the extensions of man“ („მედიის გაგება“), „The Gutenberg Galaxy“( „გუტენბერგის გალაქტიკა“), „The Mechanical Bride.Folklore of Industrial Man“ („მექანიკური პატარძალი, ინდუსტრიული საუკუნის ადამიანის ფოლკლორი“), „The Medium is the Massage“( „საშუალება წარმოადგენს მასაჟს“), „War and Peace in the

Global Village “ („ომი და მშვიდობა გლობალურ სოფელში” ) , “ Culture is our Business ” ( „კულტურა –ჩვენი ბიზნესი” ).

მათში სამი ძირითადი თემაა განხილული.

- ხელოვნების კონცეფცია, როგორც შემქცნების პროცესი, რომელიც სხვადასხვა ვიზუალური ფორმით ვლინდება (ხელოვნების ნიმუშიდან რეკლამამდე);
- ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც ადამიანის შესაძლებლობათა გაფართოების ხერხი. ამ დებულების მიხედვით ნებისმიერი შეტყობინების შინაარსი გარდაუვალად განიცდის იმ ტექნოლოგიის ზეგავლენას, რომელიც მისი გავრცელებისთვისაა გამოყენებული;

- კაცობრიობაში განვითარების ორი ეპოქა (პრიმიტიული და ინდუსტრიული ანუ „ტიპოგრაფიული“) გაიარა და მესამე (ტექნოლოგიურ) სტადიაში იმყოფება.

მაკლუენი აყალიბებს აზრს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად წარმოქმნილი მასობრივი კომუნიკაციის ყოველი ახალი ტექნოლოგია (ბეჭდვური სიტყვა, კინო, რადიო, ტელევიზია და სხვ) ადამიანის აღქმას იხლებურად წარმართავს, რასაც თან სდევს ცოდნის ფორმირების შეცვლა მთელი კაცობრიობის დონეზე. მაგალითად მოჰყავს ბეჭდვური პროდუქციის წარმოშობა. ამ პროცესში ჩვენი შეგრძნებების პროპორციები მხედველობის სასარგებლოდ შეცვალა, რამაც აზროვნება ერთხაზოვანი, თანმიმდევრული და ლოგიკური გახადა. მაკლუენი ადამიანური აღქმის პროპორციების ბუნებრივი მდგომარეობის ე.წ. „პირველყოფილი“ საწყისის დაბრუნების მთავარ საშუალებად ტელევიზიას მიიჩნევს. კომუნიკაციის ეს აზე ბეჭდვურისაგან განსხვავებით აღქმის ხუთი ფორმიდან სამს (მხედველობა, სმენა, კინესტეტიკა) მიმართავს, როთაც კომუნიკაციის პროცესში მაყურებლის უშუალო ჩართვა შეუძლია. ტელევიზია ასევე შესაძლებელს ხდის ადამიანი ერთიანი მსოფლიოს წარმომადგენლად აქციოს, რადგან ჩვენი სამყარო ცალკეული სახელმწიფოსა და სხვადასხვა გაერთიანების „კალეიდოსკოიდან“ თანდათან „გლობალურ სოფლად“ გარდაიქმნება.

მონოგრაფიაში „მედიის გაგება“ მეცნიერმა მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალება ჯაზის ტერმინოლოგიის გამოყენებით 2 ჯგუფად დაყო. „cool“ (გრილი) და „hot“ (ცხელი). ჯაზი „cool“ მსუბუქ, აუდელვებელ მშვიდ რიტმს ნიშნავს, „hot“ ჩქარი, ემოციოთა და განცდებით საგსე რიტმია. ე.წ. „გრილ“ საშუალებებს მაკლუენმა ტელევიზიას მიაკუთვნა. მისი აზრით, იგი ნაკლებად მაფიო პოზიციის მქონე ანონიმური კორპორაციაა. „ცხელი“ კი უწოდა ბეჭდვურ ორგანოებს, რომლებშიც ყოველთვისაა

გამოხატული ავტორის მოსაზრება, რედაქციის პოზიცია, რაც არ შეიძლება იყოს გულგრილი, აბსტრაქტული.

„ცხელი” საშუალება მაკლუნის მიხედვით ისეთი ფორმაა, რომელიც ერთადერთ გრძნობას „მაღალი გარკვეულობის” სარისხამდე ავითარებს. „მაღალი გარკვეულობა” ფაქტობრივი მონაცემებით გაჯერებული მდგრმარეობაა. იგი მთლიანად მოიცავს გრძნობის ერთ რომელიმე ორგანოს, „ცრილი” მოითხოვს გრძნობის ყველა ორგანოს ჩართვას არასაკმარისი გაურკვეველი ინფორმაციულობის გამო. რადიო მიაკუთვნა, „ცხელ” საშუალებას, რადგანაც იგი არ იწვევს აუდიტორიის ისეთი მაღალი ხარისხით ჩართვას თავის გადაცემებში, როგორც ამას ტელევიზია ახერხებს. რადიოს როლია ბეჭრითი ფონი შექმნას ან ჩაახშოს ხმაური. როგორც მაგალითად მოზარდისათვის რადიო გარე სამყაროსაგან განცალკევების საშუალებაა. ტელევიზია ფონის შესაქმნელად არ გამოდგება, რადგანაც იგი ადამიანს მთლიანად იყერობს. მაკლუნი კომუნიკაციის საშუალებებში (media) მარტო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (მის) არ მოიხსრებს, როგორც ეს ხშირადად მიღებული. მედია მისთვის ისეთი განსხვავებული საგნებია, როგორც ელექტრონული ნათება, ზეპირსიტყვიერება, წერილი, გზები, ციფრები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, ქალაქი, ფული, საათი, ბეჭდვითი სიტყვა, რეკლამა, კომიქსი, წიგნი, ბორბალი, სატრანსპორტო საშუალებები (ველოსიპედი, ავტომანქანა, თვითმფრინავი), ფოტოგრაფია, პრესა, თამაშები, ტელეგრაფი, საბეჭდი მანქანა, ტელეფონი, კინო, რადიო, ტელევიზია, და ბევრი სხვა რამ. ამ ნაირსახეობისათვის საერთო ისაა, რომ ყოველი მათგანი „ტექნოლოგია” ანუ „შუამაგალი”, რომლის შემოღება ადამიანის გარე სამყაროსთან (როგორც ბუნებრივ, ასევე სოციალურ) ურთიერთობაში არსებით ცვლილებებს განაპირობებს - გარდაქმნის სამყაროს აღქმისა და ცხოვრების წესის ფორმებს.

მაკლუნი ამ საშუალებებს განიხილავს ასევე როგორც ადამიანის გარეგან დამატებას, როგორც მისი სხეულის, გრძნობათა ორგანოებისა და შესაძლობლებათა უშუალო ტექნიკურ გაგრძელებას. საშუალებათა ამგვარად არსებობის ფორმის გამო ისინი ადამიანისაგან გამოცალკევებულია და მასზე ძალაუფლების ფორმას იძენს. „საშუალებათა” ადამიანისაგან ასეთი გამოყოფა მაკლუნმა მეტაფორულად აღწერა როგორც „ამპუტაცია”: ადამიანის სხეულის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებას თან სდევს ადამიანის ყოველგვარ შესაძლებლობათა თანამიმღევრული ამპუტაცია. ელექტრონულ საშუალებათა განვითარება ამ თვალსაზრისით განიხილება როგორც ადამიანური შემცნების ფინანსური „ამპუტაცია”. ადამიანისაგან ცალქე არსებულმა შესაძლებლობებმა საჭარი (ადამიანურისაგან შორს მყოფი)

ლოგიკა შეიძინა და ამ ლოგიკას თავს ახვევს პიროვნებას მისი ნებისძამიუხედავად. ამ გაუცხოებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის პირისპირ ადამიანი სუსტ და დამოკიდებულ არსებად ჩანს, რომელსაც ის შევლის, რომ ვერ აცნობიერებს რაც ჭირს: მას ახარებს ის შესაძლებლობა, რასაც ეს ტექნოლოგიური მანქანა სთავაზობს და ოპტიმიზმით კარგავს საკუთარ თავს, როგორც წყალში საკუთარი თავის ხილვით მოვალეობული ნარცისი. ამ მეტაფორას მაკლუენი საკითხის მასშტაბურად წარმოჩენისათვის იყენებს.

მაკლუენის ძირითადი იდეების ერთგვარი რეზიუმე ხამოყალიბებულია წიგნში „მედიის განონები“ (“Laws of Media”), რომელიც მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოიქვებდა. მასში მაკლუენმა 4 ფუნდამენტური პრინციპი დაადგინა და დააზუსტა მათი თავისებურებაზი ყველა სფეროში მოღვაწე კომუნიკატორებისათვის (რეკლამის ხათვლით). ეს პრინციპები შემდეგნაირად იკითხება:

1. კოველი ტექნოლოგია აფაროვებს გარკვეული ორგანოს შესაძლებლობებსან გარკვეული მოწმემარტლის უნარს;

2. የወጪ ሚዛናዎችዎስ ጥሩ ተያያዥ ይፈጸማል ይፈጸማል;

3. ეოვალი ფორმა, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების ზღვარს აღწევს,

საკუთარ მახასიათებელს იცვლის;

4. ყოველი მდგრადის შეუძლების შინაარსს უფრო ძველი საშეუძლება წარმოადგენს (გადაცემის ახალი ფორმა თავისთავში უფრო ძველ ნიმუშს მოიკავს).

„გუბენბერგის გალაქტიკაში” მაკლუენი აღნიშნავს, რომ ტექნიკური პროცესით განაირობებული გარესამყაროსა და ადამიანთა ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები სახიფათოდ ცვლის აზროვნებას, რაც ჩვენი დროის საუფრცესოა. ეს მდგომარეობა ნაწილობრივ ხელოვნებაშიც აისახა. მაკლუენის აზრით, ეს კრიზისი მხოლოდ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შედეგი არ ყოფილა. ადამიანებმა ინსტრუმენტების გამოყენება უსსოვარი დორიდან დაიწყეს. მეცნიერი იშველიებს 2500 წლის წინანდელი ჩინელი ბრძენის ჩუქან-ცის მოსაზრებას იმ საშიშროების გამო, რაც მანქანებს ადამიანებისათვის მოაქვს. მოგზაურობის დროს ცი-გუნმა მდინარის პირას ბოსტანში დაინახა მოხუცი, რომელიც ჭიდან წყლის ამოსატანად ძალიან წვალობდა. სტუმარმა მასპინძელს საქმის გასაითლებლად შესთავაზა ეწ. „ჭა-წეროს მოდელი” – ხარისხის საშუალებით შრომა საგრძნობლად შეუმსუბუქდებოდა. მოხუცმა ბრძენს მოუსმინა და უთხრა: ჩემი მასწავლებელი ამბობდა, ის ვინც თავის საქმიანობაში მანქანას იყენებს, თვითონაც

მანქანასავით მუშაობსო. ის, ვინც მანქანასავით მუშაობს, გულიც მანქანასაბით უხდება. ხოლო როცა გული მკერდში მანქანასავითაა, ადამიანი უბრალოებას კარგავს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი არსება სულიერ აღტყინებას ვედარ გრძნობს. სულიერი აღმაფრენის შეუგრძნობლობა კი ისაა, რაც ზნეობასთან ვერ თანხმდება. ვიცი, რასაც მთავაზობ, მაგრამ მე უბრალოდ მრცევენია მათი გამოყენება.

მაკლუენის შეფასებით, ამ ძველი ამბის სიბრძნე – სულიერი აღტყინების მოსმენის უნარის დაკარგვა – თანამედროვე კრიზისში აღმოჩენილი ადამიანის მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი ზუსტი ვარიანტია.

მაკლუენის წიგნების ენა „მოზაიკურია”. მისი ნაშრომები შედგება პატარ-პატარა თავებისაგან, რომელთა თანმიმდევრობით წაკითხვის აუცილებლობა არც არსებობს. საქმე ისაა, რომ აკლევის ობიექტის (მასკულტურისა და მასობრივი კომუნიკაციის) დასახასიათებლად მეცნიერი მის ენასა და სტილს იყენებს. საინფორმაციო საშუალებათა მიერ მასალის მიწოდების ფორმას კოლაჟი (მოზაიკა) წარმოადგენს, ამიტომ თვითონაც ამ ყაიდაზე წერს. მის წიგნებში ერთ გვერდზე შეიძლება ამოიკოთხოთ ციტატები როგორც შექსპირის ნაწარმოებებიდან, ასევე ბულვარული პრესიდან.

მაკლუენი საკუთარი თვალსაზრისების მრავალფეროვნად წარმოჩენას მიესწრავენდა. მეცნიერის წიგნები მისეული ძირითადი დებულების – „საშუალება წარმოადგენს შეტყობინებას” – თვალსაჩინო ნიმუშია. ილუსტრაციები, ფოტოები და მასალათა მიწოდების არატრადიციული ფორმები შეხამძებულია ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მწერლების (ჯეიმს ჯონისის, თომას ელიოტის) გამონათქვამებით. შეიძლება ამის გამოც ამტკიცებდნენ კრიტიკოსები, რომ მაკლუენის ნაშრომები სიახლით არ გამოირჩევა და მათში განხილული ძირითადი თემები ადრე სხვა ავტორთა მიერაა დამუშავებული. მაგ., „გლობალური სიფლის” იდეა ლ. მამორდმა „მსოფლიოში ერთადერთი ადამიანის” კონცეფციის ფარგლებში გამოთქა 1961 წელს. ზოგიერთის აზრით, დერდი ლუკაზისა და ფრანკო ფორტინის კულტურის თეორია ძალიან ახლოს დგას მაკლუენის მიერ განვითარებულ მოძღვრებასთან.

საეციალისტები ასევე პარალელებს პპოულობენ პენრი ბერგსონის ისტორიული პროცესის მოდელთან.

საკამაოო კომუნიკაციის საშუალებათა დაყოფის („ცხელი”, „გრილი”) მაკლუენისეული მოდელიც. როგორც ტელევიზიას, ისევე პრესას, თავისი „შემკვეთები” ჰყავს. მაყურებელი ანონიმურ გადაცემებს არ უყურებს, ის იძულებულია ინფორმაცია იმ სახით მიიღოს, რა ფორმითაც ამას უურნალისტები, რედაქტორები სთავაზობენ. ხშირად სიუჟეტში სინამდვილე დამახინჯებულია. რაც მეტ მითს ქმნიან, მით უფრო ძნელდება ჭეშმარიტების დაჯერება.

მოაზროვნე მაყურებელი ახალი ამბის ან ნებისმიერი გადაცემის (საგანმანათლებლო, გასართობი), განსაქუთრებით რეკლამის, ყურებისას სვამს მაკლუენისეულ კითხვას: What is the message? („რას წარმოადგენს შეტყობინების არსი?”)

მაკლუენის თეორიებს იმთავითვე ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, მაგრამ განსაჯუთრებული წარუმატებელი 70-იანი წლები აღმოჩნდა, როცა მისი შრომებისადმი ინტერესი საკმარისად განელდა. აკადემიურ წრეებში მაკლუენის იდეები და მოსაზრებები პროტესტსაც კი იწვევდა. მეცნიერი თავის მხრივ მედიის შემსწავლელი სოციოლოგების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამტკიცებდა, რომ მათი საქმიანობა მოძველდა და კვლევის საგნის შესასწავლად მოუხერხებელი გახდა. საპასუხოდ მაკლუენის დებულებები აბსურდულად გამოაცხადეს.

მოდერნისტების უმრავლესობისამებრ მაკლუენმა ბეჭდვური გამოცემების გავლენა გარკვეულად გადაარჭაბა და სათანადოდ ვერ შეაფასა დამწერლობის გავრცელება იოანე გუტენბერგის გამოჩენამდე არსებულ ეპოქაში. ამის შედეგად იგი დიდ მნიშვნელობას ტექნოლოგიას ანიჭებდა მისი გამოეცენებისათვის აუცილებელი განათლების საზიანოდ. ფაქტობრივად დამწერლობასთან ასიმილაციის მთავარ დაბრკოლებას განათლების დეფიციტი წარმოადგენდა და არა ტექნოლოგია. მაკლუენი ხანდახან სხვა ტექნოლოგიების ზეგავლენას უარყოფდა. მიმოსვლის საშუალებათა რევოლუციამ ისეთივე არსებითი წვლილი შეიგრანა „გლობალური სოფლის“ ჩამოყალიბებაში, როგორც კავშირის საშუალებათა რევოლუციამ.

70-იანი წლების ნაშრომებში მაკლუენი აკნინებდა წიგნის კულტურის მნიშვნელობას აუდიო-ვიზუალური „კოსმოსური შემცნების“ სასარგებლოდ. მან იწინასწარმეტყველა ახალი ტიპის გლობალური საინფორმაციო სივრცის აღმოცენების უახლესი პერსპექტივა და მოუწოდებდა ქალაქისა და სოფლის კულტურის დაყოფის, ხელოვნებისა და გარემოს შორის არსებული ზღვრის უარყოფას.

მარშალ მაკლუენი, მიუხედავად მისი კონცეფციებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა, XX საუკუნის კულტურისა და კომუნიკაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსია. იგი თვითონ იყო საუკეთესო გამოგონებელი კომუნიკატორი, რომელიც მარჯვედ აგებდა ხიდებს მეცნიერებასა და მასკულტურას შორის. მაკლუენმა იწინასწარმეტყველა ტელევიზიის უდიდესი ზეგავლენა საზოგადოებაზე, განსაზღვრა რეკლამის არსი და ბუნება, ამავდროულად რამდენიმე ათეული წლის წინ ნათლად წარმოსახა საზოგადოებაში მოსალოდნელი ცვლილებები, რომელიც ჩვენ ინტერნეტის გამოჩენასთანავე დავინახეთ.

მაკლუენმა მომავალი განჭვრიტა — დროს გაუსწრო. მაგრამ, როგორც ამბობენ, ჩვენი დრო დროსაც უსწრებს. ამიტომ, ბუნებრივია, მის მიერ აღწერილი ჩინური ხდაპრის გმირის მსგავსად, არ შეეძლო წარმოყდგინა კომპიუტერული რევოლუციის განვითარების მასშტაბები, რაც საინფორმაციო საშუალებით მანიპულირების შესაძლებლობებს აფართოვებს. მედიასაშუალების, როგორც მესიჯის წარმოდგენიდან გადავდივართ პარადიგმაზე, რომელშიც ინფორმაციის გადაცემის საშუალებად მაყურებელიც გახდა.

მ. მაკლუენმა ასევე დიდი და მრავალმხრივი გავლენა იქნია მეცნიერების, კულტურის ფილოსოფიისა და სხვა დარგების განვითარებაზე. კინემატოგრაფიამაც ცხადად განიცადა მისი იდეების გავლენა, განსაკუთრებით დევიდ კრონენბერგის „შემოქმედებამ, რაც ნათლად ჩანს ფილმში „ვიდეოდრომი“. 1977 წელს მაკლუენმა საკუთარი თავი განასახიერა უდი აღენის ფილმში „ენი პოლი“. მაკლუენის იდეების მიმდევრები მხატვრულ ლიტერატურაშიც არიან, განსაკუთრებით კიბერპანკის წარმომადგენელთა შორის.

მაკლუენის მოსაზრებები ენის, სიმბოლოების შესახებ ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: როდესაც გამოვიდა მისი წიგნი „Medium is the Message“ („მედია წარმოადგენს მასაჟს“), ბევრმა მიიჩნია, რომ სიტყვაში „massage“ შეცდომაა დაშვებული და წიგნის ნამდვილი სათაური მაკლუენისეული აფორიზმია „Medium is the Message“ (“საშუალება წარმოადგენს შეტყობინებას”). ერთი ასოს შეცვლამ სიტყვას „massage“ შინაარსობრივად მინიმუმ ორი ახალი გაგება მიანიჭა და ამგვარად იშიფრება: „ინფორმაციის საშუალებები როგორც მასაჟი“— ის, რაც ადამიანს „მასაჟს უკეთებს“; თანდათან, ნელ-ნელა ცვლის აღქმის კანონებს და „საინფორმაციო საშუალება, როგორც „მასების საუკუნე“ (Mass age).

მაკლუენის აზრით, „საზოგადოების ფორმა ყოველთვის განისაზღვრებოდა უფრო ადამიანური კომუნიკაციის საშუალებათა ბუნებით, ვიდრე მისი შინაარსით.“ 1990-იან წლებში შექმნილი სათანამგზავრო ტელევიზიის გავლენა უდავოა, მაგრამ მაკლუენი ინფორმაციის გავრცელების საშუალებას განსაზღვრავდა როგორც ნებისმიერ „თვითგაფართოებას“ და აქედან გამომდინარე გამოსახულებასა და სიტყვას უფრო გაერთიანებული კომუნიკაციის ფორმებში მოიაზრებდა. ის გრძნობდა, რომ ენა ყველაზე უფრო ძლიერი მეტაფორა.

მაკლუენი კანადის პრემიერ-მინისტრის პიერ ტრუდოსადმი მიწერილ ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში წერდა: ნებისმიერ ენაზე მოსაუბრე „ორატორი მიიჩნევს, რომ მისი ენა მედიასაშუალება ან ნიღბია, რომლის მეშვეობითაც იგი სამყაროს განსაკუთრებული

ფორმით აღიქვამს და ადამიანებს უკავშირდება. ადგოკატის, მოსამართლის ან ბიუროკრატის მიერ წარმოოქმულ სიტყვებს სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეგობრების ან მტრების მიერ ნათქვამ იგივე სიტყვებს...

ენის, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალების ზემოქმედება სრულიად გამორჩეულია..."

მაკლუენის გარდაცვალების შემდეგ, 1990 წლიდან ინტერნეტის ეპოქა დაიწყო და შესაბამისად მაკლუენის თეორიამ ახალი აზრი შეიძინა. „გლობალური სოფელი” როგორც მსოფლიოს იდეა, რომელშიც არაფერი დაიძალება და ყველა ყმალათურზე პასუხისმგებელი, წვენი დროის თანახმიერი გახდა. მაკლუენის აზრით, ელექტრონულ ინფორმაციულ გარემოში, შეუძლებელი ხდება უმცირესობის აზრის იგნორირება, როცა მრავალმა ადამიანმა ერთმანეთის შესახებ ბევრი რამ იცის... ახალი გარემო საჭიროებს მონაწილეობასა და ერთობლივ სერიოზულ მუშაობას. მაკლუენმა ისიც განჭვრიტა, რომ ტექსტი და ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები ერთ მთლიანობად შეირწყმოდა. თუ პრესა, რადიო მაკლუენის განმარტებით კომუნიკაციის „ცხელი” (hot) საშუალებებია, ხოლო ტელევიზია - „გრილი”(cool) და ინტერაქტიული, მისი მიმღებრები ჰიპერ-მედიას განსაზღვრავენ საინფორმაციო ქსელში როგორც „freezing” (გაყინული).

კომუნიკაციისა და კულტურის ურთიერთგავლენის შესახებ მაკლუენისეული წარმოდგენა თავისი მნიშვნელობით დღესაც ძალიან აქტუალურია. მისი მოსაზრებები უწინდებურად კვებავს გლობალიზაციის თემებზე წარმართულ დისკუსიებს. მაკლუენის თეორიისგან დიდაა ნასაზრდოები ამ მიმართულების მიმღევარის თ. ლევიტის ნააზრევი. ღებულება იმის შესახებ, რომ გამოყენებულ მედიასაშუალებას უფრო მეტი გავლენა შეუძლია იქონიოს, ვიდრე თვითონ შეტყობინებამ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეკლამის გამავრცელებლისათვის.

სპეციალისტები ამ თვალსაზრისით მარშალ მაკლუენის ნაშრომებიდან რამდენიმე მომენტს გამოყოფენ:

- რეკლამის გარეგნულმა მხარემ ინტერესი უნდა გამოიწვიოს;
- რეკლამის გამავრცელებელი უნდა ცდილობდეს წინასწარ განსაზღვროს არსებული გარემოება;
- ყოველი მედიასაშუალება იქ უნდა იქნას გამოყენებული, სადაც მისი სარგებლობა უფრო ეფექტური იქნება;
- აუდიტორია შეძლებისდაგვარად უნდა მონაწილეობდეს პროცესში;
- გამოსახულება ყოველთვის „რეალურ ისტორიას” უნდა გვატყობინებდეს.

მაკლუენის მოსაზრებები პარადოქსული, გარკვეული აზრით, შოკისმომგვრულია და სათანადო გააზრებას, გაშიფვრას მოითხოვს. ზოგიერთი მაკლევარის ნაშრომებს ამსაგსებს უმბერტო ეკოს რომანს, რომელსაც ყველა თავისებურად იგებს: ზოგისთვის იგი ინტელექტუალურ-ფილოსოფიური რომანია, სხვათათვის –სახალისო, თავშესაქცევი დეტექტივი. ასოციაციური პარალელებითა და მეტაფორული სახეებით გაჯერებული ნაშრომები სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა (კულტუროლოგების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების) მიერ განსხვავებულად აღიქმება.

მეგლევართა ერთი ნაწილი მაკლუენს თანამედროვე კომუნიკაციის „გურუდ“ მიიჩნევს, მეორეთათვის იგი ელექტრონული მის-ის სპეციალისტია, კომპიუტერული პროგრამირების სფეროში მეცნიერის ნაშრომები კომუნიკაციის ახალი ეპოქის წინასწარმეტყველია, ხოლო სოციოლოგებისათვის მაკლუენის მოძღვრება სადღეისოდ ლოგიკურიც არის და აზრიანიც.

სწორედ ეს განაპირობებს ინტერესს მაკლუენისადმი. იგი მრავალმხრივ და დაწვრილებით შეისწავლება აშშ-ში, კანადაში, ევროპაში.

საგულისხმოა რამდენიმე ფაქტიც:

- ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი მაკლუენის შრომებიდან 346 ამონარიდს იმოწმებს;

- 1989 წელს, მისი სიკვდილიდან თითქმის 10 წლის შემდეგ, გამოვიდა წიგნი „გლობალური სოფელი“, რომელიც მაკლუენმა ბრუს პაუერსონთან ერთად დაწერა;

- 1995 წელს, მეცნიერის სიკვდილიდან 15 წლის შემდეგ, გავრცელდა ჟურნალ „Wired“-ში გამოქვეყნებული მაკლუენთან ინტერვიუს ელექტრონული ვერსია.

უკანასკნელ პერიოდში მაკლუენის თეორიები პოსტსაბჭოური ქვეყნების მკვლევართათვისაც მიმზიდველი გახდა.

თეორეტიკოსის მიერ შემოთავაზებული იდეების შემდგომი განვითარება და დამკგიდრება კომუნიკაციის პრაქტიკულ სფეროებში, განსაკუთრებით ჯერ კიდევ ძიების პროცესში მყოფ ქართულ ელექტრონულ მედიასაც, უსათუოდ წაადგება.

ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც დემოკრატიის „მესამე ტალღის“ ქვეყნების უმრავლესობაში, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას სხვა პრობლემებთან ერთად (დაფინანსების გარე წყაროებზე დამოკიდებულება, სოციალური კაპიტალის დაბალი დონე, მოსახლეობაში ადამიანების ეთნიკურ-რელიგიურ ნიადაგზე განცალკევება, კონსტიტუციური უფლებების არასაემარისი გარანტიები) ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არასაკმარისი გავრცელება აფერხებს.

ამ ფონზე, ვფიქრობ, მაკლუენის შემოქმედებითი მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა ქართული კომუნიკაციური სივრცის ძირითადი ეტაპებისა და დასავლეთის გამოცდილების გასააზრებლად საყურადღებო და საშური საქმეა.

ჰერბერტ მარშალ მაკლუენს სწავლობენ, კიცხავენ, დასცინიან და განადიდებენ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ერთი ცხადია — მაკლუენის ნაღვაწი კომუნიკაციის ოეროის განუყოფელი ნაწილია. მან მერმისი განჭვრიტა, კარგად ესმოდა, რომ მყოფადი ახალ ტექნოლოგიებს ეკუთვნის, რაც კაცობრიობას აყენებს უმთავრესი პრობლემის წინაშე—საერთო ენა იძოვოს იმ ახალთან, რაც მას ელოდება. მისი აზრით, ადამიანები უკუდმა (ზურგით) შედიან მოძავალში. „ტექნოლოგია უბრალო გამოგონება კი არაა, რომელსაც ადამიანები იყენებენ, არამედ ის საშუალებაა, რომლითაც ისინი ხელახლა „იბადებიან“... მომავალი ჩვენი ცხოვრების მისამართია.”

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარშალ მაკლუენი. საშუალება არის შეტყობინება. ტელერადიოურნალისტიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
2. დემოკრატიზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა. თბილისი, 2007.
3. Вульф Г. Мудрость Св.Маршала, Священного Глупца.// Русский журнал.2001. февраль.
4. Маклюэн М. Галактика Гутенберга: Станавление человека печатающего.- М.: Фонд „Мир“, Академический Проект, 2005.
- 5.Маклюэн М. Понимание медиа: внешние расширения человека.- М.: Канон- Пресс./Кучково поле, 2003.
6. .Маклюэн М .Пресса: Управление посредством утечки информации.//. Отечественные записки. 2003. №4.
7. Graig Robert T. Comunication Theory as a Field. . Comunication Theory.A Journal of the International Comunication Association. Vol.9. , 1999.
8. McLuhan. The Medium is the Message: An Inventory of effects. New York, 1967.
9. <http://angelfire.com/ms/MediaLiteracy/McLuhan.html>.

## Summary

**Marina Lomidze**

**“Future-address of our existence”**

**(Traits of Herbert Marshal McLuhan’s heritidge)**

The article highlights the fact that Herbert Marsshal McLuhan(1911-1980) was one of the outstanding specialists working on the problems of changing communication,culture and society in the second half of the 20<sup>th</sup> century. His conclusions and observations on the development of new technologies, media-resources and communication are of great importance for psychologists, sociologist, and for businessmen ,especially for those who work in the fields of advertising and marketing. Herbert Marshal McLuhan’s ideas “Message is the media-means” and ”The Global Village” had an important impact on the western mentality and culture.Herbert Marshal McLuhan predicted the effects of television influence on the society and described the changes the Internet would cause. Herbert Marshal McLuhan’s works have become the integral part of the communicational theory.Thus,this heritage is essential for perception of communicational technologies and expertise of the West

## Резюме

**Марина Ломидзе**

**,,Будущее – адрес нашего проживания”**

**(Штрихи к творческому наследству Герберта Маршала Маклюэна)**

В статье показано, что Герберт Маршал Маклюэн (1911–1980) был одним из самых известных специалистов по проблемам изменений коммуникаций, культуры и общества второй половины XX века. Его наблюдения и выводы относительно развития новых технологий, медиасредств и коммуникаций имеют большое значение для психологов и социологов, а также представителей бизнеса, в особенности тех, кто занимается вопросами рекламы и маркетинга. Высказывания Маршала Маклюэна „Медиа – средство является сообщением” и „Глобальная деревня” прочно вошли в западный менталитет и культуру. Теоретик предсказал эффект воздействия телевидения на общество, а также почти пятьдесят лет назад описал изменения в обществе, которые мы ощущали вместе с появлением интернета. Творчество Маклюэна является неотъемлемой частью теории коммуникации. Поэтому изучение творческого наследства Герберта Маршала Маклюэна необходимо для осмыслиения развития коммуникативистики и опыта Запада

### მაკა ამბროლიძე

### გლობალური ტექნოლოგიები და პულტურული განვითარება

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივი განვითარება დედამიწაზე მიმდინარეობს დიდი, ერთიანი პროცესის ფარგლებში, რომელიც გლობალიზაციის სახელითაა ცნობილი. გლობალიზაციის მრავალი განმარტება არსებობს. ზოგადად გლობალიზაცია არის ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა და გლობალური, საერთო საკაცობრიო პრობლემების აღმოცენება, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს წამყვან მოთამაშებს შეუძლიათ მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებს მსოფლიოს მასშტაბით. გლობალიზაცია არ წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის მსოფლიოში გავრცელების პროცესს. სატელეფონო ხაზები, ინტერნეტი, ტრანსნაციონალური კორპორაციები – ყველაფერი ეს არის არა გლობალიზაცია, არამედ მისი შედეგი. გლობალიზაციის არსი მდგომარეობს იმ ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებში, რომლებიც ქმნიან პირობებს ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების საარსებოდ.

ტექნოლოგიები გლობალური პროცესების მძლავრი მატარებელია. ტექნოლოგიების დანერგვა და ფართო გაგრცელება შესაძლებელია მხოლოდ იმ ხელსაყრელი პირობების ფარგლებში, რომელთაც მათ უქმნის გლობალიზაცია. გლობალური კომუნიკაციების საშუალებების განვითარება შედარებით მცირე ნაწილია იმ უზარმაზარი გავლენისა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, ტექნიკა და ტექნოლოგია ახდენენ გლობალიზაციის პროცესებზე. კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების ელექტრონული საშუალებები ხელმასაწვდომი გახდა ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის ხელისმიერი მოქალაქისთვის, ვინც სიდარიბის ზღვარს გადაცენილია.

იმის შესაბამისად, თუ ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების რა უნარი გააჩნიათ სხვადასხვა ქვეყნებს, ზოგადად ისინი სამ კატეგორიად იყოფიან; ტექნოლოგიური ინოვატორები, ტექნოლოგიის ამთვისებლები და ტექნოლოგიურად „გათიშულები“. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან აშშ და ის ქვეყნები, რომელთა ყოველ მილიონ მოსახლეზე წელიწადში აშშ-ში დაცული ათი პატენტი მაინც მოდის. მეორე კატეგორიას ეკუთვნის უკალა ის

დანარჩენი ქვეყანა, რომელთა ექსპორტშიც მაღალტექნოლოგიური პროდუქტის წილი მინიმუმ 2%-ია (ევრელა დანარჩენი განვითარებული ქვეყანა და განვითარებულების უკელაზე მოწინავე ნაწილი – ბრაზილია, არგენტინა...), ხოლო მთელი დანარჩენი მსოფლიო, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩათვლით „გათიშველების“ რიცხვში ხვდება ე.ი. ეს ის ქვეყნებია, რომელთაც წარმატებული განვითარების ნაკლები შანსი აქვთ.

ტექნოლოგიების განვითარება მეცნიერების მიღწევებზეა დამოკიდებული. მეცნიერებას ავითარებენ ძირითადად ის ქვეყნები, რომელთაც ამის ფინანსური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები აქვს. სამეცნიერო სისტემის აწერბა ძირითადად მთავრობის ინიციატივებზე, დაფინანსებასა და ორგანიზებაზეა დამოკიდებული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1990 წლამდე მსოფლიოში არსებობდა ორი ქვეყანა, რომელთაც შეეძლოთ განვითარებინათ მეცნიერების მთელი სპექტრი – აშშ და საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირმა, გამომდინარე თავისი იდეოლოგიური მოსაზრებიდან, შეაჩერა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და ამას შემდეგ მოყვა ქვეყნის მთლიანი ტექნოლოგიური ჩამორჩენა. როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს ქვეყანა, მისი მიღწევები ყოველთვის იქნება დამოკიდებული იმაზე, ვინც მისი ტექნოლოგიური განვითარების თეორიულ საფუძველს უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ტექნოლოგიების ტრანსფერს განვითარებად ქვეყნებში, რაც პრინციპულად მსოფლიო განვითარების პროცესის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს, ის ორ ნაწილად უნდა დაიყოს:

**პირველი** ეხება ძირითადად ისეთი სახის ტექნოლოგიებს, რომელზეც დამოკიდებულია ამ ქვეყნებში საწარმოო ძალებისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარება. ეველა ეს ტექნოლოგია ბაზარზეა გამოტანილი და უკელა მსურველისთვისაა ხელმისაწვდომი. უკელაზე ჩამორჩენილ ქვეყანასაც შეუძლია საწარმოო ტექნოლოგიების შემოტანა პირდაპირი უცხოური დახმარებისა თუ კრედიტების ფარგლებში. ამ უკლის ძირითადი ნაწილი, ბოლოს და ბოლოს, ასეთი ტიპის პროგრამებისთვის გამოიყოფა.

პრობლემები ამ ტექნოლოგიების დანერგვის ეტაპზე იწყება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა პრიორიტეტების ზუსტი, სწორი განსაზღვრა. რეალურ, მიღწევად მიზნებზე დაფუძნებული პროგრამის არსებობა. ქვეყანაში არსებული რესურსების სწორი შეფასება. ამ პროცესში მთავრობის როლი გადამზევებია. პირველ ეტაპზე მაინც, როდესაც ბაზარს უშუალოდ არ შეუძლია სტრატეგიული ამოცანების დასახვა და მათი ეფექტურად მართვა,

მთავრობა უშეალოდ უნდა ხელმძღვანელობდეს ტექნოლოგიის ტრანსფერის პროცესს. ამიტომ სწორედ მთავრობის ეფექტურობა განაპირობებს ძირითადად მის წარმატებას. ზოგჯერ გადამწყვეტი სიძნელეს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის ხარისხი, შრომისმოყვარეობა, დისკიპლინა, წარმატებისადმი ლტოლვა. ე.ი. მთელი რიგი წმინდა კულტურული ფაქტორებისა, რომელთა შორის უდიდეს როლს თამაშობს ტრადიციაში არსებული პატივისცემა განათლებისადმი და განათლების მიღებისადმი ლტოლვა. ასე რომ, ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარება დამოკიდებულია არა მარტო ტექნოლოგიებზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად მზად არის ამისთვის მიმღები ქვეყანა. როგორც ცნობილია, ყველაზე წარმატებით ტექნოლოგიური განვითარება გაიარეს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. ყველა ამ ქვეყნებში ეს პროცესი სახელმწიფოს მიერ იმართებოდა, ხოლო აღილობრივი მუშახელის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას შეიძლება შეშერდეს.

**მეორე** შემთხვევაში ლაპარაკია „ფართო მოხმარების ტექნოლოგიებზე“, რომლებიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელსაც მათი შეძენის ფინანსური საშუალება აქვს. ასეთ ტექნოლოგიებში იგულისხმება ადამიანის სიცოცხლისუნარისანობის უზრუნველყოფის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიები — ტელევიზია, ტელეფონი, მსუბუქი ავტომანქანა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ. მათი უმცირესობის მოხმარება მინიმალურად განათლებულ, ხშირად გაუნათლებელ ადამიანსაც კი შეუძლია. თუმცა განვითარებად ქვეყნებში მათი კონცენტრაცია ხდება განვითარების ცენტრებში, რომელთაც გარე სამყაროსთან ინტენსიური კონტაქტები გააჩნიათ. ასეთი ტექნოლოგიების ტრანსფერი მოლიანად ბაზარზეა დამოკიდებული, ხოლო მისი ავგარგიანიბა განისაზღვრება არა ადამიანის რეალური მოთხოვნილებით მასზე, არამედ წარმატებული მარკეტინგით.

ტექნოლოგიების ტრანსფერის ძირითადი შედეგი არა მარტო მომხმარებლის ცხოვრების ხარისხის ზრდაა, არმედ მისი კულტურული განვითარება. ფაქტობრივად ნებისმიერი ეთნოსის სიცოცხლისუნარისანობა და წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია მას უცხო კულტურის ელემენტების ასიმილაცია და საკუთარი კულტურის გამდიდრება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს პროცესი ინტენსიური გახდა. ახალი ტექნოლოგიების გამოგონება იწვევს კულტურების ურთიერთგავლენას, ისევე როგორც კულტურების ურთიერთგავლენა იწვევს შესაბამისი ტექნოლოგიების დამუშავებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა და წარმატებულმა კომპანიამ ჯენერალ მოტორსმა ნავთობის, მეტალურგიული და ავტოსაბურავების წარმოების დარგების სხვა წამყვან კომპანიებთნ ერთად ხელში ჩაიგდო ტრამვას ქსელი და საზოგადოებრივი ტანსპორტის დიდი ნაწილი გაუქმდა. იმავე დროს სახელმწიფომ დააბანდა საავტომობილო გზების მშენებლობაში დიდი თანხები (ძირითადად დაუსაქმებელი მუშახელი რომ ჩაბმულიყო სახელმწიფო დასაწმების პროგრამაში). ამას შემდეგ მოყვა ქვეყანაში საზიგადოებრივი ტრანსპორტის ჩანაცელება აგვიანებანით. 1950-1960-იან წლებში მსოფლიოში აღგილი ქონდა ტექნოლოგიურ ტრანსფერს, რომელსაც თავისი გამოვლენის მასშტაბებით დღეისთვის ბადალი არ ყავს. ყველაფერთან ერთად ამან გამოიწვია ცხოვრების სრულიად ახალი წესის ფორმირება, რომელიც გულისხმობს, რომ მხოლოდ ავტომანქანის ფლობელია საზოგადოების სრულფასოვანო წევრი. აშშ-ში, სადაც ცხოვრების ეს წესი ჩამოყალიბდა, ადამიანი, რომელსაც მანქანა არ ყავს, წარუმატებლად ითვლება, რაც ამ ქვეყანაში მიუტევებელი ცოდვაა. ამ პროცესს მეორე მნიშვნელოვანი მხარე აქვს. საავტომობილო ტრანსპორტი მსოფლიოში ნავთობისა და ფოლადის ყველაზე დიდი მომხმარებელია. ავტომანქანების წარმოება, რეალიზაცია, საწვავით უზრუნველყოფა, გზების მშენებლობა ყველაფერი ერთად წარმოადგენს ყველაზე დიდ, წარმატებულ გლობალურ სისტემას. საინტერესოა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მსხვილმასშტაბიანი გლობალური პროცესი განვითარდა მთლიანად კერძო ბიზნესის ინიციატივით, სახელმწიფოს მინიმალური მხარდაჭერით.

ინდივიდუალური საავტომობილო ტრანსპორტის გლობალური გავრცელება არ აღიქმება როგორც დასავლური ექსპანსია, განსხვავებით ე.წ. მასობრივი კულტურის გავრცელებისა, რომელიც ძალიან ხშირად „კულტურული კოლონიალოზმის (იმპერიალიზმის)“ სახელით მოიხსენიება. ამ პროცესს ძირითადად უკავშირებენ მასობრივი კულტურის ისეთი ელემენტების წარმოებასა და გავრცელებას, როგორიცაა კინოფილმები, სატელევიზიო გადაცემები, მუსიკა, კომპიუტერული თამაშები – ე.ი. ყველაფერი ის, რის მოხმარება მნახველისა თუ მსმენელის ინტელექტუალური განვითარების დონეს მინიმალურ მოთხოვნებს უყენებს. ამ პროცესის შეფასება როგორც კოლონიალოზმის მეტყველებს მის ეფექტურობასა და გავლენაზე მსოფლიო მოსახლეობის კულტურულ ჩამოყალიბებებზე. ინტერნეტის, სატელიკური ტელევიზიის გაოქაში აღარ არსებობს ადგილი, რომელსაც ის არ ფარაგდეს. ამ დროს ხდება არსებული ტრადიციების,

ფასეულობათა სისტემის, ეოველდღიური ცხოვრების წესის ტრანსფორმაცია ან საერთოდ ახლით ჩანაცვლება. ეს პროცესი მაინც ტექნოლოგიის ტრანსფერზეა დამოკიდებული და მის გარეშე შეუძლებელია. დღევანდელი კულტურული გლობალიზაციის პროცესი ერთი ცენტრიდან მომდინარეობს (აშშ) და საქმე გვაქვს ერთგვარ კულტურულ მონოპლიასთან. მისი ინტენსივობა და მასა იმდენად დიდია, რომ მსოფლიო მასშტაბით თრგუნავს ნებისმიერ კონკურენციას. წარმატებული კონკურენცია შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც საკუთარ პროდუქციას აშშ-დან ნახესხებ სტერეოტიპებს უფასებურად მიუსადაბებს. აქ „კულტურის“ ცენტრა საერთოდ არ არის დაკავშირებული არაგითარ იდეასთან – ის უბრალოდ საქმელია, რომელიც ბაზარზე უნდა გაიყიდოს. ამიტომ მისი შექმნა და რეალიზაცია ხდება ნორმალური მარკეტინგული ტექნოლოგიების საფუძვლზე. ხდება პოტენციური ბაზრის შესწავლა, მომხმარებლის „დამუშავება“ ინტენსიური რეალამის საშუალებით, შემდგომ საქონლის რეალიზაცია.

გლობალურმა კულტურულმა პროცესებმა გამოიწვია ადამიანების გამორცეული ჯგუფის შექმნა. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც მართავენ და უშუალოდ ემსახურებიან გლობალურ ქსელებს – ძირითადად ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯერები და კვალიფიცირებული სპეციალისტები. იმის გამო, რომ ძირითადად მათზეა დამოკიდებული ამ ქსელების მუშაობის ორგანიზაცია და მართვა, მათი უშუალო გავლენა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე უაღრესად დიდია. მიუხდავად მათი ეროვნული წარმოშობისა, ისინი აზროვნებენ და მოქმედებენ ერთიანი, კორპორაციული ინტერესების ფარგლებში და შესაძლებელია ვილაპარაკო გლობალური კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე. სადაც არ უნდა მოღვაწეობინებ ეს ადმიანები, ისინი მოითხოვენ, რომ ადგილზე მათ შეუქმნან საქმიანობისა და ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც მათვის მისაღებია. მათი „წონა“ იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს მათთან ურთიერთობა, იძულებულია მათი წესებით ითამაშოს.

ამ პროცესის წარმოქმნა და განვითარება ძირითადად აშშ-ს უპავშირდება და როგორც მისი მიზანდასახული ექსპანსია განიხილება. ეს ისევდაისევ კერძო ბიზნესის ინიციატივაა, რომეშიც აშშ-ს მთავრობა ნაკლებად ერევა. ის, რომ სწორედ ამერიკელები არიან უველაზე აქტიურები მასობრივი კულტურის წარმოებაში და ყველაზე წარმატებულები, პირველ რიგში, იმითაა განპირობებული, რომ ხელოვნების საქონლად გადაქცევის ბიზნეს-მოდელი მათ მიერაა გამოგონებული და დღესაც დიდი უპირატესობით სარგებლობენ. ეს ძირითადად იმის სარჯზე ხდება,

რომ გადამწყვეტი უპირატესობა კონკურენციის პროცესში აქვთ ფირმებს, რომელთაც გააჩნიათ მარკეტინგისა და გავრცელების მეტი რესურსები – ე.ი. ამერიკულებს. გარდა ამისა, უყვართ ამერიკა თუ არა, ის მსოფლიო მასობრივი მომხმარებლებისათვის მაინც ყველაზე მიმზიდველი ქვეყნაა.

ხშირად პრობლემატურად აღიქმება ბევრის მიერ ინგლისური ენის (მისი ამერიკული ვარიანტის) გავრცელება მსოფლიოში, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ძირითადი საშუალების. ინგლისურის გავლენა მსოფლიოს განვითარებაზე ასევე ხასიათება როგორც „ლინგვისტიკური იმპერიალიზმი“. ამავე დროს, ინგლისური ენის გავრცელება იმდენად ინტენსიურია, რომ British Council-ს შეფასებით 2015 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი ილაპარაკებს ინგლისურის გავრცელება ისევდაისევ არ უნდა იყოს აღქმული როგორც მიზანდასახული ექსპნია, ეს მსოფლიოს განვითარების სახიცოცხლო მოთხოვნილებაა. გლობალიზებულ დედამიწაზე აუცილებლად საჭიროა ურთიერთობის ერთიანი ენა. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ყველასთვის მისაღები ხელოვნური ენის შექმნის ცდებიც იყო. ის, რომ ინგლისურმა დაიკავა მსოფლიო საკომუნიკაციო საშუალების აღგილი, სრულიად ლოგიკურია და გამომდინარეობს იმ როლიდან, რომელსაც თამაშობს შეერთებული შტატები დღვეანდელი მსოფლიოს განვითარებაში. აღმოჩნდა, რომ დღეისათვის ინგლისურის როლი იმდენად დიდია, რომ ქვეყანა, რომლის მოსახლეობაც ინგლისურად ლაპარაკობს, ბევრად უფრო „ლია“ გარე სამყაროსთან ურთიერთობისთვის, მეტი შანსი აქვს მოიზიდოს უცხოური ინგენიერიები და განვითარდეს სხვებთან შედარებით, რომლებიც ინგლისურად არ ლაპარაკობენ.

ახალი ტექნოლოგიებისა და კულტურული ფასეულობების შერწყმის მაგალითს, რომელიც ერთიანი გლობალური კულტურის ჩამოყალიბების პროცესს წარმოადგენს ინტერნეტი და მობილური ტელეფონია. ამ ორივე კომუნიკაციის საშუალების შეღწევა მსოფლიო მოსახლეობაში დიდია, განსაკუთრებით მობილური ტელეფონის. ეს ტელეფონი ჯერ კიდევ 1983 წელს შემოვიდა სმარტები, მაგრამ პოპულარული გახდა 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც მისმა ტექნიკურმა დახვეწამ და მკვეთრმა გაიაფებამ ხელმისაწვდომი გახდა ის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისთვისაც. 2004 წლის ბოლოსთვის მსოფლიოს მთელი მოსახლეობის მეოთხედზე მეტი მომხმარებელი ფიქსირდებოდა.

მობილური ტელეფონებისგან განსხვავებით, ინტერნეტი ძირითადად განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ მოგლენად რჩება. მსოფლიოში მოსახლეობის დაახლოებით 13%

ჩართულია ინტერნეტში, თუმცა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში ასეთების წილი მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტია. ძირითად როლს, რასაკირველია, თამაშობს მისი ტექნიკური აღჭურვილობის დირექტორები, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინტერნეტი უფრო დიდ მოთხოვნებს უკენებს მისი მომხმარებლის განათლების დონეს. ბევრი ქვეყანა დიქტატორული ან ნახევრად-დიქტატორული რეჟიმებით, თუ პირდაპირ არ კრძალავს ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის საშუალებას, ცდილობს ის მაქსიმალურად შეზღუდოს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. პოლ პერსტი, გრემ ტომფსონი – „გლობალიზაცია“
2. სოციალურ მეცნიერებათა სერია – „გლობალიზაცია“

### **Summary**

**Maka Ambrolidze**

### **Global Technology And Cultural Development**

One of the important consequences of globalization is that the Earth has simply become too small. There is no problem of reaching any place on the planet, while gathering, processing, disseminating information. Contacts among various individuals is also possible in a real time. The United States and its allies take a great part in global process but according to some people, this fact does not mean that globalization is the result of these countries' activities. Simply, on this stage these states are the most active players of the process and as a result, they have great influence on it. Technology from transmitter of cultural values became the element of culture. Culture turned into market commodity, while its development and dissemination is defined by market.

### **Резюме**

**Мака Амбролидзе**

### **Глобальные технологии**

Один из главных итогов глобализации – это то, что Земля просто стала очень маленькой. Больше не существует проблемы преодоления расстояния, но приём, обработка, распространение любой информации или взаимоотношения между отдельными индивидами возможны в реальное время. США и их союзники сегодня играют решающую роль в глобальных процессах, но это не значит, что глобализация – это итог сговора этих стран, как это думают многие. Просто на этом этапе эти государства представляют самых активных игроков этого процесса и соответственно больше всего переживают его влияние. Технологии стали не только переносителями культурных ценностей, но и сами превратились в элементы культуры. Культура стала товаром, и формирование и распространение большей её части регулируется законами базовых взаимоотношений.

### ნინო ირქმაძე

#### პოლიტიკური რეკლამა ტელევიზიაში

თანამედროვე ცხოვრებაში რეკლამის როლი განსაკუთრებულად გაიზარდა. დღევანდებულ რეალობაში გამორჩეული ადგილი მისმა ერთ-ერთმა სახემ - პოლიტიკურმა რეკლამაშ დაიმკვიდრა. როგორც ცნობილია, იგი ძირითადად მედიის საშუალებებით ვრცელდება, თუმცა მათ შორის ტელევიზიას მონოპოლიური მდგომარეობა აქვს შენარჩუნებული. სატელევიზიო რეკლამა თანამედროვე რეკლამის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მას შეუძლია, მორცვას ფართო მასები და მიზნობრივ აუდიტორიაზე იმოქმედოს. თუ გაზეთში მნიშვნელოვანია, სად განთავსდება რეკლამა, ტელევიზიაში არსებითია ის, თუ დროის რომელ მონაკვეთში გადაიცემა იგი. სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრება რეკლამის დირექტულებაც.

კომერციული და სახელმწიფო ტელევიზიის ამოცანები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია, თუ პირველის ფუნქციაა, რაც შეიძლება მეტი აუდიტორიის მოზიდვა და ამდენად მეტი მოგების მიღება, მეორის დანიშნულებაა საზოგადოების ინტეგრაცია, ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი პრინციპების, ტრადიციების, დირექტულებების დამკვიდრება, ეროვნული კულტურისათვის მხარდაჭერა, ყოველივე იმის განვითარება და დაცვა, რაც ადამიანებს ხალხად, ერად აქცევს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მედიაბიზნესი სარეკლამო ბიზნესია. ტყუილად როდი უწოდებს რეკლამას კომერციის ძრავას. პოლიტიკური რეკლამა ტელევიზიით უკვე დიდი ხანია გახდა საარჩევნო კამპანიების განუყოფელი ნაწილი, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონალურ დონეზე. იგი აგიტაციის ყველაზე პოპულარულ საშუალებად ითვლება, რადგან ამომრჩევლებს შეუძლიათ არამარტო მოუსმინონ კანდიდატს, არამედ ვიზუალურადაც აღიქვან ის. ცნობილია, რომ ადამიანები ინფორმაციის დასხლოებით 90%-ს მხედვებელობის საშუალებით დებულობენ. სიტყვას ტელევიზიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ტელეკოროგრამა, პირველ რიგში, მაინც სანახაობაა. ამიტომ ეფექტურია რეკლამა, რომელიც კი არ მოგვითხრობს, არამედ გვაჩვენებს. წარმატების ნახევარი დამოკიდებულია ვიდეორიგზე.

ტელერეკლამა უფრო ახლოსაა საგაზეთო რეკლამასთან, ვიდრე რადიორეკლამასთან. ესაა ის უნიკალური შემთხვევაა, როცა ტელევიზიას პრესასთან მეტი სიახლოეს აქვს, ვიდრე რადიოსთან. მიზეზი მარტივია - ტელევიზიისა და პრესის შემთხვევაში მთავარი აქცენტი გადატანილია გამოსახულებაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ტელერეკლამაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექსტი. პირველ რიგში, მომტებიანია მოკლე, სხარტი რეკლამა; ამგვარ სარეკლამო ტექსტში არსებითია ინფორმაცია, მაგრამ არც ამ ინფორმაციის მიწოდების ეთიკური მექანიზმია უმნიშვნელო. ესთეტიკური ეფექტის საფუძველს უპირატესად წარმოქმნის უკრი, სურათი, დინამიკა, სიტვათა მოულოდნელი შეხამება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, ტელევიზია ყველაზე დიდ რესურს შეიცავს არჩევნებში მონაწილე კანდიდატის საზოგადოებისათვის ცნობად სახელ ჩამოყალიბებაში. მას გააჩნია ფართო შესაძლებლობა იმისა, რომ ესა თუ ის პიროვნება გააცნოს ამომრჩეველს თავისი პოლიტიკური პროგრამით და შეუქმნას პოლიტიკოსისათვის საჭირო იმიჯი.

ტელევიზია აგიტაციის ყველაზე ძლიერი და ეფექტური ფორმაა, ამიტომაც იგი პროპაგანდის სხვა საშუალებებთან შედარებით, გაცილებით დიდ ფინანსურ რესურსებსა და დანახარჯებს მოითხოვს.

ტელევიზიის გამოჩენამ და დამკვიდრებამ, ფაქტობრივად ერთგვარი რევოლუცია მოახდინა წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვაში. საერთოდ, ტელევიზია დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებული ძალაა. დღეისათვის კანდიდატების საარჩევნო ხარჯების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სატელევიზიო რეკლამისა და საეთერო დროის შემენაზე მოდის. სატელევიზიო „გამარჯვება“ ხშირ შემთხვევაში, კანდიდატისათვის შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. პოლიტიკური ტელერეკლამის „დაბადების“ თარიღად მიჩნეულია 1952 წელი, როდესაც შეერთებული შტატების ტელევიზიით პირველად გადაიცა დუატ ეიზენჰაუერის მხარდასაჭერად როსე რიგერსის მიერ შექმნილი სარეკლამო რგოლები. (პრეზიდენტი ქუჩაში უბრალო ადამიანების შეკითხვებს პასუხობდა) მის მეტოქეს ედლაიდ სტივენსონს პრაქტიკულად არ გამოუყენებია ტელერეკლამა. როგორც დაასკვნეს, ტელევიზია უფრო ადამიანური გახდა და ეიზენჰაუერის „რკინის ჯარისკაცის სახე“ და მისი გამარჯვებაც განაპირობა.

პოლიტიკურ რეკლამაში სატელევიზიო რგოლის ეფექტურობის ძირითადი განმასაზღვრელია სწორად შერჩეული დრო, ხარისხი და ტელევიზიაში გაშვების სიხშირე.

სარეკლამო „რგოლის“ დანიშნულება არამხოლოდ კანდიდატის ცნობადობისა და დამახსოვრების უზრუნველყოფაა, არამედ მისოფელის დადგებითი იმიჯის შექმნის წინაპირობაცაა. სარეკლამო რგოლი აქცენტირებული უნდა იყოს როგორც ინფორმაციულობაზე, ასევე, ამომრჩევლის კეთილგანწყობისმოავებაზე. მიმდინარე წელს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, სარეკლამო რგოლების მეშვეობით, მკაფიოდ წარმოჩნდა პრეზიდენტობის კანდიდატთა პოლიტიკური პლატფორმა, საარჩევნო პროგრამა, მათი პიროვნული ოფისებები, რამაც თითოეულ კანდიდატს მხარდაჭერთა რიცხვი გაუზარდა. საარჩევნო კამპანიისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონკრეტული იდეის პრეზენტაციისა და გამოკვეთილი პოლიტიკური პოზიციის გარეშე, კანდიდატის ხშირი გამოჩენა ტელევიზით მაყურებელთა გაღიზიანებას იწვევს.. ამ მხრივ, საჭიროა მიზანმიმართული ტაქტიკის შემუშავება. სწორი პიარი ოქროს შუალედის ტოლფასია, რისი გათვალისწინებაც საპრეზიდენტო არჩევნების დროს რიგ შემთხვევებში ვერ მოხერხდა.

უკვე დიდი ხანია საუბრობენ ვიდეო და ტელეპროდუქციაში ფარული კადრების „ჩასმების“ ეწ. 25-ე კადრის შესახებ. ზოგიერთი ექსპერტის განმარტებით, ასეთი მეთოდები „ელექტრონული ტერორიზმის“ კატეგორიას განეკუთვნება. ცნობილია, რომ ფარულ, 25-ე კადრს შეუძლია მიზანმიმართული ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა ცნობიერებაზე. მაგალითად, თუ ასეთ კადრში ჩნდება წარწერა: „ხმა მიეცით ამა და ამ კანდიდატს“, -ადამიანმა შესაძლოა იგრძნოს ძლიერი სურვილი იმისა, რომ ხმა მისცეს სწორედ ამ კანდიდატს და არავის სხვას. ასეთ ფარულ ხერხს არჩევნების შედეგების ბედის გადაწყვეტა შეუძლია. თაგმოხვეული ინფორმაცია ავტომატურად, ადამიანის ნების გარეშე, ისადგურებს ცნობიერებაში. მისი მოქმედება ძალზე პგავს ჰიპნოზს. ასეთი ფარული 25-ე კადრის „ჩასმების“ საარჩევნო კამპანიის დროს ზოგიერთ პოლიტიკურ ვიდეო რეკლამაში საქართველოშიც აღინიშნა. მსგავსი ტიპის ფარული „ჩასმების“ შესამჩნევად არსებობს საციიალური აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლევა შემოწმდეს სატელევიზიო არსების ეთერით გაშვებული ვიდეო და ტელენაწარმი.

ტელევიზიებში მრავლად არიან პოლიტიკური რეკლამის სპეციალისტები და ამ საქმის პროფესიონალები. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კამპანიის მენეჯერები ვალდებული არიან უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა სარეკლამო რგოლის კონცეფციისა და სცენარის შედგენაში, ეთერში გასვლამდე ნახონ შექმნილი პროდუქცია და კორექტივები შეიტანონ მასში.

პირველი პოლიტიკური სატელევიზიო სარეკლამო „რგოლი“ საარჩევნო კამპანიის დროს 1957 წელს გამოიყენეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მასაზესების შტატში, სპრინგფლიდის მერის არჩევნებზე ახალგაზრდა კანდიდატი გავქრებოდა მოქმედ მერს რომელიც უკვეჯერ იყო არჩეული ამ თანამდებობაზე და დაუმარცხებელ კანდიდატად მიიჩნეოდა. „რგოლი“ ძალიან მარტივი ტექნოლოგიითა და იდეით იყო შექმნილი - ფერწებობოდა ბორბი, რომელიც სკაფებოდა მცირე ნაწილაკებად და ამ ნაწილებით იწყობოდა წარწერა „ახალი ლიდერი-ტომ ოკონერი“. „რგოლი“ ადგილობრივ კინოსტუდიაში გადაიღეს და მისი ქრონომეტრაჟი 10 წამს შეადგენდა შეიძლება გადამწევები წვლილი ტომ ოკონერის გამარჯვებაში მხოლოდ ამ რგოლმა არ შეიტანა, მაგრამ ოპონენტმა სრული კრახი განიცადა. იგი პირველი დამარცხება პირველი პოლიტიკური სატელევიზიო სარეკლამო რგოლის ავტორი და ტომ ოკონერის საარჩევნო შტატის ხელმძღვანელი ჯოზევ ნაპოლიტანა იყო, ამერიკაში ცნობილი პოლიტიკური კონსულტანტი, რომელმაც კარიერა 1956 წელს დაიწყო. იგი მონაწილეობდა ჯორჯ კენედის, ჰუბერტ ჰემფრის, ვალერი უისკარ დესტენის საარჩევნო კამპანიებში. მისი ხელმძღვანელობით საპრეზიდენტო კანდიდატებს არჩევნებში მრავალჯერ გაუმარჯვიათ: გენესუელაში, კოსტარიკაში, ფილიპინებში, სუდანში, ბოლივიაში დომინიკის რესპუბლიკაში, ამერიკისა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ეს პოლიტიკური სატელევიზიო სარეკლამო „რგოლი“ იყო პირველი მრავალ ექსპრიმენტთა შორის, რომლებშიც ჯოსეფ ნაპოლიტანმა გამოიყენა როგორც ინსტრუმენტი კანდიდატის მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე ასარჩევად. ექსპერიმენტისა და საარჩევნო კამპანიების უმრავლესობამ ჯოსეფ ნაპოლიტანის ხელმძღვანელობით გაამართლა და კანდიდატებს წარმატება მოუტანა.

1960 წელს ამრეკაელებს უკვე პქონდათ შესაძლებლობა ტელევიზიონით ედევნებინათ თვალი კენედისა და ნიქსონის წინასაარჩევნო დებატებისათვის. მაშინ ნაკლებად ცნობილი სენატორ კენედის გამარჯვებად უკველა დაარწმუნა ტელევიზიის უდიდეს ძალაში. საბოლოოდ იქნა გამოტანილი ვერდიქტი იმისთაობაზეც, რომ ინფორმაციის კველა შესაძლო ტრანსლატორიდან საზოგადოების ცნობიერებაზე კველაზე მძლავრ გავლენას ტელევიზია ახდენს. სამუშაოდ, პრეზიდენტობის კანდიდატთა სატელევიზიო დებატები დღემდე საქართველოში არ გამართულა.

პოლიტიკოსთა ლექსიკონში მყარად დამკვიდრდა ახალი კომერციული ტერმინები: „იმიჯი“ და „კანდიდატების გაყიდვა“

საზოგადოება ალაპარაკდა, რომ პოლიტიკა „პეთდებოდა,” არა სამთავრობო-პარტიულ „„დულისებში”“ არამედ, სარეკლამო სააგნენტოების მიერ, რომ ერთი და იმავე სტრატეგიით შეიძლება საპნისა და პრეზიდენტის გაყიდვა. სარეკლამოკამპანიის რეკლამირება იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ იგი თავად იქცა ახალი ამბების გაშექებისა და საზოგადო განსჯის ობიექტად.

70-იანი წლების შუა სანებიდან, მას შემდეგ რაც საარჩევნო კამპანიებში მარცხი იწვიოდა კანდიდატებმა, რომელთაც სატელევიზიო რეალიაში დიდი ოდენობით თანხა დახარჯეს. საზოგადოება უფრო რეალისტურად მიუდგა „„ლექტრონული იმიჯის”“ როლს წინასაარჩევნო კამპანიაში. გაირკვა, რომ წარმატება სულაც არ არის გაწეული სარჯების პირდაპირპოპორციული. დღეს პოლიტიკური ტელერეკლამა ითვლება არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა სიმპათია-ანტიპათიის ჩამოყალიბებაზე. დასავლური სტადარტების შესაბამისად, ტელევიზიაში პოლიტიკური სარეკლამო კამპანიისას დაცული უნდა იყოს გარკვეული ეტაპობრივი თანმიმდევრობა:

კამპანიის პირველ ეტაპზე სააგენტოები ესწრაფვიან, რაც შეიძლება მეტმა ამომრჩეველმა დაიმახსოვროს კანდიდატის სახელი და ზოგადი წარმოდგენა შეექმნას მის შესახებ: კლიპებში, რომელთა დანიშნულებაცაა კანდიდატის იდენტიფიკაცია, პოლიტიკოსის სახელი მაქსიმალურად ხშირად მეორდება.

ამ ეტაპზევე შეირჩევა რაიმე საქმაოდ მარტივი და გასაგები ლოზუნგი, რომელიც სრულიად განსხვავებულ სატელევიზიო რგოლებს აერთიანებს. იგი გათვლილია უფრო უმოციებზე, ვიდრე ცივ გონებაზე. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ერთ-ერთმა კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა სარეკლამო დევიზად საქმაოდ მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი და სლოვანი გამოიყენა: „საქართველო სიდარიბის გარეშე“. საზოგადოებისათვის შთამბეჭდავი ადმონიდა თპოზიციური ძალის კანდიდატის ლევან გაჩენილაძის სლოვანი: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

მეორე ეტაპზე, სარეკლამო კამპანიის ორგანიზატორები უურადღების ცენტრში აქცევენ კანდიდატის პოლიტიკურ შეხედულებებსა და პლატფორმებს. კანდიდატის იმიჯი უკავშირდება რაიმე კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტას. ასეთი „პრობლემური“ კლიპები მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ინფორმირების თვალსაზრისით. გამოკითხების მიხედვით, მათ შინარსს მაყურებლის დაახლოებით ნახევარი იმახსოვრებას.

მესამე ეტაპია თპოზიციის კვლევა, ეს არის შედარებითი ანუ ნეგატიური რეკლამა. ამ დროს საუბრობენ მეტოქეთა

ნაკლოვანებებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „უცნობის” მიერ შექმნილი კლიპი, „დედა ენა”. კამპანიის დასკვნით ეტაპზე უნდა შეიქმნას „ოპტიმალური ფინანსი”. ამ ეტაპზე იწყება არაკომერციული კამპანიაც, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებს არჩევნების დღეს გამოცხადნენ საარჩევნო უბნებში. მსგავსი რეკლამები მრავლად დომინირებდა 2008 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების დროს. გამოკვლეულით დადასტურდა მაყურებელთა მიერ პოლიტიკური და კომერციული ტელერეკლამის განსხვავებულად აღქმა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური ტელერეკლამის მაყურებელთა დიდი ნაწილი რეაგირებს შინაარსზე, ხოლო კომერციული რეკლამისა – ფორმაზე.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მადალია პოლიტიკური ტელერეკლამის ინფორმაციულობის ხარისხი. გამოკვლეული ადასტურებენ, რომ პოლიტიკურ რეკლამაში მაყურებელი ციფრებსაც კი იმახსოვრებს. ამ უფექტს განაპირობებს პოლიტიკური ტელერეკლამით ინფორმაციის მიწოდების თავისებურება. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევებისას პოლიტიკურ რეკლამაში მთელი ოქცენტი გადატანილი იყო ციფრების ადგილად დამასხვილებაზე. პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ ტელერეკლამაში ქუჩაში მოსიარულე სხვადასხვა ასაკის ადამიანები ხელით ანიშნებდნენ, იმ ციფრს, რომელიც ამ კანდიდატს ჰქონდა მინიჭებული და რომელიც უნდა შემოეხაზა ამორჩეველს.

სარეკლამო სტრატეგია ემყარება 3 მთავარ პრინციპს:

1. მასალის გადმოცემის სიმარტივე;

2. გამეორებას;

3. ხმისა და გამოსახულების სწორ შეხამებას;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ტელევიზიაში პოლიტიკური რეკლამის სწორად ორგანიზება კანდიდატის წარმატებას უმთავრესი წინაპირობაა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ტელე-რადიო ჟურნალისტიკის კათედრა „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საკითხები 2001 წელი“
2. <http://www.Medianews.ge/geo/>
3. <http://www.media.ge>
- 4 <http://www.politicalresources.net/>

## Summary

### Nino Iremadze Political Advertisement on Television

Specific role of political advertisement during Political PR campaign is underlined in this article. It is obvious, that Television from other mass media sources is considered to be the main and actual spectrum for political advertising. Due to its specific multifunctional nature Television preserves its monopoly compared to other mass media sources.

The author examines specifications and functions of political advertisement and considers specific examples illustrating importance of the main topic of this article.

### Резюме

### Нина Иремадзе Политическая реклама на телевидении

В указанной статье особая роль отводится политической рекламе – во время политической PR-компании. Из средств массовой информации стало ясно, что для политической рекламы телевизионное пространство остается ведущим и актуальным спектром. Исходя из многофункциональной специфической природы телевидения в сравнении с другими средствами информации оно заслуженно и достойно сохраняет монополию.

## ხელისუფლება და საზოგადოება

**ეთერ კაციტაბე  
ცხოველთა სურათები მითოლოგიაში და  
თანამედროვე ცხოველთა მეტაფორა**

მრავალი ადამიანი ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებს მეტაფორას ისე, რომ არც კი ათვითცნობიერებს ამას. მეორადი ხატოვანი ნომინაციის ყველაზე გავრცელებული სახეობა – ცხოველთა მეტაფორა წარმოადგენს სახელის გადატანას უპირველეს ყოვლისა ადამიანზე და ამგვარად არის სემანტიკური მოვლენა.

თანამედროვე ცხოველთა მეტაფორის სემანტიკა მჭიდრო ურთიერთკავშირშია მითოლოგიურ ცხოველთა სურათებთან, რადგანაც მისი ანტროპომორფული მნიშვნელობა იწყება ცხოველთა სამყაროს მითიური ოქმულებებიდან.

მითი, ბუნდოვანი საიდუმლოებით მოცული სიტყვაა. ზოგისთვის ის განუვითარებელი საზოგადოების, პრიმიტიული აზროვნების გამოხატულებაა და ადგილს დრომოქმულ ჰემრიტებათა გვერდით აკუთვნებს. სხვათათვის კი მითი საოცარ სიბრძნეს წარმოადგენს და უკავშირდება კაცობრიობის მიერ დასხულ იმ კითხვებს, რომლებზეც მეცნიერებას პასუხი არ აქვს. მიუხედავად ამისა, მითი ისევ ცოცხალია, რადგან ლიტერატურული თამაში, რომელიც ცდილობს უფრო ღრმად ჩაწერებს მითის არსეს, სულ უფრო პოპულარული ხდება და ჩვენს ცხოვრებში მეტ ადგილს იკავებს.

ეს საგნები ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქათ მითისა და ბერძნული მითოლოგის შესახებ, რადგან გაიზარდა საყოველოთ მოთხოვნა, რათა განიმარტოს მითის რაობა. მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინ მკვლევარი რანქე გრეივსი იძულებული გახდა შეგუებოდა, რომ ბერძნული მითოლოგის მისეული განმარტებები უარყო კ. კერენეიმ, როგორც „გენიალური ხუმრობა“ და უწოდა „ახალი მითი ძევლი მითების შესახებ“. რთულია მითის ერთ ცნებაში მოქცევა, რადგან სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნები ცალკე ტიპებად ლაგდება. სწორედ მითის ამ განსაკუთრებული თვისების გამო შეიძლება მოხდეს მოთხოვნების ტიპებად დეფინირება, რომლებიც შემდეგ ერთმანეთისგან ისეთი ცნებებით გაიმიჯნება, როგორიცაა: ზღაპარი, მითი, თქმულება, ლეგენდა... აქამდე, ყოველი ცდა დასულიყვნებ მითის ერთმნიშვნელობამდე, მხოლოდ პირობითად თუ იყო

დამაჯერებელი. ამ სიტყვების მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობით გააზრება კი დიდ წარმატებას ვერ მოგვიტანს, რადგან მითი სინამდვილეში გულისხმობს ენის მეშვეობით გადმოცემულსა და მონათხრობს. თუ სიტყვის ფუძის მიხედვით ვიმსჯელებთ, თქმულებაც და ზღაპარიც მოთხოვთ ნიშნავს. ამიტომ ჩვენ დიდი სიფრთხილით უნდა გავარკვიოთ მოცემული ამოცანის ნიშან-თვისებები, რათა მიახლოების გზით დავადგინოთ მოთხოვთის ტიპი და შევურჩიოთ ეპითეტი-თქმულება ან ზღაპარი.

თუ ბერძნულ მითოლოგიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ის მოგვითხოვთ უმეტესად ღმერთების, გმირების, მათი თავგადასავლებისა და ჯადოქრების შესახებ. ჩვენს თვალწინ გადაიშლება ირეალური წარმოსახვითი სამყარო. მაგრამ ბერძენთავის ის სულაც არ იყო წარმოსახვა, მითი მათოვის გაცილებით მეტს ნიშნავდა. აქედან გამომდინარე, მოთხოვთების განხილვისას მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ არა მხოლოდ მასალასა და მის კომპოზიციას, არამედ მის გაგებას; მთხოვთებისა და მსმენელის დამოკიდებულებას მოთხოვთასთან. ჩვენ გვაქვს ისეთი ამბები, მაგალითად, ზღაპრები, რომლებიც არანაირ სინამდვილეს არ შეესაბამება, მეორეს მხრივ კი, არსებობს ისეთი მოთხოვთები, რომლებიც ღმერთებს ეხება, ასეთ ლექსებს ახლო კავშირი აქვთ რელიგიასთან. ეს საზოგადოებრივ და ბუნებრივ სამყაროსთან ადამიანის სულიერი სამყაროს დაპირისპირების პირველი ფორმაა, რომელიც წინა ისტორიულ ეპოქაში ფანტასტიკურად აისახა. მრავალი მითოსური ამბავი კულტს შეერწყა, ამიტომაც ავლენს მითი რელიგიასთნ ნათესაობას. ხშირად კი მითი რელიგიის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.

როგორც მითში, ასევე რელიგიაში აშეარაა სინამდვილის კვლევის ხერხი, რომელიც რეალური სამყაროს თავისებურ, ფანტასტიკურ მონახაზებს იდებს და მიუხედავად ამისა, მათ ვერ ახვედრებს სინამდვილეში.

მითსა და რელიგიაში ასახვის ეს ხერხი, რომელსაც ასევე მითიური აზროვნებით მოიხსენიებენ, ჯერ საპირისპირო ცნებით უნდა გავარკვიოთ, რომელსაც ძეგლი ბერძნული ფილოსოფია ძვ.წ.აღ.-ით VI საუკუნიდან მოყოლებული, ავთარებს – ეს ლოგოსია, რომელიც ნიშნავს სიტყვას, ნათქვამს, თხოვთას. არისტოტელე (384-322) ცდილობდა განსხვავების გარკვევას მსოფლმხედველობის ძეველსა და ახალ ფორმებს შორის. არისტოტელე განმარტავს, რომ „ლოგოსი“ ანუ „ლოგიკური თხოვთას“ ეს ახალი ფორმა, რომელიც ფილოსოფიისა და მეცნიერებისთვისაა დამახასიათებელი, არგუმენტებითაა დამტკიცებული. ეს მეთოდურ-კრიტიკული ანგარიშსწორებებიც

ლოგოს ნიშნავს. რომაელებმა ლოგოსი თარგმნეს, როგორც „რაციო“. აზროვნების რაციონალურობაში აისახება საგნების რაციონალურობა, მათი ინტელექტუალური, ადვილად საცნობი ბუნებრივი წყობა, სადაც ზეადამიანური ძალების სასწაულებრივი მოქმედებისათვის სულ უფრო და უფრო ნაკლები ადგილი რჩება. ეს რაციონალური არგუმენტაცია ააშეარავებს, რომ ერთი რომელიმე ფილოსოფიური (მო)თხრობა უფრო შეესაბამება სინამდვილეს, ვიდრე მეორე. ამის მეშვეობით საწინააღმდეგო მოსაზრებათა შეჯერება შეუძლებელი ხდება.

სანამ ადამიანები დაიწყებდნენ სამყაროს ფილოსოფიურ ცნებად გააზრებას, ისინი სხვა ხერხით ცდილობდნენ ბუნებასა და საზოგადოებაში მოხდარის გარკვევას. აზროვნების განვითარების პირველ ფაზაში ეს ოეორიული ცნებების მეშვეობით კი არ ხორციელდება, არამედ სახე-ხატებით; არა საგნების (როგორც ეს იორური ბუნებათმცოდნეობის შემთხვევაშია), არამედ პიროვნების, ღმერთების მეშვეობით; არა კოსმოგონით (სამყაროს შექმნა), არამედ თეოგონით (ღმერთების შექმნა). ეს განმარტება იმ მითიურ-რელიგიური აზროვნების ნაყოფია, რომელიც სამყაროს შექმნისა და ბუნების ძალთა მოქმედების ამსახველ მითებში გამოიხატება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ თავდაპირველ მითში სამყაროსა და ადამიანის თვითგაგება განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა. მთი წინარევილოსოფიის ჰერიონია და თავიანთი ეპოქის საზოგადოებრივ თვითშეგნებას გამოხატავს.

გასაკვირი არაა, რომ მითიური თქმულებები მუდმივად იცვლებოდა თავისი ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად. შესაძლოა პირველი წარმოგენები, რომლებშიც სინამდვილე ფანტასტიკურად წარმოჩინდებოდა და ბუნება ზებუნებრივი ძალებით დასახლებულ სივრცედ გაიგებოდა, ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში წარმოშვა მაშინ, როდესაც დაახლოებით ძვ.წ.ად.-ით 50000 წელს, გამოქვაბულებში მხატვრულად გამოხატავდნენ ადამიანები თავიანთ მსოფლმხედველობას. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. ძველი მითების ძირითადი მოტივები მრავალჯერ შეიცვალა და ახალიც ბევრი შეიქმნა, მაშინაც და მოგვიანებითაც, მე-6, მე-5 საუკუნის საბერძნეთში, როდესაც ადამიანებმა ძველისძველი ამბების ჩაწერა დაიწყეს. თუმცა წერილობითმა დაფიქსირებამ მაინც ვერ შეაფერსა მითების გადაკეთებისა და შეცვლის ტენდენცია. თუ ამ ამბების სჯეროდათ და მათ სინამდვილედ თვლიდნენ, მაშინ ისინი ნამდვილ რელიგიურ მითს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა ნათელია, რომ უკეთაფერი მას არ განეკუთვნება, რაც პერისისა და პესიოდეს, ამ ტრაგიკოსებისა და ძველი თქმულებების შემგროვებლების მიერ ბერძნულ

მითოლოგიებში დაგროვდა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მოიძებნოს მითები ქელი ფორმით, მაგრამ ამის გაგება ძალიან როტულია. იგი იმ ოქროს ჰგავს, რომელსაც განძის ბნელ საკანზი ვეძებთ, სხვა ძვირფასეულობასთან ერთად, შეიძლება მათ ხელითაც ვეხებით, მაგრამ არ ვიცით როდის. ის, თუ როგორ უდგებოდნენ ბერძნები თავიანთ შექმნილ ისტორიებს, თუ როგორ ასრულებდა მითი მათ მაცოცხლებელ ფუნქციას ამა თუ იმ საზოგადოებაში, რომელთაც ამ მითის სჯეროდათ, ამაზე ძველი ბერძნებისგან ვერაფერს გავიგებთ. ამიტომ ჩვენ უნდა დავვყრდნოთ ეთნოლოგიური კვლევის შედეგებს. მაგალითად, გ. გრეიის, რომელიც იკვლევდა ახალი ზელანდიის, პოლინეზიელი, ინდიელებისა და ძირგველი ხალხის კავშირს თავიანთ მითებთან. თუმცა გ-გრეიისის ლექსიკური მარაგი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სრულყოფილად გაეგო. ამ ხალხის მითებს განსაკუთრებული ენობრივი ფორმა ქონდათ, რამაც გაართულდა გ. გრეიისის კვლევა. გრეიიმ მხოლოდ მითოსური ენის ათვისებით მოახერხა მოსახლეობასთან ურთიერთობა. ნათელია, რომ მითი თაობის ცოცხალი რეალობაა, რომლის რწმენითაც ის უხსოვარ დროში მოხდა და მას შემდეგ განუწყვეტლივ ზემოქმედებს სამყაროზე და ადამიანთა ბედისწერაზე. (ზღაპრისგან განსხვავებით, მითი არ არის დროში დასრულებული. მითი მეორდება ყოველთვის და ამიტომაც ატარებს რელიგიურ ჩანასახს). აბორიგენთათვის ეს ისტორიები ძველისძველი სინამდვილის გამოხატულებაა, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას, ბედსა და ქცევებს წინასწარ განსაზღვრავს. აცნობს ადამიანებს, ერთის მხრივ, რიტუალურ და მორალურ მიზეზებს, მეორეს მხრივ, მათი განხორციელების საშუალებებს. ამით მითი გვვლინება, როგორც თეორიულ ინსტრუმენტთა ერთობლიობა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ამართლებს.

ისეთი ამბები, რომელებიც თავიანთ წარმოშობას ფანტაზიას უნდა უმადლოდნენ და რომლებისაც არ სჯერათ, ზღაპარი ეწოდებათ. გამოდის, რომ პომეროსის ოდისეა ისეთ სანაოსნო ზღაპრებს, ტუილებსა და შემაძრწმუნებელ ამბებს შეიცავს, რასაც ოდისეესი ცალთვალა გოლიათებთან, ციკლოპებთან და მშვენიერ ჯადოქარ კირკესთან განიცდის, რომელიც ოდისეესის მხლებლებს ღორებად აქცევს. თვით ოდისეესს კი ამ მეტამორფოზისგან სასწაულებრივი ბალახი – მოლი იცავს. ეს და კიდევ სხვა ამბები დიდად არ განსხვადებიან მეზღვაურების მიერ შეთხზული და გაზიადებული ამბებისგან. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ ამთუები ზღაპარს სარწმუნო ბირთვი ანუ მითი ედო საფუძვლად. შემდეგ განვითარდა ზღაპრული

მოთხოვთ. ეს, როგორც ჩანს, აზროვნების პროგრესის ბეჭისწერა. თუმცა ამას ისე არ უნდა შევხედოთ, თითქოს კველა ზღაპარი აღრე მითი იყო, ხოლო კველა მითი აღრე თუ გიან ზღაპრად იქცევა. აქ ნათელია, რომ განსხვავება მასალაში, ობიექტში კი არა, სუბიექტშია, ანუ მის ინტერპრეტაციაში. კრიკელი მითი არის ცოცხალი ზღაპარი, რომლისაც ჯერ კიდევ სჯერათ და რომელშიც ჯერ კიდევ აქტუალური საზოგადოებრივი შეგნება აისახება.

მრავალი ზღაპარი მითია, რომელთაც თავიანთი ფუნქცია დაკარგული აქვთ. როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკა, აღსანიშნავია, რომ პოლინეზიელებისათვის წმინდა მითები ევროპაში ისე იყიდებოდა, როგორც სამხრეთის ზღვის ზღაპრები. რა თქმა უნდა, მოსათხოვთ მასალა თანდათან იცვლება, თუმცა მას ჰქონდა უცვლელი ნაწილიც, რაც კულტობრივი და რიტუალთან იყო დაკავშირებული. თუ მითი თავის საზოგადოებრივ რელიგიურ ფუნქციას მოწყდება, მაშინ იგი ზრაპარად იქცევა, როგორც ჩანს, იგი ყველას თვალში იქცევა მზარდი წარმოსახვის საგნად, რომელიც ყველა დასაშვებ ბუნების კანონიერ შეუძლებლობასა და აბსურდულობას ასახავს, ის აზროვნების თამაშია. ასეთი თამაშის შედეგები შესაძლოა იყოს პომეროსის თქმულებები ღმერთების შესახებ, ზეგისის სასიყვარულო ისტორიები და სხვა.

ბერძნულ მითოლოგიას ხშირად ღმერთებისა და მითების შესახებ თქმულებას უწოდებდენ, მითის მხგავსად თქმულებაც ის მოთხოვთაა, რომლისაც ძველ დროში სჯეროდათ. მითების საფუძვლად ხშირ შემთხვევაში დიდი ისტორიული მოვლენები უნდა ჩაითვალოს, როგორიცაა, მაგალითად, ომები, რომლებსაც ზეპირსიტყველი გაღმოცემის დროს აზვიადებდნენ, აიდიალებდნენ და ალამაზებდნენ. ეს პროცესი დროში გრძელდებოდა, ამიტომ თითქმის შეუძლებელია თქმულებიდან ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტის გამოტანა, გარკვევა.

მიკენის ხნის შთამბეჭდავი საფლავებისა, მიცვალებულთა და ძვირფასი ნიღბების აღმოჩენისას ჰაინრიხ შლიმანმა ირწმუნა, რომ მეცნიერების ისტორიული აღილები იპოვა, რომელთა ცხოვრება, სიყვარული და ვნებები ტროასადმი ილიადან და ოდისეადან ჰქონდათ გაგებული.

დღესდღეისობით არიან ისტორიკოსები, რომლებიც ჯიუტად ცდილობენ ჭეშმარიტი ფაქტების გამორკვევას, რათა ძველ საბერძნეთზე ჩვენი ნაკლოვანი წარმოდგენია შეიგსოს. ეპოსის ისტორიულობისადმი რწმუნა იკვებება სისუსტით, რომელიც ფესვს უცოდინარობაში იდგამს და რეალობა საპის ბუშტის მიღმა იმალება. აქ ბატონიბს არა კრიტიკული რაციონალურობა, არამედ სურვილი, როგორც აზროვნების სათავე.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია პომეროსის ოდისევსი, რომელიც თავისი მოხერხებულობით და გონიერებით ყველა სიტუაციაში ახერხებს გამოსავლის პოგნას, ისტორიულ პერსონაჟს ეკრანზე გვიყვანებს, ან იღიადას „აგამემნონი“ შესაძლოა მაშინდელი მიკელის მეცესთან რაიმე კავშირში იყოს, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, რომ ეს დიდი გმირები ყოფილი ლეთაებიდან აღმოცენდნენ, რომელებმაც თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს და სათავგადასავლო ბიოგრაფია შეისხეს. როგორც, მაგალითად, პარისის მიერ მოტაცებული ლენა, რომელიც ოდესაც ხის ქალმერთი იყო. ასევე მენელაუსი ან აქილევსი.

თოთქმის შეუძლებელია თქმულებებში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ისტორიული ფაქტები და გამონაგონი, რადგან სწორედ იქ, სადაც ამბების გარდა ნამდვილი ისტორიაცაა ასახული, როგორც მაგალითად ნიბელუნგების ამბავში, რომლის მიღმაც ბურგუნდიის ისტორია იმაღლება ან დიტრიხს ფონ ბერგის თქმულებების შემთხვევაში, რომელიც თეოდორ დიდის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს, ნათელი ხდება, თუ როგორ აქვს თქმულებას მოვლენები გაყალბებული.

როგორ და რატომ წარმოიშვა მითოსის გრანდიოზული სამყარო; ამ დიდ, მითოსურ გაუგებორობაში სად უნდა ვემორო ჭეშმარიტების მარცვალი, ჯერ კიდევ თოთქმის გაურკვეველია. საქმე რომ მითიურ აზროვნებასთან გვაქვს, გასაგებია, მაგრამ ამით ყველაფერს ვერ განვმარტავთ.

თავდაპირებულად, გარემოსთან პრაქტიული დამოკიდებულებით ადამიანმა შეიძინა ცოდნა ბუნების შესახებ. ნელ-ნელა საკუთარი თავის შეცნობაც დაიწყო. ერთმანეთს პირისპირ დაუდგა ობიექტური ბუნების ცოდნა და სუბიექტური მეს ცნობიერება. თუმცა არასაკმარისად გამოკვეთილ სულიერ პაბიტუსს უჭირდა ყველაფრის რეალურად აღქმა.

სუბიექტსა და ობიექტს შორის არ არის მკვეთრი, გამმიჯნავი კონტურები. ერთმანეთში აირია სუბიექტური და ობიექტური რეალობა. მოხდა ერთგვარი დიფუზია. ობიექტის გასუბიექტება და სუბიექტის ვაობიექტურობა მითიური აზროვნების ფორმაა. ეს ადამიანის წარმოდგენაში ბუნების ინტერაქტუაციაა.

რაც უფრო ნაკლებად ფლობს ადამიანი ბუნებას, მით უფრო უძლეურია მის წინაშე, ხოლო რაც უფრო ფლობს ბუნებას, მით უფრო მყარად გრძნობს თავს. ამიტომ ადამიანი ყოველთვის ცდილობდა ბუნების მოვლენებში თანამონაწილე ყოფილიყო და არა დამკვირვებელი. ამიტომ იქმნებოდა დმერთები და რიტუალები. ადამიანი გრძნობდა ყველა ზებუნებრივ ძალას და მისი ღირსება, პიროვნული მე – უპირისპირდებოდა „იძულებით შესაბამისობას“, „სრულიად დამოკიდებულების გრძნობას“, მას, რაც „ფარდის

უკანაა“. ნათელია, რომ ამ მხრივ მითიური და რელიგიური აზროვნების ფორმას თავისი არსით იგივე ფესვები აქვს.

მითიური აზროვნება რელიგიური კულტისთვის საჭირო აღმოჩენაა. დვთიური ძალების შედეგად საკუთარ ქმნილებასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი დეტალია. ასე ჩამოყალიბდა რელიგია. ადამიანი ცდილობდა ღმერთებისთვის თხოვნით, მოლოცვით, ბუნების მოვლენების რისხევა დაეწყინარებინა, მიედო მოწყალება, ყოველ საქმეში შემწეობა. შეძლებ ეს ლოცვები, ღმერთებისადმი პატივისცემა დამუშავდა და ერთ სისტემად ჩამოყალიბდა. ამ მოვლენას ლათინურად „ქოლერე“ ჰქვია. სწორედ ამ სიტყვიდან წარმოიშვა სიტყვა „კულტი“, ხოლო კულტიდან გამომდინარეობს ცნება „კულტურა“ ანუ კველა მატერიალური ოუ სულიერი მონაბოგარი, რომელიც ადამიანმა სამყაროს დამუშავებისას შექმნა.

კულტურული გარემო დვთაებრივ ძალებთან მოქმედებდა მხოლოდ შედეგის შესაბამისად, ამიტომ ის მკაცრად ტრადიციული წესის და რიტუალის მიხედვით დამუშავდა. რიტუალი არის მეორე, რომელსაც კულტურული საშუალებების გამოყენებისას უნდა დააკვირდე. აქედან ნათელია, თუ როგორ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან კავშირში მითოსი, რელიგია და კულტი. ეს არის მითოსური ცნობიერება. რაც მითის და კულტის ურთიერთდამოკიდებულებაზე ითქვა, შეიძლება მხოლოდ ზოგადი მონახაზი იყოს და არ განეკუთვნებოდეს კონკრეტულ ხალხს.

მითსა და კულტს საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებაში განსხვავებული წონა აქვთ. აქ ვაჩვენეთ რელიგიასთან მითიური აზროვნების, კულტისა და რიტუალის კავშირი, რომაული კულტურის ცნებასთან მიმართებაში. მაგრამ მითი მაინც ინარჩუნებს ბერძნულ მნიშვნელობას, თან რომაული მითოლოგია დიდი ხნის განმავლობაში იყო სადაცო. რომაული რელიგია არ ცნობს წმინდა გადმოცემებს, დვთაებრივ ქორწინებასა და დვთის შვილებს, არავითარ გმირთა სამყაროს, რომელიც დვთაებასა და კაცობრიობას შორის ხიდს ანგრევს. ერთი სიტყვით, მას მითოლოგია არ გააჩნია.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომელიც მოვიყვანეთ, საჭიროა რომაული ამბების ახალი კვლევა. რომაელები პოლიტიკაში, ეკონომიკასა და მეცნიერებაში პრაქტიკული გაგების ხალხი იყო, აქედან დომინირებდა მათ რელიგიაშიც კულტი. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომაული აზროვნება ღმერთებთან და კულტთან ბისეს-პატრიოტულ ურთიერთობას წააგავს, რომელიც მოკლედ ასე ითქმის „do at des“, რაც პირდაპირ თარგმნაში ნიშნავს „ხელი ხელს ბანს“.

რომაელებმა ღმერთების შესახებ ისტორია პერძნებისგან ისესხეს. მარსი იყო გლეხთა ღმერთი, მაგრამ იგი სათავგადასხვლო ბიოგრაფიით ენათესავება ბერძნული ომის ღმერთს „არქს“.

მითიური აზროვნების თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტური სამყარო სუბიექტური გახდა. ამით ადამიანისა დაკარგა თავისი სუბიექტურობა და შეიქმნა „ფატალურობის მომენტი“.

თითოეული ემოციური და ინტელექტუალური მოვლენა არ გაიაზრება, როგორც ადამიანის ღვთაებრივი განვითარება და შთაგონება, სადაც სურთ და ფიქრობენ ეველაფერი ღმერთის ნება.

მითიურმა „Tierbilder“-მა თავისი ასახვა პპოვა მსოფლიო ლიტერატურაშიც. თანამედროვე მეტაფორები მჭიდრო კავშირშია ცხოველებთან და ვითარდება ცხოველებზე ხალხური მოთხოვნების შესაბამისად. ძველად მოთხოვნებში ცხოველებს გადატანითი მნიშვნელობით ისხენიებდნენ. ხალხურ შემოქმედებაში მათი არსებობა, მართლაც, შეუდარებლად დიდ როლს თამაშობდა. ცხოველები პირველად ხალხურ შემოქმედებაში იღებენ მეტაფორულ მნიშვნელობას. ზუსტად აქ, კერძოდ კი, ხალხურ მონათხოვნებში იჩნეს თავს ცხოველების ანთრომორფოლოგიური მნიშვნელობა, სადაც ცხოველთა ბუნება მოკლებულია ცხოველურ საწყისს და ისინი ადამიანური იერსახით არსებობენ.

თანამედროვე ცხოველთა მეტაფორების მნიშვნელობა სათავეს იღებს მითოლოგიური მოთხოვნებიდან ცხოველთა სამყაროს შესახებ. სანამ ადამიანები სამყაროს ფილოსოფიურ-მეცნიერული ცნებებით ახსნიდნენ, სხვა ხერხებით ცდილობდნენ, სხვა ხერხებს მიმართავდნენ, რათა ბუნებისა და საზოგადოებაში მომხდარი მოვლენები გასაგები გაეხადათ.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, მითიურმა „Tierbilder“-მა თავისი ასახვა პპოვა მსოფლიო ლიტერატურაში, მას ასევე განსაკუთრებული აღგილი უჭირავს გერმანულ ლიტერატურაშიც. ამის ნათელი მაგალითია პაინქს შემოქმედება.

პაინქ თავის ნაწარმოებში თავს არიდებს პრუსიის სამეფოს პირდაპირ დასახელებას. მის ნაცვლად კი პრუსიის გერბზე გამოსახავს არწივს. არწივის დაუნდობელი ბუნებით პარალელია გავლებული პრუსიის სახელმწოფო მმართველობის სისახტიკეთან. პაინქ „ზამთრის ზღაპარში“ პრუსიის სიმბოლოს ბერძნული მითოლოგიის გმირ პრომეთეს უკავშირებს. ამით გამოხატავს თავის ზიზდს პრუსიის მხაგრელი პოლიტიკისადმი.

ბერძნული მითოსის თანახმად, ღმერთებმა პრომეთე ცეცხლის მოტაცების გამო დასაჯეს და კაგკასიონზე მიაჯაჭვეს. მას ყოველდღე დვიძლის არწივი უკორტნის. პაინქს მითოლოგიის სახტიკი არწივი გაიგივებული პყავს პრუსიის სიმბოლო არწივთან.

მთხოვობელი სიზმარში ისევე ვტანჯება, როგორც პრომეთე. ამით მთხოვობელი – პრომეთესთან, ხოლო პრუსია კი სასტიკ არწივთან არის გაიგიგებული. ტანჯული მთხოვობელის სახე შეიძლება დავუკავშიროთ პაინეს მოსაზრებას პოეტის ფუნქციის შესახებ.

„Bädern von Luca“ - ლუკას „ლუკას აბაზანები“ მოგვითხრობს პოეტის ტკივილზე „პოეტის გული სამყაროს ცენტრია და ის ყოველ წესს იფლითება“. პოეტის ტანჯვა მსოფლიო აზროვნების შედეგია. ეს იდეა პაინებ ჰქებელისგან ისესხა, რომლის თანახმად, თანამედროვე მსოფლიო ანტიკურისაგან განსხვავებით დაშლილია. პაინესათვის მსოფლიოს დაშლა პოეტის გათიშულობის ტოლფასია. ამ მხრივ პოეტის დაკავშირება პრომეთესთან მართებულია, რადგან მანაც გული კაცობრიობის სამსახურს შესწირა. მთხოვობელში პრუსიული და მითოლოგიური არწივი ზიზღისა და სისასტიკის შეგრძნებებს აღძრავს. არწივი, როგორც პრუსიის აბსოლუტიზმის სიმბოლო, „ზამთრის ზღაპრის“ შემდეგ ადგილებშიც გვხდება.

არწივის სიმბოლოს უძველესი ფესვები აქვს. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში დმერთ ოსირისის ძეს – ჰორს, არწივის თავით გამოსახატავდნენ. ცნობილია ასევე პორის თვალი, რომელიც მთელ ძველიერებას ხედავს.

ძველ საარსულ მითოლოგიაში სინათლის ღმერთ აქურამზადას გამოსახავდნენ არწივის ფრთიანი მზის დისკოს სახით. არწივის ელემენტები შეინიშნება ქართული ფასკუნჯის ანუ გრიფონის გამოსახულებაში თავის, ფეხებისა და ფრთების სახით. ძველი ბიზანტიის სიმბოლო იყო ორთავიანი არწივი, რაც ნიშნავდა სამყაროს ფლობას.

არწივი ასევე გვხდება საეკლესიო სიმბოლოებშიც, რაც ასევე ზეციურ ძალებს ნიშნავს. არწივის გამოსახულებებს ვნახავათ საქართველოშიც ტაძრების კედლებზე, ბარელიეფების სახით, მაგალითად, სვეტიცხოველში. თბილისში სამების საკათედრო ტაძრის ინტერიერშიც წაგარებულით ორთავიანი არწივის გამოსახულებას. სხვათაშორის არწივი გამოსახულია საქართველოს კატალიკოს-პატრიარქის ტახტზეც.

ასევე არწივის სიმბოლოს მრავალი ქვეყნის ჰერალდიკურ სიმბოლოებში შევხვდებით. თუ ყოველივეს გაგითვალისწინებთ, არწივი თითქმის ყოველთვის ძლიერების სიმბოლოა და ნიშნავდა „ყველაზე მაღლიდან მხედველ თვალს“.

ყველა მითოლოგიასა და თქმულებაში არწივი ორსახოვანი სიმბოლოა. ის ხან კეთილია, ხან ბოროტი, როგორც ეს პრომეთეს მითშიც ჩანს. არწივის სიმბოლოს ერთ მნიშვნელობამდე ვერ დავიყვანთ. არწივის სიმბოლომ მითოლოგიიდან თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში და სიმბოლოებში გადმოინაცვლა, როგორც ეს პაინეს მაგალითით ვნახეთ, თუმცა ლიტერატურაში

შეიძლება მოვქებნოთ პაინესეული არწივის საპირისპირო სახე-სიმბოლოებიც. მაგალითად, გაუაფშაველას „არწივი“, რომელიც თავისუფლებისა და ჩაგრის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოა.

არწივი ხშირად გვხდება ხალხურ თქმულებებში, ზღაპრებსა და მითოსებშიც. იყო ყოველთვის ზეციური ფრინველია და საკუთარ თავში ატარებს მეფეურ სიმბოლოებს. ის ფინიკიულებისთვის ლმერთის სიმბოლო იყო, ასევე იყო ამერიკელ ინდიელებშიც. მაგალითად, აცტეკების ტომის მზის ლმერთის ტონატიუს გამოსახულება არწივი იყო. საინტერესოა ასევე, რომ შუმერების აზრით სამყაროს შეა გულებში იდგა ხე იდგრასილი, რომლის ფეხებში ბუდობდა გველი, ხოლო ტოტებში—არწივი. მათ მუდმივი მტრობა ჰქონდათ ერთმანეთთან, რაც განასახიერებს ზეცისა და ქვესკნელის – ბოროტისა და კეთილის ბრძოლას, სადაც არწივი კეთილ საწყისს განასახიერებს. ის სამართლიანი მსაჯულიცაა. არწივის სამართლიანობა კარგად ჩანს გაუაფშაველას ზღაპრებში „ბულბულის იუბილე“, სადაც სამართლიანი მეფე არწივი თავისი ნიჭის გამო დაინდობს ბულბულს.

ასევე საინტერესოა ლეგენდა უფლისწულ ეტნას შესახებ, რომელმაც ფრთხედამსხვრეული არწივი მოარჩინა. არწივმა სანაცვლოდ უშვილობის ბალახის მოსაპოვებლად მე-9 (ვაზე აიყვანა, უფლისწულის გულმა სიმაღლე ვერ აიტანა და არწივს მიწაზე დაშეებას სთხოვა. უფლისწული თუმცა გამწილებული რჩება, მაგრამ არწივი გვევლინება კეთილ ფრინველად.

არწივი თავისი ძლიერი აგებულებისა და ბასრი ბრჭყალების გამო მეომარ ფრინველადაც გვევლინება. ის არაერთ ეპოქულ თუ აზიურ ზღაპრებში გმირებისა და ღმერთების სიმბოლოა. ღდესაც მრავალი წარჩინებული გვარის გერბზეც კი არის გამოსახული. მას გამოსახავდნენ საომარ ხმლებზე, ფარებზე, დროშებზე. ძალიან საინტერესოა, რომ ამერიკელი ინდიელი შამანები და მეომრები არწივის ბუმბულს სარიტუალოდ იყენებდნენ.

რაც შეეხება მაიმუნსა და დათვს, მაიმუნის სიმბოლო ძირითადად აღმოსავლეურ (ჩინური, ინდური) მითოსსა და თქმულებებში გხევდება, სადაც ის ბრძოლის სიმბოლოა და მისი სახით მებრძოლ მეფეებს გამოხატავენ. საინტერესოა, რომ მაიმუნის სიმბოლოს ენათესავება დათვის სიმბოლოც. თავდაპირველი მითიური ცხოველი მაიმუნის ნაცვლად სხვა ქვეწის მითებში სხვადასხვაა ცხოველი გვხდება. სამხრეთისთვის დამახასიათებელი იყო ვირი, ხოლო ჩრდილოეთისთვის დათვი. ინდურ მითოსში მაიმუნი და დათვი ხშირად უკავშირდებიან ერთმანეთს ბეწვის შეფერილობის, ფორმებში სიმეტრიის ცეკვისადმი მიღრეკილებისა და ხეზე ცოცვის გამო. ეს თვისებები ორივე ცხოველს ახასიათებს.

სიტყვა – ნიშნავს წითელს, ოქროს, ლამაზს, მზესა და მაიმუნს, ე. როგორც ჩანს, მაიმუნის წითელი შეფერილობა დაიგივებულია მზესთან, ამიტომ არის, რომ მაიმუნის ფერი ინდრას ვაჟის არგუნის სიმბოლოს წარმოადგენს.

ღმერთების გამოხატვა მათი მისტიური ფორმების მიხედვით ხშირად ნაწარმოებებში პერსონაჟიცირდება და ხშირად განსხვავებულია. მაგალითად, „ვიშნუ“ გამოხატება მზის, მთვარის, ქარის, ოქროს, მაიმუნის სახით, რომელიც ურჩხულებს ებრძვის.

საინტერესოა ამ მხრივ ჩინური მითოლოგია, სადაც მაიმუნი ღმერთის სახით წარმოდგება ხოლმე. აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების შექმნის დევენდას საფუძვლად ცხოველთა მოძრაობის იმიტაცია უდევს. ადამიანები აკირდებოდნენ ვეფხვის, გველის, დრაკონისა და, მათ შორის, მაიმუნის საბრძოლო მოძრაობებს. აქედანაც ჩანს, რომ მაიმუნი ბრძოლის სიმბოლოა, თუმცა გვხვდება ბოროტი მაიმუნებიც..

აღმოსავლურისაგან განსხვავებით ქართული თქმულებები მაიმუნს არ იცნობდნენ, მაგრამ ქართულ თქმულებებში ის სულაც არ არის მებრძოლი ღმერთის სიმბოლო., ის უფრო მატყუარა ცბიერი ცხოველია.

თუმცა ბუნებაში არ არსებობის გამო, ქართულ თქმულებებში მაიმუნი არ გვხვდება, სამაგიეროდ ის გვხვდება იგავებში. საგულისხმოა, რომ მოტივები მაიმუნის შესახებ აღმოსავლური მითოლოგიებიდან შემოვიდა.

ქართულ აზროვნებაში მაიმუნი მიმბაძველი ცხოველია და იმიტაციას უკეთებს ადამიანის მოძრაობებს: იკეთებს სათვალეს, იხურავს ქვდს, აბოლებს ჩიბუს, შეშას ჩეხს, იბანს, რაც ქმნის კომიკურ სიტუაციებს.

თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მაიმუნი მხოლოდ სასაცილო ცხოველი არ არის. მაგალითად, ეგვიპტურ მითოლოგიაში პავიანები დღემდე უგალობენ მზის ღმერთ რაეს და ეგებებიან ქვესკნელის კარიბჭესთან. ისინი არიან ამავე დროს კარიბჭის მცველებიც. მეტაფორები კი შემდეგნაირად წარმოიჩნდება:

**სუბიექტური მნიშვნელობა:** შინაგანი თვისებით მაიმუნი მიბაძვის სიმბოლო გახდა.

**ობიექტური მნიშვნელობა:** მაიმუნის მიმიგური შესაძლებლობა მისი გონებრივი შესაძლებლობის ტოლია.

Affe m – მიმბაძველი ადამიანი, რომელსაც აქვს მიღრეცილება ბაძვისკენ.

Aeffe m – ბაძვა

Nachafferei, Nachaffung – ბრმა მიბაძვა; მაიმუნივით გაცინვა.

affig – მაიმუნის მსგავსი; ამპარტავანი; ბრიყვი.

affen sich, affen – ბატვა, დაცინვა, ჩათვალო ბრიყვად, მაიმუნად; მაიმუნობა, გაჯავრება; ვინმეზე ხუმრობა; ვინმეს დაცინვა.

abäffen – თვალთვალი.

nachäffen – მაიმუნობა, (ზედმეტად). მიბაძო ვინმეს; გაცინვა.

Oberaffe – წოდებით უფროსი მშრომელი; ის აჩვენებს, თუ სხევბმა რა უნდა აკეთონ.

Affenwerk – ბრმა მიბაძვა

j-n zum Affen halten – ვინმე ჩათვალო მაიმუნად.

### სუბიექტური მნიშვნელობა: სიბრიყვე.

ობიექტური მნიშვნელობა: მაიმუნები თავისი განვითარებით პრიმატები არიან, რომლებიც ადამიანებთან ახლოს დგანან;

მაგრამ, მეორეს მხრივ, ადამიანთან შედარებით ის ძალზედ დაბალ საფეხურზე დგას.

Affe m – დებილი ბრიყვი – ითქვის ადამიანზე, რომელიც ბრიყვია, ამპარტავანი.

Affigkeit f – სიბრიყვე, ბრიყვული ქცევა.

Afferei f – ბოროტი ხუმრობა.

Aeffchen n – მოფერებით ბრიყვის წოდება ბავშვისთვის.

Klammeraffe m – სულელი, დებილი.

Grasaafe m – ბლარტი, დაუკაცებელი, ამპარტავანი ადამიანი, გამოუცდელი, მოურიდებელი, თავებდი, უხეში ახალგაზრდა კაცი.

Salataafe – სულელი (მოფერებით).

Affenmensch m – 1. პითეკანთოფი; 2.იავაზე და ჩინეთში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ნაშთები – მეოთხეული პერიოდის. 3. პირველყოფილი ადამიანი.

Affenvolk n – სულელობა.

(so) ein blöder Affe – ბრიყვი, ბოთე.

ein dämlicher Affe , ein eitler Affe – იდიოტი, დებილი, ბრიყვი ადამიანი, რომელსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს.

einen alten Affen , (etw) lehren – რაიმეს უსარგებლოდ კეთება.

jmdm zum Affen halten – ვინმეს გაბრიყვება, მოტყუება.

den Affen machen – მაიმუნობა, ბრიყვულად ქცევა, ვინმეს გასაცინებლად, გასართობად.

mit jmdm den Affen machen – ბოთაობა, ვინმეს გამასხარავება.

Ich bin doch nicht deine Affe – არ დავუშვებ, რომ მომატყუონ. მე შენ დაკრულზე არ ვიცევებ.

განხილული მითოლოგიური ცხოველთა სურათები ნათლად გვიჩვენებს, რომ ისინი ქმნიან საფუძველს თანამედროვე ცხოველთა მეტაფორის სწორად გამოყენებისათვის.

## Summary

E. Katsitadze

### Mythicel Animal Images and Modern Animal Metaphors

Many people often use metaphors in everyday speech without realizing what they do. With the help of metaphors they compare two different objects or ideas and illustrate the similarities existing between them. No other nonhuman source has served as the basis for more metaphors than animals. An animal metaphor is a word, phrase or sentence expressing a resemblance or similarity between someone or something and a particular animal or animal class. Lexical meaning of animal metaphors consists of objective and subjective semes. The reference transported from an animal to a human has its primary source in mythical animal images. Therefore, animal metaphors are associated with animal characters in mythological tales.

## Резюме

Э. Кацитадзе

### Животные образы в мифологии и современные зоометафоры

Многие употребляют метафоры в повседневном общении, часто даже не осознавая, что делают это. Поэтические и разговорные, простые и сложных метафоры сравнивают два непохожих объекта и устанавливают сходство между ними одним словом – метафорой, что другим путем имплицитно могло бы быть выражено несколькими словами или предложениями. Опорным словом самых распространенных метафор являются наименования животных – наиболее близких человеку существ. Семантика современных зоометафор находится в тесной взаимосвязи с мифологическими животными картинками, поскольку антропоморфическое их значение начинается с истории мифического животного мира. Именно этим их образом современные зоометафоры обязаны своим характеристиками.

## რუსუდან თაბუკაშვილი

**სოციოლინგვისტიკის დისციპლინათაშორისი  
მიმართებები**

სოციოლინგვისტიკა ის მეცნიერული დისციპლინაა, რომელსაც მრავალ სხვა დისციპლინასთან აქვს დისციპლინათაშორისი მიმართებები. სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან მრავალფეროვანი და სპეციფიკური მიმართებების გამო სოციოლინგვისტიკამ თანდათან გაზიარდა თავისი მასშტაბები, შეიჭრა მომიჯნავე დისციპლინების სივრცეში, შემოიყრთა ან გადაფარა ისინი, რის გამოც ლინგვისტიკამ პრაქტიკულად მთლიანად მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ემპირიული შესაძლებლობები.

გამომდინარე იქნან, რომ სოციოლინგვისტიკა თავის თავში უკვე გულისხმობს იმას, რომ იგი თვითონ არის ჰიბრიდული და არა ავტონომიური მეცნიერული დისციპლინა, საინტერესოა მსჯელობა სხვა დისციპლინებთან მის მიმართებებზე დაამ მიმართებათა ტიპებზე. ზოგიერთი დისციპლინა, რომელთანაც სოციოლინგვისტიკას დისციპლინათაშორისი მიმართებები აქვს, სტრუქტურულად ისევე ინტერდისციპლინარულია, როგორც თავად სოციოლინგვისტიკა. ესენია: ეთნოლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა, სტილისტიკა, ფონოლოგია და პარალინგვისტიკა, რომლებთანაც სოციოლინგვისტიკას ასევე დისციპლინათაშორისი მიმართება აქვს, ლინგვისტური დისციპლინებია. ეთნოლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა საზოგადოებრივ-ლინგვისტიკური დისციპლინებია, ისევე როგორც თავად სოციოლინგვისტიკა. აქედან გამომდინარე, ეთნოლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკის შემთხვევებში ლაპარაკია ორმაგ დისციპლინათაშორის მიმართებაზე : ერთი მხრივ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა - ეთნოგრაფია, ფსიქოლოგია და ლინგვისტიკას შორის, ხოლო მეორეს მხრივ - სოციოლინგვისტიკასა და ეთნო-,ფსიქოლინგვისტიკას შორის.

რაც შეეხება სოციოლინგვისტიკისა და ავტონომიურ ლინგვისტიკურ დისციპლინებს შორის მიმართებების საკითხს (სტილისტიკა, ფონოლოგია, პარალინგვისტიკა ), აქ ეწ. მარტივ დისციპლინათაშორის მიმართებებთან გვაქვს საქმე.

სოციოლინგვისტიკის პრიმატი სხვა ლინგვისტიკურ და საზოგადოებრივ-ლინგვისტიკურ დისციპლინებთან გამოიხატება ორი ძირითადი მომენტი:

1. სოციოლინგვისტიკას აქვს დისციპლინათაშორისი მიმართებები სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან.

2. სოციოლინგვისტიკური კატეგორიები კატეგორიები ურთიერთგანპირობებული კატეგორიებია, რომელებსაც როგორც სოციალური, ასევე ენობრივი თვისებები აქვთ. ამ კატეგორიათა ბილატერალიზმი აისწება იმით, რომ სოციოლინგვისტიკა იკვლევს ენობრივ მოვლენებსა და მათ ცვლილებებს სოციალურ კონტექსტში, ხოლო თავის მხრივ, სოციალური ფონის, სიტუაციისა თუ პირობების განხილვა ხორციელდება ენობრივი მოვლენების გათვალისწინებით ენაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე.

ამდენად, სოციოლინგვისტიკა ერთი მხრივ, ეფუძნება სოციალური სტრუქტურის ელემენტებს, რომელთა დახასიათებაც ხდება გარკვეული ენობრივი ნიშან-თვისებებით, და მეორე მხრივ, იგი მანიპულირებს ენობრივი სტრუქტურის ელემენტებით, რომელიც განსაზღვრული სოციალური კატეგორიების ჩარჩოებშია მოქცეული ან მის საზღვრებში განვითარდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ენა სოციალური მოვლენაა, სოციოლინგვისტიკა, როგორც პიბრიდულ-სიმბიოზური დისციპლინა, წარმოადგენს უმაღლესი რანგის მასშტაბურ, მოცულობით, მრავალწახნაგოვან, მონოლიტურ ენათმეცნიერულ დისციპლინას, რომელსაც აქვს დისციპლინათაშორისი მიმართებები როგორც პიბრიდულ (ფსიქოლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა), ასევე თვითმყოფ (სტილისტიკა, ფონოლოგია, პარალინგვისტიკა) დისციპლინებთან.

### სოციოლინგვისტიკა და ეთნოლინგვისტიკა

სოციოლინგვისტიკისა და ეთნოლინგვისტიკის, როგორც ორი საზოგადოებრივ-ლინგვისტიკური დისციპლინის ინტერესები კავშირშია ერთმანეთთან და ებბის, ჯააჭვება ერთმანეთს, თუმცადა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ სოციოლინგვისტიკის სივრცე და დიაპაზონი ბევრად უფრო მასშტაბურია.

ეთნოლინგვისტიკა, თავის მხრივ, ისევე, როგორც სოციოლინგვისტიკა, დისციპლინათაშორისი დარგია ლინგვისტიკასა და ეთნოლოგიას შორის. იგი იყელებს ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სამეტყველო ქმედებას, სხვადასხვა ხალხთა ენებსა და ურთიერთმიმართებას, მათ სოციალურ გარემოსა და კულტურას შორის, აღწერს ხალხთა ტრადიციებსა და წეს-წევეულებებს.

ეთნოლინგვისტიკა, რომელსაც ასევე მეტყველების ეთნოგრაფიასაც უწოდებენ, სწავლობს იმ სოციალურ გარემოს, იმ სიტუაციას, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია, ანუ იგი იკვლევს კავშირს ენასა და გარეუნიბრივ ფაქტორებს შორის, რაც

თავის მხრივ ქმნის კომუნიკაციის სოციალურ ბაზისს. ეს არის ყაელა იმ ფაქტორის ერთობლიობა, რომელიც რელევანტურია კომუნიკაციის ფუნქციის დასაღებად. ამას გარდა, ეთნოლინგვისტიკა იკვლევს ამა თუ იმ ენისა თუ დიალექტის გამოყენებას განსაზღვრულ სოციალურ-კულტურულ ჩარჩოებში, სამეტყველო აქტების ფორმებს, ინფორმაციის შერჩევის წესებს, კომუნიკაციის მონაწილეთა საუბრის თემას, საკომუნიკაციო არხება და სიტუაციას შორის ურთიერთობიმართებების პრობლემებს, იმ საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც კომუნიკატორი ახდენს ენობრივი რესურსების მობილიზაციას ამა თუ იმ ფუნქციის განხორციელებისათვის<sup>1</sup>.

სოციოლინგვისტიკისა და ეთნოლინგვისტიკის კვლევის საერთო საგანი - სამეტყველო ქმედება, კომუნიკაციის პროცესი, ენობრივი გამონათქვამი - ეთნოლინგვისტიკის ჭრილში გვერდს ვერ აუგლის სოციალურ ფაქტორს, რომლის გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია კომუნიკაციის პროცესის სრულყოფილი კვლევა. ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სამეტყველო ქმედება უნდა განიხილებოდეს სოციალურ ფონზე, სოციალურ გარემო პირობებთან მიმართებაში. ამდენად, ეთნოლინგვისტიკური კვლევა თავს ვერ არიდებს სოციოლინგვისტიკას და მის გარეშე კარგავს სრულყოფილებას.

### **სოციოლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა**

სოციოლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის ინტერესები ნაწილობრივ კვეთს ერთმანეთს. მათ ეთნოლინგვისტიკასთან ერთად კვლევის საერთო ობიექტი აქვთ - ესაა სამეტყველო ქმედება. ცხადია, არსებობს განსხვავებაც - სოციოლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა სამეტყველო ქმედებას სხვადასხვა კუთხით იკვლევს : სოციოლინგვისტიკა მიზნად ისახავს აღწეროს ის, თუ რომელ ენობრივ ერთეულს შეარჩევს ინდივიდი სოციალურად კორექტული გამონათქვამის ასაგებად. სხვაგარად რომ ვთქაოთ, სოციოლინგვისტიკა ადგენს სოციალურად რელევანტური ენობრივი ვარიანტების შერჩევის კრიტერიუმებს და განსაზღვრავს იმ სოციალურ ფაქტორებს, რომელთა გათვალისწინებითაც ხდება ინდივიდის მიერ ამა თუ იმ სამეტყველო სამეტყველო ქმედებისათვის განკუთვნილ ენობრივ ვარიანტებს შორის ერთეულის შერჩევა. შესაბამისად, სოციოლინგვისტიკური კვლევის საბოლოო შედეგი უნდა იყოს იმ სოციალური ნორმების დადგენა, რომელებიც განსაზღვრავს კომუნიკაციის მონაწილეთა სამეტყველო ქმედებას.

ფსიქოლინგვისტიკა სამეტყველო ქმედების კვლევისას ყურადღებას ანიჭებს ინდივიდის მიერ შეტყობინების ინტერესტაციასა და მის მის აღწერას, იგლევს იმას, თუ როგორ

იბადება აზრი, რა როლს თამაშობს ამ პროცესში ლინგვისტიკური ელემენტების შერჩევა და მათი ერთმანეთთან შეთავსება, თუ როგორ გვესმის აზრი და როგორ გამოვთქვამთ მას<sup>2</sup>. ფსიქოლინგვისტიკაში მახვილი კეთდება კომუნიკაციის მონაწილეთა უსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სამეტყველო აქციის მონაწილეთა ქცევას. უსიქოლინგვისტიკა იქვლევს სამეტყველო აქტის ფსიქოლოგიურ მოტივაციას და ამასთან ითვალისწინებს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენას მეტყველებაზე.

როგორც ჩანს, სოციოლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის კვლევის ობიექტის - სამეტყველო ქცევისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების აღწერა ორივე დისციპლინის წიაღში ხდება. სამეტყველო ქმედების განსაზღვრა და მისი კვლევა ცალმხრივად მხოლოდ სოციალური ან მხოლოდ ფსიქოლოგიური კუთხით არ იქნება ამომწურავი და სრულყოფილი. საკვლევი ობიექტის აღწერისას გათვალისწინებული უნდა იყოს კავშირი ამ ორ დისციპლინას შორის,, რადგან მათ კვლევის საერთო ობიექტი აქვთ, რომლის განსაზღვრაც სრულყოფილი სურათის შექმნის მიხნით ორი კუთხით უნდა მოხერხდეს.

### სოციოლინგვისტიკა და სტილისტიკა

სოციოლინგვისტიკისა და სტილისტიკის ინტერესები უფრო მჭიდროდ ეჯაჭვება ერთმანეთს, ვიდრე სოციოლინგვისტიკის და ეთნოლინგვისტიკისა ან სოციოლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკისა. ვფიქრობთ, რომ სოციოლინგვისტიკასა და სტილისტიკას შორის საზღვრების დელიმიტაცია ფაქტიურად შეუძლებელიცა. უფრო მეტიც, ეს ორივე დისციპლინა თითქმის ფარავს ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მათგანი - სოციოლინგვისტიკა - ჰიბრიდული დისციპლინაა, ხოლო მეორე - სტილისტიკა - წმინდა ლინგვისტური, თვითმყოფი დისციპლინაა.

სოციოლინგვისტიკისა და სტილისტიკისათვის საერთოა ის, რომ ორივე დისციპლინა ინტერესს იჩენს ერთი მხრივ, ენობრივი გარიანტებისადმი და მეორე მხრივ, იმ ექსტერნული ფაქტორებისადმი, რომლებიც განაპირობებენ მონაწილეთა მიერ გამონათქვამის სოციალურ-სიტუაციურად კორექტულ ჩამოყალიბებას და მის ვერბალურ გაფორმებას, ე. როგორც სოციოლინგვისტიკის, ასევე სტილისტიკის უურადღების ცენტრშია ერთი მხრივ, ენობრივი ერთეულები, რომლებიც სტილისტიკის გადასახედიდან სინონიმებს წარმოადგენენ, ხოლო მეორე მხრივ, სოციუმები, განსხვავებული სოციალური ჯგუფები, რომლებიც მანიპულირებენ ამ ენობრივი ერთეულებით განსაზღვრულ

სამეტყველო აქტში სოციალურად კორექტული გამონათქვამის ჩამოყალიბების მიზნით.

სოციოლინგვისტიკური და სტილისტიკური მომენტების გათვალისწინებით თვალშისაცემია სოციუმის სტატუსის მნიშვნელობა და მისი როლი განსაზღვრული სამეტყველო აქტის სოციალური უკრძალიზაციის პროცესში. სწორედ აქ იკვრება ის წრე, რომელშიც პრაქტიკულად თანაარსებობები, ერთმანეთს განაპირობებენ სტილისტიკა და სოციოლინგვისტიკა და სადაც საზღვრები ამ ორ დისციპლინას შორის ფაქტიურად წაშლილია.

სტილისტიკაში, როგორც თვითმყოფ ლინგვისტიკურ დისციპლინაში, ყურადღება გადატანილია ენობრივი ერთგულების ვარიაციებზე, რომლებიც ერთი ენის ჩარჩოებშია მანიფესტირებული. სოციოლინგვისტიკაში კი ენობრივ ერთეულთა შერჩევა და მათი სინონიმური ვარიანტების სელექციის შედეგად კონკრეტული ერთეულის გამოყენება კომუნიკაციის პროცესში კომუნიკატორის და კომუნიკანტის სოციალურ სტატუსზე და სამეტყველო აქტის სოციალურ სტიტუაციურ გარემოზეა დამოკიდებული. სტილისტიკაში კომუნიკაციის მონაწილეთა მიერ ენობრივი ერთეულების შერჩევა ემოციონალურ-სიტუაციური პარამეტრებით განისაზღვრება, ხოლო სოციოლინგვისტიკაში მას კომუნიკაციის სოციალურ-სიტუაციური პარამეტრები განსაზღვრავს. სოციოლინგვისტიკის ჭრილში ენობრივი ერთგულების შერჩევაზე გავლენას ახდენს ისეთი სოციალური პარამეტრები, როგორებიცაა - ურთიერთობა კომუნიკანტებს შორის, კომუნიკანტთა ინტენცია, კომუნიკაციის პროცესის სოციალური გარემო და ა.შ.

ამდენად, სოციოლინგვისტიკა და სტილისტიკა გულისხმობს და განაპირობებს ერთმანეთს. მათი ინტერესები იმდენადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ მათ შორის ურთიერთგანაპირობებულ შიდადისციპლინათაშორის მიმართებებზეც და გამოვიყენოთ ტერმინი ”სოციოსტილისტიკა”, რომლის ჩარჩოებშიც მოხდება სოციალურ-სტილისტიკურად მარკირებული ენობრივი ერთეულების განხილვა და კვლება. აქედან გამომდინარე, სოციოსტილისტიკაშ უნდა აღწეროს არა კონვენციონალური, არამედ ინდივიდუალური, უფრო ფართო გაგებით კი, - სოციალურ-ინდივიდუალური სტილი, ანუ კომუნიკაციის პროცესის მონაწილეთა მიერ სოციო-სტილისტიკური ერთეულების შერჩევისა და მათი გამოყენების კანონზომიერებები.

### სოციოლინგვისტიკა და ფონოლოგია

საზოგადოებაში სოციალური ძვრები თუ დინამიკური სოციალური ცვლილებები აისახება აგრეთვე ფონოლოგიაშიც. სოციალური პირობებით გამოწვეული ფონოლოგიური ცვლილებები

ვლინდება უპირველეს ყოვლისა კომუნიკაციის პროცესში. საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთი სტატუსი გავლენას ახდენს ბგერის ფონოლოგიურ სტრუქტურაზე და წარმოთქმული ბგერის არტიკულაციაზე. ხშირ შემთხვევაში კომუნიკატორისა და კომუნიკანტის მეტყველების ბგერითი რეალიზაცია დეტერმინირებულია სოციალური სიტუაციით. მეტყველების პროცესში ამა თუ იმ ბგერის რეალიზაცია ძირითადად ვარირებს სოციალურ სიტუაციასთან ერთად, რადგან სოციალური სიტუაციების რიცხვი უსასრულოა, მაგრამ გვერდს ვერ ავუგვით იმ ფაქტს, რომ განსაზღვრულ სოციალურ სიტუაციაში ან ამა თუ იმ კონკრეტულ პროცესში იღენტური თუ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს აქვთ ექსპლიციტურად გამოხატული განსხვავებული ბგერითი კორელატები. სოციოლინგვისტიკისათვის რელევანტურია კომუნიკაციის ფონოლოგიური სტრუქტურა, ინფორმაციის გადაცემის ბგერითი ექსპლიკაცია კომუნიკაციის მონაწილეთა სოციალური სტატუსის გათვალისწინებით.

კომუნიკაციის პროცესში ფონოლოგიური ვარიანტების შერჩევა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, კომუნიკატორისა და კომუნიკანტის სოციალურ სტატუსზე და, მეორე მხრივ, სოციალურ სიტუაციაზე; ბგერითი ვარიანტების შეცვლა შესაძლებელია სწრაფად, მყისიერად, ძალაუტანებლად, თუკი სამეტყველო აქტის ერთი პარტნიორი სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლით შეიცვლება.

არტიკულაცია მიზნებულია მნიშვნელოვან დისტინქტურ ნიშად, რომლის საფუძველზეც შეიძლება განისაზღვროს ფონოლოგიური განსხვავებები სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლით შორის.

ამდენად, სოციოლინგვისტიკისა და ფონოლოგიის ინტერესები კვლეულ და შესაბამისად გულისხმობებს ერთმანეთს.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ითვლება, რომ თვით საარტიკულაციო ბაზისი, რაც ამა თუ იმ ენაში ტრადიციით დამკიდრებული საწარმოთქმო წვევების ერთობლიობაა, სოციალური მოვლენაა და არა ანატომიური. იგი ადამიანს წვეულებრივ გარეგულ სოციალურ გარემოში უყალიბდება. სხვა ეროვნულ (რესპ.ენობრივ) გარემოში გაზრდილი ბავშვი მეტყველებს არა თავისი მშებლიური ენისათვის დამახასიათებელი საარტიკულაციო წვევებით, არამედ იმ ენობრივი გარემოს წვევებით, რომელშიც იგი იზრდება<sup>3</sup>.

### სოციოლინგვისტიკა და პარალინგვისტიკა

დისციპლინათა შორის მიმართებები აქვთ სოციოლინგვისტიკასა და პარალინგვისტიკასაც. პარალინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა, ე. სეპირის მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა და მან კალევის ობიექტად

კომუნიკაციის პროცესში სამეტყველო აქტის თანმხლები არავერბალური საშუალებები განსაზღვრა. ეს ის საშუალებებია, რომლებიც მონაწილეობენ ინფორმაციის გადაცემაში. გ. თრეიგერი თვლის, რომ კომუნიკაციის პროცესში პარალინგვისტიკა იკვლევს ბეგერათა ხარისხსა და ვოკალიზაციას. ბეგერათა ხარისხი გულისხმობს:

1. ტონალობის კონტროლს.
2. არტიკულაციის კონტროლს.
3. რიტმის კონტროლს.
4. ტემპს.

ვოკალიზაციაში კი მოიაზრება:

1. ხმის ტონალობა და მისი სიმაღლე.
2. გაჯანჯლებული, შეფერხებული მეტყველება და მარცვალთა ან ბეგერათა ჩაყლაპვის ფენომენი.
3. ჩასუნთქვა.
4. ამოსუნთქვა.
5. პაუზები<sup>4</sup>.

პარალინგვისტიკის ამ საშუალებებს, ცხადია, ენაში გარკვეული კონვენციური მნიშვნელობა აქვთ, თუმცადა თავისთავად არ ქმნიან დამოუკიდებელ ენობრივ სისტემას და კომუნიკაციის კონტექსტიდან ამოგლეჯილნი ეფექტურულები ხდებიან.

სოციოლინგვისტიკისა და პარალინგვისტიკის ინტერესთა ზღვარი იკვეთება იქ, სადაც თავს იჩენს შემდეგი პრობლემა: როგორია პარალინგვისტიკურ საშუალებებისა და სოციალური ფენების წარმომადგენერაციის შორის ურთიერთობისა; როგორია სხვადასხვა სოციუმების დამოკიდებულება პარალინგვისტიკურ მოვლენებთან სამეტყველო აქტში; რა სისშირით იყენებენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არავერბალურ საშუალებებს კომუნიკაციის პროცესში და როგორი მიმართებაა საზოგადოების ამა თუ იმ ფენის წარმომადგენერაციის შორის.

ბ. ბეგერნშტაინი მიიჩნევს, რომ თუკი გამოვიკვლევთ კომუნიკაციის პროცესში პაუზის ან ბეგერის ჩაყლაპვის ფენომენს, ან შეფერხებული მეტყველების მანერის პრობლემას სხვადასხვა სოციალურ ფენებში, დავინახავთ, თუ რაოდენ დიდია განსხვავება სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების შორის ამ პარალინგვისტიკური საშუალებების გამოყენებისას. იგი თვლის, რომ მუშათა ფენის წარმომადგენლები მეტყველებისას ნაკლებად იყენებენ პაუზებს, მაშინ, როცა პაუზას კომუნიკაციის პროცესში ხშირად მიმართავთ საშუალო ფენის წარმომადგენლები. მისი აზრით, მუშათა ფენის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით,

საშუალო ფენის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია სწრაფი არტიკულაცია და სიტყვაწყლიანობა<sup>5</sup>.

ცხადია, პარალინგვისტიკა სწორედ სოციოლინგვისტიკაში ხდება პრობლემათა იმ სპექტრს, რომელთა პლევა გვერდს ვერ აუკლის სოციოლინგვისტიკას, რადგან პარალინგვისტიკური საშუალებების განხილვა უნდა ხორციელდებოდეს სოციოლინგვისტიკის ფონზე და მისივე პარამეტრებისა და კატეგორიების გათვალისწინებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. D. Hymes. The Ethnography of speaking in T. Gladwin and W.C.Sturtevant, Washington, D.c. Anthropological society of Washington, 1962, p.15-53
2. Миллер Дж. А. Некоторые пролегомены к психолингвистике В. Кн: Психолингвистика за рубежом. Ред. Леонтьев А. А. М. 1972
3. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ. 1948
4. Trager G.L. (1958), Paralanguage A First Approximation. Studies in Linguistics 13 ,–1-12
5. Bernstein B. (1962), Linguistic Codes, Hesitation Phenomena and Intelligence. Language and Speech 5, 31-46

### S u m m a r y

**Rusudan Tabukashvili**

**Sociolinguistics and its interdisciplinary relations**

Sociolinguistics is the branch of linguistics closely linked to other branches, particularly to ethnolinguistics, psycholinguistics, stylistics, phonology and paralinguistics. It should be mentioned that sociolinguistics is not autonomic. Thus it invites special interest. The present article deals with the problem of identifying the mentioned links.

### P e z u m e

**Русудан Табукашвили**

**Междисциплинарные отношения социолингвистики**

Социолингвистика является той научной дисциплиной, которая имеет междисциплинарные соотношения с другими дисциплинами. Из них следует отметить следующие: этнолингвистика, психолингвистика, стилистика, фонология, паралингвистика.

Исходя из того, что социолингвистика в себе подразумевает то, что она гибридна, а не автономна, очень

интересно рассмотреть ее соотношение с другими дисциплинами.

Данный труд рассматривает эти соотношения и показывает главную роль социолингвистики.

**Բնօթ ջռցշա**

**Պյուրտա յենօծրովո աճնո՛շնցնի**

աճամուճո ըեռցրոծե պյուրյեօն և սամյարութո, ամոթոմ մու ըեռցրյեծո պյուրյեծ դուզ մենշնցնցոծա սյցե. մաւ

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნების სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ფერწერაში.

ფერების აღქმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია იმისა, თუ როგორ შეიცნობს ადამიანი ობიექტურ რეალობას. ფერები ეხმარება მას მისი გარემოცვის, საგნებისა და მოვლენების ათვისებაში.

ჩვენთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ის, თუ რა კრიტერიუმებით ყოფს ადამიანი ფერთა საჭიროს და რომელ ფერებით ადარებს ის დანახულს და აღქმულს.

ფერთა ენობრივი სპეცირის კვლევისას მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მივმართოთ სტრუქტურულ სემანტიკას, რომელიც გვთავაზობს მნიშვნელობის აღწერის რამოდენობების კერძოდ – კომპონენტურ ანალიზს და სემანტიკური ველების თეორიას.

კომპონენტური ანალიზით ლექსემის მნიშვნელობა იყოფა მინიმალურ ნაწილებად (სემებად). ამ სერხით შესაძლებელია ენის მთლიანი ლექსიკონის აღწერა (Schneider 1988:30).

სემანტიკური ველების თეორიის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობა აღიქმება არა იზოლირებულად, არამედ კონტრასტულად (სხვა მნიშვნელობებზე დაყრდნობით) (Schneider 1988:30). შესაძლებელია სიტყვას ცალკე მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ სხვა სიტყვებთან შეთანხმებით კი ვლებულობთ სიტყვის სრულ მნიშვნელობას. სემანტიკური ველის ყოველი სიტყვა ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულებაშია.

ფერთა სემანტიკური ველის აღწერისას ლ. ვაისგერბერი მიუთითებს, რომ ეს ველი უნდა შეიცავდეს ფერთა მთლიან სპეცირის. ფერთა აღმნიშვნელი ყოველი სიტყვის შინაარსობრივი განსაზღვრა ამ ველში დამოკიდებულია მის გვერდით მდგრმ სიტყვებზე, ანუ რომელ სხვა ფერთა აღმნიშვნელ სიტყვასთან აკავშირებს მას აღრესავი (Weisgerber 1963). ეს ნიშანები იმას, რომ ხშირად, მაგალითად წითელ ფერთან აიგივებენ ვარდისფერს ან ნარინჯისფერს.

ფერს ადამიანი მიიჩნევს აგრეთვე, როგორც კონკრეტული საგნების თვისებას. ასე მაგალითად: სემიოტიკურ პერსპექტივაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ წითელი ასოცირდება სისხლთან და ცეცხლთან. წითლად აღიქვამს ადამიანი სევე მზის ამოსვლას და ჩასვლას (morgenrot, abendrot). ამიტომ წითელთან ასოცირებული საგნების დახასიათებისას გამოიყენება სხვადასხვა კომპოზიტები: blutrot, feuerrot, tomatenrot, fuchsrot (<http://homepage.ruhr-univ-bochum.de/Udo.L.Figge/texte/farbe.htm>). აქედან გამომდინარე ჩვენთვის ნათელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები წითელ ფერს აღნიშნავენ, მაგრამ მათ სხვადასხვა დატვირთვა აქვთ და ისინი სხვადსხვა მნიშვნელობას ატარებენ.

ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების კვლევისას ვითვალისწინებო ბერლინ და ქეის პელევის შედგებს, რომლებმაც წარმოგვიდგინეს 11 საბაზისო ფერი, ესენია: თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ყვითელი, ცისფერი, ყავისფერი, მეწამული, ვარდისფერი, ნარინჯისფერი და ნაცრისფერი. ისინი ძირითად ფერებად არ მიიჩნევთ იმ ფერებს, რომლებიც არსებული ფერების მსგავსია, მაგალითად:

ოქროსფერი და

ვერცხლისფერი (<http://www.metaphorik.de/journal/projektvorstellung/htm>).

ეს მოსაზრება ჩვენთვისაც მისაღებია, რადგან თქროსფერი ხშირად ასოცირდება ყვითელთან, ხოლო ვერცხლისფერი – ნაცრისფერთან.

როგორც აღვნიშნეთ, ბერლინ და ქეის თანახმად, არსებობს 11 საბაზისო ფერი. მაგრამ შესაძლებელია ყველა ენა არ ფლობდეს ამ 11 ფერს. ამიტომ მათ ფერები დაყვეს შემდეგ საფეხურებად:

- I საფეხური – თეთრი და შავი.
- II საფეხური – წითელი.
- III საფეხური – მწვანე ან ყვითელი.
- IV საფეხური – აქ კხვდებით როგორც მწვანე, ასევე ყვითელ ფერს.
- V საფეხური – ცისფერი.
- VI საფეხური – ყავისფერი.

შემდეგ კი მოდის მეწამული, ვარდისფერი, ნარინჯისფერი და ნაცრისფერი  
(<http://homepage.ruhr-unibochum.de/Udo.L.Figge/texte/farbe.htm>).

მოკლე ისტორიული ექსკურსი ძირითადი ფერებიდან ერთ-ერთში – წითელში:

წითელი ფერი სისხლის, ცეცხლის, ბრაზის, ომის, რევოლუციის, ძალისა და სიმამაცის სიმბოლოა. გარდა ამისა წითელი სიცოცხლის ფერია.

ძველ რომში წითელი ღვთიური ფერის სიმბოლო იყო. ეს ფერი რომის იმპერატორთა ნიშანი იყო, უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლო. გამარჯვების შემდეგ რომაელი მეომრები მარსის საპატივცემულოდ სახეს წითლად იღებავდნენ.

წითელი ანარქიის ფერია. იტალიის ეროვნული ლიდერის ჯუზეპე გარიბეალდის მომხრეებს უწოდებდნენ "წითელპერანგიანებს", რადგან მთავრობის მიმართ დაუმორჩილებლობის ნიშნად ისინი ატარებდნენ წითელ პერანგებს.

წითელი გარდი – სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლოა. კალენდარში წითელი ფერით დღის აღნიშვნა წარმოიშვა იმ ჩვეულებიდან, რომ წითელი მელნით აღნიშვნავდნენ წმინდანების დღეებსა და სხვა საეკლესიო დღესასწაულებს. ამ ფერს იყენებდნენ საფრთხის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად: საგზაო ნიშნები).

წითელ ფერთან დაკავშირებული გამოთქმები სხვადსხვა ენაში დამკვიდრებულია პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. შესაძლებელია ეს მნიშვნელობები სხვადასხვა ენაში ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. მაგალითად: ზემოთ ნახსენები გამოთქმა - "წითელკერანგიანები" - გარკვეულ მნიშვნელობას ატარებს იტალიაში, მაგრამ სხვა კულტურის მატარებელი ხალხისათვის ეს გამოთქმა მნიშვნელობას კარგავს.

შევადაროთ ერთმანეთს წითელ ფერთან დაკავშირებული გამოთქმები, რომლებიც გერმანულსა და ქართულ ენაშია დამკვიდრებული. ვნახოთ ის მაგალითები, სადაც გამოთქმების მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა ორივე ენაში:

bei Rot (während die Ampel rotes Licht zeigt) über die Kreuzung fahren – წითელზე (როცა შუქნიშანი წითელს აჩვენებს) ქუჩის გადაკვეთა.

die Ampel zeigt Rot (rotes Licht) – შუქნიშანი აჩვენებს წითელს (წითელ შუქნს).

Rote steigt/scheissst jdm. ins Gesicht – ვიდაც სირცხვილისგან, უხერხელობისგან გაწითლდა.

die untergehende Sonne rotete den Himmel – ჩამავალი მზე ცას აწითლებდა.

ich erkenne ihn an seinem Rotkopf (ugs.) – მე მას თავისი წითელი თავით ვცნობ.

არსებობს გამოთქმები, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებენ ქართულსა და გერმანულ ენებში, მაგალითად:

dem Rotstift zum Opfer fallen – ეკონომიის მიზნით რაიმეს სიიდან ამოშლა, გადაშლა; დაზოგვის, მომჭირნეობის მიზნით რაიმეზე (რაც დაგეგმილი იყო) უარის თქმა.

wie Rothschild sein Hund – განცხრომაში, დიდ ფუფუნებაში, უზრუნველ პირობებში ცხოვრება.

die rote Laterne – (სპორტ.) ბოლო, აუტსაიდერის ადგილი სატურნირ ცხრილში.

jdm. den roten Hahn aufs Dach setzen – ვინმეს სახლს ცეცხლი წაუკიდო.

keinen roten Heller haben – არ გქონდეს არც ერთი გროში.

Rotfuchs (ugs.) – წითელმანიანი ადამიანი.

ამრიგად, ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები და გამოთქმები მრავლადაა როგორც ქართულ, ასევე გერმანულ ენაში. მათ გხელებით პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სტატიაში მოყვანილი მაგალითების საშუალებით ვხედავთ, რომ არსებობს გამოთქმები, რომლებსაც ორივე ენაში (ქართულსა და გერმანულ ენებში) ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ვხვდებით გამოთქმებსაც, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნელობას იძენენ ამ ენებში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Schneider 1988:30
2. Weisgerber 1963
3. <http://homepage.ruhr-uni-bochum.de/Udo.L.Figge/texte/farbe.htm>
4. <http://www.metaphorik.de/journal/projektvorstellung/htm>

**Summary****Nino Gogua****Language items denoting colors**

The article deals with the study of the colour spectrum. The subject of our interest is the criteria used by us to divide the spectrum of colours. While dealing with the problem of segmentation of the mentioned spectrum, structural semantics, including the component analysis and the theory of semantic field, should be used. The results of Berlin and Kay reserches have been presented in the work. The article comprises brief history concerning the study of the lexical unit “red”. Direct and figurative meanings of the expressions established in German and Georgian have been discussed.

**Резюме****Нино Гогуа****Цветовые языковые примечания**

В статье рассмотрены цветовые языковые примечания. Предмет наших интересов - критерии, которыми человек разделяет спектр цветовых гамм. Для этого употреблена структурная семантика, которая содержит компонентный анализ и теорию семантических долин. Здесь же рассмотрены результаты исследований Берлина и Кейса.

В статьях также дан исторический экскурс, связанный с красным цветом, и сравнены с друг с другом выражения, которые упомянуты в немецком и грузинском языках прямыми и переносными значениями.

### ბეჭა გომურაშვილი

**დარგობრივი ქნები და მათი დეფინიციის მცდელობა**

დღევანდვილი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროსათვის ნიშანდობლივია დარგობრივი კომუნიკაცია. თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურადაა შეხებაში დარგობრივ ქნასთან. ხშირად არც კი ვიცით, რომ ყოველდღიურ ყოფაში გამოყენებული მრავალი სიტყვა, დარგობრივი ენიდანაა შემოსული საყოველთაო ენაში. ასეთებია მაგ: კომპიუტერი, მედია, დივიდი და ა.შ. ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება. თუ ზოგიერთ სიტყვას დღეს ჯერ კიდევ სპეციალისტის ასენა-განმარტება სჭირდება, ხვალ იგი საზოგადოებისთვის, ყველა ადამიანისთვის გასაგები და ყველას კუთხინილება გახდება. ასეთ სიტყვათა რიგს მიეკუთვნება “გლობალიზაცია”, “E-Mail” და სხვ. დარგობრივ ენებს შორის საზღვარი გარდამავალი იყო და ახლაც ასე რჩება. ზოგჯერ ერთი დარგის ენა მეორეში გადადის. მაგ: ერ შტოლლენ მალაროელისათვის სანალო დერეფანს ნიშნავს, ხოლო ხაბაზისათვის კი სადღესასწაულო კექსს (Lutce Giotce, Ernest v.b. Hess).

დარგობრივი ენების სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს ტერმინი მრავლობით რიცხვში გვხვდება, რადგანაც იგი დარგობრივ და ამ დარგთან დაკავშირებულ მრავალფეროვნებას აღნიშნავს. აქ არ შეიძლება საუბარი იყოს ყველა დარგის სპეციალისტთა მიერ გამოყენებულ ერთიან დარგობრივ ენებზე. სხვადასხვა დარგობრივი სფეროს წარმომადგენლები ხშირად ერთმანეთს ვერ უგებენ, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება გამოიყოს მთელი რიგი იმ ნიშანთვისებებისა, რომლებიც ყველა დარგობრივი ენებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთებად მიჩნეულია:

1. დარგობრივი ლექსიკა და სიტყვათწარმოების სპეციალური საშუალებები.

2. სტილისა და წინადადების სტრუქტურის თავისებურებები.

3. სპეციფიკური ლექსიკა-ტერმინოლოგია, რაც მოიცავს როგორც აბრევიატურებს, ასევე ნეოლოგიზმებს (ივა მინდაქე, ნინო ლოლაძე, ერეკლე ჩიგოგიძე)

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დარგობრივი და პროფესიული ენები.

დარგობრივ ენებში გულისხმობენ რომელიმე დარგში გამოყენებულ სპეციფიკური ენობრივი საშუალებების ერთობლიობას. დარგობრივი ენების ტექსტები აზრის სიზუსტითა და ლოგიკურობით გამოიჩევა, რაც განპირობებულია დარგობრივი ლექსიკისა და გარკვეული გრამატიკული კონსტუქციების სიჭარბით. (ივა მინდაძე, ნინო ლოლაძე, ერეკლე ჩიგოგიძე)

რაც შეეხება პროფესიულ ენას, ჩემი მოსაზრებით, ეს ცნება უფრო ვიწრო მნიშვნელობის მატარებელია. “პროფესიული ენა” მოიცავს ცალკეულ სპეციალისტთა (გარკვეული პროფესიის მქონე პირთა) მიერ გამოყენებულ სიტყვათა მარაგს. ამიტომ ეს ცნება არ შეიძლება იყოს გაიგივებული დარგობრივ ენასთან, რომელიც რომელიმე ერთ კონკრეტულ დარგში გამოყენებულ ტერმინებს აერთიანებს. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია პროფესიული ენა დაგუქვემდებაროთ დარგობრ ენებს, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის მქონე სპეციალისტთა გარკვეულ ჯგუფს. თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ დარგი “ მედიცინა ” და მედიკოსები, რომელთა შორის ზოგი კარდიოლოგია, ზოგი ექსპერტი (გვამის ექსპერტისა), ზოგიც პედიატრი. პროფესიულ ენას შეიძლება მივაკუთვნოთ სტილისტის, მემანქანის ან ტელეფონისტის ენები.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს დარგობრივი და სამეცნიერო ენების შესახებ. ერთ-ერთი მოსაზრებით დარგობრივი ენები სამეცნიერო ენას მიეკუთვნებიან, ხოლო სხვა მოსაზრების თანახმად, სამეცნიერო ენა ცალკე ჯგუფი უნდა გამოიყოს, ვინაიდან მას მტკიცე ტერმინოლოგიური სისტემა ახასიათებს ბევრი დარგობრივი ენებისგან განსხვავებით (ამ მოსაზრებას იზიარებენ ივა მინდაძე, ნინო ლოლაძე, ერეკლე ჩიგოგიძე)

ვფიქრობ, რომ სამეცნიერო ენა შედარებით ზოგადი ცნებაა და აერთიანებს სხვადასხვა დარგობრივ ენებს. ვინაიდან ძალიან ბევრი დარგი სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინას წარმოადგენს და ამ დარგის სპეციალისტი კარგადაა გარკვეული იმ სამეცნიერო დისციპლინაშიც, რომელსაც მოცემული დარგი განეკუთვნიება. თუმცა პრაგმატული კუთხით სამეცნიერო და დარგობრივი ენები ერთმანეთისგან თითქმის არ განსხვავდება.

დარგობრივი ენები შესაძლებელია გამოყენების ადგილისა და მიწის შესაბამისად სხვადასხვა სიტუაციაში შეგვხვდეს.

1. საქმიანი მიმოწერაში გამოყენებული დარგობრივი ენები.

2. უმაღლეს სასწავლებლებში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, პროფესიული მეცანეულობის დროს გამოყენებული

დარგობრივი ენები, რომლებიც ასევე გვხვდება სემინარების, სიმპოზიუმების დროს.

3. პოპულარულ-განმარტებითი ენა, რომელიც გამოიყენება საკოლო მეცადინეობებსა და მედიაში. რაც შექება მედიას, განსაკუთრებით აღსანიშნავია დღეგზდელ მასმედიაში გამოყენებული ლექსიკა, რომელთა უმეტეს ნაწილს ისტი ტერმინები შეადგენს, რომლებიც აღრე მხოლოდ ქურნალისტისათვის და ამ სფეროსთან დაკავშირებული ადამიანისათვის იყო ცხადი, დღეს კი ისინი უკვე ჩვეულებრივი დილეტანტებისთვისაცაა გასაგები და დიდი პოპულარობით სარგებლობს “ საყოველთაო ენაში „მაგ: ჩვენი „ვებ-გვერდის „ მისამართია, ეს „ სიუჟეტი „ საკმაოდ საყურადღებოა. თუ მიგუბრუნდებით საქმიან მიმოწერაში გამოყენებულ დარგობრივ ენებს, აქ კომუნიკაცია შესაბამის საერთო პროფესიის მქონე პიროვნებებს შორის ხორციელდება. ასეთ დროს ტერმინები კარგადაა ცნობილი კომუნიკაციის მონაწილეთათვის და მათი განმარტება საჭირო არ არის.

ინტერნეტ-რესურსების საშუალებით მოპოვებული მასალა ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, რომ აღრეულ ხანაში დილეტანტების არ ესმოდათ დარგობრივი სფეროს ექსპერტების. დილეტანტები ექსპერტთა ენას აიგივებდნენ სიტყვასთან „ჩინური“, რომელშიც მოიაზრებოდა „ გაუგებარი სიტყვა“. ეს ის აქრიოდია, როდესაც შუა საუკუნეების ევროპაში ეველა წამყვან ევროპულ უნივერსიტეტში სამეცნიერო ლიტერატურა თუ სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები ლათინურ ენაზე გამოდიოდა. ლათინური ენა ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი სამეცნიერო დარგობრივი ენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნებისმიერი კომუნიკაცია მეცნიერებს შორის სწორედ ლათინურ ენაზე ხორციელდებოდა. მისი ტერმინოლოგია კი დღემდევ შემორჩენილი ისეთ დარგებში, როგორიცაა მაგ: მედიცინა და ბოტანიკა.

რაც უფრო იგრძნობა მეცნიერების პროგრესი, მით უფრო სწრაფად და წარმატებით ვითარდება დარგობრივი ენები და მათი ტერმინები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ინგლისურმა ენამ დიდი დატვირთვა შეიძინა და მან „დიპლომატთა ენის“ და „საერთაშორისო ენის“ სტატუსი მიიღო. ინგლისური ენის ზეგავლენა დღეს თითქმის ყველა დარგში იგრძნობა, სადაც სიტყვათა მარაგის დიდ ნაწილს ინგლისური სიტყვები შეადგენებ.

თუმცა ლუტც გიორგეს წიგნში „ გერმანული გრამატიკა „ გამოთქმულია მოსაზრება, რომ იურისტთა გერმანული ენა მთლიანად უარს ამბობს უცხო სიტყვებზე ვფიქრობ, ეს ფაქტი მიანიშნებს გერმანული ენის მისწრაფებაზე, შეინარჩუნოს თავისი

თვითმყოფადობა ასეთი “ გლობალიზაციის დროსაც ” კი. იურისტთა დარგობრივი ქნისგან განსხვავებით მეზღვაურთა დარგობრივ ენაში დიდი რაოდენობითაა უცხოური წარმოშობის სიტყვები, მათ შორის ინგლისურიც, რაც სხვადასხვა სუბიექტური გარემოებითაა განპირობებული. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად ითვლება ის, რომ გემის ეკიპაჟის შემადგენლობაში იყვნენ სახადსხვა ქვეყნის წარმომადგენლები. სავარაუდოა, რომ ასეთ ქვეყანათა რიცხვს მათ შორის ინგლისიც განეკუთვნება.

გვსურს ყურადრება კიდევ ერთ საკითხზე შევაჩეროთ. ხშირად დარგობრივ ენას განმარტავენ როგორც უარგონს, რომელიც დარგობრივ სფეროში გამოიყენება. უცხო სიტყვათა ლექსიკონში ნათქვამია, რომ უარგონი ფრანგული სიტყვაა, რომელიც შემდეგნაირად განმარტება – “თავისებური სიტყვები ან გამონათქვამები”, რომლებსაც იყენებენ რომელიმე კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფში, წრეში. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით გარკვეული პროფესიის წარმომადგენელთა მიერ გამოყენებულ ამ სიტყვებს შეიძლება ვუწოდოთ “პროფესიული უარგონი”. მაგ: სტილისტთა პროფესიული უარგონი. მაგრამ არსებობს მეორე უფრო ვიწრო სოციალური ჯგუფი, რომელშიც არ შედიან ამა თუ იმ კონკრეტული სპეციალობის მქონე პირები. ასეთებად შეიძლება დასახელდეს “პატიმართა უარგონი, ხაკერთა უარგონი, სკოლის მოსწავლეთა უარგონი”. ეს მოსაზრება წინააღმდეგობაშია ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ თვალსაზრისოთან. უფრო ზუსტად: ვინაიდან ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავთ პროფესიული და დარგობრივი ენები, შესაბამისად დარგობრივი ენები ვერ იქნება უარგონი. თუმცა ისინი ქმნიან გარკვეულ რიგს ტერმინებისა, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნეთ სპეციალისტების მიერ აქტიურად გამოიყენება. თუ მივუბრუნდებით დარგობრივ ენებს, მათ უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნებიან დარგობრივი ცნებები და დარგობრივი უცხო სიტყვები, რომელთაც სპეციალისტის გარდა არავინ იყენებს, ან შეიძლება დარგობრივ სიტყვებს სრულიად სხვა მიშვნელობა პქონდეთ.

რაც შეეხება დარგობრივ ენაში არსებულ უარგონს, მას სოციოლინგვისტიური კუთხით შემდეგი ფუნქცია გააჩნია. ის გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენს “იარაღს” საშუალებას ”განსაზღვრულ პიროვნებებსა და ჯგუფებს შორის კომუნიკაციის დროს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დარგობრივ ენაში არსებული უარგონი ძნელად გასაგები და ხანდახან გაუგებარი და ბუნდოვანია.

განმარტებისათვის უნდა ითქვას, რომ უარგონი ბუნდოვანი და გაუგებარი შეიძლება იყოს განსაზღვრული დარგის

სპეციალისტებს შორის, ვინაიდან იგი მხოლოდ პროფესიულ ჯგუფების წარმომადგენალთა შორის გამოყენებული სიტყვებია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ივა მინდაქე, ნინო ლოლაძე, ერეკლე ჩიგოგიძე: მთარგმნელთა და თარჯიმანთა სემინარი
2. ლუტც გოოტცე, ურნებებ ვ.ბ. პესე: გერმანული ენის გრამატიკა.
3. <http://www.wesselhoeft.net/Lexikon/A.htm>
4. <http://www.de.wikipedia.org/wiki/Seemannssprache>

**Summary****Bela Gomurashvili****“Branch Languages” and an attempt to define them**

The article deals with the problem of defining the term “Branch Languages”. It should be mentioned that branch languages differ from professional and scientific languages. The term “Jargon” is simplified and its relation with professional and scientific languages is determined. The article offers the new term “Professional Jargon”. The problem of “understanding” in the context of different specialization fields has been discussed in the work. This problem is mainly revealed in the process of communication. The article can be considered to be an attempt to make the specificity of branch, professional and scientific languages evident.

**Резюме****Бела Гомурашвили****Отраслевые языки и попытка их определения**

В статье предпринята попытка определения сути понятия “отраслевые языки”. Надо отметить, что отраслевые языки отличаются от профессионального и научного языков. При этом разъяснен термин “жаргон” и отмечена его связь с профессиональным и научным языками. Внесен новый термин “профессиональный жаргон” и дано его определение. В статье поставлен такой проблематичный вопрос, как “донесение смысла” до специалистов конкретной области и дилетантов. Проблемы подобного рода дают о себе знать при коммуникации. Именно поэтому в статье предпринята попытка максимально разъяснить специфику “отраслевого” “профессионального” и “научного языков”

### შორენა შენგელია

#### დარგობრივი და პროფესიული ენები – მსგავსება და განსხვავება

რა არის დარგობრივი ენა? ეს ცნება სხვადასხვაგვარად გაიგება. გერმანულ ენაში იგი ხშირად მრავლობით რიცხვში გვხვდება, რათა დარგობრივი და საგნობრივი მრავალფეროვნება აღნიშნოს.

“დარგობრივი ენა არის კონკრეტულ დარგში სპეციალისტებს შორის ოპტიმალური გაგებინების საშუალება. მისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური დარგობრივი ლექსიკა და გააჩნია საყოველთაო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენებისა და შერჩევის სპეციალური ნორმა. იგი არ არის დამოუკიდებელი ენობრივი მოვლენა, არამედ მას გამოიყენებენ დარგობრივ ტექსტებში და გარდა დარგობრივი ტერმინებისა შეიცავს საყოველთაო ენის ელემენტებს” (შმიდტი 1969, 17)

დროცდისა და ზაიბიკეს აზრით დარგობრივი ენა არის ენობრივი საშუალებების ერთობლიობა, რომელიც მიზნობრივად დაკავშირებულია ადამიანთა საქმიანობის კონკრეტულ სფეროსთან. მისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური სტილისტური სფერო და გამოირჩევა სხვა დანარჩენი სტილისტური სახეობებისაგან (Fluck, Hans Rüdiger, Fachdeutsch in Naturwissenschaft und Technik, Heidelberg: Gross 1984).

პოფმანი მიიჩნევს, რომ დარგობრივი ენა არის სპეციფიკური ენობრივი საშუალებების ერთობლიობა, რომელიც დარგობრივი კომუნიკაციის სფეროში გამოიყენება, რათა უზრუნველყოს კონკრეტულ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა შორის კომუნიკაცია (იქვე).

თოთოეული ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ დარგობრივი ენა არის სპეციალისტებს შორის გაგებინების საშუალება კონკრეტულ კომუნიკაციის სფეროში. მას არ გააჩნია საკუთარი ენობრივი სისტემა და იყენებს საყოველთაო ენის ელემენტებს. ამიტომ საკმაოდ მნელია დარგობრივი ენისა და საყოველთაო ენის ერთმანეთისაგან გამოიჯვნა. ერთი მხრივ, შეიმჩნევა დარგობრივი ლექსიკის ყოველდღიურ ენაში დამკავიდრების პროცესი, მეორე მხრივ, ვთარდება საპირისპირო პროცესი. დარგობრივი ენის მზარდი დიფერენციაციის გამო ღრმავდება უფსრექული ყოველდღიურ და დარგობრივ ენებს შორის.

დარგობრივ დიფერენციაში იგულისხმება ის, რომ დარგი ფართო ცნებაა. ერთი კონკრეტული დარგი შეიძლება დაიყოს ძირითად სფეროებად და პროფესიულ ნაწილებად. მაგალითად, ავიაციის დარგის ძირითადი სფეროებიდან შეიძლება გამოვყოთ სამხედრო და სამოქალაქო ავიაცია, ხოლო მის პროფესიულ ნაწილებად შეიძლება ვიგულისხმოთ ისეთი პროფესიები, როგორიცაა ავიატექნიკოსი (პირი, რომელიც თვითმფრინავს ამზადებს გასფრენად და ამოწმებს დაბრუნებისას) და მფრინავი (პილოტი). მათ შორის მფრინავებს საკუთარი ტერმინოლოგია გააჩნიათ, რომელიც მხოლოდ ამ პროფესიის ადამიანებისათვისაა გასაგები. აქედან გამომდინარე აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან დარგობრივი და პროფესიული ენები.

პროფესიული ენა მკეთრად განსხვავდება დარგობრივი ენისაგან. დარგობრივი ენა, როგორც უპევ ვიცით მოიცავს ტერმინების, გამონათქვამებისა და მყარი სიტყვათშეთანხმებების ერთობლიობას, რომელიც მთლიანად ერთი კონკრეტული დარგისთვისაა დამახასიათებელი და მასში არსებულ ყველა პროფესიულ ნაწილს აერთიანებს. მაგალითად, მუსიკის დარგში არსებული ტერმინოლოგია ყველა მუსიკოსისათვის ერთია, მიუხედავად პროფესიული განსხვავებებისა (იგულისხმება პიანისტი, დირიჟორი, თეორეტიკოსი). პროფესიული ენა წარმოადგენს მხოლოდ იმ ტერმინთა ერთობლიობას, რომელიც ერთ კონკრეტულ დარგში არსებული სხვადასხვა პროფესიული ნაწილებიდან მხოლოდ ერთისთვისაა დამახასიათებელი. ეს ნათლად ჩანს ზემოთ მოყვანილი ავიაციის დარგის მაგალითიდან. ასე, რომ პროფესიულ ენას უფრო ვიწრო გაგება აქვს ვიდრე დარგობრივ ენას.

მფრინავთა ენა სწორედ პროფესიულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი წარმოადგენს კომუნიკაციის საშუალებას მფრინავებს შორის. ფლუკის მიხედვით კი მფრინავთა ენა არის იმ ინგლისური ტერმინებისა და სპეციფიკური გამონათქვემების ერთობლიობა, რომელიც ფრენის დროს დისპექტრსა და მფრინავს შორის კომუნიკაციას ემსახურება. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მფრინავთა ენაში საერთაშორისო ტერმინოლოგიის არსებობა უზრუნველყოფს საპაერო მიმოსვლის უსაფრთხოებას. თუმცა გერმანულ ენაში დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად კონკრეტული ენის ლექსიკური ერთეულების გამოყენება საერთაშორისო გაგებინების საშუალებად მთლიანად უარყოფილია. გერმანელი ენათმეცნიერები უარს ამბობენ გამოიყენონ უცხოური წარმოშობის სიტყვები თუ ტერმინები და ცდილობები ყველა სფეროში დაამკიდრონ მათი მშობლიური ენის ელემენტები. გამონაკლისი არც მფრინავთა ენა აღმოჩნდა. ჩემს მიერ ინტერნეტ

წყაროებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად გერმანულ ენაში არსებობს მფრინავთა პროფესიული ენა. იგი განვითარების გზაზეა, რაშიც დიდი წვლილი თვითონ მფრინავებს შეაქვთ.

პროფესიული ენები ისევე როგორც დარგობრივი ენები გამოირჩევა აზრის გადმოცემის სიზუსტითა და ლოგიკურობით, რაც განპირობებულია შესაბამისი პროფესიული ლექსიკისა და გარეკვეული გრამატიკული კონსტრუქციების ცოდნით. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერმინებს. ისინი დარგობრივი და პროფესიული კომუნიკაციისას ძირითადი ინფორმაციის მატარებელი არიან. საყოველთაო სიტყვებისაგან (ლექსიკისაგან) განსხვავებით ტერმინები გამოირჩევა დარგობრივ-პროფესიული შინაარსით. ეს არის სიზუსტე, სიცხადე, (ინდეუტიგაეიტ), ცნებითობა (ეგრიფფლიცკეიტ), სტილისტური ნეიტრალობა და აზრის მოკლედ, ლაქონურად გამოხატვა.

ტერმინის სიზუსტეში იგულისხმება ტერმინის მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრება და მისი გამიჯვნა სხვა ტერმინებისაგან.

სიცხადე გულისხმობს იმას, რომ ტერმინი დაკავშირებულია კონკრეტულ დარგობრივ-პროფესიულ მოვლენასთან და გამოხატავს კონკრეტულ დარგობრივ ცნებას.

ცნებითობაში იგულისხმება ტერმინის გაგება ცნებათა სისტემაში, რომლის ფუნქციაა იყოს აზრობრივი ერთეულის ენობრივი ნიშანი.

სტილისტური ნეიტრალობა მიუთითებს დარგობრივი კომუნიკაციის რაციონალურობასა და ობიექტურობაზე, სადაც არ იგულისხმება ექსპრესიულობა და ესტეთიურობა.

ასევე დარგობრივ-პროფესიული ენის განსაკუთრებულობას წარმოადგენს აზრის მოკლედ, ლაქონურად გამოხატვა, რაც ხშირად მიიღწევა სიტყვათშეთანხმებების საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს გრძელი და რთული კონსტრუქციების გაერთიანებას ერთ ცნებაში.

ამრიგად, დარგობრივ და პროფესიულ ენებს გააჩნიათ საერთო თვისებები, მაგრამ ამავე დროს განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კომუნიკაციური სფეროთი და დამახასიათებული პროფესიული ლექსიკით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hans-Rudiger Fluck, *Fachsprachen*, 5. Auflage A Franke Verlag, Tübingen und Basel, 1996.

2. Hans-Rudiger Fluck, Fachdeutsch Naturwissenschaft und Technik, Julius Groos Verlag, Heidelberg, 1985.
3. Grammatik der deutschen Sprache, Sprachsystem und Sprachgebrauch, Knaurs.
4. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა დაქტივიკონი, გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 1973.

### Summary

Shorena Shengelia

#### Similarities and differences between specific and professional languages

Technical language presents the unity of terms, which serves the communication between the specialists in the concrete sphere. Professional language presents the unity of these terms, characteristic only of one professional field. Professional language has the same features: clarity of terms, and laconism in presenting ideas varying with different types of professional lexis.

### Резюме

Шорена Шенгелия

#### Отраслевые и профессиональные языки – Сходства и различия

Отраслевой язык представляет собой единство терминов, которое служит коммуникации специалистов в конкретной сфере. Профессиональный язык же является единством терминов, характерным только для одной из нескольких профессий одной конкретной отрасли. Они обладают общими свойствами: точностью терминов, ясностью, понятностью, лаконичностью передачи соображений и отличаются друг от друга характерной профессиональной лексикой.


**თამარ ბერიძე, ლიკა ბერიძე, გიორგი ცაავა  
საწარმოს საქმიანობის კომპლექსური ანალიზი**

ფინანსურ მენეჯერს პრაქტიკულ საქმიანობაში უხდება სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ძალზე ხშირად ფინანსური დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარეობს.

საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ამოცანები გამომდინარეობს ანალიზის მიზნებიდან. ანალიზის პროცესში, რომელიც წარიმართება ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის მაჩვენებელთა შესწავლა-შეფასებით, გამოვლინდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედება საწარმოთა სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ობიექტებია საწარმოს საქმიანობის უველა მხარე: პროდუქტის, სამუშაოების (მომსახურების), წარმოება და რეალიზაცია; დანახარჯები წარმოებასა და რეალიზაციაზე; მოგება, რენტაბელობა და საფინანსო მდგომარეობა; საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების დანერგვის; ენერგიის სარჯვის პროგრესული ნორმების; მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა და ა. შ.

საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას. მართვის სისტემა მოიცავს შემდეგ ურთიერთდამაკავშირებელ ფუნქციებს, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემით:



სქემა 1. მართვის სისტემა

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, როგორც სპეციალური ეკონომიკური დისციპლინა, ჩამოყალიბდა საწარმოს

პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე კერძოდ, პრაქტიკულმა საქმიანობამ განაპირობა მმართველობითი ინფორმაციების ანალიზური დამუსავენა, გეგმების შესრულების შეფასება, იმ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც ზემოქმედებენ სამეურნეო პროცესების მიმდინარეობასა და განაპირობებენ საბოლოო შედეგებს.

ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის მახასიათებლები:

- ა) საწარმოს სამმარტველო ინფორმაციების ანალიზის პროცესში:
  - საწარმოს ბიზნეს-გეგმების და მათთან დაკავშირებული ნორმატივების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დადგენა;
  - საწარმოო პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ობიექტური ოპერაციული შესრულება;
  - წარმოების დანახარჯების სტრუქტურის დადგენა და მათი ფუნქციონალური და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანალიზის ჩატარება;
  - მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების შეფასება;
  - საწარმოს შინაგანი ფარული რეზისურების გამოვლენა-გაზომვა და მათი გამოსაყენებლად ქმედითი ღონისძიებების დასახვა და პრაქტიკაში დანერგვა.
- ბ) საწარმოს ფინანსური ანგარიშების ანალიზის პროცესში:
  - ბალანსის მონაცემების საფუძველზე გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგრამარეობის დადგენა და მათი ცვალებადობის კოეფიციენტების განსაზღვრა;
  - დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დინამიკის გამოკვლევა;
  - მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და მათი გავლენის შეფასება;
  - საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შეფასება;
  - ფულადი სახსრების ნაკადების დადგენა და მათი დენადობის დაჩქარების გზების ძიება;
  - საწარმოს ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) გამოკვლევა და საწარმოს საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასება და სხვ.

ჩამოვთვალოთ კომპლექსური ანალიზის ცალკეული ელემენტები. კერძოდ:

- ა) ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ანალიზი მოიცავს:

1. ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ძირითადი მაჩვენებლების – ფონდუაუგებისა და ფონდტევადობის მაჩვენებლების განსაზღვრას, ამ მაჩვენებლებთა მატერიალური წარმოების სფეროში ეფექტურად გამოყენების დინამიკის შეფასებას;
  2. შრომის საშუალებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებას, რომელიც აისახება პროდუქციის დირექტულებაში ცვეთის (ამორტიზაციის) ხვედრითი წილის განსაზღვრაში.
- ბ) შრომის საგნების გამოყენების (მატერიალური უკუგების) ანალიზი:

შრომის საგნების გამოყენების საერთო მაჩვენებელი არის ვარგისი პროდუქციის გამოსვლიანობა (მაგ. მადნის ბოჭკოვან ბამბის, მადნეულიდან თუჯის და ა. შ.) და მასალების გამოყენების კოეფიციენტი.

- გ) შრომის ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) ანალიზი:

შრომის ანალიზი იყვალებს შრომის ნაყოფიერების დონეს (გამომუშავებული პროდუქციის მოცულობისა და დახარჯული სამუშაო დროის შეფარდებით), შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედ ექსტენსიურ და ინტენსიურ ფაქტორებს, მათ დინამიკასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესაძლებლობებს.

- ც) პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მაჩვენებელთა ანალიზი:

პროდუქციის წარმოებისა მოცულობისა და რეალიზაციის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანებია: წარმოების მოცულობის, სტრუქტურის, ხარისხის დინამიკისა და გეგმის მაჩვენებელთა შეფასება; წარმოებისა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებლებზე ძირითადი ფაქტორების გავლენის შეფასება; ბაზრის კონიუნქტურისადმი შესაბამისობის შესწავლა პერსპექტივაში და ა. შ.

წარმოების მოცულობის დინამიკის ანალიზისათვის გამოიყენება მთლიანი პროდუქციის ზრდისა და მატების ტემპის მაჩვენებელი.

ეკონომიკური ანალიზის მიზანია გამოავლინოს პროდუქციის ხარისხიანობაში ცვლილებების გავლენა, დაადგინოს პროდუქციის გამოშვების არარიტულობის მიზეზი, შეიმუშაოს გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსწორების ღონისძიებები.

ამრიგად, ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს, როგორც ძირითადი საწარმოო ფაქტორების ჯგუფის: შრომის საშუალებებისა და საგნების, შრომის განმსაზღვრელი ფაქტორების, ასევე არასაწარმოო (სოციალური და

საყოფაცხოვრებო პირობებით განპირობებული) ფაქტორების გავლენა, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ შრომის ნაყოფიერებაზე.

ე) თვითდირებულების ანალიზი:

თვითდირებულება არის დანახარჯთა ჯამი, რომელსაც მეწარმე წარმოების რესურსების (ფაქტორების) შესაძენად ხარჯავს. წარმოების კლასიკურ ფაქტორებად განიხილება მიწა (ბუნებრივი რესურსები), კაპიტალი და შრომა. თანამედროვე ლიტერატურაში გამოყოფენ განსაკუთრებულ ფაქტორს – მეწარმეობით უნარს. წარმოების ცალკეული ფაქტორების შეძენაზე მეწარმის მიერ გაწეული ხარჯები არაერთგვაროვან დამოკიდებულებაშია გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებასტან. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ეკონომიკური დანახარჯების ორ მირითად სახეს – მუდმივ და ცვალებად სარჯებს.

მუდმივი დანახარჯები (ინგლ. Fixed costs (FC)) ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე არ მოქმედებს წარმოების მოცულობის ცვლილებაზე. მათ მიეკუთვნება, მაგ., მიწის რეჩბა, დაზღვევის გადასახადი, იჯარის ქირა, სამორტიზაციო ანარიცხები, მართვის აპარატის პერსონალზე, შრომის ანაზრაურებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა. შ. გაწეული დანახარჯები.

ცვალებადი დანახარჯები (ინგლ. variable costs (VC)) ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე იცვლება გამოშვების მოცულობის ცვლილებებისაგან დამოკიდებულებით. მაგ., დანახარჯები შრომის საგნებზე, შრომის ანაზღაურებაზე, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებაზე და ა. შ.

მთლიანი დანახარჯები (ინგლ. Total costs (TC)) ეწოდება მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს:

$$TC = FC + VC \quad (1)$$

სადაც  $TC$  – მთლიანი (საერთო) ხარჯები,  $FC$  – მუდმივი დანახარჯები,  $VC$  – ცვალებადი დანახარჯებია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დანახარჯებს განიხილავენ ორ ჯგუფად: პირველი, წარმოების დანახარჯები ხანმოკლე პერიოდში და მეორე, წარმოების დანახარჯები ხანგრძლივ პერიოდში. ასეთი დაყოფა პირობითია და იგი დამოკიდებულია წარმოების სასიათსა და საწარმოო შესაძლებლობაზე.

ზღვრული, ანუ დამატებითი ხარჯები (ინგლ. Maximum costs (MC)) ეწოდება პროდუქციის დამატებითი (კიდევ ერთი) ერთეულის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს:

$$MC = \Delta TC \quad (2)$$

ზღვრული დანახარჯების კონცეფციას საწარმოს განვითარებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. მისი განსაზღვრით მეწარმე იღებს გადაწყვეტილებას კიდევ რამდენიმე დამატებითი ერთეულით წარმოების მოცულობის გაზრდის შესახებ, წარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ამ მიზნით დაიანგარიშება საშუალო მთლიანი (საერთო) ხარჯები, რომელიც მოიცავს საშუალო მუდმივ და საშუალო ცვალებად ხარჯებს:

- ა) საშუალო მუდმივი (ინგლ. Average fixed costs (AFC))  
დანახარჯები

გამოითვლება შემდგები ფორმულით:

$$AFC = FC/Q, \quad (3)$$

სადაც  $AFC$  - საშუალო მუდმივი დანახარჯები,  $FC$  - მუდმივი დანახარჯები,  $Q$  - პროდუქციის რაოდენობაა.

- ბ) საშუალო ცვალებადი (ინგლ. Average variable costs (AVC))  
დანახარჯები

გამოითვლება შემდგები ფორმულით:

$$AVC = VC/Q, \quad (4)$$

სადაც  $AVC$  - საშუალო ცვალებადი დანახარჯები,  $VC$  - მუდმივი დანახარჯები,  $Q$  - პროდუქციის რაოდენობაა.

- გ) საშუალო მთლიანი (ინგლ. Average total costs (ATC))  
დანახარჯები

გამოითვლება შემდგები ფორმულით:

$$ATC = TC/Q = (FC+VC)/Q = AFC + AVC \quad (5)$$

ამრიგად, პროდუქციის თვითდირებულების შესწავლასთან დაკავშირებით ეკონომიკური ანალიზის წინაშე დგას შემდგები მირითადი ამოცანები:

1. საწარმოების (ფირმების), დარგების, ეკონომიკური სექტორების, პროდუქციის თვითდირებულების დონის ანალიზი,  
თვითდირებულების შემცირების დონისძიებებზე კონტროლის დაწესება;
2. პროდუქციის თვითდირებულების სტრუქტურის შესწავლა;
3. პროდუქციის თვითდირებულებაზე მოქმედი წარმოების ფაქტორებისა და სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯების ანალიზი;
4. პროდუქციის თვითდირებულების დინამიკის ანალიზი.  
ბუღალტრული აღრიცხვა რეალიზებული სასაქონლო – მატერიალური

ფასეულობის თვითდირებულების აღრიცხვის ორ მეთოდს იყენებს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომელიც საქართველოში მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის საფუძველს წარმოადგენს, უკავშირდება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენის მეთოდებს და აღრიცხვაშიც შესაბამისი სახელწოდებით მოიხსენიება. კერძოდ:

- ხარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
- ხარჯების აღრიცხვა მათი ფუნქციური დანიშნულების, საკალებად აღმინდების მიხედვით.

ამრიგად, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებში ფართოდ არის

გაშუქებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზის მეცნიერული საფუძვლები, ანალიზის ჩატარების ძირითადი პრინციპები და თავისებურებანი. ჩვენ მოკლედ განვიხილეთ სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის მახასიათებლები.

ფინანსური ანგარიშგების კომპლექსური ანალიზის, ინფორმაციის ძირითად წეაროდ მმართველობითი აღრიცხვის, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ინფორმაცია გვევლინება. ბიზნესის ეფექტიანი მართვის მიღწევა შესაძლებელია მმართველობითი რაციონალიზმისა და საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებელთა მაღალორგანიზებული ანალიზურ-შემფასებელი სისტემის ფუნქციონირებით.

მართვის რთული ფუნქციების შესრულებისათვის ეკონომიკური ანალიზი მოწოდებულია შეიმუშაოს კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის, ოპტიმალური ვარიანტების შერჩევისათვის და პროგნოზირებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ცავა – ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2006
2. ზ. ლიაპარტია – სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
3. ედ. ცირამუა – სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1999.

**Summary**

**Tamar Beridze,  
Lika Beridze,  
Georgi Caava**

**The Complex Analysis of Entrepreneurship**

A financial manager has in practice to take some managerial decisions which often results from financial documentation and outcome of informational analyses.

The objectives of enterprise economic activities come out from the analytical aims. In the process of analyzing which, proceeds with studying and evaluating the data of the economic informational system.

The impact of objective and subjective factors is reflected on the ultimate results of the enterprise activities.

**Резюме**

**Тамара Беридзе,  
Лика Беридзе,  
Георгий Цаава**

**Комплексный анализ деятельности производства**

Финансовому менеджеру в практической деятельности приходится принимать различные управленческие решения, которые зачастую вытекают из анализа финансовой документации и информации.

Задачи анализа экономической деятельности производства вытекают из целей данного анализа. В самом процессе анализа который производится путем изучения и оценки показателей системой экономической информации, выявляется воздействие объективных и субъективных факторов на конечные результаты хозяйственных процессов и деятельности производств.

გიორგი ბალათურია, თეიმურაზ გორშეკოვი,  
ნონა ჭიჭიკოშვილი

მოქლევადიანი პროგნოზირება სახელმწიფო მართვის  
ამოცანებში  
(საქართველოს რეინიგზის სატვირთო გადაზიდვების  
მაგალითზე)

„გეგმა – არაფერია, დაგეგმვა – ყველაფერი“  
დუაიტ ერჩენაუერი

### შესაგალი

სახელმწიფო პოლიტიკური თუ ეკონომიკური მართვისთვის უმნიშვნელოვანების ელემენტია შესაძლო მოვლენათა პროგნოზირება. ამასთან, თუ გრძელვადიანი პროგნოზი ქვეწის სტრატეგიული განვითერების საფუძვლებს ქმნის და პრინციპულად ნაკლები რისკის ფასად არის შესაძლებელი (მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შეცვლილი ვითარების კვალობაზე ყოველთვის შესაძლებელია გრძლევადიანი პროგნოზის კორექტირება), მოკლევადიანი, ოპერატიული პროგნოზი, თითქოს და ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუმცა გაცილებით რთული და ფატალური შედეგების მომტანიც არის არასწორი პროგნოზირების შემთხვევაში. ამის მაგალითები მრავლად არის მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიაში. ოპერატიული, მოკლევადიანი პროგნოზის დიდი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ იგი გვაიძულებს სასწავლოდ და ოპერატიულად ვცვალოთ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები პროგნოზის შედეგების გათვალისწინებით მართვის სისტემის უკუკავშირის რგოლში. მოკლევადიანი პროგნოზის შედეგების მონიტორინგის ინტერპრეტაცია საშუალებას აძლევს მოცემული დარგის ხელმძღვანელობას სწრაფი რეაგირება მოახდიხოს შეცვლილ ვითარებაზე. ამავე დროს, ნათელი ხდება, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები ურთიერთგადაჯაჭვულია და პოლიტიკური ვითარების ცვლილებაზე მყისიერ რეაგირებას

შეუძლია ეკონომიკური მოვლენების სასურველ კალაპოტში წარმართვა და პირიქით, ეკონომიკური ვითარების ცელილება მოითხოვს პოლიტიკის სათანადო წარმართვისაც. ცხადია, რომ პროგნოზირებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუმცა, პროგნოზის გათვალისწინებით მიღებული შედეგების მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს სწორად წარმართოთ ქვეწის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკური დარგებისა თუ მსხვილი ბიზნეს-კომპანიების ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირებასა და მონიტორინგს. მათ შორისაა საქართველოს რეინიგზა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ საქართველოს ეკონომიკის ხერხემალს. ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ სატვირთო გადაზიდვების ოპერატორული პროგნოზირებისა და პროგნოზირების შედეგების მონიტორინგის ამოცანას. დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია ავტორთა აზრით საუკეთესო მასალას იძლევა ქვეწის ეკონომიკური განვითარების შესაფასებლად (ეკონომიკის „ტექნიკურის“ გასაზომად) სათანადო რეკომენდაციების გასაცემად და ეკონომიკური მართვის მიმართულებების მისანიშნებლად, რაც ასევე დამატებით იმპულს იძლევა სახელმწიფო პოლიტიკური მართვის მიმართულებების კორექტირებისათვის.

### სატვირთო გადაზიდვების მოკლევადიანი პროგნოზირების მეთოდოლოგია

სატვირთო გადაზიდვების მოკლევადიანი პროგნოზირება დამუშავებული მეთოდოლოგია შედგება შემდეგი სამი ეტაპისაგან.

*I ეტაპი – საპროგნოზო მონაცემების დადგენა.* დელფოსის მეთოდის გამოყენებით [1] და არსებული ინფორმაციის გაანალიზებით დგება სატვირთო გადაზიდვები წლიური საპროგნოზო მაჩვენებლები, რაც, ფაქტობრივად სატვირთო გადაზიდვების გეგმას წარმოადგენს. სატვირთო გადაზიდვების პროგნოზირების შედეგები მოიცავს გადაზიდვების 5 რეამის: ჯამური, სატრანზიტო, ადგილობრივი, საექსპორტო, საიმპორტო გადაზიდვები, როგორც მთლიანი მოცულობით, ასევე ძირითადი ტვირთების სახეობათა მიხედვით.

გეგმურ მაჩვენებლებთან სამუშაოთა დაგეგმვისათვის ძლიერ სასარგებლოა სატვირთო გადაზიდვების წლიური მნიშვნელობების მოსალოდნელი მაქსიმალური და მინიმალური ზღვრების პროგნოზირება, ანუ უნდა შევაღინოთ

პროგნოზირების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარი. გადაზიდვების გავმა, როგორც წესი, წარმოადგენს საშუალო სიდიდეს მაქსიმალურ (ოპტიმისტურ) და მინიმალურ (პესიმისტურ) პროგნოზირებულ მნიშვნელობებს შორის.

დელფოსის მეთოდის გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსალოდნელი გადაზიდვების არსებულ მონაცემებს, რკინიგზასა და ტკირთმფლობელებს შორის უკვე დადგებულ ხელშეკრულებებს, პროგნოზირებაში მონაწილე ექსპერტთა გამოცდილებასა და კვალიფიკაციას, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობას და ა.შ.

პროგნოზირების აღნიშნული მეთოდოლოგიით მიღებული გამოთვლების შედეგად სულ 2007 წლისთვის მოსალოდნელი იყო გადაზიდვების შემდეგი მაჩვენებლები – ოპტიმისტური – 24.1 მლნ. ტონა, პესიმისტური – 22.7 მლნ. ტონა, საშუალო – 23.0 მლნ. ტონა. ანალოგიურად იქნა შეფასებული გადაზიდვების მაჩვენებლები გადაზიდვის სხვადასხვა რეჟიმებისთვის – ტრანზიტი, ადგილობრივი, ექსპორტი, იმპორტი (იხ. ნახ. 1-5).

ანალოგიური მიღებობით განხორციელდა ტკირთზიდვის პროგნოზი 2008 წლისთვის (იხ. ნახ. 6-10). კერძოდ, ჯამური გადაზიდვებისთვის ნავარაუდებია შემდეგი მაჩვენებლები: ოპტიმისტური – 25.3 მლნ. ტონა, პესიმისტური – 22.7 მლნ. ტონა, საშუალო 24.0 მლნ. ტონა.

**II ეტაპი – გადაზიდვების მონიტორინგი და ოპერატიული პროცენზი.** გადაზიდვების მონიტორინგი ჩვეულებრივ შემოიფარგლება გადაზიდვების ყოველთვიური ფიქსირებით. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ იანვარში, თებერვალში, მარტში და ა.შ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გადაზიდვების შესახებ გავაკეთოთ ადრეული პროგნოზი გეგმის წლიური შედეგების მიღწევის, მოსალოდნელი გადაჭარების ან ჩამორჩენის შესახებ, რასაც სათანადო რეაგირება უნდა მოყვეს რკინიგზისა და, შესაძლოა, ქვეყნის ხელმძღვანელობისგანაც. ადრეული პროგნოზირებისათვის ჩენ ვიყენებთ წინა წლების მონაცემებს იმის შესახებ, თუ რამდენ პროცენტს შეადგენს იანვარში გადაზიდული ტკირთი წლიურ გადაზიდული ტკირთის მოცულობაში, ასევე თებერვალის, მარტის შედეგებისთვის და ა.შ. ამასთან, წინა წლების მონაცემები მათებატიკური სტატისტიკის თვალსაზრისით უნდა შეადგენდეს ერთგვაროვან ამონარჩევს [2].

2007 წლისთვის ოპერატიული პროგნოზირებისთვის ერთგვაროვანი ამონარჩევია 1998 – 2006 წ.წ. მონაცემები, ხოლო 2008 წლისთვის 1998 – 2007 წ.წ. მონაცემები. ამრიგად,

საპროგნოზო დიაპაზონის ბაზას მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ერთგვაროვანი ამონარჩევის მონაცემები, რადგანაც სტატისტიკური პიპორების შემოწმების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უფრო ადრეული წლების მნიშვნელობები არსებითად განსხვავდება მოცემული მდგრმარეობისაგან და ოდარ მიეკუთვნება ერთგვაროვან ამონარჩევს. ამ რიგიდან გამოიყოფა ორი ტიპის საპროგნოზო კოეფიციენტი – კუმულაციური და კორელაციური. 2007 წლის კუმულაციურ კოეფიციენტს (კუმ) გვაძლევს 1998 – 2005 წლის მონაცემები, ხოლო კორელაციურს (კორ) წინა, 2006 წლის მონაცემები. ფაქტობრივად, კუმულაციური და კორალაციური კოეფიციენტები ითვალისწინებს გადაზიდვის არსებული მდგრმარეობის „მეხსიერებას“ სხვადასხვა დროით ჭრილებში – 8-წლიანი და 1-წლიანი „მეხსიერებით“.

შესაბამისად, 2008 წლის კუმულაციური კოოფიციენტები (კუმ) მიიღება 1998 – 2006 წლის მონაცემებით, ხოლო კორელაციური (კორ) კი – წინა, 2007 წლის მონაცემებით. აღნიშნული კოეფიციენტების გამოთვლით ჯამური გადაზიდვებისთვის მივიღეთ შემდეგი შედეგები (იხ. ცხრილი 1 და ნახაზები 1-5):

ცხრილი 1. კუმულაციური და კორელაციური კოეფიციენტებით პროგნოზირებული მნიშვნელობები 2007 წ. ჯამური ტვირთზიდვისთვის თვეების მიხედვით (მლნ. ტონა)  
 პროგნოზი – გეგმა 23 მლნ. ტონა,  
 ოპტიმისტური – 24.1 მლნ. ტონა,  
 პესიმისტური – 22.7 მლნ. ტონა,

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
K <sub>კუმ</sub>	22.5	22.4	21.7	21.1	20.9	21.4	21.5	21.7	21.8	21.9	22.2	22.2
K <sub>კორ</sub>	25.7	25.4	25.3	24.4	23.5	23.1	22.8	22.8	22.9	22.8	22.2	22.2

როგორც ვხედავთ, ტვირთზიდვის კუმულაციური და კორელაციური კოეფიციენტებით პროგნოზირებული მნიშვნელობები თანდათან უახლოვდება ერთმანეთს და, ბოლოს, მივიღეთ პესიმისტურ პროგნოზზე ნაკლები მნიშვნელობა.

შემდეგი ეტაპია ამ მნიშვნელობების მიხედვით ტვირთზიდვის მდგრმარეობის დაღებენა (ეკონომიკური „ტემპერატურის“ დადგენა) მონიტორინგის პარალელურად.

**III ეტაპი – რეკომენდაციების შემუშავება.** პროგნოზის მონიტორინგის შედეგები მდიდარ მასალას წარმოადგენს

სათანადო რეკომენდაციების გასაცემად, კერძოდ, იანვარ – თებერვლის მონაცემები გვიჩვენებს, თითქოს გადაზიდვის ჯამური სურათი დადგებითი იქნება, გინაიდან კუმულაციური და კორელაციური კოეფიციენტებით პროგნოზირებული მნიშვნელობები ფარავს გადაზიდვების ჯამური მოცულობისთვის დადგენილ გეგმიურ მაჩვენებლებს (ანუ დელფოსის შეალებს – კუმ – 22.5, 22.4 მლნ. ტონა, კეორ – 25.7, 25.4, მლნ. ტონა). ამ პერიოდში შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ყველაფერი კარგად მიმდინარეობს. მაგრამ უკვე მარტიდან შეიმჩნევა, რომ მოსალოდნელია გადაზიდვების მოცულობის კლება (კუმ – 21.7 მლნ. ტონა, კეორ – 25.6 მლნ. ტონა). განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა მაისში, როდესაც კუმულაციურმა კოეფიციენტმა მოგვცა დელფოსის მეთოდის პესიმისტური სცენარზე გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა 20.9 მლნ. ტონა, უკვე 2007 წლის მაისში იყო ცნობილი, რომ გეგმიური დაგალება ვერ შესრულდებოდა და, მართლაც, საბოლოოდ მივიღეთ 22.2 მლნ. ტონა ტვირთი, ნაცვლად დაგეგმილი 23.0 მლნ. ტონისა (იხ. სურ. 1).

ანალოგიური სურათი გვაქვს სატრანზიტო გადაზიდვებში: თებერვალ – მარტში თითქოს მოსალოდნელი იყო გადაზიდვების ზრდა თუმცა კუმულაციური კოეფიციენტის მეტად დაბალი მონაცემები (13.3, 13.8 მლნ. ტონა) წარმოადგენდა საგანგაშო მდგომარეობის შეტყობინებას. მაის – ივნისში საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ, ისევე როგორც ჯამურში, ტრანზიტულ რეჟიმშიც გეგმიური მაჩვენებელი ვერ შესრულდებოდა და მართლაც გეგმიური საშუალო – 16.1 მლნ. ტონის ნაცვლად გადაიზიდა 14.4 მლნ. ტონა ანუ პესიმისტურზე ნაკლები მოცულობა (იხ. ნახ. 2).

ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ გადაზიდვების სხვა რეჟიმებზე. ადგილობრივი და საექსპორტო გადაზიდვები სტაბილურად სრულდებოდა (იხ. ნახ. 3, 4) და გადაზიდვის გეგმა არათუ შესრულდა, არამედ, ოპტიმისტურ ზღვარსაც მიუახლოვდა, საიმპორტო გადაზიდვებმა კი ოპტიმისტურ ზღვარსაც (იხ. ნახ. 5) გადააჭარბა. თუმცა, აქაც დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება, როგორც საექსპორტო, ასევე ადგილობრივ გადაზიდვებს. გარდა ამისა, შევნიშნოთ, რომ საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვებში უმნიშვნელოვანესია

სატრანზიტო გადაზიდვები (65%) და ადგილობრივი, საექსპორტო და საიმპორტო გადაზიდვების კარგი მდგომარეობა ვერ ცვლის საერთო მდგომარეობას.

**2008 წლის პროგნოზი**

დელფოსის მეთოდით მიღებულმა შედეგებმა მოგვცა შემდეგი გეგმიური მაჩვენებლები: სულ მოსალოდნელი მაქსიმალური გადაზიდვა შეადგენს – 25.3 მლნ. ტონას, მინიმალური – 22.7, ხოლო საშუალო – 24.0 მლნ. ტონას. ოპერატიული პროგნოზირების საფუძველზე ვხედავთ, რომ იანვარ - თებერვალში კუმულაციური კეფიციენტები უახლოვდება პესიმისტურ ზღვარს (იხ. ნახ. 6). რეკომენდაციების გაცემის თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე მარტში ხდება ცნობილი რომ ჯამური გადაზიდვების გეგმა ვერ შესრულდება. ასევე მოსალოდნელია სატრანზიტო და საექსპორტო რეჟიმებში გადაზიდვების მოცულობის კლება (იხ. ნახ. 7, 9). ოპტიმისტური მდგრადულებაა ადგილობრივ და საიმპორტო რეჟიმებში. (იხ ნახ. 8, 10) ადგილობრივი გადაზიდვების ზრდა სასიხარულოა, მაგრამ დამაფიქრებელია სატრანზიტო და საექსპორტო გადაზიდვების კლება და, საბოლოოდ, ჯამური გადაზიდვების კლება.

**დასკვნა**

სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების ოპერატიული პროგნოზირებისა და პროგნოზირების შედეგების მონიტორინგის განხილული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა წინასწარ დიდი სიზუსტით ვიწინასწარმეტყველოთ მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ასეთი პროგნოზის შედეგების გამოყენებით შესაძლებელია გეგმების კორექტირება და/ან ისეთი დონისძიებების დასახვა, რომელიც დაეხმარება დარგის ხელმძღვანელობას დასახული გეგმების შესრულებაში.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გ. ბადათურია - სტრატეგიული დაგებმვა. მეთოდოლოგიური საფუძვლები. თბილისი. 2007.
2. Aczel A. D. Complete business statistics, 1996.

3. H.Mintzberg, J.Lampel, J.Quinn, S.Ghoshal. The Strategic Process. 2003
4. A.A.Thompson, Jr., A.J.Stricklend III. Strategic Management. Concepts & Cases. IRWIN. 7<sup>th</sup> ed. 1993.
5. Эффективное государственное управление. Под ред. Марка Хольцера. Пер с английского под ред. С.А.Батчикова и С.Ю.Глазьева. Москва, 1998.
6. В.Хасси. Стратегия и планирование. 1998.

## Summary

**Giorgi Bagaturia,  
Teimuraz Gorshkov,  
Nona Chichikoshvili**

### **Short-term Forecasting in the Tasks of Public Administration (on an Example of Cargo Transportation of Georgian Railway)**

The methodology of forecasting of freight traffic of the Georgian railway and monitoring of results of forecasting developed by the authors is considered. The method gives the information on the finally results beforehand with the high accuracy. Generally, use of the forecasting results the estimation of economic development of the country (measurement of "temperature" of economy), delivery of relevant recommendations with the purpose of the help on directions of economic management is possible. The recommendations also gives an additional impulse for updating directions of the state political management. More particularly on the basis of early forecasting probably updating of plans and-or development of such actions which will assist to execute the planned goals.

## Резюме

**Георгий Багатурия,  
Теймураз Горшков,  
Нона Чичикошвили**

### **Краткосрочное прогнозирование в задачах государственного управления (на примере грузовых перевозок грузинской железной дороги)**

Рассмотрена разработанная авторами методология прогнозирования грузовых перевозок грузинской железной дороги и мониторинга результатов прогнозирования, которая заблаговременно с большой точностью дает информацию о конечных результатах. В общем случае, использованием результатов такого прогноза возможна оценка экономического развития страны (измерение «температуры» экономики), выдача соответствующих рекомендаций с целью подсказки на направления экономического управления, что также дает дополнительный импульс для корректировки направлений

государственного политического управления. Более конкретно на базе раннего прогнозирования возможно корректировка планов и/или разработка таких мероприятий, которые помогут выполнить намеченные планы.

**მირიან გვიშიანი. ნოდარ ბალაგაძე, მანანა  
მოწრაფიშვილი**

**საქართველოს რკინიგზის საუდელტეხილო უბნის  
გამზიდ და გატარუნარიანობის გაზრდის დონისძიებები**

საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთერთ ძირითად რგოლს რკინიგზა წარმოადგენს. ევროსაბჭოში ინტეგრირების პროცესების დაჩქარებისა და ეკონომიკის შესამჩნევი აღმავლობის ფონზე ყოველწლიურად იზრდება რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მოცულობა, რაც ადასტურებს მის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ტვირთნაკადების მნიშვნელოვანი ზრდა დღის წესრიგში აყენებს სარკინიგზო მაგისტრალის ტექნიკური სიმძლავრის შემდგომ განვითარებას. ეს კი შესაძლებელია იმ ბარიერულ უბნებზე ძირებული რეკონსტრუქციითა და ახალი შემოვლითი სარკინიგზო ხაზების მშენებლობით, სადაც ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორები მკვეთრად ზღუდავენ რკინიგზის გამზიდუნარიანობას.

დღევანდები მდგრადარებით საქართველოს რკინიგზის საერთო სიგრძის 62% გამოიყენება სატრანზიტო გადაზიდვებისთვის, რაც ტრასეებას სიგრძის 4%-ს წარმოადგენს. საქართველოს რკინიგზები პრაქტიკულად მთლიანად ელექტროფიცირებულია, მაგრამ სიჩქარეების თვალსაზრისით მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს და არ არის უზრუნველყოფილი მატარებელთა უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის პირობები.

საქართველოს რკინიგზის გამზიდუნარიანობის მალიმიტირებელი უბანია სურამის საუდელტეხილო უბნის ზესტაფონი-ხაშურის მონაკვეთი. რკინიგზის აღნიშნულ მონაკვეთზე დღეისთვის ორივე მიმართულებით შესაძლებელია წელიწადში 22–24 მდნ. ტონა ტვირთის გატარება. ეს ტვირთები ძირითადად გადის ბათუმისა და ფოთის პორტების გავლით. ბოლო წლებში მიმდინარეობს საქართველოს ნაგადებურების პოტენციალის ზრდა. უკვე მოქმედებს ბათუმისა და ფოთის საბორნე გადასასვლელები, ბათუმში აშენდა მძლავრი საკონტეინერო ტერმინალი. მიმდინარეობს საბორნე ტერმინალის ევროპულ ლიანდის სიგანგზე გადაიარაღება. ამოქმედდა ულევის ნავთობპროდუქტების

გადასატვირთო ახალი საზღვაო სატერმინალო კომპლექსი. ყოველივე ეს საგრძნობლად ზრდის პორტების გამტარუნარიანობას და სათანადოდ იზრდება რეინიგზაზე გასატარებელი ტვირთნაკადების მოცულობა. სავარაუდოდ 2015 წლიდან იგი წელიწადში მიაღწევს 50-60 მლნ. ტონას.

შესწავლის იქნა საქართველოს რეინიგზის საანგარიშო ტვირთდაბულობის ზრდის დინამიკა 2000÷2006 წლების პერიოდში, სატვირთო (წევილი) და არასატვირთო (კენტი) მიმართულებით, მალიმიტირებელი უბნის შესაძლო გამტარუნარიანობა ამჟამად მოძრავი 13 და 14 წევილი სამგზავრო მატარებლისთვის. შედეგების ანალიზის მიხედვით ტვირთდაბულობის ზრდის პროგნოზირებადი დინამიკით, შესაძლო გამტარუნარიანობა მთლიანად რეალიზებული იქნება 2009-2011 წლების შუალედში. ტვირთდაბულობის შემდგომი ზრდისას კი საქართველოს რეინიგზა მიიღებს ზარალს იმის შესაბამისად, თუ რამდენიმ აღემატება ტვირთნაკადის მოცულობა გამტარუნარიანობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსალოდნელი ტვირთების რეალური პროგნოზირება მანამ, სანამ თანამედროვე სიმძლავრის რეინიგზას არ შევქმნით, მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს. მისი რეალური ნიშნულის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქართველოში შეიქმნება მომუშავე ერთიანი სრულყოფილი სატრანსპორტო სისტემა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საქართველოს რეინიგზას.

ზესტაფონი-ხაშურის საუღელტეხილო მონაკვეთი საინჟინრო ნაგებობათა ნაირსახეობისა და სიმრავლის თვალსაზრისით ერთერთი როგორ და უნიკალურ რეინიგზას წარმოადგენს მსოფლიოს ფართოლიანდიან რეინიგზათა შორის, რაც განპირობებულია ამ რაიონის რთული გეომორფოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით.

აღნიშნული უბანი განლაგებულია საქართველოს სარკინიგზო ხაზის მთავარ მაგისტრალზე, დანიშნულების მიხედვით იგი პირველი კატეგორიისაა, რაც 1990 წლამდე მისი მუშაობის მაჩვენებლებით შეესაბამებოდა საჭირო პარამეტრებს (21-22 მლნ.ტ. ტვირთგამტარობა წელიწადში), მაგრამ დღეისათვის, უკვე საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებთან მისი პარამეტრების შედარება განსაკუთრებულად რთულ სურათს იძლევა. კერძოდ, პირველი კატეგორიის რეინიგზაზე შერეული მიმოსვლისათვის სახელმძღვანელო ქანობი არ უნდა იყოს 15 %-ზე მეტი, ხოლო მრუდის რადიუსი 800მ-ზე ნაკლები (განსაბუთრებით რთულ უბნებზე დასაშვებია 600 მ-დე შემცირება). საკვლევ ობიექტზე კი გრძივი პროფილის ქანობი არის

15-29,9%, გეგმა წარმოდგენილია  $R < 350$  მ მრუდებით (50%), მათ შორის  $R = 150 \div 200$  მ 21%,  $R = 201 \div 250$  მ – 14%, ხოლო  $R = 251 \div 300$  მ კი 8%. ისეთი ტექნიკური პარამეტრებიც, როგორებიცაა: ქანობებს შორის ალგებრული სხვაობის სიდიდეები, გადასასავლელი მრუდების სიგრძეები, გარე რელსის შემაღლებები, გამყოფი პუნქტების მოწყობა და სხვა, არ შეესაბამება I კატეგორიის რკინიგზებისათვის დადგენილ ნორმებს, რაც ოვალნაოლივ ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული უბნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მისი ტექნიკური პარამეტრები მოსაყვანია შესაბამისობაში. რკინიგზის ეს უბანი თავისი ტექნიკური აღჭურვილობითა და პარამეტრებით უფრო III–IV კატეგორიის რკინიგზას მიეკუთვნება.

განსაკუთრებით უნდა გაქვას ხაზი იმას, რომ მცირერადიუსიან მრუდებში მოძრავი შემაღლებლობის სავალი ნაწილებისა და ლიანდაგის დაძაბული ურთიერთქმედება აღნიშნება, რასაც მოჰყვება ისეთი არასახარბიელო მოვლენები როგორიცაა: გარე რელსის თავის გვერდითი ცვეთა, ხოლო შიგა რელსის თავის ვერტიკალური ცვეთა და თელვა. იქმნება პრობლემები რელსზე თვლის მდგრადობისა და ლიანდაგის განივი მდგრადობისათვის, მნიშვნელოვნად იზრდება რელსების დაზიანების ალბათობა. შექმნებებს შორის ვადები მჭიდროვდება, რაც აისახება რკინიგზის გამზიდუნარიანობაზე. ამას ემატება რეკონსტრუქციის სირთულეც, რომელთა ჩატარებაც გონივრული კაპიტალური დაბანდებებით პრაქტიკულად შეუძლებებია. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ თანამედროვე მოძრავი შემაღლებლობები მცირერადიუსიან მრუდებში ვერ ეწერება.

საქართველოს რკინიგზაზე გამზიდ და გამტარუნარიანობის ამაღლების საკითხზე აქტიურად მუშაობენ მეცნიერები და მათ ამ საკითხის გადაწყვეტისადმი ერთგვაროვანი მიღებობა გააჩნიათ, კერძოდ საჭიროა: გაიზარდოს სიჩქარეები; გაძლიერდეს კაპიტალური შეკვების პროგრამა; შემუშავდეს: მოძრავი შემადგენლობის განახლების ეტაპობრივი პროგრამა; სარკინიგზო გადაზიდვების თვითდირებულების შემცირების პროგრამა; თანამედროვე მძიმე ტიპის სალიანდაგო მანქანა-მექანიზმების დანერგვის პროგრამა; ლიანდაგისა და მოძრავი შემაღლებლობის შეფასების და მოვლა-შენახვის თანამედროვე მონიტორინგის პროგრამა; ნორმატიულ-ტექნიკური ბაზა და სხვა. საჭიროა ჩატარდეს ფოთი-სენაკის მიწის ვაკისისა და ბათუმის და ხაშურის სარკინიგზო კვანძის რეკონსტრუქცია, გაფართოვდეს რკინიგზის არსებული ქსელი. ამ უკანასკნელში კი ზესტაფონი-ხაშურის საუდელტეხილო უბნის – საქართველოს რკინიგზის უსუსტესი

რგოლის – გამზიდ და გამტარუნარიანობის ღონისძიებების გატარებაც მოიაზრება.

ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა საპროექტო მოსაზრებები, რომლებიც ორიენტირებულია საქართველოს რკინიგზის გამზიდ, გამტარ და კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, მთელი რიგი ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლებისა და მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. მოსაზრება წარმოდგენილია ორ ვარიანტად, იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის ინვესტიციის განხორციელება იქნება შესაძლებელი ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად:

1. საქართველოს რკინიგზის ზესტაფონი-ხაშურის საუდელტეხილო უბანზე მთლიან სიგრძეზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, ქანობის შერბილება და მრუდის რადიუსების 300-მ-მდე გაზრდა, რომლის შედეგადაც უბანი გაატარებს 27 წევილ სატვირთო მატარებელსა და 16 წევილი სამგზავრო მატარებელს, რაც ხაზის გამზიდუნარიანობას წელიწადში გაზრდის 18 მლნ. ტონიდან 32 მლნ ტონამდე, ჯამში 14 მლნ. ტონით წელიწადში, აღნიშნული ღონისძიება დაჯდება 260 მლნ. ლარი.
  2. საქართველოს რკინიგზის ზესტაფონი-ხაშურის საუდელტეხილო უბანზე ხაშური-ხარაგაულის მონაკვეთზე შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა, ხოლო ხარაგაული-ზესტაფონის და ხაშური-ქვიშხეთის უბნებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რომლის განხორციელებითაც შესაძლებელი გახდება გამზიდუნარიანობის მაქსიმალური გაზრდა ერთმაგი წევის გამოყენების პირობებში მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი გრძივი პროფილის ქანობებისა და მრუდების რადიუსების დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების გამოყენებით, რამაც უნდა უზრუნველყოს მატარებელთა უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობა მაღალი სიჩქარეებით (სატვირთო 70 კმ/სთ-მდე; სამგზავრო 120 კმ/სთ-მდე).
- პროექტის საერთო კაპიტალდაბანდების შემცირების ოფალსაზრისით ხაშური-ზესტაფონის უბანი გაყოფილია სამნაწილად: I უბანი – ხაშური-ქვიშხეთი-2-ის მონაკვეთის რეკონსტრუქცია და მეორე ლიანდაგის მშენებლობა; II უბანი – ქვიშხეთი-2-ხარაგაულის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა; III უბანი – ხარაგაული – ზესტაფონის არსებული რკინიგზის რეკონსტრუქცია. პროექტის განხორციელება სულ დაჯდება 850 მლნ. ლარი. ახალი ტრასის მშენებლობის უპირატესობებია:

- 1) არსებულ სარკინიგზო მონაკვეთთან შედარებით ტრასის სიგრძე მცირდება 4,5 კმ-ით;
  - 2) მოძრაობის სიჩქარების ზრდა, სვლის დროისა და ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება;
  - 3) გრძივი პროფილის შემცირებული ქანობი, რომელიც აქმაყოფილებს მსოფლიოში მიღებულ სტანდარტებს, გამოირიცხება ჯერადი წევის გამოყენება;
  - 4) წრიული მრუდების რადიუსების გაზრდილი მნიშვნელობები იმ პირობით, რომ სამგზავრო მატარებლების სიჩქარე არ შეიზღუდოს 120 კმ/სთ-ზე ნაკლებად. წრიული მრუდების რადიუსების გაზრდით მიიღწევა:
    - ლიანდაგის მოვლა-შენახვის ხარჯების შემცირება და სამუშაოთა წარმოების გაითლება;
    - ახალი ქართული რკინაბეტონის შპალების გამოყენების შესაძლებლობა, რაც წელიწადში 1 კმ-ზე 23000 ლარის ეკონომიას იძლევა, 64 კმ-ზე მისი გამოყენების შემთხვევაში კი საერთო დანაზოგი წელიწადში შეაღგენს 1 472 000 ლარს;
    - გარე რელსების ცვეთის ინტენსივობის შემცირება და შესაბამისად რელსების სამსახურის გადის გაზრდა;
    - ბალასტის დაჭუჭყანახების კოეფიციენტის შემცირება;
    - თანამედროვე მძიმე ტიპის მანქანა-მექანიზმების გამოყენების შეუზღუდავობა;
- 5) იზრდება მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტვირთების და მგზავრების საიმედო ტრანსპორტირების პირობა;
  - 6) საქართველოს მოქალაქეების დასაქმება და მათი სოციალური ფონის გაუმჯობესება.

წინამდებარე მოსაზრებებიდან ერთერთი ვარიანტის შერჩევისას ეკონომიკური უფასტიანობის მიხედვით გასათვალისწინებელია, რომ რკინისტრუქციის განხილული ვარიანტის შედეგად, რომელიც ა-ჯერ უფრო იაფი ჯდება, ვერ ხერხდება გრძივი პროფილის ქანობების არსებითი შემცირება და ჯერადი წევის გაუქმება, ხოლო მასზე ა-ჯერ უფრო ძირი შემოვლითი ახალი რკინიგზის ხაზის ვარიანტი დაპროექტებულია მსოფლიო სტანდარტით გათვალისწინებული ქანობებით და შესაბამისად ჯერადი წევის გაუქმების შესაძლებლობას იძლევა. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტორზე, რომ გრძივი პროფილის ქანობის შემცირება მნიშვნელოვნად ზრდის სამშენებლო დირექტულებას, მაგრამ აუმჯობესებს საექსპლუატაციო მახასიათებლებს, და რაც მთავარია რკინიგზის სიმძლავრის რეზერვს, რაც გაზრდილი ტვირთდაბულობის შესაბამისად

გადაიარაღებას რეალურად აღარ მოითხოვს. გარდა ამისა, გრძივი პროექტის ქანობზე დამოკიდებულია მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოება, რომლის ფულად მაჩვენებლებში გამოსახვა შეუძლებელია.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ე. მოისწრაფიშვილი. საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის აღდგენისა და შემდგომი განვითარების კონცეფციის შესახებ. თბილისის არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტის შრომები №2, თბილისი, 1996 წ. გვ. 109-114.
2. ე. მოისწრაფიშვილი, გ. ნოზაძე, კ. ნოზაძე, ნ. რურუა. საქართველოს რკინიგზის სურამის საუდელტეხილო უბანზე მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების დონისძიებები. თბილისის არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტის შრომები №2, თბილისი, 1996 წ. გვ. 114-120
3. ე. მოისწრაფიშვილი, მ. მოისწრაფიშვილი, ნ. რურუა, რ. შალამბერიძე. მცირერადიუსიან მრუდებში ლიანდის სიგანის დამოკიდებულება რელსების ცვეთის ინტენსიურობაზე. სტუ-ს შრომები №4(415), თბილისი, 1997წ. გვ. 41-49.

### **Summary**

**Mirian Gvishiani,  
Nodar Balavadze,  
Manana Moistsrapishvili.**

**Actions for increase of conductivity and hauling ability of terminal area of Georgian railway**

In the article there are examined actions for development of technical power of Georgian railway main line with the purpose of familiarization of increasing freight flow, what is possible on the limitative area – particularly on the area Khashuri-Zestafoni – where natural and technical factors sharply limit hauling ability of railway, with basic reconstruction and building of new bypass railway lines.

In the article there is presented the comparison of economical effectiveness and technical parameters, received by conducting of actions of railway reconstruction and new railway lines building.

### **Резюме**

**Мириан Гвишани,**

**Нодар Балавадзе,  
Манана Моисцрапишвили**

**Мероприятия по повышению проводимости и перевозочной способности перевалочного участка железной дороги Грузии**

В статье рассмотрены мероприятия по развитию технической мощности железнодорожной магистрали Грузии с целью освоения возрастающих грузопотоков, что возможно на лимитирующем участке – в частности на участке Хашури-Зестафони – где природные и технические факторы резко ограничивают перевозочную способность железной дороги, с основной реконструкцией и строительством новых обходных железнодорожных линий.

В статье представлено сравнение экономической эффективности и технических параметров, полученных проведением мероприятий по реконструкции железной дороги и строительства новых железнодорожных линий.

### სერგო ლომინაძე

#### PR-ის როლი კომერციულ ორგანიზაციებში და ფირმებში

თანამედროვე ეპოქაში PR-ი ბიზნესის ეფექტურობის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. ბიზნესში მრავალი სირთულეები გამოწვეულია საზოგადოებისათვის ფირმებზე, ბანკებზე სრული ინფორმაციის უქმარისობით. დღეს ევექტური ბიზნესი შეუძლებელია, თუ არ ვიცნობთ საზოგადოების ინტერესებს, მოლოდინს, ღირებულებებსა და განწყობებს. PR-ის ამოცანაა გაერკვიოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ღირებულებით ორიგნტაციებში, განსაზღვროს რა ხდება ბაზარზე და სხვა კომერციულ ორგანიზაციებში.

PR-ის სამსახურს შეუძლია ხელი შეუწყოს საქონლის ბაზრის გაფართოებას და მოგების მაქსიმალურ ზრდას. PR სამსახური აძლევს ფირმებს საშუალებას უზარმაზარი სახსრების დაგონზეისა, რაც ადრე იხარჯებოდა სხვადასხვა სახის დავის და კონფლიქტების მოწესრიგებაში. ცნობილია, რომ სასამართლო დავებმა, გაფიცვებმა შეიძლება სავალალოდ იმოქმედოს ფირმის მომავალზე. ყოველივე ეს ამტკიცებს ღ-საქმიანობის მნიშვნელობას კომერციულ ორგანიზაციებში, ფირმებსა და ბანკებში.

PR სამსახური ეხმარება ფირმებს, ბანკებს ფინანსურ და ადამიანთა რესურსების განაწილებაში, ხელს უწყობს პერსონალის ეფექტურ მუშაობას და კოორდინაციას. PR-სამსახური ამჟამებს ფირმის, ბანკის მოღვაწეობის გრძელვადაიან და მოკლევადიან პროგრამებს, ხელს უწყობს ხელმძღვანელობას და პერსონალს, რომ მათ მიიღონ კონკრეტული და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებები, მათ შორის კრიზისულ სიტუაციაში.

ბიზნესი შეიძლება გახდეს წარმატებული მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მიმართულია გრძელვადიან პერსპექტივებზე. ფირმის რეპუტაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეკონომიკურ და კულტურულ როლს ასრულებს ის საზოგადოებაში. პრინციპი „ფული ნებისმიერ ფასად“ დამდგანებლია. ფირმის მომავალი განისაზღვრება არა მხოლოდ არსებული კაპიტალით და ტექნოლოგიური პარამეტრებით, არამედ უპირველეს ყოვლისა,

საზოგადოების ნდობით, სოციალური პასუხისმგებლობით და ეთიკური ნორმების დაცვით (PR-სპეციალისტის ამოცანაა ფირმის ხელმძღვანელობისათვის ამ პრინციპების მუდმივი გახსენება). საზოგადოებას კეთილდღეობა ნებისმიერი ფირმის და კომერციული ორგანიზაციის ამოცანა.

ფირმის სტილი მუდამ უნდა იყოს თანამედროვე, განსხვავებული, ორიგინალური და შეესაბამებოდეს მის რეალურ ხარეს. PR-სამსახურმა უნდა შეუწეოს ხელი ფირმას იმაში, რომ იმან შეინარჩუნოს მომსახურების საუკეთესო სტანდარტები. მომხმარებლის მოთხოვნები ყოველთვის პირველ ადგილზე უნდა იდგეს. ფირმა სწრაფად და ოპერატიულად უნდა რეაგირებდეს საზოგადოების მოთხოვნების ცვლილებებზე.

კომერციული ფირმის, ბანკის ეფექტური იმიჯისა და რეპუტაციის შექმნა ფაბლიქ რილეიშენზის არსებითი ნაწილია. ნებისმიერი კომპანიის ღირებულების დადგენაში სულ უფრო არსებითი როლი ენიჭება მისი საზოგადოებრივი რესურსების დონეს. მაგალითად, რეპუტაციის წონის წილი დასავლური კომპანიების საერთო რეალობაში აიწია თვრამეტიდან ოთხმოცდაორ პროცენტამდე. ასე რომ, თუ კომპანიის ღირებულება შეადგენს 40 მილიონს, 32,8 მილიონი დოლარი დირს მისი რეპუტაცია. რეპუტაციის გაზრდა ერთი პროცენტით ფირმის აქციების საბაზო ღირებულებას სამი პროცენტით ზრდის (იხ. 3).

ამასთანავე საჭიროა ზუსტად განისაზღვროს იმიჯისა და რეპუტაციის ცნებების განსხვავება. იმიჯია ის, თუ როგორ წარმოადგენს და როგორ აცნობიერებს კომპანია თავის თავს, რეპუტაცია კი იცავს, თუ როგორც ხედავენ მას კლიენტები.

პოზიტიური იმიჯი ფირმას აძლევს საშუალებას:

1. გაიმაგროს პოზიცია კონკურენტთა პოზიციასთან მიმართებაში;

2. გააძლიეროს მომხმარებლის ნდობა, გაზარდოს საქონლისა და პროდუქციის მიმზიდველობა;

3. ჩამოაყალიბოს საზოგადოებრიოების დადებითი აზრი;

4. უკარნახოს ფასები და არ ეშინოდეს პროდუქციაზე მოთხოვნის დაცემისა.

პოზიტიური იმიჯი აგრეთვე ასრულებს თავისებური კრიტერიუმის როლს და გამოიყენება გარკვეული სოციალური ჯგუფის კუთვნილების სიმბოლოდ. კომპანიის დადებითი იმიჯი განისაზღვრება პარტნიორებთან დამოკიდებულებაში საიმედოობითა და პატიოსნებით, მომსახურების მაღალი კულტურით, სოციალურ და ეკოლოგიურ პროექტებსა და მოძრაობებში მონაწილეობით, კულტურული, სამედიცინო, სპორტული პროგრამების სპონსორობით.

ნებისმიერი კომპანიის იმიჯის ფორმირების აუცილებელ ალერგენტებს წარმოადგენს:

1. ინდივიდუალური განსხვავებები — მისია, მიზნები, ტრადიციები, სტილი;

2. ყოფაქცევა — მოქმედების პოლიტიკა ბაზარზე, მიზნების მიღწევის მეთოდები და ხერხები;

3. ფინანსური შესაძლებლობა და გადახრის უნარი. ფინანსური ანგარიშების სწრაფი და დროული განხორციელება და ნდობა ბანკების მხრიდან;

4. კომპანიის როგორც სამუშაოს მიმცემის მიმზიდველობა;

5. პროდუქციის ხარისხი და ინოვაციური სიძლიერე. ტექნიკური აღჭურვილობა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი;

6. მენეჯმენტის, მარკეტინგისა და რეკლამის თავისებურება;

7. ოპერატორი რეაგირება კლიენტებისა და პერსონალის ნებისმიერ სურვილზე;

8. ოფისების სათავსოთა დიზაინი, პერსონალის უნიფორმა და ქცევის მანერა;

9. ყველა მოქმედი სამსახურის პროფესიონალიზმი.

კომპანიის იმიჯზე ზეგავლენას ახდენს შერჩეული ემბლემა. წარმატებულად შერჩეული ემბლემა ფირმას შეველის მისდამი დადგითი დამოკიდებულების შექმნაში. ემბლემასა და სიმბოლოს უნდა ახასიათებდეს გადატანითი მნიშვნელობა და პერსპექტივა, ის უნდა ეყრდნობოდეს კულტურის მნიშვნელოვან ასპექტებს, ღირებულებით ორიენტაციებსა და სოციალურ მოთხოვნილებებს. მაგალითად, ცხოველების გამოსახულება ითვლება სიმბოლოს ყველაზე ეფექტურ საშუალებად, რადგან მათ ხშირად მიაწერენ ადამიანურ თვისებებს. მაგალითად, ფუტკარი შრომისმოყვარეობის, შეკუპოვრობის, შემოქმედების და ჯანმრთელობის სიმბოლოდ მიიჩნევა. ლომი ახასიათებს უპირატესობას, ძალას, ენერგიულობას, გამარჯვებას.

ფირმაშ შეიძლება გამოიყენოს ეროვნული სიმბოლოები, ზღაპრების, მითების საყვარელი გმირები და პერსონაჟები. მთავარია ის, რომ სიმბოლო, ემბლემა უნდა შეესატყვისებოდეს ფირმის მიერ შერჩეულ სტრატეგიულ მიზნებსა და პოლიტიკას.

კომპანიის იმიჯზე გავლენას ახდენს ფირმის სახელწოდება. ის უნდა იყოს მარტივი, უერადი, ხატოვანი და კავშირი ჰქონდეს კომპანიის ძირითად საქმიანობასთან. მან უნდა გამოიწვიოს დადგითი ემოციები და ასოციაციები. მაგალითად, დასახელება „ყაზბეგი“ სიმაღლის, სისუფთავის და ასევე გამაგრილებელი სასმელით შეურვილის მოკვლის სიმბოლოა.

ხშირად საზოგადოების მიერ ფირმის აღქმა დამოკიდებულია:

1. საქონლის იმიჯზე, მომსახურებაზე, მის ხარისხზე;
2. მართვის ფორმაზე, რამდენადა ის პროფესიული, ეფექტური, ვერტიკალური, პროიზონტიალური და ა.შ.;
3. საზოგადოებრივი იმიჯი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის ფირმა ჩართული სოციალურ, ეკოლოგიურ პროექტებში;
4. როგორია კომპანია დასაქმების კუთხით – რამდენად დროულად და კარგად უხდის ხელფასს თანამშრომლებს, ზრუნავს თუ არა თანამშრომლის სოციალურ და კულტურულ პირობებზე.

მთავარი ფასეულობა არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამიტომ PR-სპეციალისტმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ წარმოებულ საქონელში მუდამ იყოს მითითებული მისი შესაძლო უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, ფეხმძიმე ქალებისათვის, ინგალიდებისათვის. ამ პრობლემებისადმი ყურადღება ამაღლებს ფირმის ავტორიტეტსა და რეპუტაციას. ფირმის მხრიდან ბავშვების მომავალზე ზრუნვა მუდამ პოზიტიურად აღიქმება საზოგადოების მიერ.

PR-სპეციალისტი უნდა უწყობდეს ხელს სპონსორულ დონისძიებებს. სპონსორობა ისახავს გრძელვადიან ინტერესებსა და მიზნებს, ამაგრებს ფირმის რეპუტაციას. არსებობს სპონსორობის სამი სახე:

1. ერთობლივი პროექტების, პროგრამების რეალიზაცია;
2. პატრონაჟი, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსურ მფარველობას, არამედ საორგანიზაციოსაც. პატრონაჟს უწევს კონკრეტულ დაწესებულებებს – საბავშვო, საგანმანათლებლო და სპორტულ კლუბებს;
3. ქვედმოქმედება – არ გულისხმობს რაიმე ვალდებულებებს მიმღების მხრიდან. ეს ჩეკების აქტი ხშირად ერთჯერად ხასიათს ატარებს.

კომპანიას დანამატის სახით შეუძლია გადაიხადოს პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები. საზოგადოებაში დაღებით ეფექტს იწვევს ფირმის მიერ ეკლესიების სპონსორობა, ტაძრების აგება და რესტავრაცია.

სპონსორობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

1. საკუთარი შესაძლებლობის დემონსტრირება;
2. სოციალურ პროექტებში მონაწილეობა – სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირება აძლევს ფირმას საშუალებას დაანახოს საზოგადოებას მისი მნიშვნელობა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. სპონსორობის წყალობით თქვენი ფირმა ხდება სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი სუბიექტი. ამის გაგება შეცვლის ადამიანთა აზრსა და ქცევას თქვენი ფირმის მიმართ.

სპონსორობის შედეგები:

1. ხელსაყრელი იმიჯისა და მაღალი საზოგადოებრივი რეკუტაციის შექმნა;
2. რეგიონებში ბიზნესის გაფართოება;
3. ფირმისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება საგანმანათლებლო პროგრამებისა და მეცნიერული კვლევების დაფინანსების გზით;
4. ახალი ტექნოლოგიების მიღება;
5. საქონლის, მომსახურების არაპირდაპირი რეკლამირება სპორტული შეჯიბრებისა და კონცერტების ორგანიზაციის სპონსორობის გზით;
6. დამატებითი შეღავათების მიღება – გადასახადების შემცირება, ხელსაყრელი ეკონომიკური პროექტების მოზიდვა, მომგებიანი სახელმწიფო შეკვეთების მიღება.

ფირმის ეფექტურობა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და მკაფიოდ მყარდება კავშირი ფირმის მოსამსახურეთა და ხელმძღვანელთა შორის. ნებისმიერი ფირმის მოქმედება დამოკიდებულია პერსონალზე. დამტკიცებულია, რომ დანაკარგი პერსონალის არალიიალობის გამო სამჯერ მეტია, ვიდრე კონკურენტებისა და არამეტობრულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საშმიანობის გამო.

ზოგიერთი ფირმა იფარგლება პერსონალის ქცევის კონტროლით, პერსონალის ინფორმირება კი არასრულ და არარეგულარულ ხასიათს ატარებს. პერსონალთან უკუკავშირი ძალიან შეზღუდულია.

ამიტომ PR-სპეციალისტმა საზოგადოებას უნდა დაანახოს თავისი კომპანიის მოღვაწეობის მთავარი მიზნები და ამოცანები. დაანახოს ფირმის შეგანილი წვლილი ეროვნულ ეკონომიკაში და ხალხის კეთილდღეობაში. საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ თქვენი ფირმა, თითოეული თანამშრომელი მიისწრავის საყოველთაო და საკუთარი სარგებლისაკენ. კომპანიის ნებისმიერი თანამშრომელი მისივე იმიჯმეიკერია. ამიტომ აუცილებელია, რომ ფირმის ნებისმიერი მუშაკი ცხოვრობდეს ფირმის ინტერესებით.

PR-სპეციალისტს ძალუძს აამაღლოს პერსონალის ლოიალობა და მოტივაციები. PR-მენეჯერს შესწევს უნარი გააუმჯობესოს საწარმოს ფსიქოლოგიური კლიმატი, მინიმუმამდე დაიყვანოს კონფლიქტური სიტუაციები. პერსონალის ურთიერთდახმარების დონეს, რაც შეესაბამება ფირმის და სოციუმის განვითარების მთავარ ამოცანას.

ფირმაში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნისათვის აუცილებელია:

1. კოლექტივში კარგი მეგობრული ურთიერთობისთვის ხელის შეწყობა;
2. მუშაკების კალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა;
3. თანამშრომლების ინფორმირება და მათი მოზიდვა ინფორმიურ პროექტებსა და მართვისაკვენ;
4. ყოველი თანამშრომლის შემოქმედებითი და პროფესიული რეალიზაციისათვის შესაძლებლობების შექმნა;
5. ფირმის მიღწევებზე, ცვლილებებზე ინფორმაციის მუდმივი მიწოდება;
6. კომპანიის თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების ყველანაირი წახალისება;
7. მუშაკები აგრეთვე უნდა იყვნენ ფირმის საკუთრების ნაწილის თანამესაკუთრებები.

ოფისში აუცილებლად უნდა იყოს დასვენების და არაოფიციალური ურთიერთობისათვის განკუთვნილი კუთხე. ეს ადგილი უნდა იყოს სათანადოდ შეფერილი და მცენარებით, სურათებით, აკარიუმებით გაფორმებული.

PR-სპეციალისტი ვალდებულია – შეისწავლოს ფირმის თითოეული თანამშრომლის აზრი მნიშვნელოვან საკითხებზე; ჩატაროს საერთო კრებები, სემინარები, ტრენინგები; აწარმოოს პერსონალისათვის განკუთვნილი პუბლიკაციები და საფინანსო ანგარიშები. ღ-მენეჯერი სისტემატურად უნდა ატარებდეს სოციოლოგიურ გამოკვლევებს საწარმოში. სპეციალისტმა ხელმძღვანელობას უნდა შესთავაზოს პერსონალთან სხვადასხვა ურთიერთობის ფორმები. მაგალითად, ყოველი თანამშრომლის ლირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა პირადი მილოცვების ჩათვლით, ავადმყოფების მონაცემება, ქორწილებზე დასწრება და ა.შ. ხელმძღვანელობამ აშკარად უნდა გამოხატოს ის, რომ პატივს სცემს მუშაკს, როგორც პიროვნებას, როგორც ადამიანს და არა როგორც მხოლოდ მუშაკს. ფირმის ხელმძღვანელები თანამშრომლებთან ერთად უნდა იხილავდნენ არა მხოლოდ ბიზნესის საკითხებს, არამედ იმ სოციალურ საკითხებსაც, რომლებიც მუშაკების ინტერესებს შეეხება.

ფირმის შიგნით ახალი ურთიერთობანი ზეგავლენას ახდენს მომხმარებლებთან და მთლიანად საზოგადოებასთან ურთიერთქმედების კულტურაზე. ახალი კულტურა ნიშნავს თანამშრომლების ჩაბმას საწარმოო მართვის პროცესში. მაგრამ მუშაკის დადებითი მხარეების ხაზებსმა არ გამორიცხავს, რომ თქვენ ტაქტიკანად უნდა მიუთითოთ იმაზე, რომ მისი ყოფაქცევა არ ემთხვევა ფირმის პრილიტიკას.

მუშაკს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი არა მხოლოდ სამეწარმეო, არამედ ყველა

საკითხის შესახებ და გააკრიტიკოს კიდევ ხელმძღვანელობა. მუშაკმა უნდა იცოდეს ფირმის სახსრების გამოყენებისა და განაწილების შესახებ.

PR-მენეჯერმა უნდა შექმნას მხოლოდ ამ კომპანიისათვის მახასიათებელი წესჩვევები, სტილი და მიკროკულტურა. ეს არის – დახვეწილობა, შემოქმედება, ინოვაცია. PR-სპეციალისტმა მუდამ უნდა იფიროს პერსონალის ჩაცმის სტილზე, ურთიერთობის მანერაზე და საოფისე სივრცის დიზაინზე. ეს საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია ფირმის სტილის ჩამოყალიბებისათვის.

PR-საქმიანობა კომერციულ ორგანიზაციებში, ფირმებში და ბანკებში იძენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ღირებულებას. PR ღონისძიებებს მოაქვს ფირმისათვის კონკრეტული შედეგები გარიგებების და ფინანსური მაჩვენებლების სახით. PR საქმიანობა მნიშვნელოვანწილად ხელს უწეობს კომპანიას, ფირმის არამატერიალური აქტივების ზრდას.

მაგრამ იმავე დროს უნდა გვასხოვდეს, რომ PR-ი ვერ უზრუნველყოფს იმ დაუმსახურებელ რეპუტაციას, რომელიც ყოველთვის რეალურ საქმიანობასა და პრაქტიკას უნდა ექრდნობოდეს. შეუძლებელია მხოლოდ ფაბლიქ რილეიშენზის სახსრებით სამომხმარებლო ბაზრების გაფართოება, გაყიდვების მოცულობის გაზრდა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. PR ქმნის საზოგადოებრივ ცნობიერებათა და ურთიერთობათა წინაპირობებს. იგი ეხმარება ადამიანებს ახალ რეალობასთან ადაპტირებაში და საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემის გაუმჯობესებაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქ. ხახუტაშვილი, ლ. კაპანაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბ., 2007.
2. გ. ჭიაურელი, ს. ლომინაძე, რ. სტრელკოვა, საზოგადოებრივი ურთიერთობების მიზანთადი პრინციპები, თბ., ტექნ. უნივ., 2006.
3. Бинецкий А.Э. Паблик рилейшнз. Защита интересов и репутации бизнеса. М., «Экмос», 2003.
4. Василенко А.Б. Пиар крупных российских корпораций, М., 2001.
5. Пашенцев Е.Н. Паблик рилейшнз: от бизнеса до политики, М., 2000.

### **Summary**

**Sergo Lominadze**

**PR role in commercial organizations and firms**

The role of public relations in commercial organizations and firms are considered in this article. PR service creates a positive image and improves firms' reputation. PR increases material and non-material assets of commercial organizations and firms. In this article the author emphasizes that positive image is a main factor for successful functioning of firms. The author pays great attention to the PR specialist's work with organization's leadership and personnel. The author believes that it is impossible to resolve all problems of firms only by PR means and methods.

**Резюме**

**Серго Ломинадзе**

**Роль PR в коммерческих организациях и фирмах**

В статье автор раскрывает важную роль PR-деятельности в коммерческих организациях и фирмах. PR создает положительный имидж и укрепляет репутацию фирмы. Он способствует росту как материальных, так и нематериальных активов компаний.

В статье подчеркивается, что для успешного функционирования компаний необходим положительный имидж. Особое внимание уделяется работе PR-специалиста с руководством и персоналом. Отмечается, что PR -средствами невозможно решить все проблемы жизнедеятельности компаний и фирм.

**CONTENTS****THEORY****Otar Kochoradze**

The comparative analysis of economic and political aspects of a category of “SPACE” ----- 5

**Salome Kveselava**

Policy as a social event ----- 13

**Georgi Kiknadze**

Civil service legal regulation in the countries of rational beauracracy ----- 20

**Zurab Odisharia**

For the issue of national military safety ----- 29

**Nino Surmanidze**

The international attitudes of the state government

(Georgia's foreign policy) ----- 37

**Nino Chikobava**

Nationalism and international relations ----- 48

**HISTORY****Tamar Antadze, Merab Kalandadze,**

Robespierre in Georgian Historiography ----- 55

**Lasha Sulakvelidze**

Georgia in the frames of foreing policy of European Union ----- 77

**Natia Gotsadze**

International terrorism----- 88

**Lasha Tskitishvili**

European Neighborhood Policy and Georgia ----- 103

**Levan Machaidze**

Role and functions of Council of Euro ----- 112

**SOCIETY****Giorgi Bagaturia**

Society and translation of the Bible----- 119

**Marina Lomidze**

“Future-address of our existence”

(Traits of Herbert Marshal McLuhan’s heritidge)----- 126

**Maka Ambrolidze**

Global Technology And Cultural Developme----- 138

**Nino Iremadze**

Political Advertisement on Television----- 145

## LINGUISTICS

### Eteri Katsitadze

Mythicel Animal Mages and Moders Animal Metaphors.----- 152

### Rusudan Tabukashvili

Sociolingvistics and its jnterisciplinary relations----- 166

### Nino Gogua

Language items denoting colors----- 175

### Bela Gomurashvili

Special lenguges and an attempt to define them ----- 180

### Shorena Shengelia

Similarities and differences between specific and professional languages- 185

## ECONOMICS

### Georgi Caava, Tamar Beridze, Lika Beridze

The Complex Analysis of Enferprenourship ----- 189

### Giorgi Bagaturia, Teimuraz Gorshkov, Nona Chichikoshvili

Short-term Forecasting in the Tasks of Public Administration (on an Example of Cargo Transportation of Georgian Railway) ----- 196

### Mirian Gvishiani, Nodar Balavadze, Manana Moistsrapishvili.

Actions for increase of conductivity and hauling ability of terminal area of Georgian railway ----- 206

### Sergo Lominadze

PR role in commercial organizations and firms----- 213

**СОДЕРЖАНИЕ****ТЕОРИЯ****Отар Кочорадзе**

Сравнительный анализ экономических и политических аспектов категории «ПРОСТРАНСТВА» ----- 5

**Саломе Квеселава**

Политика как социальное явление----- 13

**Георгий Кикнадзе**

Правовое регулирование в странах рациональной  
бюрократии----- 20

**Зураб Одишария**

К вопросу о военной безопасности----- 29

**Нино Сурманидзе**

Государственное управление международными отношениями  
(Внешняя политика Грузии)----- 37

**Нино Чикобава**

Национализм и международные отношения----- 48

**ИСТОРИЯ****Тамар Антадзе, Мераб Каландадзе**

Робеспьер в Грузинской историографии ----- 55

**Лаша Сулаквелидзе**

Грузия в формате внешней политики Евросоюза----- 77

**Натиа Гоцадзе**

Межнациональный терроризм----- 88

**Лаша Цкитишвили**

Европейская политика соседства и Грузия----- 103

**Леван Мачайдзе**

Роль и функции Евросоюза ----- 112

**ОБЩЕСТВО****Георгий Багатурия**

Общество и перевод Библии----- 119

**Марина Ломидзе**

“Будущее – адрес нашего проживания”

(Штрихи творческого наследства Герберта

Маршала Маклюэна) ----- 126

**Мака Амбролидзе**

Глобальные технологии и культурное ----- 138

**Нина Иремадзе**

Политическая реклама на телевидении ----- 145

**ЛИНГВИСТИКА****Этери Кацитадзе**

Животные образы в мифологии и современные зоометафоры--	152
<b>Русудан Табукашвили</b>	
Междисциплинарные отношения социолингвистики-----	166
<b>Нино Гогуа</b>	
Цветовые языковые примечания-----	175
<b>Бела Гомурашвили</b>	
Отраслевые языки и попытка их определения -----	180
<b>Шорена Шенгелия</b>	
Отраслевые и профессиональные языки -	
Сходства и различия -----	185

**ЭКОНОМИКА**

<b>Георгий Цаава, Тамар Беридзе, Лика Беридзе</b>	
Комплексный анализ деятельности производства-----	189
<b>Георгий Багатурия, Теймураз Горшков, Нона Чичикошвили</b>	
Краткосрочное прогнозирование в задачах государственного управления (на примере грузовых перевозок грузинской железной дороги) -----	196
<b>Мириан Гвишиани, Нодар Балавадзе, Манана Моисцрапишвили</b>	
Мероприятия по повышению проводимости и перевозочной способности перевалочного участка железной дороги	
Грузии -----	206
<b>Серго Ломинадзе</b>	
Роль PR в коммерческих организациях и фирмах -----	213

## ავტორები

**მაგა ამბროლიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი  
**თამარ ანთაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი

**ნოდარ ბალაგაძე**, საქართველოს რეინიგზის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის დირექტორი

**გიორგი ბადათურია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**თამარ ბერიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ლიკა ბერიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი

**მირიან გვიშიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ფაკულტეტის მაგისტრანტი

**ნინო გოგუა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

**ბელა გომურაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

**ნათათ გოცაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

**თემიშვილი** – შპს „საქართველოს რეინიგზის“ მარკეტინგის ცენტრის უფროსი

**რუსუდან თაბუაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

**ნინო ირგმაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

**მერაბ კალანდაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი

**ეთერ კაციტაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**სალომე ქეჩელაგა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

**გიორგი კიბაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

**სერგო ლომინაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**მარინა ლომიძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ლევან შაჩიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

**მანანა მოწრაფიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი  
**ზურაბ ოდიშარია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი  
**ლაშა სალუქბაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი  
**ნინო სურმანიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი  
**გიორგი ცააგა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი  
**ოთარ ქოჩორაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასოცირებული პროფესორი  
**შორენა შენგელია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი  
**ნინო ჩიქობაძა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი  
**ლაშა ცქიტიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი  
**ნინო ჭიჭიკოშვილი** – შპს „საქართველოს რკინიგზის“  
 მარკეტინგის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

### ქურნალის რედკოლეგია

- ნანა ავალიანი** - ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, პროფესორი
- მეუფე აბრაამი (გარმელია)** - დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი
- ეგეგენი ბარათაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- გიორგი ბალათურია** - საქართველოს ტექნიკური ასოცირებული უნივერსიტეტის პროფესორი
- ოთარ ბალათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი
- გახტანგ გურული** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- შოთა დოლონაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
- თეიმურაზ თოდუა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- როინ მეტრეველი** - აკადემიკოსი
- ქეთი ქოქაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
- ოთარ ქოჩორაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან ქუთათელაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი
- მაია ჩხეიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

## EDITORIAL BOARD

- Nana Avaliani** - Assistant of the constant representative of Georgia in CE  
**Abraham (Garmelia)** – Metropolitan of Western Europe  
**Evgeni Baratashvili** - Georgian Technical University, Full Professor  
**Giorgi Bagaturia-** Georgian Technical University, Associative Professor  
**Otar Bagaturia** - Georgian Technical University, lecturer  
**Temur Todua** - Georgian Technical University, Full Professor  
**Vakhtang Guruli** – Tbilisi State university, Full Professor  
**Shota Dogonadze** - Head of the Public Administration Directions Georgian Technical University, Full Professor  
**Genadi Iashvili** - Georgian Technical University, Full Professor  
**Roin Metreveli** – The academician  
**Keti Kokrashvili** – Head of the Administrations Georgian Technical University, Full Professor  
**Otar Kochoradze** - Georgian Technical University, Associative Professor  
**Rusudan Kutateladze** – Head of the Humanitarian-Social Faculty Georgian Technical University, Full Professor  
**Maia Chkheidze** - Head of the Department of Foreign Languages and Communication, Georgian Technical University, Full Professor

РЕДКОЛЛЕГИЯ

- Нана Авалиани** - Заместитель постоянного представителя Грузии в Евросовете
- Владыка Абраам (Гармелия)** - Митрополит Западной Европы
- Евгений Бараташвили** - Грузинский технический университет, фулл-профессор
- Георгий Багатуриа** - Грузинский технический университет, профессор
- Оtar Bagaturi** - Грузинский технический университет, преподаватель
- Вахтанг Гурули** - Тбилисский государственный университет, фулл-профессор
- Шота Догонадзе** - Грузинский технический университет, руководитель направления Государственного управления, фулл-профессор
- Теймураз Тодуа** - Грузинский технический университет, фулл-профессор
- Генадий Иашвили** - Грузинский технический университет, фулл-профессор
- Роин Метревели** - Академик
- Кети Кокрашвили** - Глава администрации Грузинского технического университета, фулл-профессор
- Оtar Kochoradze** - Грузинский технический университет, профессор
- Русудан Кутателадзе** - Грузинский технический университет, декан Гуманитарно-Социального факультета, фулл-профессор
- Майя Чхеидзе** - Грузинский технический университет, глава департамента иностранных языков и коммуникаций, фулл-профессор